

№3
2015

644
2015

საქართველოს
ბიბლიოთეკა

სასანი

1852



საახი ბაჩრაძე - დავიწყებული იღაა
თაფარ ჭაანსალი - ემოციუბა მონადირა ჯაბი
ფიოდორ ბიუბევი - რუსალი მესიანისის იღაოლოგი
გაპათილის თაბა: „გარიგაბა“ და „მთაწმიდის მთვარა“

ცისკარი

1852

2015/3

ცთვლთვიური ლიტერატურული –
საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
ამირან გომართელი

მთ. რედაქტორის მოადგილეები
ბალათერ არაბული
სოსო გოლიაძე

რედაქტორთა ჯგუფი
ანდრო ბუაჩიძე
თამარ გელიტაშვილი
ელზა მეტრეველი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ქეთევან მერკვილაძე

გრაფიკული ილუსტრაციები
მარიამ გოგილიძისა

გარეკანის პირველ გვერდზე –
მიშა გოგრიჭიანის ფერწერა –
„ნასვლა ნესტანისა, ტარიელისა
და ავთანდილისა ფრიდონთან“,
გამოფენიდან „სინთეზური
ხელოვნება – მხატვრის ნიგნი
„ვეფხისტყაოსანი“

გარეკანის მეოთხე გვერდზე –
ფოტოკოლაჟი ამავე გამოფენიდან

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ. №1

ტელ.: 2-98-36-43

ciskari1852@gmail.com

<https://www.facebook.com/ciskari1852>

სარედაქციო საბჭო

ანდრო ბედუკაძე
თავმჯდომარე

ვანო ამირხანაშვილი
ნაირა ბუპიევი
ლევან ბრეგაძე
დავით თედორაძე
ზვიად კვარაცხელია
ესმა კოკოსკერია
გიორგი ლობჯანიძე
ავთანდილ ნიკოლეიშვილი
ნინო სადღობელაშვილი
თამაზ ტყემალაძე
რეზო ჭყეიშვილი
თემურ ჭკუასელი
ბესიკ ხარანაული

ჟურნალი გამოდის
თბილისის მიწინააღმდეგობის
ფინანსური მხარდაჭერით



სარჩევი

აკაკი ბაქრაძე დავინწყებული იდეა	3	„მისაზარი 1852“ – საოლას თამარ გელიტაშვილი	80
პოეზია		სიკვდილათან შერიგებული გენიოსი	
ქეთევან ნათელაძე	14	ინტერვიუ	
მარიამ ნიკლაური	18	ნინო სადღობელაშვილი	86
ჯუბა ხაინდრავა	25	მოგზაური მარტოსული (საუბარი გურამ მეგრელიშვილთან)	
გიორგი ბალახაშვილი	29		
რეპორტაჟი		ახალი თარგმანები	
თემურ ჭკუასელი – ემოციებზე მონადირე კაცი (შეხვედრა სამცხე- ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში)	33	რევაზ ინანიშვილი – ოსურ ენაზე (ხუთი მინიატურა) თარგმანი რაზიათ ქუმარიტოვისა	90
ქსენობია		ელის მანრო	110
ნუგაზარ ზაზანაშვილი დიდი მისტიფიკატორი	44	ან ჰო მითხარი, ან არა თარგმანი რუსუდან მახათაძისა	
პროზა		ტატიანა ტოლსტაია	122
თორნიკე გოგნიაშვილი „ქუჩა ტიროდა მაშინ“ თელონიუსი ხაშმში	52 54	პაემანი ფრინველთან თარგმანი თამარ კოტრიკაძისა	
გურამ მეგრელიშვილი		ნიგნები • რეცენზია	
აკუნინიდა	57	ლევან ბრეგაძე	131
მოლაღატე ქმრებისა და აღესილი ხმლებისა	63	საკითხავ-სათვალთვალელი პანია-დიდი წიგნი	
დიალოგი		არბრევიუ	
ანდრო ბუაჩიძე – ზურაბ ხასაია	70	მარია კახაძე	137
საუბარი საჭირბოროტო თემაზე		მხატვრის უპირველესი ღირსება, გაგაოცოს	



ახახი ბაჩხაძე

დავინწყებული იდეა*

როცა „ქართლის ცხოვრებას“ კითხულობთ, არ შეიძლება მაშინვე თვალში არ გეცეთ ერთი გარემოება: ძირუღლად განსხვავებულია თამარის ისტორიკოსებისა და ჟამთააღმწერლის თხრობის განწყობილება, შეიძლება მკითხველმა მითხრას კიდევ – რა არის საკვირველი? თამარის ისტორიკოსები გვიამბობენ გამარჯვებული საქართველოს თავგადასავალს, ჟამთააღმწერელი კი ჩვენი ქვეყნის დამარცხებას იგლოვსო. ცხადია, ეს მართალია, მაგრამ ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ამგვარი ვითარებით გამოწვეულ სხვაობას არ ვგულისხმობ, ვგულისხმობ საქართველოს ისტორიული მისიის გაგების დავინწყებას, თუ საერთოდ დაკარგვას.

ვატყობ, რაც ახლა ვთქვი, მთლად მკაფიო არ უნდა იყოს. ამიტომ უფრო დანერვილებით ჩამოვყავალიბებ ჩემ აზრს.

ვისაც „ისტორიანი და ამზანი შარავანდედთან“ დაკვირვებით წაუკითხავს, იგი უთუოდ მიაქცევდა ყურადღებას მემატინის თუნდაც ორ ფრაზას.

პირველი: „აქა კულა სამებისა თანა იხილვების ოთხებად თამარ, მისწორებული და აღმატებული“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. II, 1959 წ., გვ. 25). როგორც ხედავთ, თამარი გამოცხადებულია ქრისტიანული სამების – მამა-ღმერთი, ძე-ღმერთი, სული წმიდა – მეოთხე წევრად.

მეორე: „მიუდგა თამარი განწმედილითა გონებითა და ტაძრისა ღმერთისა აღმსჭუალულისა სანთლითა სხეულისათა, მზურვალთა გულითა და განუთლებულითა სულითა ტაბახმელისა ბეთლემყოფელმან მუნ შვა ძე, სწორი ძისა ღმრთისა“ (იქვე, გვ. 56). აქ კი თამარი გათანაბრებულია ღმრთისმშობელთან, ლაშა-გიორგი კი – იესო ქრისტესთან.

ორთოდოქსული ქრისტიანული შეხედულებით, მემატინის როგორც პირველი, ისე მეორე განცხადება უსაშველო მკრეხელობაა, მაგრამ რატომღაც „ისტორიანისა და ამზანის“ ავტორს ამისი არ ეშინია. გაბედულად და აშკარად ამბობს იმას, რაც, წესის თანახმად, მართლმორწმუნე ქრისტიანმა ფიქრადაც არ უნდა გაიგლოს. რა თქმა უნდა, ჟამთააღმწერელთან ამგვარ მკრეხელობას ვერ შეხვდები. იმას კი ნახავთ, თამარის ისტორიკოსის მიერ იესო ქრისტესთან მისწორებული ლაშა-გიორგი რა სიტყვებით არის დამცირებული და დაკნინებული – თავხედი, თვითბუნება, სახიობისმოყვარე, ღვინისმოყვარე, გემოთმოყვარე. ამას მოჰყვა ის, რასაც „წინასწარმეტყუელიცა იტყვის: ჭამა იაკობ, განძლა, განსხვა, განსუქნა. და დაუტევა ღმერთი შემოქმედი თვისი, და განუდგა ღმერთსა მაცხოვარსა თვისსა. ეგრეთვე

*იბეჭდება შემოკლებით.

იქნა ნათესავსაცა ამას შინა ქართველთასა, რამეთუ განძღეს და იშუებდეს და უწესობად მაგრკეს სიძვათა შინა და მთვრალობათა უგუნურნი კაცნი, მეფის კარსა ზედა არა-ყოფნისა ღირსნი და აწ კარსა ზედა მყოფნი“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. II, 1959 წ., გვ. 156-157).

კარგად რომ გავიგოთ, საქართველოს ისტორიული მისიისადმი დამოკიდებულების ამგვარი შეცვლა რას მოასწავებს, ჯერ ვნახოთ, რას ნიშნავს თამარის ისტორიკოსის სიტყვები და მერე იმას მივაქციოთ ყურადღება, რითი ცვლის, რა იდეით უამთაღმწერელი „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორის აზრს.

თამარის სამების მეოთხე წევრად გამოცხადება და ჩვილი ლაშა-გიორგის იესო ქრისტესთან მისწორება ნაწილია ქართული მესიანისტური იდეისა.

ყოველ ერში არსებობს მესიანისტური იდეა. იგი აქვთ გერმანელებს, რუსებს, სომხებს, პოლონელებს და სხვებს. ეს იდეა ერის თვითგამტკიცებას, თვითრწმენას, ძლიერებას უწყობს ხელს. ამა თუ იმ ისტორიულ ვითარებაში ეროვნული იმედის საფუძველია და ებრძვის ეროვნულ სასონარკვეთილებას. ბუნებრივია, რომ მესიანისტური იდეა ქართველმა მოაზროვნეებმაც გამოიმუშავეს და ჩამოაყალიბეს.

შეიძლება აუცილებელი არ იყოს ქართული მესიანისტური იდეის სხვა ხალხების მესიანისტურ იდეასთან შედარება, მაგრამ სომხურ მესიანისტურ იდეას კი უთუოდ უნდა შევუპირისპირო: ეს ნათლად დაგვანახებს, როგორ იბრძვიან ქართველები და სომხები ეროვნული თავისთავადობის შესანარჩუნებლად.

სომხური მესიანისტური იდეა ეფუძნება წარღვნის მითს, როგორც კარგად ცნობილია, დაბადების წიგნის თანახმად, წარღვნის შემდეგ ნოეს კიდობანი არარატის მთაზე გაჩერდა. აქ გამოვიდა გარეთ ნოე და მისი სახლობა. აქედან დაიწყო კაცობრიობის ხელმეორე აღორძინება. ძველ სომხურ მწერლობას მიაჩნია, რომ ბიბლიის არარატი სომხეთის არარატია. წარღვნის შემდეგ ნოემ მთე-

ლი ცხოვრება (ბიბლიის მიხედვით კი მან 350 წელიწადი იცოცხლა) სომხეთში გაატარა, იცოდა სომხური ენაც და დასაფლავებულიც ნახჭევანშია. მაშასადამე, სომხური მწერლობის აზრით, სომხეთი კაცობრიობის რეგენერაციის აკვანია. ქრისტიან ხალხებში ბიბლიის ავტორიტეტი საფუძველს აძლევდა ზოგიერთ სომხ მემკვიდრეს ემტკიცებინა: ყველა ხალხი სომხებისაგან წარმოიშვა და ყველა ენის მშობელი სომხურიაო. ნურავინ მიიჩნევს ამას უბრალო მიაშიტობად. ეს იდეა მძიმე ისტორიული კატაკლიზმების ეპოქაში ეხმარებოდა სომხ ხალხს, იმედით ასაზრდოვებდა მის სიმტკიცეს, მხნეობასა და ვაჟკაცობას. სხვათა შორის, სომხური მესიანისტური იდეის გავლენა იმდენად დიდი ყოფილა, რომ რუსეთშიც არარატის მთებიდან, ე. ა. სომხეთიდან, მოელოდნენ მესიას (მხსნელს). ასე ფიქრობდნენ მანამ, სანამ 1701 წელს სომეხ მოღვაწეს ისრაელ ორის წერილი არ გაუგზავნია პეტრე პირველისათვის და არ უცნობებია – მოსკოვიდან მოველინებოქვეყნიერებას მესია (იხ. ალ. აბდალაძის „ქართლის ცხოვრება“ და საქართველოსომხეთის ურთიერთობა“, 1982 წ., გვ. 101, 102, 107, 108, 144, 145).

უპირველესად მესიანისტური იდეა სომხეთს სჭირდებოდა ბიზანტიის მესიანისტური იდეის წინააღმდეგ, მასთან საბრძოლველად.

ასევე სჭირდებოდა მესიანისტური იდეა ქართველ ერსაც: ერთი მხრივ, ბიზანტიის პოლიტიკური და რელიგიური აგრესიისაგან თავდასაცავად და, მეორე მხრივ, სომხური ეკლესიის იდეოლოგიური პრეტენზიის შესაკავებლად. სჭირდებოდა, აგრეთვე კავკასიაში საქართველოს ჰეგემონობის გასამტკიცებლად.

რა ნიშნები აქვს ქართულ მესიანისტურ იდეას?

პირველი: ცნობილი ჰიმნით – „ქებაა და დიდებაა ქართულისა ენისაა“ – ქართული ენა გამოცხადებულია ქრისტეს ენად. მეორედ მოსვლის უამს უფალი ამ ენით დაელაპარაკება კაცობრიობას. ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა, როცა

ძველ ქართულ მწერლობაში ქართული ენა განსაკუთრებულად არის წარმოდგენილი. „შიოსა და ევაგრეს ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ, როცა 13 ასურელი მამა საქართველოს საზღვარს მოადგა, კათალიკოს ევლავიოსს ღამით უფლის ანგელოზი ეჩვენა და უთხრა: ღვთის მონა იოანე მონაწევებითურთ მოდის, შეეგებე და შეინყნარეო. კათალიკოსი ასურელ მამებს შეეგება. იოანეს ქედზე მოუხვია და კეთილად მობრძანება უსურვა. სტუმარი მასპინძლის ფერხითი დაეცა და ღმერთს მადლობა შესწირა, კათალიკოსის თაყვანისცემის ღირსი რომ გახდა. იოანესა და ევლავიოსს შორის საუბარი ქართულად მიმდინარეობდა. ამის გამო „ცხოვრების“ ავტორი გაკვირვებული ამბობს: „ვითარ მოეცა იოანეს ენა ქართულად მეტყველი ყოვლად დაუბრკოლებელი?“ პასუხს ასე იძლევა: „ეჰა, საკვირველებასა შენსა. ქრისტე ღმერთო, ვითარ ადიდებ მადიდებელთა შენთა“.

როგორც ხედავს, ქრისტეს შთაგონებით, ქართულად ამეტყველდა კაცი, რომელსაც ქართული „არცა ოდეს ასმიოდა, არ თუ ესწავა“.

ასევე ღვთის შთაგონებით ალაპარაკდა ქართულად ექვთიმეც. მართალია, იგი ქართველი იყო, მაგრამ გადავინყებულები ჰქონდა მშობლიური ენა. უჭირდა ქართულად საუბარი („იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“). ერთხელ ექვთიმე მძიმედ იყო ავად. ავადმყოფს ღვთისმშობელი ეჩვენა და ჰკითხა: რა გტკივა, ექვთიმე? სწულმა უპასუხა: ვკვდები, დედოფალო. ღვთისმშობელმა ანუგეშა იგი: „არარაე არს, ვნებაჲ შენ თანა, აღდეგ. ნუ გემინდ და ქართულად ხსნილად უზნობდი“. ამ სიტყვების მერე ექვთიმე არა მარტო სრულიად განიკურნა, არამედ დიდებული ქართულითაც ამეტყველდა: „მიერთგან დაუყენებლად, ვითარცა წყაროე აღმოდინ უწმინდეს ყოველთა ქართველთასა“.

ასე მჭიდროდ უკავშირდება, ჩვენი მწერლობის აზრით, ქართული ენა და იესო ქრისტე ერთმანეთს.

მეორე: ქრისტეს კვართი საქართველოში, მცხეთაშია დასაფლავებული.

დაკრძალვის ადგილს აგებულია სვეტიცხოველი. მატინე გვიამბობს, რომ ორი კაცი, ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი, საქართველოდან იერუსალიმს გაემგზავრა. ისინი მამის ჩავიდნენ იერუსალიმში, როცა იქ იესო ქრისტე ჯვარს აცვეს. უფლის კვართი, თურმე, მცხეთელ მოქალაქეებს ხვდათ წილად. „ხოლო კვართი იგი უფლისა წილით ხუდა მცხეთელთა: წარმოიღო ელიოზ და მიიღო მცხეთასა“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. 1, 1955 წ., გვ. 98-99).

მესამე: საქართველო ღმერთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა.

მეოთხე: ბაგრატიონთა სამეფო დინასტია არის იესიან-დავითიან-სოლომონიანი. მოგეხსენებათ, ქართველ მეფეთა ბრძანება-განკარგულებანი, წესისამებრ, იწყება ასე: „ჩვენ იესიან-დავითიან-სოლომონიან-პანკრატიონმან მეფეთ მეფემან...“ ამრიგად, ქართველი ბაგრატიონები ებრაველ მეფეთა შთამომავლად თვლიდნენ თავს. რატომ? იმიტომ, რომ იესეც, ძეც მისი დავით, სოლომონიც ძე დავითისი სახარებაში მოხსენიებული არიან ქრისტეს წინაპართა შორის. მაშასადამე, ქართველი ბაგრატიონები და ქრისტე ნათესავები არიან. ეს კი ქართული სამეფო დინასტიის განსაკუთრებულობას მონიშნობდა.

ამასთან ერთად, გარკვეულ პერიოდში ქართველი მეფეები „მესიის მახვილად“ იწოდებიან. ისინი დამცველიც არიან და გამაგრცელებელიც ქრისტეს მოძღვრებისა.

ქართულ მესიანისტურ იდეას აყალიბებს ქართული საეკლესიო მწერლობა. მისი აზრი მკაფიოა: თუკი საქართველო ღვთისმშობლის წილხვედომი ქვეყანაა, ქართული ენა ქრისტეს ენაა, რომლითაც უნდა ელაპარაკოს უფალი კაცობრიობას მეორედ მოსვლის ჟამს, ბაგრატიონები კი ქრისტეს ნათესავები არიან, ცხადია, ქართველი ხალხი საგანგებო, განსაკუთრებული მისიის მატარებელია. იგი მოვალეა ეს მისია აღასრულოს. ქართული ეკლესია, ისტორიის ასპარეზზე, ამ იდეით წარმართავს და ამოქმედებს ქართველ ხალხს

იბრძოდნენ თუ არა ქართული სამეფო კარი და ქართველი პოლიტიკოსები ამ იდეის პრაქტიკული განხორციელებისათვის? თუ აზრი მხოლოდ აზრად დარჩა და ამით დამთავრდა ყველაფერი? რა თქმა უნდა, იბრძოდნენ. ქართული მატრიანე, ქართული მწერლობა ამას გვიდასტურებს.

ჯერ ერთი, როცა დადგა ნუთი განესაზღვრათ, რას ეწოდებოდა საქართველო, იგი ქართული ენის საფუძველზე განმარტეს. „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების, ხოლო კუირიელესონი ბრძულად ითქუმის, რომელ არს ქართულად: „უფალო ნყალობა ყავ“, გინა თუ „უფალო შეგუიწყალენ“ (გიორგი მერჩულე – „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“). ამ ფორმულაში ისიც მკაფიოა, რას ეწოდება საქართველო და ისიც, რომ ქართული სამყარო ბერძნულ სამყაროსთან დაკავშირებულია მტკიცედ, რაკი „კუირიელესონ“ ბერძნულად ითქმის.

მეორეც, ყალიბდება ტერმინი „საქართველო“. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში წააწყდებით ჩივილს, რომ ცნება „საქართველო“ შედარებით გვიან გაჩნდა, მაშასადამე, ჩვენი ერთიანი ეროვნული ცნობიერებაც გვიან ჩამოყალიბდა. ეს ჩივილი უსაფუძვლოა. ცნება „საქართველო“ არ გულისხმობს ქართველთა ეროვნულ სახელმწიფოს, იგი მოიცავს იმას, რაც ქართველებს ეკუთვნით, რაც ქართველთა სამფლობელოა, მიუხედავად იმისა, ცხოვრობს თუ არა იქ ნათესავით (ანუ დღევანდელი ტერმინით რომ ვთქვათ, ეროვნულად) ქართველი. მწერალი ამბობს: ყველგან ქართლია, სადაც ნირვა-ლოცვა ქართულად მიმდინარეობს. ამ პერიოდში ქართულად ნირვა-ლოცვა მარტო იქ არ ხდება, სადაც ქართველები ცხოვრობენ. ქართულ ეკლესიას უკვე გარდევული აქვს ეთნიკური საზღვარი. იქაც საქმიანობს, სადაც არაქართველები ცხოვრობენ (სულერთია, რა მიმართულებით იქნება ეს – აღმოსავლეთით,

ჩრდილოეთით თუ სამხრეთით). აი, ამ გაფართოებულ, ეთნიკურსაზღვრებგადალახულ ქვეყანას, სადაც ქართულმა ეკლესიამ ქართული ნირვა-ლოცვა დაამკვიდრა, ეწოდება საქართველო. ამიტომ „საქართველო“ მარტო ქართული ეროვნული სახელმწიფოს სახელი კი არ არის, არამედ ყველაფერი იმისა, რასაც უკვე ქართველები ფლობენ, ან მომავალში დაეპატრონებიან.

ამ შემთხვევაში „საქართველო“ რელიგიური ტერმინიც არის, რადგან ამ ეპოქაში ეროვნულობა და სარწმუნოება გაიგივებულია. „ქართველი“ მარტო ეროვნებით ქართველს არ ნიშნავს, არამედ ქართული ქრისტიანობის (ანუ დიოფიზიტობის) აღმსარებელსაც, ისევე როგორც, „სომეხი“ არ გამოხატავს მარტო ეროვნებით სომეხს, არამედ გრიგორიანული ქრისტიანობის (ანუ მონოფიზიტობის) მიმდევარსაც. ამდენად, „საქართველო“ ეწოდება ტერიტორიას, სადაც ცხოვრობენ ადამიანები, რომელთაც სწამთ დიოფიზიტური, ანუ ქართული, ქრისტიანობა.

ტერმინი „საქართველო“ მაშინ ჩნდება, როცა ქართველები იწყებენ ეროვნული ტერიტორიიდან გასვლას და სხვა მიწა-წყლის ათვისებას.

მესამეც, არჩეული მიზნის განხორციელების გზაზე საქართველო მივა იქამდე, რომ ქართველი მეფის ტიტული იქნება: მეფე აბაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვანშა და შაჰანშა. ამ ტიტულში უკვე გაერთიანებულია მთელი ამიერკავკასია. ცოტა უფრო მეტიც: შარვანშა გულისხმობს თითქმის დღევანდელ აზერბაიჯანის პატრონობას, ხოლო შაჰანშა იმ სომხურ ტერიტორიას, რომელსაც მაჰმადიანები ფლობდნენ სამხრეთში (ცოტა ხანს თხრობა უნდა შეეწყვიტო და მკითხველს გავახსენო, რომ 1918-21 წლებში საქართველოს ეროვნულ გერბზე წმ. გიორგისთან ერთად, გამოხატული იყო მზე, მთვარე და ხუთი ვარსკვლავი. ლეონტი მროველის ცნობის შესაბამისად: წარმართი ქართველები „იქნესო მსახურ მზისა და მთოვარისა და ვარსკულავთა

ხუთა...“ გერბზე შვიდი მნათობი რომ დაინახეს, სომეხ ისტორიკოსებს ეგონათ, საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ქართველ მეფეთა ტიტული გაიხსენა და მთელ ამიერკავკასიაზე აცხადებდნენ სო პრეტენზიას. ტიტულშიაც ხომ შვიდი სამთავროა მოხსენიებული. ამის გამო მათ პროტესტი განაცხადეს. არ გაითვალისწინეს, რომ იმ გერბზე გამოხატული მნათობნი ლეონტი მროველის ცნობას იხსენებდნენ და არა ქართველ მეფეთა უკვე დაიწყებულ ტიტულს). მერე ამ ტიტულს დამატა – ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმპყრობელი. ეს კი იმის მაუწყებელია, რომ ქართული სახელმწიფო აზრი მიდის ორთავიანი არწივის იდეამდე. ბიზანტიის იმპერიის გერბი იმიტომ იყო ორთავიანი არწივი, რომ იგი (ბიზანტია) აცხადებდა პრეტენზიას როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის მფლობელობაზე. ამავე იდეით და პრეტენზიით წამოიღებენ ბიზანტიიდან მოგვიანებით რუსებიც ორთავიანი არწივს საკუთარ გერბად.

თეორიული აზრი და პრაქტიკული საქმიანობა გაერთიანდა. ფორმულაც ჩამოყალიბდა: ერთიანი კავკასია საქართველოს მეთაურობით. ამ იდეის თავკაცებად და პრაქტიკულ განმხორციელებლად ქართველ მემკვიდრეებს მიაჩნიათ ვახტანგ გორგასალი და დავით აღმაშენებელი. იმიტომ ისინი ხდებიან ქართული პოლიტიკური აზრის სიმბოლოებად: ტახტი ვახტანგით, საყდარი დავითიანი, დროშა გორგასალიანი და დროშა დავითიანი. თუმცა, ჩემი აზრით, უკეთესი იქნებოდა ამ იდეისათვის გვეწოდებინა დავითიზმი, რადგან დავით აღმაშენებლის მეფობა და საქმიანობა ყველაზე უკეთ გამოხატავს მის არსს.

ქართული პოლიტიკური იდეა რომ სრულად განხორციელდეს, აუცილებელია ბიზანტიის გავლენისაგან თავდაღწევა, მართალია, ვახტანგ გორგასალი ანდერძად ტოვებს, – „სიყვარულსა ბერძენთასა ნუ დაუტყვებთ“, – მაგრამ ქართველი მოღვაწეები ნათლად და გარკვევით ხედავენ, რომ ბიზანტია თანდათან სუსტდება,

კნინდება და უძლურდება. თუ საქართველოს საკუთარი ეროვნული ენერჯის გამოვლენა უნდოდა, იგი უნდა განთავისუფლებულიყო ბიზანტიის მეურვეობისაგან. ბიზანტიის უარყოფა აბეზარი მეურვის მოცილებასაც ნიშნავდა და უმოკავშიროდ დარჩენასაც. არადა, ჯერ მოკავშირედ დაიწყო კათოლიკური დასავლეთი შეიძლება ყოფილიყო. ეს არჩევანი მით უკეთესი იქნებოდა, თუ დადასტურდებოდა, რომ იქ მართლაც ქართველთა ნათესავი სახლობდა. და იოანე მთაწმიდელი დააპირებს ნიდავის მოსინჯვას. განზრახვა ვერ განხორციელდა. იოანე არ გაუშვებს ესპანეთად. განშორების მსუხარებას ვერ გადავიტანოთ, შენუხებულან იმპერატორები ბასილი და კონსტანტინე („იოანეს და ექვთიმეს ცხოვრება“). პოლიტიკისათვის უცხო და შეუფერებელი მიამიტობა და გულჩვილობა გამოვლენილი. თუმცა ორივე მხარემ კარგად იცის, რას აკეთებს და რატომ. გასხიპული დიპლომატიური თავაზიანობით მალავენ გულის ფიქრს. საქართველო ევროპისაკენ გაპარვას ცდილობდა. ბიზანტია უკეტავდა კარს.

თუ მაშინ იოანე მორიდებულ ნაბიჯს დგამს, გიორგი მთაწმიდელი აშკარად და დაუფარავად მოქმედებს. იგი იმპერატორ კონსტანტინე მეთაუ დაუკას ეუბნება – ბერძენები მრავალგზის განდგომიან ქრისტიანობას. ხოლო ჩვენ, რაკილა ერთხელ ვირწმუნეთ იგი, არასოდეს გვიღალატიაო („გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება“). გიორგი ქართული ეკლესიის უპირატესობის ქადაგებით არ კმაყოფილდება. კათოლიციზმის უკეთესობასაც იქვე იღიარებს: „ხოლო პრომთა, ვინათგან ერთგვის იცნეს ღმერთი, არღარა ოდეს მიდრეკილ არიან და არცა ოდეს წვალეზა შემოსრულ არც მათ შორის“. როგორ, გიორგი მთაწმიდელმა არ იცოდა, რომ კათოლიკურ ეკლესიასაც ისევე ანამებდა ერესი, როგორც მართმადიდებლობას? რა თქმა უნდა, იცოდა, მაგრამ ახლა, პოლიტიკურ-რელიგიური თვალსაზრისით, საქართველოსათვის ასეა საჭირო. აუცილებელია კათოლიკური ეკლესიის

გულისმოგება და არც გიორგი იშურებს ქების სიტყვას. მართლაც, კმაყოფილებით საესე რომაელები მაშინვე შეჰპირდნენ ქართველ ბერს – „წარგიყვანთო წინაშე წმიდისა პაპასა“.

ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც დიდმა მთანმიდებლებმა დაიწყეს, თამარის დროს დასრულდება. ამას მართო ქართველთა გავლენის ქვეშ მყოფი ტრაპიზონის იმპერიის შექმნა კი არ მოწმობს, არამედ სხვა ფაქტორებიც.

თუ თამარამდე ქართული სამოხელეო ტერმინები ქართულ-ბერძნული წარმომავლობის არის, თამარი ახალ მაღალ თანამდებობას ქმნის და მას თურქულ სახელს დაარქმევს – ათაბაგი. რატომ? თამარი „დასავლეთის და აღმოსავლეთის თვითმპყრობელია“ და ეს სამყარო ბუნებრივად უნდა შემოვიდეს ქართულ ცნობიერებაში.

თუ მეთერთმეტე საუკუნემდე არსებითად მხოლოდ ბერძნულენოვანი სამყაროდან ითარგმნება წიგნები ქართულად, უცბათ (ყოველ შემთხვევაში დღეს არსებული მასალების მიხედვით) იწყება გაცხარებული ლიტერატურული საქმიანობა სპარსულენოვანი მწერლობის სათარგმნელად (საბუთად თუნდაც „ვისრამიანი“ დავასახელოთ). ისიც, „ვეფხისტყაოსანში“ რომ აღმოსავლური სამყაროა დახატული, ჩემი ფიქრით, იმას გულისხმობს, რასაც აღმოსავლეთის ცნობა-გამიზნაურება შეიძლება ვუწოდოთ. ქართულმა ორთავიანმა არნივმა თანაბრად უნდა მოავლოს თვალს დასავლეთსა და აღმოსავლეთს. სხვანაირად ტიტული – „დასავლეთისა და აღმოსავლეთის თვითმპყრობელი“ ცარიელი სიტყვა იქნება.

ქართული პოლიტიკა მართო დასავლეთისა და აღმოსავლეთისაკენ არ იყურება. რაკი ამიერკავკასია გაერთიანებულია, ქართულმა სახელმწიფომ კავკასიონის ჩრდილოეთითაც უნდა გადაიხედოს. ჩრდილოეთი არის ქვეყანა, რომელსაც ისეთივე პრეტენზია აქვს ბიზანტიის მემკვიდრეობისა, როგორც საქართველოს. თუ ბიზანტიის მემკვიდრეობის ორი მაძიებელი შერთდება,

მაშინ უთუოდ და უთუმცაოდ შეიქმნება უძლეველი ქრისტიანული სახელმწიფო. ქართველი პოლიტიკოსები გადასწყვეტენ თამარის ქმრად რუსი უფლისწული მოიწვიონ. ქორწინება მოხდა, მაგრამ იური ბოგოლუბსკი, ანუ გიორგი რუსი, ის კაცი არ გამოდგა, ვისაც ქართული სამეფო კარი ეძებდა. მას უფრო მეტი სურვილი და ნდობა აღმოაჩნდა, ვიდრე მისთვის იყო გათვალისწინებული. გიორგი რუსი გააძევეს, მაგრამ ორიენტაცია არ შეცვლილა. მეორე ქმარიც ჩრდილოეთიდან მოიყვანეს. ამჯერად ქართველთა ნათესავი, ოსი უფლისწული დავით სოსლანი. ქართული ეკლესია ჩრდილოეთში უკვე ვეხმოდგმულია. თამარის და დავითის ქორწინებით ამიერ და იმიერ კავკასიის პოლიტიკურ შეერთებასაც ეყრება საფუძველი.

თავის ძეს თამარი თიკუნად „ლაშას“ უწოდებს. „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორი გვეუბნება – ლაშა, აფსართა ენითა, განმანათლებლად სოფლისა ითარგმნებაო. ესეც პოლიტიკურ-რელიგიური აქტია: იმიერკავკასიის მოსახლეობის გულისმოსაგებად მომავალ ხელმწიფეს ორი სახელი ჰქვია – ქართველთა სადიდებელი წმიდანისა და იმიერკავკასიელთა წარმართული ღვთაების: ლაშა-გიორგი, ანუ ნათელი გიორგი, რაც თეთრი გიორგის ასოციაციას იწვევს.

ასე რომ, იდეა უკვე არსებითად საქმედ არის ქცეული. მაშინ გაბედავს ქართველი მწერალი და იტყვის: „აქა კუალა სამებისა თანა იხილევის ოთხებად თამარ, მისწორებული და აღმატებული“.

ქართული მწერლობის პირით იქნა გაცხადებული ქართული პოლიტიკური იდეალი ისევე, როგროც ძალიან გვიან, მე-19 საუკუნეში, თედორე ტიუტჩევის კალმით იქნება გამოხატული რუსეთის პოლიტიკური მისწრაფება.

Москва и град Петров и Константинов град –
 Вот царства русского заветные столицы....

Но где предел ему? И где его границы –

На север, на восток, на юг и на закат?

Грядущим временам судьбы их обличат!...

Семь внутренних морей и семь великих рек...
От Нила до Невы, от Эльбы до Китая,
От Волги по Евфрат, от Ганга до Китая,
Вот царство русское... и не преидет вовек,
Как то провидел Дух и Даниил предрек.¹

რა თქმა უნდა, დანიელის წინასწარ-მეტყველებაში არავითარ რუსეთზე არ არის ლაპარაკი. იქ საუბარია ღმერთის მიერ შექმნილ მარადიულ სამეფოზე. «და მათი მეფობის დღეთა შინა ცის ღმერთი აღადგენს სამეფოს, რომელიც არ დაინგრევა არასოდეს, და სამეფო იგი არ მიეცემა სხვა ერს, და დაამხოვს და დააქცევს იგი ყველა სხვა სამეფოს, თავად კი იარსებებს სამარადისოდ» (დანიელი, 11, 44). რუსული მესიანისტური იდეა რუსეთს აკავშირებდა ამ მარადიულ სამეფოსთან, რომელიც ღმერთის მიერ იყო შექმნილი. მესიანისტურ იდეას საბუთი არ სჭირდება. იგი ემყარება განსახუთრებულიობის რწმენას.

ისტორიული ბედუკუღმართობის გამო საქართველომ ვერ მოახერხა პოლიტიკური ოცნების განხორციელება. მონღოლთა შემოსევამ იავარჰყო არა მარტო ქართული სახელმწიფო, არამედ მოსპო ქართული მესიანისტური იდეაც. ამით იყო ყველაზე ტრაგიკული მონღოლთა ბატონობის შედეგი ჩვენში. როცა ჟამთააღმწერელი განაჩიქებს ლაშა-გიორგის, აკინებებს და ამცირებს მას, ეს მარტო ერთი ხელისუფლის, თუნდაც დამნაშავის, კრიტიკა და მხილება არ არის. იგი დავინყება იმ იდეალისა, რომელთანაც დაკავშირებულია ლაშა-გიორგი, საფუძვლიანად თუ უსაფუძვლოდ. ჟამთააღმწერელი უარყოფს ქართულ მესიანისტურ იდეას. შემოაქვს ახალი – ცოდვისა და გამოსყიდვის იდეა. მისი აზრით, ქართველობა იმიტომ დამარცხდა, რომ მათ ქრისტიანული სათნოება უარყოფს, გადაიდგულდნენ და გაყოყოვნდნენ. ერთი-

ნად მიეცნენ ცოდვას, ღმერთმაც სასჯელად მონღოლთა ბატონობა მოუვლინა. ცოდვილ ხელს ისლა დარჩენია, იფიქროს და იზრუნოს ცოდვის გამოსცილება. რად უნდა მის მტკიცება, რომ ცოდვილი ვეღარ გაბედავდა ოცნებას მაღალი მისიის შესრულებაზე, ვეღარ ჩათვლიდა თავს განსაკუთრებულად და ვეღარც სხვის წინამძღოლობას იკისრებდა.

მართალია, ბაგრატიონები ისევ თვლიან თავს იესიან-დავითიან-სოლომონიანად, მაგრამ ვეღარავინ ბედავს „მესიის მახვილად“ იწოდებოდეს.

თამარი ბოლომდე დარჩება შარავანდედით მოსილი, მაგრამ არავინ გაიხსენებს, რომ იგი სამების მეოთხე ნევრია. ასეთი მკრეხელობის გაბედავა უკვე აღარ ძალუძს.

რელიგიურ-პოლიტიკური ცნება „საქართველო“ იმდენად შეიკუმშება და დაპატარავდება, რომ ერთი პროვინციის სახელს – ქართლს – გაუთანაბრდა. ვახტანგ VI რუსეთს ნავიდა და „ბევრი ვინმე ნარყენენ საქართველოსი და კახეთის დარბაისელნი...“ ამის დამწერს უკვე არავითარი წარმოდგენა არა აქვს – რას ნიშნავს „საქართველო“. ეს არ არის ცალკეული შემთხვევა. ასე წერენ წამდაუნუმ. თუმცა თითო-ოროლას ესმის ცნება – საქართველოს – აზრი და მნიშვნელობა, მაგალითად, ვახუშტი ბატონიშვილს. ამას მონშობს მისი წიგნიც და მისი რუკაც.

ჰიმნი „ქება“ და დიდება ქართულისა ენისა“ ისე დაიკარგება. რომ მას მხოლოდ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში აღმოაჩინენ (ხომ ვითომ შემთხვევითობა ეს, მაგრამ თუ დავფიქრდებით, ღრმა კანონზომიერებას დავინახავთ, როცა ქართულმა ეროვნულმა აზრმა აღორძინება დაიწყო, ის ჰიმნიც იპოვეს, რომელიც სწორედ ეროვნული თვითშეგნების მქადაგებელი იყო). მისი თემა კი მონღოლთა

¹ მოსკოვი, პეტრეს ქალაქი და კონსტანტინეს ქალაქი, აი, რუსთა სამეფოს აღთქმული დედაქალაქები. მაგრამ სად არის, მისი სამანი, სად საზღვარი – ჩრდილოეთში, აღმოსავლეთში, სამხრეთში თუ დასავლეთში? მომავალი დრონი შემოსავენ მათ ბედს... შვიდი შინა ზღვა, შვიდი დიდი მდინარე... ნილოსიდან ნევაამდე, ელბიდან ჩინეთამდე, კოლგადან ევფრატამდე, განგდან დუნაიმდე. აი, რუსთა სამეფო. და არასოდეს წარხდეს იგი, როგორც ეს განჭვრიტა სულმა და დანიელმა იწინასწარმეტყველა“.

შემდეგდროინდელ ქართულ ჰიმნოგრაფიაში არ შეგვხვდებათ.

მართალია, არ დავინყებიათ, რომ საქართველო ღმრთისმშობლის ნილხვდომილი ქვეყანაა, მაგრამ ამას ქართველთა უპირატესობის დასამტკიცებლად აღარ იყენებენ. დედალვთისას ოდენ შველისა და დახმარებისათვის მიმართავენ.

თუ გიორგი მთანმინდელი ამაყად ეუბნება ანტიოქიის პატრიარქს – „წმიდაო მეუფეო. შუენის ესრეთ, რაათა ნოდებულო იგი მწოდებულსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესა ჯერარს, რათა დაემორჩილოს მწოდებულსა თუისსა და ძმასა ანდრეას და რააფა თქუენ ჩუენ დაგვემორჩილნეთ“,¹ – მე-18 საუკუნის ქართულ ეკლესიაში „გამტკიცებული იყო რუსოფილური მიმართულება და გატაცება. ჩვენში ცდილობდნენ უცვლელად გადმოენერგათ რუსული საღვთისმსახური წესები და ტრადიციები“ (კ. კეკელიძე – ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I. 1941 წ., გვ. 328).

რა თქმა უნდა, ისევე სჯეროდათ, რომ ქრისტეს კვართი ქართულ მინაში განისვენებს, მაგრამ ეს აღარ ხდება ქართული მწერლობის ფართო განსჯის საგანი.

მონღოლთა შემოსევის შემდეგდროინდელი ისტორია ქართველი ხალხისა სწორედ ერთიანი, განუწყვეტელი ბრძოლა ქრისტიანული იდეალების შესანარჩუნებლად და დასაცავად. იბრძვიან არა მარტო ხმლით, არამედ კალმითაც. ქრისტიანული კონცეფციით არის გაუღენთილი არა მარტო რეგიონალური თხზულებანი, არამედ სპარსულიდან ნათარგმნიც, ანდა მიბაძვით დანერილი. თუ არჩილი „თეიმურაზისა და რუსთაველის გაბაასებაში“ ღმერთს მიმართავს – „სამგვამოვანო ღვთაებავ, ერთმანეთს არ შემდგომისო, მამავ მშობელო ძისაო, გამომვლენელო სულისო, ერთხელმწიფებავ, ერთნებავ, სამხატო, ერთღვთაებისო...“ – თეიმურაზ

პირველი უზენაესს „ლილმავზუნინანში“ ევედრება – „ღმერთო... არსისა არაარსისა სიტყვით დამბადე მქნელობით...“ როგორი აღტაცებულიც უნდა იყვნენ სპარსული ენითა და ლიტერატურით („სპარსთა ენისა სიტყობიან მასურვა მუსიკობანი“, – როგორც აღიარებდა თეიმურაზ პირველი), მაინც ერთგულად, რწმენით და თავდადებათ ემსახურებიან სიტყვა-ღმერთს, სამპიროვან ერთარსებას.

აღორძინების ხანის მწერლობა დიდ ყურადღებას მიაქცევს ისტორიას. შეიქმნა გალექსილი მატინები. არჩილ მეფე იქნება თუ დავით გურამიძეილი, იოსებ ტფილელი თუ იესე ტლაშაძე, ფეშანგი თუ სხვანი, გვიამბობენ როგორც მთელი ქვეყნის, ისე ცალკეულ ისტორიულ პირთა თავგადასავალს. მათ ნაამბობს ახლავს ერთი, საერთო დამოკიდებულება ქართველთა ისტორიული ცხოვრებისადმი. ეს ის დამოკიდებულებაა, რომელიც უამთაღმწერელმა გამოავლინა: ჩადენილია ცოდვა და ყველა შემოსევა-დარბევა სასჯელია ღვთის მოვლენილი.

„მათ ღმერთსა სცოდეს, ღმერთთან მათ პასუხი უყო ცოდვისა, ცა რისხვით შუვა განიბის, ქვეყანა შეიძროდისა...“

(დ. გურამიძეილი)

მერე დახატულია თითქმის აპოკალიპსური სურათი ჩვენი ყოფისა (იმდენად დიდია ჩადენილი ცოდვის შიში, რომ მე-20 საუკუნის პოეტსაც კი წარმოსცდებოდა: „ასეთი ცოდვა რა ჩაიდინე, ჩემო სამშობლო, მინდა ვიცოდე, რომ ამოდენა ცეცხლი დაგჭირდა და მეც ამ ცეცხლით უნდა ვინოდე, რომ განთხევინეს ამდენი სისხლი, არ შეგიბრალებს, არ შეგიცოდეს?!“ კ. ნადირაძე).

ამ ვითარებაში ვისლა გაახსენდება საქართველოს ისტორიული მისია?

¹ გაგახსენებთ, რომ გიორგი მთანმინდელს უთხრა ანტიოქიის პატრიარქმა: რაკი 12 მოციქულთაგან საქართველოში ქრისტიანობა არცერთს უქადაგია, არც ავტოკეფალიის, ანუ დამოუკიდებლობის უფლება გაქვთო. ამაზე უპასუხა გიორგიმ – საქართველოში ქრისტიანობა ანდრია პირველიწოდებულმა იქადაგა, თქვენთან კი მისმა ძმამ პეტრემ... ქრისტეს მონადევე პეტრე ანდრიამ გახადა. ამიტომ პეტრე ანდრიას უნდა ემორჩილებოდეს, ხოლო თქვენ, ე.ი. ანტიოქიის საპატრიარქო, – ჩვენი.

ჯვარცმული ღმერთის ხატის პარალელურად ჩვენ მწერლობაში ჩნდება ჯვარცმული პიროვნების, ჯვარცმული ქვეყნის სურათი. ყველა მწერალს – იქნება თეიმურაზ პირველი თუ არჩილი, სულხან-საბა თუ დავით გურამიშვილი, ვახტანგ მეექვსე თუ თეიმურაზ მეორე, ბესიკი თუ ალექსანდრე ამილახვარი – ტრაგიკული ბედი აქვს. რა ჰქნას ადამიანმა, თუკი ღმერთსაც იცნობს ჩივის: „ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა აღმიმართეს საკვდად ჯვარი?“ (ვახტანგ VI). რომც არ გინდოდეს, მაინც შემოგეპარება სასონარკვეთილება. თითოეული ადამიანის ბედში აისახება ქვეყნის ბედიც. ქვეყანაც, ხალხიც უმძიმეს მდგომარეობაშია. ქართველი ხალხიც ქართული მწერლობაც „ვეფხისტყაოსნისაკენ“ მიბრუნდება.

*„როდესაც ბრძენმა რიტორმან
შოთამ რგო იგავთ ხეო და,
ფესე ღრმა-ჰყო, შტონი უჩინა,
ზედ ხილი მოიწოდა.
ორგ ზითვე ნაყოფს მისცემდა,
ვისგანაც მოირხეოდა...“*

(ღ. გურამიშვილი)

ქართული მწერლობის განახლების ეპოქა რუსთაველს საგანგებო გულისყურით ეპყრობა. სულერთია, „ვეფხისტყაოსნის“ გამგრძელებლები იქნებიან ისინი, თუ უალრესად თავისთავადი შემოქმედნი. ნამდაუნუმ ახსენებენ, იმონებენ, აქებენ (ნოდარ ციციშვილი: „მისის ლექსების მკითხველსა სხვა რადმცა მოეწონება?“), ებასებებიან, ეპაექრებიან, ზოგჯერ გიობასაც აკადრებენ („უყურე ბრიყვსა მესხსა და ამასსა, შეუპოვარსა, რაღას გელაყბო ჯავახსა, ღარიბსა, შეუპოვარსა...“), მაგრამ რუსთაველის განსაკუთრებულობა ყველასათვის უდავოა, რა თქმა უნდა, რუსთაველისა მიმართ ინტერესი გამოწვეულია იმით, რომ გენიალური პოეტი მათ ბუნებრივად აჯადოებს და იზიდავს. მაგრამ ამ თაყვანისცემაში არის რაღაც სხვა. კერძოდ ის, რომ რუსთაველი იმედია ეპოქაში, როცა მწერლობა სავესო სოფლის სამდურავით. ჰო,

მართალია, „ვეფხისტყაოსანშიც“ არის სოფლის სამდურავი. თუნდაც ესენი:

*„იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა
თავისა მტერია“...
„ვა სოფელმან სოფელს მყოფი ყოვლი
დასვა ცრემლთა დენად!“...
„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას
გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!
ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა
ჩემებრ ტირსა?“*

მაგრამ, ამის გვერდით, „ვეფხისტყაოსანში“ არსებობს მტკიცე რწმენა: „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განანირსა“. სოფლის უსამართლობას ღმერთი შეცვლის სამართლიანობით. სოფლის ბოროტი შეიცვლება ღმერთის კეთილით. რუსთაველისათვის ბოროტში ღმერთის ხელი არ ურევია („რად დასწამებ სიმწარესა ყოველთათვის ტკილიად მხელსა? ბოროტმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?“).

XVII-XVIII საუკუნეებში „ვეფხისტყაოსანმა“ განუზომელი და აუნონელი როლი შეასრულა ქართული სულის აღორძინებაში. სრულიად არ იყო შემთხვევითი ამ ეპოქის მწერლების რუსთაველის გარშემო ტრიალი, მის ირგვლივ პაექრობა, მისი პოემის გაგრძელების წერა. როცა დაწვრილებით, დეტალ-დეტალ იქნება შესწავლილი „ვეფხისტყაოსანი“ და XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს სულიერი ცხოვრება, ყველა, ყოველივე ეჭვის თვინიერ, დავინახავთ, რაც გააკეთა რუსთაველის პოემამ.

მართლაც, ნელ-ნელა თავს აღწევენ უიმედობას. ეროვნული ენერჯია ახალ ძალას იკრებს. ბრძოლა უმედეგოდ არ რჩება. როცა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარს თვალს გადავავლებთ, მკაფიოდ ვხედავთ სამ მოვლენას.

პირველი: საქართველომ საკუთარი ძალ-ღონით დააღწია თავი ისლამურ ჩიხს. ეს არის ერეკლე მეორისა და სოლომონ პირველის უპირველესი და უდიდესი ღვაწლი ჩვენს ისტორიაში. მე-18 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში სპარსულ-

თურქული აგრესია საბედისწერო უკვე აღარ იყო. მათ კიდევ შეეძლოთ, ცხადია, საქართველოსათვის ზიანის მიყენება, მაგრამ სპარსეთ-თურქეთი აღარ იყო მოურეველი ყისმათი. საქართველოს უკვე ვეღარ ემუქრებოდა ნალექით ისლამური სამყარო.

მეორე: ჩვენმა ხალხმა დაიცვა და შეინარჩუნა ქართული კულტურის ქრისტიანული ხასიათი. არ დაიშალა ჩვენი პოლიტიკურ-სოციალური და კულტურული ისტორიის მთლიანობა-ერთიანობა. ამის შემდეგ ისევ აღორძინდა ერთობილი ეროვნული შეგნება, რაც გამოიხატა 1790 წლის დოკუმენტით – „ტრახტატი, ივერიელთა მეფეთაგან და მთავართაგან დამტკიცებული“.

მესამე: აღორძინდა და ფართო, საერთო ხასიათი შეიძინა სწავლა-განათლებამ, მარტო ანტონ პირველის საგანმანათლებლო მოღვაწეობაც და მისი სკოლაც კი კმარა საბუთად.

ეს საქართველომ საკუთარი ძალ-ღონით გააკეთა, სხვების დაუხმარებლად. მაშინ რატომღა დამთავრდა მე-18 საუკუნე ქართული სახელმწიფოს მარცხით? მართალია, საქართველომ ისლამურ ჩიხს თავი დააღწია, მაგრამ მან ვერ მოიცილა ძველი, შინაგანი სენი, რომელსაც ბიზანტინიზმის ერთგულება ეწოდება. როგორც მონღოლთა შემოსევის წინ არ იყო საქართველო განკურნებული ბიზანტიზმისაგან, ასევე ცოცხალი იყო იგი ჩვენს ეროვნულ სხეულში მე-18 საუკუნეშიც.

საქართველო რუსეთისაკენ იმიტომაც მიიღწეოდა, რომ ქართველთა შეგნებაში რუსეთი ახალ ბიზანტიას წარმოადგენდა. ამ შეგნების შედეგია ქართული კულტურული ცენტრების შექმნა რუსეთში (ისე, როგორც ადრე ბიზანტიაში იყო. ვახტანგ მეექვსეც რუსეთში იმ რწმენით მიდიოდა, რა რწმენითაც, თორნიკე ერისთავი ან სხვები ათონზე), რუსულიდან წიგნების თარგმნა, ქართული ბიბლიის შესწორება რუსულის მიხედვით, საერთოდ საეკლესიო ცხოვრების მოწყობა რუსული ეკლესიის ნაბაძვით და სხვანი.

კარგად ცნობილია, რომ საუკუნეების მანძილზე რუსეთი ბიზანტიის მემკვიდრეობას იჩემებდა. ყველაფერს აკეთებდა ამ მისწრაფების ფაქტად ქვეყნისათვის. მოახერხა კიდევ ეს: ბიზანტიის დაცემის მერე მართლმადიდებლური ქრისტიანული სამყაროს ცენტრი რუსეთი გახდა. ეს შეძლო რუსეთმა იმით, რომ რუსულმა ეკლესიამ და პოლიტიკურმა აზრმა ბიზანტიის მემკვიდრეობა საერთო სახალხო რუსულ შეგნებად აქცია.

რუსეთს „მემკვიდრეობით“ მარტო კონსტანტინოპოლი კი არ „ეკუთვნოდა“, არამედ – საქართველოც. ამ „მემკვიდრეობის“ თვალთ უყურებდა ამიერკავკასიას რუსეთი, ამიტომაც მოიღწეოდა დაჟინებით სამხრეთში. ამიტომაც ჩნდება რუსეთის მეფეთა ტიტულატურაში *царь иверский* ბევრად ადრე, რუსეთის საქართველოში დამკვიდრებამდე: ივანე მეოთხეც, რომელიც ჯერ ძალიან შორს არის საქართველოდან, თავს იბერიელთა მეფესაც უწოდებს.

საქართველო ისწრაფოდა ძველი პატრონის მემკვიდრესთან დასაბრუნებლად, ხოლო მემკვიდრე – წინაპრის ნაქონების მისაღებად. ამ შეგნების შედეგი იყო ის, რაც მე-18 საუკუნის ბოლოს მოხდა საქართველოში.

ის, რასაც ნიკო ნიკოლაძე ამბობდა, სულ ტყუილად და უმართებულოდ დავიცინეთ. 1894 წელს იგი ჟურნალ „მოამბეში“ (№6) წერდა:

„...სულ ბიზანტიის გავლენის ბრალია იმ ხალხების და სამეფოების ჩამოქვეითება, თუ ათასი წლით უკან ჩამორჩენა, რომელთაც ბიზანტიის მიბაძვამ ან შესწავლამ ნება აღარ მისცა ევროპული მეცნიერება და წყობილება შემოეღოთ. ბიზანტიის სახელმწიფო წეს-წყობილებას საძირკველად აღმოსავლური თვითმნებლობა ედო და არა ერის ან ნოდევის უფლება, სიმართლე, კანონი. სამეფოს ასეთი კანონიერი წყობილება და შეურყეველი წესი არასოდეს არ ჰქონია, რომ მთელს ხალხს ან წარჩინებულ მის ნოდებას ნიადაგ შესძლებოდა გზის და საშველის პოვნა. თვით იმ გარემოებაშიც,

როცა ბიზანტიის ტახტზე უღირსი მეფე ადიოდა. საქმე ისე მიდიოდა ხოლმე, როგორც ბრმა ბედს სურდა. როცა უცაბედად ტახტზე მხნე და გონიერი მეფე ადიოდა, მეფობაც დამშვენებული იყო და ხალხიც გამარჯვებული. საუბედუროდ, ეს მეტად იშვიათად მოხდებოდა ხოლმე, უფრო ხშირად ბიზანტიის ტახტზე სრულიად დაბუნსა და უმნიშვნელო ადამიანებს ჰხედავს ისტორია. უეჭვოა, ევროპული სახელმწიფოების ტახტებზედაც გენოსებზე უფრო ხშირად უნიჭოები ადიოდნენ. ამ მხრით ევროპასა და აზიას შუა განსხვავება როდია. განსხვავება ამ ორ ნესს შუა იმაში მდგომარეობს, რომ აზიაში მთელი სახელმწიფოს ცხოვრება და ტრიალი მარტო მეფის ან დესპოტის სურვილზე, ნებაზე და შეხედულებაზე იყო დამყარებული მაშინ, როცა ევროპაში დაარსდა სხვადასხვა გვარი სიმართლე, კანონი, ტრადიცია, სისტემა და ბოლოს მეცნიერებაც. მათი შემწეობით სუსტი მეფეც რომ მჯდარიყო ევროპაში ტახტზე, ეს გარემოება თითქმის არც კი დაეტყობოდა ქვეყნის საქმეებს. ისტორია, ისტორიული პროგრესი, მანაც თავისებურად, აუქჩარებლად, მაგრამ დაუხელოდაც წინ მიდიოდა“. (გვ. 181-2).

6. ნიკოლაძის სიტყვების გახსენება დღეს იმიტომ გვჭირდება, რომ დაუეჭვებლად მივხვდეთ და შევიგნოთ: ევროპისაკენ მიმავალი გზა საქართველოს ისლამმა კი არ გადაუკეტა, არამედ ბიზანტიამ. ისლამმა უბრალოდ ის გააგრძელა, რაც უკვე კარგა ხნის წინ ჩაიდინა ბიზანტიამ. მესიანისტური იდეა საქართველოს ბიზანტიისაგან თავდასალწვევად სჭირდებოდა. თავისდალწვევა რომ თავის დროზე მომხდარიყო, არც მონღოლთა და არც მომდევნო შემოსევები იქნებოდა ესოდენ მძიმე შედეგიანი საქართველოსათვის. მაგრამ კარგად დანყებული საქმე ასევე კარგად ვერ დაგვირგვინდა, ვერ მოესწრო. მერე კი მესიანისტური იდეის და-

კარგვა ნიშნავდა იმას, რომ საქართველო ისევ ბიზანტიზმის იდეის გავლენის ქვეშ ექცეოდა. თავს ისევ ჩამორჩენილობისათვის სწირავდა. ამას გუმანით ხვედნიან ალორძინების ხანის მწერლები. ეს რუსთაველისადმი მათ დიდ მიდრეკილებაშიც ჩანს. რუსთაველი ბიზანტინიზმისაგან თავისუფალი აზროვნებაა. როცა ავთანდილის სიმღერას უსმენ „ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშრიყით და მალრიბელნი, რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი“ (გვიანდელი ჩანართია თუ არა ეს სტრიქონები, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს), ეს ჩვენი ოცნებაა საქართველოს ხმა გაეგონა კაცობრიობას, ბიზანტიის გავლენის თვინიერ. მიზნის მისაღწევად საჭიროა საკუთარი მესიანისტური იდეა და ბრძოლა მის განსახორციელებლად. მართალია, მონღოლთა ბატონობის შემდეგდროინდელმა მწერლობამ იგი დაივიწყა, მაგრამ იმის რწმენა კი ურყევად დაგვიტოვა, რომ ქართულ ეროვნულ ენერგიას ყოველგვარ პირობებში ძალუძს აღორძინება და საკუთარი ძალღონით თავდახსნა. ამას დაკუმატოთ „ვეფხისტყაოსნის“ მონაწილე: ცალკეული პიროვნებისა თუ მთელი ერის ცვალებად ბედ-იღბალში, ბედნიერება-უბედურების მონაცვლეობაში ნათლად ჩანს ბოროტების დამარცხებისა და კეთილის გამარჯვების ერთიანი, მთლიანი, მტკიცე კანონზომიერება. ორივე აზრობრივი ხაზის გამთლიანება და ერთად წარმოდგენა საშუალებას მოგვცემს გავიგოთ – რა მემკვიდრეობას, წინაპართა რა ანდერძს უნდა მოვუაროთ, განვაერთაოთ ახალი დროისა და პირობების შესაბამისად, რომ ერთხელ და სამუდამოდ ჩამორჩენილობას თავი დავაღწიოთ და საკაცობრიო ასპარეზზე ყავარჯნის მოუშველებლად ვიაროთ.

1987 წ.



ქეთევან ნათელაძე

გაგცდი...

დრო დარახტული ცხენებივით ქუჩებს მიაარღვევს,
 დრო კადრებივით ერთმანეთზე დღეებს მიანყობს,
 ამ სიყვარულის განვიცადეთ ყველა სიმაღლე –
 სრული ზენიტი და ბოლოს კი სრული ფიასკო!

დღეს ჩემს ფიქრებში მოგონებამ თვალი მიღულა,
 მაგრამ ვერ ჩაქრა აღტაცება შენი ხსენების,
 ვერ გადაიღო მონატრებამ კოკისპირულმა,
 სული დატბორა და ინვიმა შეუსვენებლად...

ველარ ვაერთებთ გზებს, ათასგზის გადახვეულებს,
 კვლავ განვიცადო ხელმეორედ, ბედი არ იზამს,
 ზურგი ვაქციეთ ერთმანეთს და ჩვენს სუსტ სხეულებს
 აპყვათ სევდა და განშორების მწველი ქარიზმა.

ერთი იმედით ვულიმოდით ცას და მზიანეთს,
 ამ გრძნობის მეტი არაფერი გვქონდა საერთო,
 ერთმანეთისთვის ბევრი მარცხი გადავიტანეთ,
 გადავიტანეთ უსიტყვოდ და უერთმანეთოდ.

გეტყვი, გაირდები, ძველებურად კვლავ თუ ინვიმებს,
 შენი თვალეები თუ ჩემ თვალებს ისევ შეხვდება,
 ახსოვთ ჩემ თითებს, დამიჯერე, ყველა სიცივე,
 შენი თითების ახსოვთ ყველა თბილი შეხება.

გაგცდი და ახლა უშენობით მითრთის სხეული,
 აღარ არსებობს არაფერი ის, რაც ჩვენია,
 და გაზაფხული, უცნაურად მზემილეული,
 ხელში უთქმელი ბოდიშივით შემომრჩენია!

ქალები, რომლებიც თავდახრით მიდიან

ვუყურებთ, როცა წვიმს და გარეთ ბინდია,
მკვდარი პეპლებივით უსულო ნათურებს,
ქალები, რომლებიც თავდახრით მიდიან,
ჰგვანან მიტოვებულ, შუქჩამქრალ სადგურებს...

დასასრულს შემინდო, ცდუნება დიდია,
შენს დღეებს მზითა და ხალისით ვერ ვრთავდე,
ქალები, რომლებიც თავდახრით მიდიან,
მიდიან არსად და მიდიან ღმერთამდე.

ირეკლავს ლაჟვარდი მთებს, თეთრად შევერცხლილს,
და ქარის უღონო გაისმის ხველება,
მიყურე თვალებში, მიხვდები, ვერ შემცვლის
ცხოვრება თავისი ბინძური ხელებით!

მიყურე, მიხვდები, ვერაფრით დალაგდა
დარდი და ტკივილი, გულმა რომ გაგანდო,
მიყურე, მიხვდები, რომ შენ კი არა და
მაისის წვიმებსაც ვერასდროს ვღალატობ.

რომ ხშირად სიტყვები ჩამტყდარი ხდება
და ხდება, არაფერს იწყებენ თავიდან
ქალები, რომლებიც თავდახრით მიდიან
და ქალებს მოჰგვანან ფრანგული დრამიდან.

არასდროს არ ჰგვანან მირაჟს და იდეალს,
თავისი ხვედრი და თავისი გზები აქვთ,
ქალები, რომლებიც თავდახრით მიდიან
და მხოლოდ საოცარ სიზმრებად რჩებიან.

არიან, ცხოვრობენ, ზღაპარი როდია,
აქვთ უხმო ტკივილით ჩამქრალი თვალები
და თითქმის არასდროს უკან არ მოდიან,
როდესაც თავდახრით მიდიან ქალები.



რა იცის თოვლა...

გათოშილ თითებს, დეკემბრის ლოდინს
 შემოსჩენია ნაცნობი სევდა,
 რა ენაღვლება თოვლს, თოვლი მოდის,
 თოვლი ბრმაა და ვერაფერს ხედავს.
 ვერ ხედავს, გული ფუჭად რომ დაშვრა,
 ვერ ხედავს, როგორ აცივდა გულში,
 თოვლმა რა იცის, ჯერ კიდევ ბავშვმა,
 შენ სხვა გრძნობით რომ თბებოდი გუშინ...
 რომ დავრჩი ჩემი ტკივილის მიღმა,
 თოვლმა რა იცის, მაშინაც თოვდა,
 გულმა რომ დაგთმო და მთელი ის დღე
 შეციებული ჩიტვით თრთოდა.
 დგას კართან თოვა და თითქოს მელის,
 რომ ამედევნოს მარტოსულს გზებზე,
 და, როგორც შენი დაღლილი ხელი,
 გაუბედავად მეხება მხრებზე.
 მეხება და სულს ტკივილით მივსებს,
 გაყინულ ცრემლებს ვერ იტევს თვალი,
 ითოვოს, ნეტავ, ითოვოს ისე,
 რომ სუყველაფრის წაშალოს კვალი!
 ახლაც ხომ თითქოს იგივე დარდად
 მოვიდა თოვლი და ხვალაც მოვა,
 აღარ ეკუთვნის საკუთარ თავს და
 რამე სიგიჟეს ჩაიდენს თოვა.
 და ყველა ფიფქი ფეთქავს გულივით,
 და ფარავს ქუჩებს მომცველი ყოვლის,
 ჩემი შენდამი სიყვარულივით
 საბედისწეროდ შემულილი თოვლი!..

წერილი მეგობარს (ალას)

ლექსით ვაგიჟებთ ამინდს წვიმიანს,
 ჩვენ – დიდები და მანც ბავშვები,
 ქარიშხლებივით არ გვეშინია,
 ცვეცხლთან თამამად გათამაშების.
 ამოვეცანით, სურდათ, კარტივით,
 სულელმა წლებმა ბევრი ინვალეს,
 სხვა ქალებივით ვერ გავმარტივდით,
 სული ვერაფრით გამოვიცვალეთ!
 ვერ დავემსგავსეთ ფიფქის ცივ წყებას,
 არც ილუზიებს არ გავეტირეთ,
 ბედად ვარგუნეთ გადავინყება
 გულში დარჩენილ მრავალწერტილებს.
 და იზრდებიან თუმცა ხეებად
 ფიქრები – სული მათ ვერ მოწრდილეს,
 გზა-გზა ნაპოვნმა სიყალბეებმა
 ჩვენ ვერაფრით ვერ დაგვიმორჩილეს.
 ამ ვარსკვლავებით ზეცა გვიცინის,
 ჩვენ – პოეზიის ცისფერ დობილებს,
 აფორიაქებთ ჩვენი სიცილი
 აბსურდებს, ჩვენგან უარყოფილებს!
 ალა, მაისებს კაბად ვიზომავთ
 ისევ ბავშვები, თუმცა დიდები,
 ყელს ჩამოსწყდება ჩავლილ სიზმრებად
 წვიმები – თეთრი მარგალიტები.
 სულს, ყვაილით და წვიმით შეფერილს,
 ცამდე და უფრო მალლა ავიტანთ
 და პირველივე მატარებელით
 მივდივართ, სადაც ვინწყებთ თავიდან.
 სადაც ლექსებში ვერ ჩავეტევით
 და ლექსებივით გადავირევით,
 ჩვენგან მოგონილ სიუჟეტებით
 ჩვენ – საკუთარი ფილმის გმირები.
 სადაც ვარსებობთ სულით ყვაილის,
 გვართობს აპრილის ნამით ხსენება,
 ხვალ რუსთაველზე ისევ ჩავივლით
 და გაზაფხული აგვედევნება.
 ამოვეცანით, სურდათ, კარტივით
 და ჩვენგან მხოლოდ დარჩათ სიტყვები,
 სხვა ქალებივით ვერ გავმარტივდით
 ამ საუკუნის სერაფიტები.

30920



მეხიან წიხდაუხი

ჩვენ და კითხვები

დინოზავრების ჯოგები რომ
 გადაშენდა დედამინიდან,
 განა ყველა გიგანტური არსება იყო?
 იყვნენ დიდებიც, პატარებიც,
 მაგრამ ყველა გაქრა უეცრად.
 ბალახსლა ახსოვს მათი ლანდი და
 დრუნჩის დორბლი,
 წვიმასლა ახსოვს მათი ტყავის ხორკლიანობა,
 ქვას – ნაკვალევი.
 დღეს ხომ ათასი წიგნისა და ფილმის გმირია
 გადაშენებულ დინოზავრთა ის ამბები,
 რომ არავის უნახავს თვალით,
 რომ არავის გადახედენია.
 აი, ასეთი მატყუარაა კაცობრიობა.
 გინდა ენდეთ, გინდა ყურსაც ნუ ათხოვებთ
 იმათ ნაუბარს...
 დინოზავრი აღარ შეგხვდება.
 მოიარე თუნდაც მთელი დედამინა,
 მღვიმეები, ქვაბულები, სავანები, ტყე და უდაბნო,
 ქალაქები მოიარე,
 ოფლი შეიდეგი ლაჯებში და ქარი ატარე,
 ოფლი იდინე ტვინიდანაც,
 გადააჯექი ცოცხს და ხალიჩას,
 გინდ ველოსიპედს, გინდ მატარებელს,
 გინდ ავტომობილს,
 მოიარე ოთხივე მხარე,
 ქალამანი ჩაიცვი რკინის,
 ქარს უზანგებზე მოეჭიდე,
 წყალს უბეში მოექეცი,
 ტაძრებს ჭერქვეშ,
 მთებს მწვერვალებზე,
 ვერსად ნახავ, ვერსად მიაკვლევე
 დინოზავრებს და... პასუხებს. ვერსად...
 მხოლოდ ჩვენ დავრჩით დედამინაზე –
 ჩვენ და კითხვები...

დარ-ავდრის მიჯნა

ფრთებით ახვეტეს მერცხლებმა ნისლი.
მზეს რალა დარჩეს ნათების მეტი?!
ერთი შავმურა ღრუბელი იბრძვის –
გამძლე გამოდგა მაგისი ეტლი.
გაშუადღდეს ლამის. არ თმობს მარტოკა
ბრძოლის ველს. დაჰქუხს ხეობას ყინჩად
და ყოველ წუთში იცვლება მთისპირს
დარ-ავდრის გადანისლული მიჯნა.

დღევ, ხვალინდელო

სადა ხარ, ნეტავ, ხვალინდელო დღეო, ვიცოდე,
სადაა შენი სახლი, მდგარი შვიდ ბურჯზე ერთად?
წუთუ შენც ისე ემზადები მოსაბრძანებლად,
როგორც სამყარო უხილავი – ჩემში რომ ფეთქავს –
დასაბადებლად! და არ დგება დღე მისი შობის,
ისევ არ დგება, კვლავ აკლია სრულყოფა ნაყოფს.
სადა ხარ, ნეტავ, ხვალინდელო დღეო, ვიცოდე,
მოგაქვს სიახლე თუ დარჩები მარადად ნამყო?
იქნებ, შეიძლო, ის რაც სხვა დღემ ვერაფრით შეძლო,
ვერ შეძლო სხვა დრომ, ვერც სხვა სიტყვამ, ვერც სხვა ღმერთებმა.
ისე გათენდე, რომ ამ ერთხელ მაინც ვინამოთ,
ქვეყნად სიკეთე ყველა დროის შენში ერთდება!
იქნებ, შენ მაინც გვაგრძნობინო თავისუფლება,
შეგბაც, ღირსებაც, სიყვარულად გვაქციო, ეგებ.
იქნებ, შენ მაინც თუნდაც ერთხელ ისე ინათო,
ღაზარესავით გარდაცვლილიც ვიძრა და შევკრთე?
მე გელი, გელი, მაინც გელი, როგორც განაჩენს,
დე, იყო მკაცრი, დე, მართალი, ოღონდ ინათო!
და შენი სახლის, სიბრძნის სახლის შევადო კარი,
მოგეყრდნო გულზე, ვიზლუქუნო, თავი ვიმართლო...
ან კი მოვალწე?! ამ საშინელ დღეს გადვურჩები?
ამ დროს – გვალვიანს, ნამინისძვრალს, ჩამსკდარს ზღვათაშინ,
ისე ვლამდებით, გათენებებს ველარ ვპოულობთ
როგორც რუსთველის ნაფეხურებს ტბეთში, სხალთაში...
და ვძრნი შიშისგან, შენი წილი მზის ნაწილი თუ
ალარასოდეს არ დაემჩნეს ჩემს მინას მხრებზე.
ვაითუ, იჯდეს დევთ ქორწილში ისევ კაი ყმა
და დევის დედის მოწოდებულ კაცის წვენს ხვრეპდეს?!
ვაითუ, ასე თავნაკვეთილ სიმართლის თვალებს
აჯდეს ყორანი და ძიძგნიდეს ლაფვარდის მურკლებს
და უთენებელ კუნაპეტი ლამის ხაროში

სიბნელის ცეცხლი გვიხრუკავდეს დაყველავილ მუხლებს?!
 სადა ხარ, ნეტავ, ხვალინდელი დღეო, ვიცოდე,
 თუ დღევანდელი არის მხოლოდ ახალი ხვალე?
 იცის კი ვინმემ მზის ამოსვლის ძველი შელოცვა,
 იცის კი, საით, საითაა სინათლის მხარე?..
 სადა ხარ, ნეტავ? სად გეძებთ ხვალის ხვალეო,
 რომელ სიცოცხლის ხეს ასხია შენი ჩირთები,
 რომ შვებისფერი იყოს ერთი დღე მაინც ქვეყნად,
 სანამდე წავალთ და არც ერთი დღის არ ვიქნებით...

გვალვა

გვალვაა. ხმება ყველაფერი. რა არ ვიღონეთ.
 საფლავებიდან ამოვხაპეთ წინაპრის ძვლები,
 დავესრეთ წყალი, სიმშრალით რომ ლოყას იხოკდა,
 ვჩეხეთ ტყეები და მერქნიდან ვადინეთ წვენი.
 ქვა ქვაზე დავდეთ, ვქოლეთ ყველა, ქვების ანძებით
 ჰაერი ვფატრეთ, აღარ ესხა მისხალი ცვარიც.
 ბეტონის დევებს დავაჭერით ძველი კლანჭები,
 ბორბლიან კერპებს მოვახვიეთ ქალაქის რვალი.
 ქალთა ამქრები გავაშიშვლეთ, ოთხივე მხარეს
 ნაცრის ფრთებით და გადანულნი ქარის ქამრებით
 ენის მარგილებს ასობენ მტვერში, თესენ და ხნავენ.
 ბავშვებს ვამლერეთ თუკი რამე იყო სამღერი.
 გვალვაა მაინც. არ გვიმველის ჩვენ არაფერი,
 უნდა ჩაინვას თესლი ჩვენში, ჩახმეს ნალვივი.
 მყვარიც მოისპოს, ლაფიც გახმეს, გახმეს ნაბელიც,
 იმედმაც უნდა ამოიდოს ლაშზე ალვირი.
 რადგან გარშემო ყველაფერი არის სულერთი -
 ცრუც მართალია! მართალია რადგან სიმართლევც!
 და სისულელე და სიბრიყვეც ასე ულევვი,
 როგორც ეს გვალვა დილის ცვარზე, ისე იმარჯვებს
 გვალვაა... სულის ბოლო წვეთებს კვლავ წრეტს წვა
 ლაზარეც მოკვდა და არავინ ეტყვის, გამოდი!
 გადაიქანცა ცაც საჩვენო, დიდი წყალობით
 და წვიმაც, მსგავსად მშვიდობისა არ ჩანს, არ მოდი
 მშრალ კალაპოტსაც აღარ უჩანს ორი ნაპირი,
 არც სულს — ორი ფრთა, ყველაფერი არის სულერი
 ძვლებს ვაჩხრიალებთ, ქვებს ვარისხებთ, ვმღერით საპირეს,
 გვნთქავს ნელა გვალვა —
 გვნთქავს სინედლის დიდი სულეთი.



თანაბრძობის ხმა

აი, სამყარო, მდუმარეც რომ ღმერთზე საუბრობს,
 ხან გრგვინით, ზათქით და ზვირთებით ადიდებს უფალს,
 ნეტა, რა ბგერით გამოხატავს გულის ხვაშიადს,
 ადამიანთა თანამგრძნობ ხმას რომელ ხმას უბამს?
 იქნებ, ჩიტისას, ჟრუნი დილის ვიოლინოებს
 რომ ათასებს, თუ მწუხრის მზით რომ კანრავს სამანს,
 იქნებ, ხმელ ფოთლის ჩამოფენის ნანას სევდიანს,
 იქნებ, ბალახის ნამიანი თვალეების სალამს?
 და ვაყურადებ, მინდა ზუსტად გავიგო, რა თქვა,
 როგორ მამხნევა, როგორ მომცა გაძღების ძალა,
 ღრუბელთა ზარებს საბელეებზე ჰკიოდა ქარი
 და ქალაქებშიც მილიარდი სადენი, ძრავა,
 ყველა ხშიანობს, ყველა წუის, ზუის და ზრინავს,
 მე ნისლებს ვუსმენ, ვაყურადებ ჩემ სახელს ისევ...
 ამოზრდილია ხნარცვებიდან ლურჯი ნარები
 და ცაზე მწკრივი ფრინველების თბილ ქარებს მისდევს.

ჰელიოსს

ისე მალევივებს მზე და მახელებს,
 მნამს, შენ ხარ მეფე ჩემი, ჰელიოს!
 როგორ იქნება, შენი ჯიში რომ
 ამ შეშლილ სისხლში მე არ მერიოს.
 როგორ იქნება, არ მღირსებოდა
 შენი შვილობის ცხოველი ძალა.
 გადაივლიან ეტლით დროები,
 შენი ერთგული დავრჩები კვლავაც.
 თუმც მომივლია გზები წვეულის,
 გზები მეომრის, ვნდობივარ კირბებს.
 ყველა ღმერთიდან შენთან მოვსულვარ,
 ამოვყოლივარ მაგ ცეცხლის კიბეს.
 ამოგიზრდივარ ხან ბალახივით,
 ხან ავყოლივარ მზის ვარჯებს ბნკალად.
 ყოველი დილა ხელახლა მბადებს,
 ყველა დაისი სიკვდილით მფარავს.
 ხან ნათლის ფრინველს მივგავარ ცაზე,
 ხან მთისწვერს, თოვლის მზიურ სიმწიფეს,
 თვალს ვერ გისწორებ, ვით შვილი მამას,
 შესს ვენახებში მტევანს ვიმძიმებ.
 ჰეი, ჰელიოს, არ დამივიწყო,
 მეც ჩამანანი მაგ სივრცის მალლარს,

შენს ყანებშიაც წილი დავიდე,
 კვალი ვამჩნიე სხივების ნახნავს.
 თუ მომიკითხო ოდესმე მაინც
 და ბნელის ზღვაში მნახო, ჰელიოს,
 ჩამომანოდე სინათლის მკლავი,
 რომ ვერა ზვირთი ვერ მომერიოს.
 რომ დავრჩე შენი ჯიშის ერთგული,
 იდინოს ჩემშიც სულ ნათლის სისხლმა,
 არ დამივიწყო, არა, ჰელიოს,
 სანამ მეც სულზე განთიადს ვისხამ.

ჰუჯაბი

ზოგჯერ დროსაც ეზრდება კორძი.
 მედინ ზროზე ჩაიკირება თეა-ნუჟრებად.
 გაქვავებული დინება უკან,
 თავის თავშივე იწყებს წრეტას და
 მზის დაშრეტილი თვალებით რომ მოგაშტერდება,
 განა გხედავს? დასასრულით გგრძნობს.
 ვერც ერთ ენაზე ვერ იპოვი საჭირო სიტყვას,
 ამ უკუსვლის არსის გამომთქმელს,
 ქედნებზეთ შემოსევამს მხრებზე ძეძვს და
 ბალახის თიკვის კონკა-ძველებში
 გახვეული თავისი შობის დღისაკენ მიდის,
 უკან მიდის, საიდანაც დაიწყო ერთხელ,
 მიწისპირი რომ გადაუხსნეს საძირკვლის ხნარცვად,
 ის უბე ახსოვს აკვანივით,
 იქითკენ წვეთავს მისი სხეული –
 ჰაერის დიდი ტაძრის ბჭესთან ღამენათევ ბავშვივით
 ტკბილად ჩაძინებული...
 სიზმრით მიდის, ცხადითაც მიდის დასაწყისისკენ,
 ქვობისაკენ, მიწისაკენ, არაფრობისკენ,
 ქარის ღონიერ ნებს ეფარება, ქარილაა მისი პატრონი,
 ყველა ლოცვის, თხოვნის, ვედრების მიმომფანტველი,
 ყველა სანთლის ჩამქრობი და
 ყველაფერზე მტვრის სუდარის დამფარებელი...
 მიდის ჰუჯაბი, თაფლისფერი, ღვინისფერი,
 თლილი, დაღლილი, დავსილი და დადუმებული...
 ხეს შერჩენილი უკანასკნელი ფოთლის ფერი...
 მიწისაკენ მიეშურება...
 აღარც დედაა რამის დამშლელი,
 აღარც შვილია ცეცხლის ყვავილთა შემგროვებელი...
 დარჩა ჰუჯაბი, მინა მინად საქცევი და ღვთის ანაბარა,
 ხეობის ხმები თუ აკითხავენ,

ჩამოსხდებიან მისი სიბრმავის და სიყრუვის ზღურბლზე ვიშვიპით და ბუეების დაკივლებაზე კიდეც ტოვებენ.
ზოგჯერ დროსაც ეზრდება კორძი.
და სულ ერთი ხდება თანდათან, მიწის რომელ მხარეზე დგახარ.
თაფლისფერი და ღვინისფერი ბაირალი –
ორთავე სოფლის ძველი გზის კირბი, იმ დროისა,
რომელიც უკვე აღარც არსებობს.
დრო გიკვდება თუ დროს უკვდები, ჩემო ჰუჯაბო,
ვინ იცის, იქნებ, შენ სამარეზე ამოსულმა ბალახმა მაინც
უფრო დიდხანს გაძლოს უჩვენოდ...

ბააღმე პარი

ნუთუ არ სწუხან, ვერა ხვდებიან,
აქ რა დღეში ვართ,
რატომ დგას და აკაკუნებს
ამდენი ბავშვი ცის კარიბჭეზე,
ნუთუ არ უწევს ცეცხლის ალბი
ან მტვრის ბული ნანგრევებიდან?
ნუთუ არ აღწევს არც დედების ხმები თქვენამდე?
გამოხედეთ, გამოალეთ თქვენი სარკმლები,
თუ თქვენც ისე დაემსგავსეთ ადამიანებს,
აღარ გინდათ შეგანუხოთ სხვისმა ტანჯვამ,
სხვისმა ტკივილმა?
ნუთუ თქვენც უკვე ხმაგაუმტარი
ჩადგით ფანჯრები
და უფრთხილდებით თქვენ წმინდანობას?
გამოალეთ, გამოხსენით ყველა კარი,
უარს ნუ ეტყვით ათასობით ბავშვს
ნურც ლუკმაზე, ნურც ნუგეშზე, ნურც სიმშვიდეზე,
დააპურეთ, გაუშალეთ თეთრი ლოგინი,
ჩამოუბანეთ სისხლიანი ქრილობები,
გადმოუფერთხეთ ჯიბეებიდან ომის ხმები,
გადმოუბერტყეთ სიზმრებიდანაც ტყვიების ფინჩხა,
განა ასეთ სასტიკ თამაშს გაუძლებდნენ პატარები?
ახლა ისინი თავად იქცნენ ომად ღვთისათვის.
ახლა მათ უნდა გამოიტანონ განაჩენი ჩვენი სიცოცხლის.
შანსი სულ უფრო მცირდება და იზრდება რისკი,
რომ უკვე დადგა ის საშინელი, უკანასკნელი მოსახვევი,
რომ, თუ გადავრჩით,
მხოლოდ ყნოსვით, გეშით, გუმანით
ვიცნობთ ერთმანეთს,
თორემ თვალებში ველარასდროს ჩაეხედავთ იმათ,
ვისი იმედიც ოდესღაც გვექონდა...

ველარ ვენდობით ვერც ღმერთს და ვერც ადამიანებს,
 ველარც სიტყვებს ველარ ვენდობით,
 ველარც მშვიდობას!

შიში იქნება ჩვენი კერპი

და მალე, ალბათ, ოქროს ფურსაც ჩამოვასხამთ,

და ღრიანცელში, ყველაზე ბევრი, ჰა,

ერთი კაცი თუ გაიგონებს გასაგონებელს...

ნუთუ არ აღწევს ბავშვების ხმები,

მათი პატარა მოკუმული ბაგეების ზანზალაკები

ნუთუ თქვენთვის არ ხმიანობენ?

ნუთუ მათი შეშინებული თვალების ჩინი

ველარც გხედავენ, რომ აგეტატონ,

რომ შეგეფარონ, ანგელოზებო...

გამოაღეთ, გახსენით კარი,

ცა ყველასია, ყველასია,

ნუ გადარაზავთ,

ნუ აიღებთ კიბეს – სამართალს.

ჯეზა ხაინდიაძე



ბოლო ლექსი

არავინ არა ჩანს. წისქვილებს ატირებს სიბერე.
წვიმას გამაყოლე, რომ წმინდა მიწები მენახა
(სადმე აქ მოვკვდები). მახსოვხარ ენკენისთვისფერი.
და ის, ვინც ვერ ვპოვე, მუხლამდეც ვერ შევწვდი, შენა ხარ!

აქ, სადაც მთებია თოვლიან ხიდების ამარა,
ხსოვნაა თმების და სითბოა თვალების, გიშერის.
გთხოვ, ჩემზე ნუ ეტყვი, ნურავის ნუ ეტყვი, დამალე.
შენ ჩემი მინა ხარ, შენ სიყვარული ხარ, მიშველი.

და მაინც სიზმრამდე, იქამდე მაცხოვრე. ქარიან
სიმღერას გავეყვები შორ ზღვებში ჩაცვნილ ნავებთან
(სადმე აქ მოვკვდები). შენს იქით აღარსად არიან,
შენს იქით ტყე არის და ზამთრის პირველი წამება.

გზებია უფოთლო. მინდორთა, ნიაეთა ღალადი.
ხილვათა ბოლოა, წლების წინ ნანერი სიტყვები
(იესო, შენ მაინც... შენ მაინც... აქა ვარ მარადის).
ვინც მუდამ მელოდა, ვინც ხელს მიწოდებდა, მიყვებო

ბოლომდე, და შენი დაღლილი ხელების ღანდია
ბალებთან და შენი მზისკარა თვალების ნოველა
(სადმე აქ მოვკვდები). ჩემთანაც მოდიან, დადიან,
ვნვები და მათ გვერდით ღვთაებრივ აღსასრულს მოველი.

მერე კი დარდები ჩემს მხრებზე ეწყობა. თქორია,
თბილია ბალახი, ნაცაღი ბეღია, მივდივარ.
შორსა ხარ, შორსა ხარ! ტოტივით მაქანებს ბორიო
და შენი ცხოვრების პატარა მოთხრობის გმირი ვარ...

წერილი დის*

შეუნდე იმ კაცს, ვინც დატოვა თავისი სახლი.

შემინდე მე, რომ არაფერი დამამახსოვრდა

შენი ხელების სურნელიდან.

მე ვკვდები.

ნახირს

შერეული ხარის თვალები მაქვს. იცი, ამ დროსაც როგორ განვიცდი დასრულებას მოხუცი ზამთრის,

როგორ შორია სიბერისთვის, როგორ ვიღლები.

მე ვერ ნავედი, მე ნათოვლარ სიზმარში დავრჩი

და შენს კარამდე მოვიყვანე თეთრი ჩიტები,

რომ დაგენახა ჩემი სითბო, ჩემი ცხოვრება.

ასეთი მძიმე, ასეთი ცრუ, ასე უღევი

და, სანამ ფესვებს ხის ტოტები ემახსოვრებათ,

სანამ ბავშვივით ამტკიცდება ხელისგულები,

ჯერ გაიხედე,

გაიხედე ჩვენი მინდვრისკენ.

მე იქ რამდენჯერ დავცემულვარ. დი, შენ ხომ უკვე

კარგად გაიგე, რა ჩილია ჩემი სინდისი,

რომელიც დღე და თვენიდაც ცოდვა-ბრალს უკმევს.

რომელიც სადღაც მარტო არის და ბოლო დღემდე

შენი თვალები აძლებინებს, წყალივით მდორე.

დი, მე ხავსიან საფლავებზე ლოცვების შემდეგ

ვდგები და ჩემს სულს შავი მთების ამარა ვტოვებ.

და მეც ვიცვლები წლიდან წლამდე. ძველი თოვლივით

უღიმღამოა ეს ზამთარი. წვიმების მერე

მხოლოდღა შენი თითებია ერთი მოვლენა,

როდესაც რაღაც მიხარია, მეძახის „წერე,

გავიგო ბოლო სინანული, გავიგო შენი

მწვანეთვალეობა სიყვარული“. და ამის მსგავსად

მინდა დავწერო, ამ ყველაფერს თუ როგორ ვშვენი

ამ ნაადრევი ფოთლებით და ცოდვებით სავსე.

თუ როგორ ვხვდები, ეს ტკივილი აქამდეც იყო,

მუხლებზეც ბევრჯერ გამივლია და ახლა ვხედავ,

მოდინარ ჩემთან. მავინყდება ყოველი სიტყვა

და სველი ბაგით გავიძახი „დიდება შენდა.

უფალო ჩემო“. რომ მე ისევ დამტოვა იქით,

სადაც მე უკვე დავიბადე, სადაც მე ძველი

სიყვარულივით დავიცალე. ახლა კი ვიქნე

ხელებს და მჯერა, ასეთ ტკივილს ყოველთვის შეველის

* დი - დედა (სვან.)

უბრალოდ ჩუმი გაღიმება. თითების ნაცვლად
მიჭირავს თეთრი მარგალიტი, შენი საყურე.
დი, მოდი ჩემთან, დამაჯერე სიზმრიდან წასვლა
და შენი სითბო ცივ სხეულზე შემომახურე.

შენი ლექსი

ძალიან მარტივია, ადგე და ამ ხეივნებს,
ამ ფოთლებს, ამ ფანჯარას გაჰყვე და უსამძიმრო.
უთხარი, ასი წლის წინ თუ როგორ არხინად
ვიდექით. გვიხაროდა. გვიყვარდა. დანაწებით
ვისხენებ, სანამ ღამეს სიზმრები დაარხვენ,
შენ მოდი დალალებით,

შენ მოდი ქარიტების, წვიმების ანაბარა.
სეზონზე იშვიათი, ჩიტების ნაკიანი
წლებია. ხომ გაიგე, მეც ერთი ავარა ვარ.
აგვისტოს ხილვებია და ხეთა სიმარტოვე
(უთუო სიძნელეა), შენ სხვებსაც დაუბარე,
– ნავედი, მიგატოვეთ.

ეს იყო ყველაფერი. ანანკე, გათოვება.
შეშლილი ფატურაკი და ძველი ფოლიანტი,
ურჯულო ამინდები მოდიან, მატოვებენ
სიშავეს, ქარს მამტვრევენ და თეთრი დღეებია
აქეთაც, აღარა ღირს უბრალოდ გათენება.
ნაადრულ ტყეებივით

სველია ჩემი გული, ურვა და საშინელი
(რაფაზე დაკონილი ყვავილთა წყვილებია).
იყო და არა იყო. სულ ცოტაც გამიძელი!
იყო და არა იყო. გელოდი ამ მიწამდე!
მე აქ ვარ. სიყვარულის უქუდო მასპინძელი,
ნეტავი, დამიცავდე,
ნეტავი, დამიცავდე!

დასრულების

თოვლი ამ ბაღში ნოველაა მხოლოდ და მხოლოდ.
შენ დგახარ, როგორც არმოსული დღეების მძიმე,
დაუნდობელი განაჩენი. ეს თეთრი მოლი
უბრალოდ ძველი სიმღერაა, რომ მიკლავს იმედს,

მიკლავს სიზმრებსაც, მიკლავს უფალს და უფრო ვხვდები,
რატომ მიყურებ (რატომ ძერწავ ფოთლებით იმ გზას,


სადაც შემორჩა ხმელი თივა და ჩემი ძვლები),
ასეთ დროს როგორ ემსგავსები იესოს იგავს,

როგორ მოდიხარ, როგორ ნელა და ვიმტვრევ დარდებს,
როგორც დასჯილი მღუმარება შორეულ ხედის.
მე ვხედავ თოვას. მე ვხედავ და ეს თოვლი დადებს
უწინდებურად ჩემს წინ მდგარი ხეების გვერდით.

შენ უფრო ასე
არ დამტოვებ,
შენ უფრო მაცლი
ცხოვრებას დალილ მევენახეს, მანახებ ხელებს
და მათი თბილი ჩაჭიდების, დაკოცნის ნაცვლად,
მე ჩამოვჯდები, ვილოცებ და ყველაფრის მერე

შემრჩები, როგორც სილამაზე, სიკეთე, დალლა.
ნახვალ და ზამთრის დაბერების სურვილში გავძლებ.
არაფერია. მე დავრჩები მინდვრების მალლა
და ბალახის სუნს დავიტოვებ ქვებისფერ კანზე.





ბიოხბი ბანახაშვილი

ნანასი

მე კი მგონია, ჩემო კარგო, რომ მზეზე მეტად ჩემი ლექსები გაგათბობენ იანვრის სუსხში... მიმიშვი სულთან, უჩუმრად რომ სხეულში კეტავ, გათოშილ სულთან, ყველაფერს რომ ჯიუტად უშლი. მიმიშვი, რათა შევამოკლო ყველა მანძილი და დავგმო ყველა სიმარტოვე, რასაც შეიცავ, და რომ არაფრად მომეჩვენოს ვრცელი გამზირი, სანამდე მოვალ, დამყურებდეს მხოლოდ შენი ცა. მიმიშვი, რათა გავამთელო ყველა ოცნება, რათა მრავალი შესაფარი ჰქონდეთ იმედებს, მიმიშვი, რადგან შემიძლია იმის მოცემა, რასაც ვერავინ ვერასძალით გამოიმეტებს. მიმიშვი, თუ გსურს, მოვარჩინო შენი ნევროზი, სულში ბელურებს უანგაროდ ხომ იყუყუებენ?! დედამინაზე ჩარჩენილი ხარ ანგელოზი, რომ დავგმო ყველა სიძულვილი – ნამარყუყუევი. მიმიშვი, რადგან მხოლოდ შენთან დამედგომება, ვერ მოგვაგნებენ, რომ გვეძიონ თუნდაც გიზამდე... მიმიშვი, მერე ერთად ვთვალოთ შემოდგომები ან დაველოდოთ დინჯად, როდის გამოიზამთრებს, რადგან მგონია, ჩემო კარგო, რომ მზეზე მეტად, ჩემი ლექსები გაგათბობენ იანვრის სუსხში... მიმიშვი სულთან, უჩუმრად რომ სხეულში კეტავ, გათოშილ სულთან, ყველაფერს რომ ჯიუტად უშლი.

ჰიჩკოკი

აღფრედ ჯოზეფ ჰიჩკოკი დაიბადა 13-ში, როცა შუა ლონდონში მძვინვარებდა აგვისტო... მამა ყიდდა ბოსტნეულს, დედა იჯდა მანეთთან, ოჯახს მამა არჩენდა უმცირესი ავისტით. დადიოდა ჰიჩკოკი იეზუიტურ სკოლაში, უმძაფრესი შეხებით კათოლიკურ ნიშნებთან, მთელი მისი ბავშვობის უფერული კოლაჟი იყო მარტოსულობა, უსაფუძვლო შიშები. თოთხმეტისამ დატოვა სკოლა არა ექსცესით, გახუნებულ ფეხსაცმლით, ნაცრისფერ მაკინტოშით, ესწრებოდა მკვლელობის სასამართლო პროცესებს, ხშირად ნაანყებოდით თეატრსა და კინოში. აქვეყნებდა მოთხრობებს, ფსევდონიმი ჰქონდა: Hitch, რუკებს უკირკიტებდა: ლუტეცია, ელადა... ტრაგედია არ მოჰყვა მამის სიკვდილს ოჯახში, ფაქტმა დააახლოვა შემორჩენილ დედასთან. მოკლე დროში მოირგო რეჟისორის სახელი, იყო : „მდგმური“, „შანტაჟი“ გენიალურ „ფსიქომდე“, მაგრამ არ ასვენებდა ყრმობის გამოძახილი და ყოველთვის უცნაურ ფობიაზე ფიქრობდა. დეკემბერში ჰიჩკოკი დაქორწინდა რევილზე, აღმამ კათოლიციზმი ჰიჩკოკივით მიიღო... „39“ საფეხურს – კომედიურ თრილერს, მზეს უყურებდა სიმკაცრით, დინჯად და უმიმიკოდ. უცაბედად გახადა „ფსიქომ“ მილიონერი, როცა სცენას შხაპისას გულმოდგინედ შეება... ვერასხალით უარყო მავნე ნყვილი მანერა: ალკოჰოლი, თამბაქო, ბანქო, ღამისთევები. „ოჯახურ შეთქმულებას“ ვერ გაუძლო, შეეშვა. რეჟისორი გადაჰყვა სასმელს, ნარკომანიას, იგი გარდაიცვალა სახლში, ლოს-ანჯელესში, სხეული კი დანვეს და ფერფლი მიმოაბნიეს..

პარსამი

ინათა მთვარემ, გადიდგულდა ღამე ოღრაში, მეძავთა ფუსფუსს აყურადებს მთელი ქალაქი... მე ვზივარ მარტო. ჭიქა ჩაი, ქილა ლოღნოშო, ვუყურებ სარკეს და ვემდური მოხუც დალაქებს, ვისი ხელებიც ყოველ კვირას სახეს პარსავენ ან, შუა კვირას თუ მცალია, ხუთშაბათობით... დავსხდებით ხოლმე მე და ჩემი ძველი ვარსამი,

ვსაუბრობთ ღმერთზე, ეიფელზე და ალბათობა
 ისე მცირეა, რომ ოდესმე ვიუბნებთ დინჯად
 პოლიტიკაზე. ცრუ ანარქებს მოაქვთ ქაოსი...
 „მე ჩემი წილი უნდა გითხრა,“ გულიდან ხინჯი,
 შენიც გამანდე, არ გვჭირდება რადგან ლაო ძი,
 ჩემო მოხუცო, არ გვჭირდება ფროიდი, ნიცშე,
 ვიდრე სამყაროს დაუყენეს პირზე მაყური;
 გადამავიწყდა სამართებლის ბავშვური შიში
 და შევიძულე უადგილოდ თვალის დახუჭვა.
 მაგ სამართებლით დავისერავ ოდესმე ხელებს.
 გუშინ სალამოს დავიტვირთე ჩემი ვარსამი...
 მე ვზივარ მარტო, ნაციები, მანუხებს ხველა,
 მე ვზივარ მარტო, მოღუშული, გაუპარსავი.



ინდონეზია

ხანძარს მიეცით მთელი ჩემი ცრუ პოეზია,
 პოეტთა კურსი ჩემს მიმართ რომ ოდნავ გამყარდეს...
 გავცდი იგოეთს, რომ მეხილა ინდონეზია,
 რომ ხელისგულზე გადამშლოდა მთელი ჯაკარტის
 ამოუცნობი თბილი ჰავა, ზღვა – ბუნგალოთი,
 სადაც ნაკლები ეგზემა და მუცლის ტიფია;
 მე – მიდრეკილი სასმელისკენ, ნებით გავლოთდი
 და ვგავარ ახლა უარაფრო კაცს და ტიპიურ
 მოსაწყენ ფრაზებს ყველა ყლუპის ზიარად ვტოვებ,
 რადგან უფროა დანდობა და შვებაც უფასო...
 აქ ბელადები განაგებენ უგუნურ ტომებს
 და მე კი ყველა მწუხრის პირზე შევეთხოვ უფალს, რომ:
 არ მოგკვდე ძილში, არ მჩვევია უთქმელად წასვლა,
 არ მსურს, კედელზე მტვერი მედოს, როგორც გობელენს...
 უძღები შვილის ერთადერთი შემოვრჩი ასლი,
 მაგრამ არსაით მელოდება ჩემი მშობელი.

ხანძარს მიეცით ყველა სველი იასამანი,
 ენძელის კურსი იებთან რომ უფრო გამყარდეს...
 მსურს, რომ გალოთდეს ყველა ტომის ფლალი შამანი,
 რომ ყველა მურწა ემეგობროს მშიერ ყარყატებს,
 რომ ეს აბსურდიც შეაფასოთ გენიის ბოდეად
 და ხანძარს მისცეთ მთელი მისი ცრუ პოეზია,
 თუ მოჩვენებაც მოსვენებას არ აძლევს ოდნავ
 გაღეშილ პოეტს ანდა სულაც იმ დონეზეა,
 რომ სულ ერთია პრალა, მინსკი და იგოეთი,
 რომ ხსოვნის მიღმა ისევ მიყვარს და ამეზია
 ვერ მომეძალა, თუმც არ მახსოვს ბროდსკი, გოეთე,
 გავცდი იგოეთს, რომ მეხილა ინდონეზია!..

თემათი ჭეხასანი – ეპოსიება მონადიხა ხასი

(შეხვედრა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში)

„მწერლობა... ემოციებზე ნადირობაა. ნადირობის დროს კი, ხან გაგიმართლებს კაცს და ხან – არა, ოღონდ, ნაღდი ნადირობისგან განსხვავებით, მკითხველში ემოცია კი არ უნდა მოკლა, პირიქით, გამოაცოცხლო...“

მწერლობა მუდმივი თანაგრძნობაა, ვისაც ამარცხებ, ისიც უნდა გებრალეობდეს.

მწერლობა ფრაზის სილამაზეა, ზუსტად ისეა, როგორც სიმღერაში.

მწერლობა აზრის ემოციური სამოსია...

მწერლობა მთავარის იგავურად გაცხადებაა...

მწერლობა ილუზიებისგან გარიყვა და მუდმივი ტკივილიანი ფიქრია...

მწერლობა მისტიკაა, რომელიც რეალობას ამძაფრებს...

მწერლობა დამშრალი ჭიდან წყლის ამოღებაა...“

თემურ ჭყუასელის ეს სიტყვები, წიგნიდან „ზღვა იყო უფრო მშვიდი, ვიდრე ხმელეთი“, მაშინ ამომიტყვივდა მეხსიერებაში, როცა წინამდებარე რეპორტაჟი უკვე დასრულებული მქონდა და მთლიანობაში კიდევ ერთხელ გავისხენე შეხვედრა მწერალთან, რომლის შემოქმედებაზე ლამის ოთხსაათიანმა მსჯელობამ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხალხმრავალი აუდიტორია დაარწმუნა, რომ ამ სიტყვების ავტორი უდავოდ ამართლებს იმ მოთხოვნებს, რასაც ის მწერალსა და მწერლობას უყენებს.

შეხვედრა, რომელიც მიმდინარე წლის 17 მარტს გაიმართა, გახსნა ჰუმანიტა-

რულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა გულიკო ბექაურმა.

ქალბატონმა გულიკომ მოკლედ ისაუბრა თემურ ჭყუასელის მრავალმხრივ და უღარესად საინტერესო მოღვაწეობაზე: მწერალზე, სცენარისტზე, მომღერალზე, პოლიტიკოსსა და, როგორც აღნიშნა, ყველაზე მეტად დასაფასებელი პროფესიის მქონე პიროვნებაზე – დიდ პატრიოტზე.

„მართალია, თემურ ჭყუასელი ქარ-



თულმა საზოგადოებამ და ზოგადად ქვეყანამ სიმღერით გაიცნო, მაგრამ ეს საღამო არ იმართება საქართველოში ყველაზე პოპულარული ფოლკლორული ანსამბლის – „ქართული ხმების“ – სოლისტისა და მისი ერთ-ერთ დამფუძნებლის პატივსაცემად. დღევანდელი დღე არის მისი მწერლური შემოქმედების განხილვა-დაფასება.“

„ერთხელ სოფელში ერთი წიგნი ვიპოვე, რომელსაც არც თავი ჰქონდა და არც ბოლო. მომეწონა...“ – თემურ ჭკუასელის ეს სიტყვები გაიხსენა ქალბატონმა გულიკომ და შემდეგ ხატონად ისაუბრა თემურ ჭკუასელის იმ ბავშვურ შთაბეჭდილებებზე, რომლებიც გეზისა და ტონის მიმცემი აღმოჩნდა პროზაიკოსისათვის; ისაუბრა იმ რაინდულ სულზე, იმ სიმღერით გამთბარი მინის სიყვარულზე, რომელიც ღრმად ამჩნევია მწერლის მთელ შემოქმედებას.

ექსპრესიულობით იყო აღბეჭდილი პროფესორ გულიკო ბეჭაურის შესავალი სიტყვა. მან მადლობა გადაუხადა ბატონ თემურს იმ განვლილი გზისთვის, რომელსაც მართალი კაცის, ალალი კაცის სახელი ჰქვია; იმ სიყვარულისთვის, რომელიც მწერალმა თითოეულ მკითხველს ჩაუნერგა გულში და შეახსენა, რომ ყოველი ადამიანი სამშობლოს სიყვარულით უნდა იცოს მოცული, ყოველი მოზარდი პატრიოტული განცდილია და სულისკვეთებით უნდა აღიზარდოს: „ჩემთვის, როგორც პიროვნებისა თუ ფსიქოლოგისათვის, ძალიან ბევრი რამ არის მნიშვნელოვანი თემურ ჭკუასელის შემოქმედებაში. მომწონს, როდესაც მისი გმირები ცხოვრების სირთულეებს ნახევრად იუმორის თვალით უყურებენ. იქნებ, ეს არის, ბატონო თემურ, ჩვენი რთული ცხოვრებისთვის ისეთი თვალით შეხედვა, რომ მზად ვიყოთ, ხვალინდელ დღეს იმედით შეეხედოთ. სიმართლე და მხოლოდ სიმართლეა, რაც ასე კვებავს თქვენს შემოქმედებას. ძალიან რთულია, ადამიანი სხვის პიროვნებას ჩასწვდე, ძალიან ძნელია მის სირთულეებს შეეხო, თქვენ ეს გამოგივიდათ!“

სიტყვის დასრულების შემდეგ ქალბატონმა გულიკომ კათედრასთან მიიწვია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მერაბ ბერიძე**, რომელმაც, ახალციხის უნივერსიტეტის დაარსებით, ამ რევიონში საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფოებრივ აზროვნებას.

ბატონმა მერაბმა მოკლედ ისაუბრა იმ პერიოდის შესახებ, როდესაც ჯერ მხოლოდ იდეის დონეზე განიხილებოდა, მხოლოდ ჩანაფიქრში არსებობდა სამომავლო

გეგმა სამხრეთ საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებისა. „დღეს ახალციხის უნივერსიტეტს ამ იდეის თანაზიარი ორი ადამიანი ჰყავს სტუმრად: თემურ ჭკუასელი და პროფესორი ამირან გომართელი“, – განაცხადა რექტორმა და შემდეგ თემურ ჭკუასელს მიუბრუნდა:

„გვესტუმრა დღეს პროზაიკოსი, მაგრამ, როგორც ჩანს, პროზაიკოსები ლექსის გარეშე ვერ ძლებენ. ამავსე თქმა შეიძლება თემურ ჭკუასელზე, ამიტომ მინდა, ბატონი თემურის ორი ლექსი წაგიკითხოთ“, – თქვა ბატონმა მერაბმა და გასაოცარი მზუნებარებით წაიკითხა თემურ ჭკუასელის ლექსები.

შემდეგ სცენაზე პროფესორი **ნათელა ბერიძე** მიიწვიეს.

ნათელა ბერიძემ დარბაზს საკუთარი შთაბეჭდილებები გაუზიარა თემურ ჭკუასელის შემოქმედების შესახებ, დაახასიათა მისი სალიტერატურო ენის სტილური თავისებურება და აღნიშნა, რომ ბატონი თემურის წერის მანერა მეტად შთამბეჭდავია, დახვეწილი, ექსპრესიული, ხშირად გურული იუმორით გაჯერებული; მწერალი შესანიშნავად ფლობს მომხიბვლელად და ემოციურად აზრის ქალაღზე გადატანის ხელოვნებას; მისთვის ენა მუსიკაა, სიტყვა კი – ცოცხალი არსება.

სიტყვის ფენომენის მიმართ თემურ ჭკუასელის დამოკიდებულების წარმოსაჩენად ქალბატონმა ნათელამ მწერლისავე სიტყვები მოიშველია: „*მიყვარს სიტყვებთან ლაცოცი, ფერება და ჩხრეკა ქართული სიტყვებისა. ჩამოუფუჯდები, ჩემ თვალწინ ცოცხლდებიან და შეუღღურტულებიან. ადამიანებს ჰგვანან. ზოგი კეთილი და ლამაზია, ზოგიც – შეუხედავი და შემაშინებელი; ზოგი გიბღვერს, ზოგი შემოგციცინებს. ერთმანეთთან შუღლიც იციან და მეგობრობაც. თუ დამეგობრდებიან, ვანუყურებ და ერთად არიან. მათ მეგობრობაც უკეთესი იციან, მტრობაც უფრო ლმობიერი აქვთ და სამშობლოსაც ჩვენზე მეტად უფროთხილდებიან.*“

მომხსენებელმა განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსად მიიჩნა წიგნი „კვამლის სინდრომი“ და დასკვნის სახით განაცხადა, რომ კრებულის ყურადღებით გაცნობამ კიდევ უფრო განუმტკიცა აზრი,

მამულის სიყვარული, მასზე ფიქრი და ზრუნვა, მკითხველზე მორალური ზემოქმედება, თვითჩაღმაყება და თვითშეგნების ამბავლება არის ის ნიშნულები, რომლებიც ერთი სათაურის ქვეშ აერთიანებს თემურ ჭკუასელის ამ კრებულში შესულ მოთხრობებს.

ნათელა ბერიძემ ასევე ისაუბრა მოთხრობაზე „როგორ აღმოაჩინა სამტრედიამ კოლუმბი“... და აღნიშნა, რომ ეს არის რეალობის მხატვრული წარმოსახვა, იუმორისტული ელფერით გაჯერებული მხატვრულ-მეტაფორული სინამდვილე, რომელსაც ამ ბოლო დროს იშვიათად ხვდება ჩვენი მკითხველი.

ქალბატონმა ნათელამ საკმაოდ ვრცლად მიმოიხილა თემურ ჭკუასელის მხატვრული ნაწარმოებების აზრობრივი შინაარსი, ისაუბრა მათ სიღრმესა და სტილურ ხატოვანებაზე, იმაზე, თუ რამდენად საინტერესო და მრავალფეროვანია მოთხრობები, რომლებიც უამრავ თანამედროვე თუ ისტორიულ ამბავს გვიამბობენ ქვეყნიერებასა და სამშობლოზე, კაცურკაცობასა და რაინდობაზე. „აქ არის ხანგრძლივი ფიქრის შედეგად ჩამოყალიბებული განსჯა სიკეთესა და სიკეთის ქმნალობაზე“. – ეს აზრი ლიტმოტივად გასდევდა ნათელა ბერიძის სიტყვას.

როგორც ითქვა, პროფესორმა ნათელა ბერიძემ საკმაოდ სკრუპულოზურად გააანალიზა თემურ ჭკუასელის პროზა, განსაკუთრებული აქცენტი კი გააკეთა იმ მოთხრობებზე, სადაც ანსამბლ „ქართული ხმების“ საგასტროლო თავგადასავლებია მხატვრულად გარდათქმული; უღრმესი განცდითა და ემოციით არის აღწერილი ქართული ფიშის, ქართული გენის ზეიმი საქართველოს ფარგლებს გარეთ და რაც განუმეორებელი ოსტატობით გადმოგვცა ბატონმა თემურმა.

შემდეგი გამომსვლელო იყო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **ვახტანგ ინაური**.

„ბატონი თემური ქართულ მწერლობაში სოლიდურ ადგილსაც იკავებს და – სოლიდურ პოზიციასაც. ეს არის პროზაიკოსი, რომელიც ქართულ მწერლობაში შემოდის თავისი მკვეთრად ჩამოყალიბებული სტილით, წერის მანერით და თავისთავადობით. ეს არის ორიგინალური

მხატვარი რეალური სინამდვილისა, რომელმაც მხატვრულ ქმნილებას საკუთარი ელფერი შესძინა და არ გაიმეორა არც ერთი მწერალი. მისი პროზაული თხზულებები, მისი პოლიჟანრული თემატიკა უხვად არის დატვირთული მეტაფორული აზროვნებით, მხატვრული სახეებითა და გურული კოლორიტული იუმორით“.

გურულ იუმორზე საუბრისას ვახტანგ ინაურმა ერთმანეთისგან გამიჯნა ორი გურულის – ჩვენი ლიტერატურის კლასიკოსის, ნოდარ დუმბაძისა და თემურ ჭკუასელის იუმორისტული წერის მანერა და საგანგებოდ აღნიშნა, რომ არანაირ დამთხვევას ადგილი არა აქვს. ეს აზრი შემდეგი არგუმენტით გამყარდა: ნოდარ დუმბაძის ლაღი და ზოგჯერ სევდიანი იუმორი ძირითადად დიალოგებში ვლინდება, თემურ ჭკუასელთან კი, უმთავრესად – სიუჟეტური ხატვის პროცესში. მასთან, უპირატესად, ეპიზოდი, ფაქტი, ამბავია იუმორისტული. ნათქვამის საინტუსტრაციოდ გამომსვლელმა დარბაზს წაუკითხა ფრაგმენტი მოთხრობიდან „ჩამქრალი ციციანთელები“, სადაც მწერალს ხალასი იუმორით აქვს გადმოცემული ამბავი მეცნიერ-მუშაკისა, რომელიც ობსერვატორიაში ტელესკოპით აკვირდება ვარსკვლავებს. ამ დაკვირვებისას მან რამდენიმე ზევაარსკვლავი „აღმოაჩინა“, მაგრამ მოხდა ისე, რომ ვარსკვლავმა გაანათა... ჩაქრა... გაანათა... ჩაქრა... შემდგომში გაირკვა, რომ თურმე ციციანთელა შეფრენილა ტელესკოპში (გამოსვლის ამ ეპიზოდმა საკმაოდ გაახალისა დარბაზი).

როგორც ბატონმა ვახტანგმა განაცხადა, თემურ ჭკუასელის შესანიშნავ იუმორს ემატება მისი მხატვრული აზროვნება და მეტაფორულ-ლექსიკური სიმდიდრე. თუ მწერალს, თუნდაც პროზაიკოსს, ლამაზი პოეტური სახეები და შედარებები არა აქვს, თუ იგი მხატვრულ-გამომსახველობით მრავალფეროვნებას არ მიმართავს, ასეთი პროზა უკვე გაღარიბებულ იერს იძენს. ამ საშიშროებისგან შორსა დგას თემურ ჭკუასელის პროზა.

მომხსენებელმა მოკლედ მიმოიხილა თემურ ჭკუასელის ნიგნი „ზღვა იყო უფრო მშვიდი, ვიდრე ხმელეთი“, მასში ჟანრობრივი სიახლე დაინახა და ერთდრო-

ულად ორი სახელი უწოდა: ნოველა და ესე. ასევე ისაუბრა ნიგნზე „სიმღერით განმბარბი მინა“, სადაც კარგად ჩანს, რომ მწერლის შიგნით, მის სულში, ზის მომღერალი, რომელიც, მუსიკის ენაზე რომ ვთქვათ, კარგად იყენებს თავის პოლიფონოურ ნიჭსა და უნარს. აქ ყველაგან იგრძნობა ეს პოლიფონია, როგორც სინტაქსურ კონსტრუქციებში, ასევე სიტყვათა მყარ შეთანხმებასა და, გნებავთ, სიტყვათა ბგერწერაში. აქ მომღერლის ნიჭი მწერლის ალღოსა და უნარს ერწყმის.

შემდეგმა გამომსვლელმა, ფილოლოგიის დოქტორმა, პროფესორმა **ქეთევან გრძელიშვილმა** საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება მხატვრული ნაწარმოების აღქმის მრავალგანზომილებიან პროცესზე, ემოციური განცდის უშუალოებაზე, შემოქმედის აზრის განვითარების ლოგიკურ წვდომაზე, მხატვრული ასოციაციების სიმდიდრესა თუ განტოტვა-განზოგადებაზე. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ეს ის ელემენტებია, რომლებიც აღქმის პროცესში ითრევის კულტურის მთელ სფეროს. მხატვრულ-შემოქმედებითი პროცესის მიზანიც ხომ მის საზღვრებს მიღმა იმალება. ეს მიზანი უშუალოდ უკავშირდება მკითხველს. თუ მხატვრულმა ნაწარმოებმა ზეგავლენა მოახდინა მკითხველზე, შემოქმედის მიზანი უკვე მიღწეულია. თემურ ჭკუასელის შემოქმედება, ამ თვალაზრისით, მნიშვნელოვან სიმაღლეებს აღწევს. მისი პროზაული ქმნილებების გაცნობისთანავე ავტორსა და რეცეპიენტს შორის მყარდება ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ურთიერთკავშირი. ამგვარი კომუნიკაციის საშუალებით რეცეპიენტი მხატვრული პროცესის უშუალო მონაწილე ხდება.

თითოეულმა მომხსენებელმა სრულიად სხვადასხვაგვარი, მეტად საინტერესო და მძაფრი ემოციური იმპულსით გაჯერებული ინტერპრეტაცია წარმოადგინა თემურ ჭკუასელის მხატვრული თხზულებებისა. ამგვარივე ემოციური პათოსით იყო აღბეჭდილი ქეთევან გრძელიშვილის სიტყვაც, რომელმაც პროზაიკოსის წერის მანერა, მისი პოლიფონური შემოქმედების მრავალფეროვანი თემატიკა ასე შეაფასა: „დიდი შინაგანი განცდით, მაგრამ ლაღად, შესაშური ქართულით მიჰყვება

სტრიქონი სტრიქონს. იძერწება, იკვეთება საოცარი მხატვრული სახეები, ერთმანეთში ირევა სიზმარი და ცხადი, ან-მყო და წარსული, სულის ურთულესი და უშორესი ხვეულები ამოდის ზედაპირზე. თვითშემეცნების, ცოდვათა შეგრძნების, ადამიანად ყოფნის თემები, მხატვრული განსახოვნების იპოდიგმურ-პარადიგმული სახეები გასაოცარ ელფერს ანიჭებს თხრობას. ამას ემატება მამულის მძაფრი განცდა – ნამყვანი მოტივი თემურ ჭკუასელის შემოქმედებისა; საოცარი იუმორით, როგორც ლიტერატურული ქართულით, ასევე გურული დიალექტით ამეტყველებულ პერსონაჟთა მხატვრული სახეები; ცრემლი და ღიმილი, ტირილი და სიცილი, მწუხარება და სიხარული, აზრის სიღრმე და სინათლე და, რაც მთავარია, აზროვნების სიღრმე და ესთეტიზაცია იტაცებს მკითხველს“.

ქალბატონმა ქეთევანმა საკმაოდ საფუძვლიანად გააანალიზა თემურ ჭკუასელის ნიგნი, რომელშიაც ძნელია გაარკვიო, სად მთავრდება რეალური და სად იწყება გამონაგონი. ეს ნიგნია „კვამლის სინდრომი“. სალიტერატურო წრეებში არსებულ მოსაზრებას, რომ ამ ნიგნში თავმოყრილი მოთხრობები ერთ ჩანაფიქრს, ერთ საერთო აზრობრივ იდეას ემსახურება, კრებულის სათაურიც ამყარებს – ხშირად ხომ სათაურშია მოქცეული ამა თუ იმ ნაწარმოების აზრობრივი შინაარსის მთავარი გასაღები. ეს თვალსაზრისი რომ მოთხრობის მთავარი გმირის, სამსონის, თვალთახედვასაც ემყარება, მომხსენებელმა ავტორისეული ციტატით გაამყარა: „შენს მინაზე რომ ცეცხლი დაინთება, იმ ცეცხლიდან ამოსული კვამლი ბავშვის თვალეებს ირჩევს ყოველთვის, იმიტომ რომ მერე, მონიფულაობაში, კვამლის სინდრომი დაემართოს. კვამლის სინდრომიან ხალხს უყვარს ქვეყანა და კვამლის სინდრომიანი ხალხი იძინებს ლამაზობით სამშობლოზე თავმიდებულთ. კვამლის სინდრომიანი ხალხი რომ გადაშენებას იწყებს, მათ ადგილს ცალფეხსინდრომიანი ხალხი იკავებს მაშინვე, ანუ ქვეყანა რომ ცალ ფეხზე ჰკიდიათ და ეს ცხოვრება რომ ყურძნით სავსე სანახელი ჰგონიათ, ჩამდგარან შიგნით ბინძური ფეხებით, ნურავენ და ნურავენ ქვეყანას“.

გამომსვლელის აზრით, ნაწარმოები ცოდვათა შეგრძნების გზით, თვითშემეცნებით, პიროვნების განწმენდას და ამაღლებას ისახავს მიზნად. თვითშემეცნება თვითჩაღრმავების შედეგია, თვითჩაღრმავება კი წარსულთან მიბრუნებით ხდება. თუ არ შეიცვანი საკუთარი თავი, ვერ შეიცნობ კაცობრიობას, რადგან შენ კაცობრიობის ნაწილი ხარ. რომანის მთავარი პერსონაჟი, სამსონმა შეძლო საკუთარი თავი ამოგზაურა, რათა მას ბავშვობასთან შეხვედრით შეემეცნებინა თავი. სწორედ შემეცნების პროცესია გადმოცემული ნაწარმოებში „კვამლის სინდრომი“. ავტორი მხატვრული ოსტატობით ძერწავს პროტაგონისტის განცდებსა და ემოციებს. სამსონმა შეძლო საკუთარი თავის შეცნობა-განჩხრეკა. მიუხედავად იმისა, რომ ეს გზა არ იყო იოლი, სამსონმა ძნელად, მაგრამ მაინც შეძლო მისი გაკლა.

ამოსწარიდი ქეთევან გრძელიშვილის გამოხვლიდან:

„ძირითადი დატვირთვა რომანში აზროვნების ესთეტიზაციას ეთმობა. აზრია აქ მშვენიერი და ამაღლებული. თვითშემეცნების, თვითგანწმენდისა და მონანიების მრავალსაუკუნოვანი მოტივები – ეს ის მარადიული თემებია, რითიც სამარადღაჟმოდ უნდა დარჩეს აღნიშნული კრებული. ნაწარმოებში ერთმანეთს ორგანულად ერწყმის იდეა და პერსონაჟთა პლასტიკური სახეები, რომლებიც საოცარ მხატვრულ რეალობას ქმნიან. მხატვრული ენა და ტექსტი თანაბრად წარმოაჩენენ, როგორც წარმოსახულ სამყაროს, ისე კონკრეტულ ობიექტს. წიგნი მხატვრულ სახეთა ერთიანი სისტემაა, რაციონალურისა და ქვეცნობიერის, ინდივიდუალურისა და ზოგადის შერწყმა, რომელიც, პირველ ყოვლისა, მორალურ საწყისს ექვემდებარება“.

„კვამლის სინდრომის“ განხილვა-განალიზების შემდეგ მომხსენებელმა ამავე კრებულში შესულ მხატვრულ-დოკუმენტურ ნოველზეც ისაუბრა. „სიყვარულის კარდიოგრამას“ ეპიგრაფად შემდეგი სიტყვები აქვს ნამძღვარებული: „ფიქრები იური როსტის სტატიის ნაკითხვის შემდეგ“. მოთხრობაში ავტორი მსჯელობს ქართველთა ხასიათზე, კაცურკაცობაზე,

სიყვარულის ნიჭზე. იხსენებს საინტერესო ეპიზოდებს რევაზ დვალისვილისა და თენგიზ აბულაძის ცხოვრებიდან. მოთხრობა მეგობრობის, სიყვარულის, ურთიერთდაფასება-პატივისცემის ჰიმნია. ავტორს მიაჩნია, რომ ნამდვილი, მაღალზნეობრივი ადამიანები ყველა ქვეყანაში იბადებიან. მწერალი დიდი ოსტატობით ძერწავს რუსი მსახიობის, ევგენი ლეონოვის მხატვრულ სახეს. ახალინფარქტგადატანილი ევგენი ლეონოვი საავადმყოფოდან იმიტომ გამოიპარა, რომ საკუთარი კარდიოგრამის სერპანტინებით შეკრული იასამნების თაიგული მიერთმია თენგიზ აბულაძისთვის და ამით უდიდესი სიყვარული და პატივისცემა გამოეხატა მისდამი. მეტად ამაღლებულია ლეონოვის სიტყვაც, მიმართული ქართული კინორეჟისორისადმი: ამ საკარდიოგრამო სერპანტინების გარეშე იასამნები უფრო ადრე თუ არა, ერთ კვირაში ხომ მაინც დაჭკნებოდა და გადაიყრებოდა, გულისცემაში კი მარადიულობა არგუნა წილად და ძმობის, პატივისცემის, სიყვარულით გამთბარი ურთიერთობის სიმბოლოდ აქციაო.

გამომსვლელმა ასევე ისაუბრა „კვამლის სინდრომში“ შესულ სხვა მოთხრობაზე „ვეკლანა“, რომლის ძირითადი აზრობრივი შინაარსი დიდი სულიერი ტკივილისა და შურისძიების გრძნობის დაძლევა-დამარცხებაა და რომელიც მხოლოდ „მიტყეების ბუმერანგით“ მიიღწევა.

პროფესორმა მაკა კაჭკაჭიშვილმა გამოხვლა ძირითადად თემურ ჭკუასელის პროზის მხატვრული სტილისა და წერის მანერის თავისებურებას დაუთმო. კრებულ „სიმღერით გამთბარი მინის“ მაგალითზე დაყრდნობით ისაუბრა მწერლის ინდივიდუალიზმით გაჯერებულ ენობრივ ნორმებზე, მაგრამ, ვიდრე უშუალოდ შეხებოდა პროზაიკოსის შემოქმედების ენობრივ მახასიათებლებს, მანამდე ყურადღება გაამახვილა ქართული სალიტერატურო ენის გამოყენების ფართო სფეროზე და თანამედროვე პროზაში, ენობრივ-გამომსახველობითი თვალსაზრისით, რამდენიმე ტენდენცია გამოკვეთა. პირველი ის, რომ გლობალური პროცესების ფეხის აყოლის სურვილი თუ მცდელობა ხშირად ვლინდება, როგორც სიუჟეტუ-



რად, ისე ენობრივად, ანუ ე.წ. მოდური სიუჟეტები გადმოცემულია ისეთი მოდური ლექსიკითა და ფორმებით, რომელთაც დაჰკრავს ნაძალადეგობისა და გადაპრანჭულობის ელფერი და მეორე: პროზის ენის დაახლოება ყოველდღიურ სასაუბრო ენასთან და, რაც უფრო სამწუხაროა, მისი კალკირება ავტორისეულ მეტყველებაში ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრული ეფექტის გაღარბებას იწვევს. საბედნიეროდ, არსებობს მესამე ტენდენციაც, რომელიც აგრძელებს ქართული კლასიკური მწერლობის ენობრივ ტრადიციებს. სწორედ ეს მესამე ტენდენცია მიიჩნია მან თემურ ჭკუასელის პროზაული ენის უმთავრეს მახასიათებლად, რადგანაც მწერალი სიტყვაქმნადობას, სიტყვი შემოქმედებას თვითმიზნად არასდროს ისახავს. მისი ინდივიდუალურობის საფუძველი ის არის, რომ სიტყვას, ჩვეულებრივ ფრაზას ისე ზუსტად და მიზანმიმართულად იყენებს, თხრობისა თუ დიალოგების იმდენად ლაღი და ბუნებრივი სტილი აქვს, რომ მის ტექსტში ქართულ სიტყვას საკმაოდ ეფექტური გამომსახველობითი ფუნქცია ენიჭება.

ქალბატონმა მაკამ ვრცლად ისაუბრა კრებულის – „სიმღერით გამთბარი მინის“ – შესახებ, რომელშიც შედის ამავე სათაურის კინოსცენარი, ნოველები, დიალოგები გურიაზე და ამ ნიგნის მაგალითზე სკრუპულოზურად გააანალიზა მწერლის მხატვრული ენის ზოგიერთი თავისებურება: „ლექსიკა ზუსტად არის სათქმელთან შეხამებული, შესაბამისად, ემოციაც გულწრფელი და დამაჯერებელია. რთული სინტაქსური ნაწობის წინადადებებიც კი მოკლეა და ლაკონური. ტექსტი ძირითადად იგება თანწყობილი წინადადებებით. შედარებით იშვიათია შერწყმული წინადადებები. ქვეყნობაც კი მოკლე და მოქნილია. ამის გამო სათქმელი ბოლომდე მიდის მკითხველამდე, ძალისხმევის გარეშე აღიქმება და არ იკარგება ემოცია. ამას ემატება გურული იუმორიც“.

მომხსენებელმა თემურ ჭკუასელის ლაღი და ხალასი იუმორი შეახსენა მსმენელს მოთხრობიდან „მამიდა“:

...მოთხრობის პერსონაჟი, დობერმანა, ლამის სამ საათზე ნასვამი ბრუნდება მახინჯაურიდან. ქობულეთის სასტუმროს

ფოიეში შესულს ახსენდება თარღსი კაცის, მელისის, გაფრთხილება: ლიფტს არ ენდო, შუქი ხშირად ითიშება და იცოდე, გაიჭედებო. მიუხედავად სიმთვრალისა, მანაც ფიქრობს, რომ სამიში არაფერია, მელიფტე ხომ დღედაღამ მორიგეობს და სამ ნუთში გამოჰყავს გარეთ ლიფტში გაჭედილი დამსვენებლები. „ამ ფიქრით შეაბიჯა ლიფტში დობერმანამ. ვილაც კაცი მის შესვლას უკვე ელოდებოდა და ბოლო სართულზეო, – გადაულაპარაკა დობერმანამ. ლიფტი დაიძრა თუ არა, გადაღლილი თვალები მოხუჭა, აუ, რა სიამოვნებით დამეძინებო. სწორედ ამ დროს გაჩერდა ლიფტი. თვალდახუჭულმაც იგრძნო, რომ სინათლე ჩაქრა. მანაც იმედით გაახილა თვალი. ირგვლივ ვერაფერი გაარჩია, მხოლოდ ის ესმოდა, რა მყრალად იგინებოდა მისი შემთხვევითი თანამგზავრი უკუნეთ სიბნელებში.

– დანყნარდი, მეგობარო, – ქმენა-ქმენით უთხრა მამინ დობერმანამ, – მორიგე ლიფტიორი გვიხსნის სამ ნუთში...

– დიდი მაღლობა სასიხარულო ინფორმაციისთვის, მაგრამ რა დამანყნარებს, როცა მე თვითონ ვარ მორიგე ლიფტიორი, ჩემი შემცვლელი კი დილის 8 საათამდე არ მოვა... – უთხრა იმ კაცმა“.

ქალბატონმა მაკა კაჭკაჭიშვილმა ხატოვნად შეაფასა თემურ ჭკუასელის კინოსცენარის მხატვრული ენის სიძარბაისლე და აღნიშნა, რომ გურია და გურულები თემურ ჭკუასელის პროზის ერთ-ერთი უმთავრესი თემაა. დიალექტის, მათ შორის გურული მეტყველების, გამოყენება ქართული პროზისათვის უცხო არ არის, თუმც ავტორი ამ შემთხვევაშიც ახერხებს, იყოს ორიგინალური. იგი დიალექტურ მეტყველებას მოიხმობს, როგორც თავისთავად დამოუკიდებელ ფენომენს და მკითხველის ყურადღებას საგანგებოდ მიაპყრობს ამ ფენომენზე. ამის შედეგად კი თვითონ მეტყველებას ენიჭება დამოუკიდებელი ფუნქცია – იგი ავლენს გურული კაცის ბუნებას.

პროფესორებთან ერთად სცენა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსაც – ნაზი ტექსონისა და ინდირა შაინიძეს დაეთმო.

მეტად ემოციური და ამაღლებელი

იყო ნაზი ტექსოსიანის გამოსვლა. ეროვნებით სომეხი გოგონა გულთადად მიესალმა თემურ ჭკუასელს და უდიდესი სიბოროტე გამოხატა მისი მწერლური აღლოსა და ნიჭის მიმართ. გოგონამ, გამოსვლისთანავე, დარბაზს ქართული ენის ცუდად ცოდნის გამო მოუბოძიშა, თუმცა, მშვენიერი, გამართული მეტყველებით, გასაოცარი ექსპრესიულობით შეუდგა თემურ ჭკუასელის მოთხრობა „მამიდას“ გაანალიზებას.

მოკლე იყო ნაზი ტექსოსიანის გამოსვლა, მაგრამ ემოციური მუხტით აღბეჭდილი. ამ გამოსვლის არსი და მომხიბვლელობა არა იმდენად ტექსტის ღრმა აზროვანი ინტერპრეტაციით განიზომება, რამდენადაც მისი შინაგანი ღირებულებით. გოგონამ, რომელმაც განაცხადა, რომ ქართული ენა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეისწავლა, უდიდესი ინტერესი გამოავლინა ქართული მწერლობის, კონკრეტულ შემთხვევაში კი თემურ ჭკუასელის შემოქმედების მიმართ.

საინტერესო იყო ინდირა შაინიძის გამოსვლა. მან თემურ ჭკუასელის ნაწარმოები „სეიკო“ მიმოიხილა და ისაუბრა ლიტერატურაზე, როგორც შემოქმედებით პროცესზე, სიტყვის ხელოვნებასა და სინამდვილის მხატვრულ გამოსახვაზე: „სინამდვილე შეიძლება იყოს მტკივნეული, მაგრამ ლიტერატურა მას იმდენად შეფუთავს, შეალამაზებს მხატვრული ხერხებით, რომ მკითხველში გაღიზიანებას არ გამოიწვევს, პირიქით, ენერგიით აღავსებს. მსგავსი დადებითი ენერგიით აღვივებს, როდესაც ბატონი თემურის მოთხრობა „სეიკოს“ გავეცანი. აქ ქართველი კაცის დაკნინებული ბუნება და ხატული და ყველაზე უფრო იმით არის საინტერესო, რომ მხოლოდ პრობლემა ან ადამიანთა მანკიერი მხარეები კი არ არის წინა პლანზე წამოწეული, არამედ დასახულია ამ პრობლემების აღმოფხვრის, ანუ ზნეობრივი ამაღლების გზაც“.

ინდირა შაინიძემ „სეიკოს“ გაანალიზებისას პარალელი იღია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ მოთხრობა „მგზავრის წერილებთან“ გაავლო და „სეიკოს“ ალეგორიულ-მეტაფორული სახისმეტყველება თერგის სახეს შეადარა („სეიკო“ საა-

თების მწარმოებელი ცნობილი იაპონური ფირმა და ამიტომ უწოდებენ მოთხრობის პერსონაჟები იაპონურ მამალს სეიკოს). მამალი მოთხრობაში სიფხიზლის, გამოღვიძების, აქტიურობისაკენ მოწოდების მაუწყებელია. მან უნდა შეძლოს სააქოსა და საიქიოს მიჯნაზე მყოფი სულიერად მკვდარი ადამიანის გამოცოცხლება. მამლის დანიშნულება ამ ნაწარმოებში ის არის, რომ ხალხს გამოღვიძების, გამოფხიზლების, მოძრაობისა და მოქმედების ძალა შემატოს, ანუ თემურ ჭკუასელთან იგივე ფუნქცია აქვს მამალს დაკისრებული, რა ფუნქციაც აქვს ილიას თერგს. ეს მისია კი „სეიკოში“, ხალხის გამოცოცხლებისა და გამოფხიზლების გზაზე დაყენების მისია, ნაწარმოების მთავარმა გმირმა, მამლის პატრონმა, კაპიტანმა იტვირთა.

სტუდენტმა გოგონამ ტექსტის აზრობრივ შინაარსთან ერთად პერსონაჟთა მხატვრული სახეების შესახებაც ისაუბრა. სკრუპულოზურად გააანალიზა მათი შინაგანი სამყაროს ზნეობრივი მახასიათებლები და გამოსვლა თემურ ჭკუასელის სიტყვებით დაასრულა: „როდესაც ქვეყანას უჭირს, სწორედ მაშინ უნდა გამოიჩინო პატრიოტიზმი, თორემ, როცა ყველაფერი წესრიგშია, მაშინ შეგიძლია, შენი ქვეყნის ნაკრების გულშემატკივრობით დატკბე“.

სტუდენტების შემდეგ სცენა დაეთმო ჟურნალ „ცისკრის“ მთავარ რედაქტორს, პროფესორ ამირან გომარტელს, რომელმაც, პირველ რიგში, სასიამოვნო ემოციური იმპულსით აღძრული შთაბეჭდილება გამოხატა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და იმდღევანდელი ლიტერატურული საღამოს მიმართ. გამოსვლელმა კმაყოფილებით გაიხენა ის პერიოდი, როდესაც ყალიბდებოდა იდეა მესხეთში უნივერსიტეტის დაარსებისა, ამ იდეის ავტორად კი XX საუკუნის დიდი ერისკაცი აკაკი ზაქარაძე დაასახელა, რომელმაც მწვავე პუბლიცისტური წერილი დაწერა იმის თაობაზე, რომ არ შეიძლება ყველაფერი თბილისში იყოს თავმოყრილი და აუცილებელია, საგანმანათლებლო დაწესებულებები პერიფერიებშიც არსებობდესო. ამ წერილს მაშინვე გამოეხმაურა შემდგომში ამ იდეის სულისჩამდგმელი

და პრაქტიკულად განმარტებული მერაბ ბერიძე. ბატონმა ამირანმა გულწრფელად მიულოცა ბატონ მერაბს, რომ მან ჯერ სიტყვით, შემდეგ კი საქმით ჩაუყარა საფუძველი სამცხე-ჯავახეთში სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნას. ეს საქმე მეტად წარმატებული აღმოჩნდა, რამდენადაც დღეს ეს უნივერსიტეტი არა პერიფერიული, არამედ წარმატებული საგანმანათლებლო კერაა საქართველოს ერთ-ერთი ძირძველი რეგიონისა.

„თქვენმა უნივერსიტეტმა მე გამახსენა 60-70-იანი თუ 80-იანი წლების თბილისის უნივერსიტეტი, ის ეროვნული ფასეულობები, რაც ასე ძვირფასი იყო მაშინ, გამახსენა ღრმამინაარსიანი ლიტერატურული განხილვები და დისკუსიები, რაც ასე იშვიათი გახდა დღეს.“

სასიამოვნოა, რომ მოხერხდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უკეთესი პერიოდის სულისკვეთება აქ გადმოსულიყო და ეს ძალიან მხარაებს. ჩვენი მიზანიც ის იყო, რომ აქ ყოფილიყო განათლების კერა; აქ ყოფილიყო საშუალება იმისა, რომ მესხეთის თითოეულ მკვიდრს, ქართველი იქნება თუ არა-ქართველი, საკუთარი თავის გამოხატვა შეძლებოდა; ის, რომ ქვეყნის ცხოვრებაში ყველა ერთად ჩაბმულიყო; ის, რომ ახალციხე და საზოგადოდ სამცხე-ჯავახეთი პროვინციული მხარიდან საუნივერსიტეტო მხარედ გადაქცეულიყო, ეს ყოველივე აღსრულდა და დღეს მე ძალიან ბედნიერი ვარ!“ – განაცხადა ამირან გომარტელმა და საუბარი იმდღევანდელი საღამოს მთავარი გმირის შემოქმედების განხილვით განაგრძო. მისი თვალსაზრისით, თემურ ჭკუასელის პროზა ორმა გარემოებამ დააზარალა. ერთი ის, რომ ის ცნობილი ხელოვანი, ცნობილი მომღერალი და ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უპირველესი ფოლკლორული ანსამბლის, „ქართული ხმების“ დამფუძნებელი და წევრია და მეორე ის, რომ დღეს, სამწუხაროდ, ქართული სალიტერატურო კრიტიკა არ არის ჯეროვან სიმაღლეზე: „როცა სალიტერატურო კრიტიკა არ არსებობს, ყველაფერი არეულ-დარეულია, კრიტიკიუმები – აღრეული. სიტყვაკაზმულმა მწერლობამ ასაპარუხ დაუთმო შემთხვევითობას, აჟიოტაჟს, სკანდალულ-

რობას, ეპატაჟს. მოხდა ისე, რომ მწერლის ადგილზე წამოკუპდა შოუმენი და დაკნინდა მწერლობა. დღევანდელი დღე იმის დასტურიც არის, რომ ჩვენ აუცილებლად უნდა დაგუბრუნდეთ ჭეშმარიტ ფასეულობას, რადგანაც ჭეშმარიტ მწერლობას სხვა ფასი აქვს და სხვა მადლი“.

კრიტიკოსმა საკუთარი თავი და კოლეგები დაადანაშაულა იმაში, რომ უფრო ადრე არ მოხდა თემურ ჭკუასელის მწერლური ნიჭის შეფასება, ვინაიდან მწერლის ნიჭი და უნარი არ ფასდება იმ ვინაობა ასპექტით, თუ რა ასაკში დაიწყო მან შემოქმედებითი მოღვაწეობა. განგება ყოველთვის კანონზომიერია და ყველაფერი მისი ნებით ხდება. ამიტომაც არ შეიძლება, რომ ბატონი თემურის ასპარეზზე გამოსვლას ნაგვიანევი ეწოდოს. მწერლობის ისტორიამ ამის არაერთი მაგალითი იცის, მათ შორის – ქართულმა მწერლობამაც. აქ ვასილ ბარნოვის გახსენებაც შეიძლება, რომელიც ოთხ ათეულ წელს კარგა ხნის გადაცილებული იყო, როდესაც პროზაიკოსობა დაიწყო და ქართული ისტორიული რომანის ფუძემდებელიც გახდა და ქართული სიმბოლისტური პროზისაც, თუმც, სამწუხაროდ, ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ და ლიტერატურათმცოდნეობამ ის გვიან შეამჩნია.

მეორე მიზეზი თემურ ჭკუასელის შემოქმედების მიმართ სალიტერატურო კრიტიკის არცთუ აქტიური გამოხმაურებისა შეიძლება იხიცი იყოს, რომ, საზოგადოდ, დაქვეითდა ინტერესი ლიტერატურის მიმართ, ამ ფონზე კი ჩვენს მწერლობაში თავი იჩინა სამწუხარო მოვლენამ, ჯგუფობრიობამ. და მესამე: ქართველებს ცოტა გვიჭირს ჩვენიანის მრავალმხრივი ნიჭის დაჯერება, თითქოს ვერ ვიმეტებთ ერთი პიროვნებისთვის ერთდროულად გამორჩეული მომღერლისა და მწერლის პატივის მინიჭებას.

ამირან გომარტელმა მოკლედ მიმოიხილა თემურ ჭკუასელის რამდენიმე პროზაული ნიმუში და გამოთქვა მოსაზრება, რომ მოთხრობაში „გამარჯობა, მამა“ ის მარადიული და გაუხუნარი თემაა წარმოჩენილი, რომელიც ქართველებისთვის მეტად მტკივნეულია და მგრძობიარე. ეს მოთხრობა მიხეილ ჯავახიშ-

ვილის „მინის ყვილს“ ეხმიანება. მინის ყვილის თემა არ არის შემთხვევითი, ეს თემა დღეს კიდევ უფრო აქტუალურია, როცა ასულათასობით ქართველია გადახვეწილი სამშობლოდან. ამიტომაც აუცილებელია, რომ ეს მოთხრობა, მიხილჯავახიშვილის „მინის ყვილთან“ ერთად, სასკოლო პროგრამაში შევიდეს.

„საოცარი ემოციით არის დატვირთული ეს თემა იმ გოგონას მაგალითზე, რომელსაც მეოთხედი სისხლი აქვს ქართული, მაგრამ, როგორ ყვიის მასში ეს ქართული სისხლი, როგორ გულშემატკივრობს ის „ქართულ ხმებს“ და როგორი ამაცია მოთხრობის ფინალში, როცა „ქართულმა ხმებმა“ არა მარტო სიმღერით გაიმარჯვა, არამედ ნაძლევიც მოიგო, იმიტომ რომ ქართული სიმღერის გამეორება შეუძლებელია.

თემურის შემოქმედებაში ამგვარი ღრმა, სევდანარევი ემოციის პარალელურად, რითაც გამსჭვალულია მოთხრობა „გამარჯობა, მამა“, არის იუმორი და გროტესკიც, ზოგჯერ იუმორი გროტესკშია გადასული. ის მოვლენები, აბსურდული ყოფა და სიტუაცია, რომელსაც თემური აღწერს, ხშირად გროტესკის გარეშე არ აისახება და ამას მწერალი მშვენივრად ახერხებს“.

გამომსვლელმა მოთხრობა „ვეელინას“ მაღალმხატვრობაზეც ისაუბრა და აქცენტო ფრანგი ქალის, ეველინას, მხატვრულ სახეზე გადაიტანა. ისეთი შთამბეჭდაობით ქმნის მწერალი ფრანგი ქალის პორტრეტს, რომ მკითხველს თვალნათლივ წარმოესახება მისი გარეგნობაც და სულიერებაც.

პერსონაჟისა და, რაც მთავარია, სიტუაციის ხატვის მძლავრი უნარი, ლექსიკის ხატოვანება და ფერადოვნება საცნაურყოფს თემურ ჭკუასელის ხელწერას. ის შესანიშნავად ფლობს ფრაზას, კონკრეტულ სიტუაციაში ზუსტად აგნებს საჭირო სიტყვას, შედეგე ამ სიტყვაქმნადობის მხატვრული განსახოვნება ხდება მის ნაწარმოებებში. ამას ეველინას პორტრეტიც მოწმობს, სადაც შთამბეჭდავად არის გამოძერწილი ლამაზი ქალის ეშიც და ერთგვარი სექსუალური მომხიბვლელობაც.

„ცაცხვის მხრიდან მოდიოდა იგი. მზე ზურგიდან მოაცილებდა, ქერქვაცლილ

კორპისხისფერ თმებზე უხვად ეყარა პროვანსული მზის ათინათები. მაღალი იყო და აშოლტილი... ჩამოქნილი სახის ნაკეთებით ელ-გრეკო ნახატიდან გადმოსულს ჰგავდა. ოლეანდრის ყვავილის ფერი ვინრო და გულგახსნილი მოკლე პერანგი, ზომიერ მკერდზე რომ შემოსალტოდა, გასაოცრად უხდებოდა მის მზემოკიდებულ სახეს. ნელს ქვემოთ სისლვის ფერებივით მიმქრალი, მინდვრის ყვავილებისგან ნაქსოვი სიფეროფანა მოსასხამი ერტყა ჯიშინ კოჭებამდე და თმებიდან ძირს ჩამოყრილ მზის სხივებზე თხელი, მაგრამ ენერგიული ფეხები ბარძაყებამდე ელანდებოდა... თან იღიმებოდა. ღიმილი კი... ჩამავალი მზის გაღიმებას ჰგავდა მისი ღიმილი, თვალს კი გაუსწორებდი, მაგრამ ქუთუთოებს გვიწნოებდა“.

ამირან გომართელმა ასევე მოკლედ ისაუბრა თემურ ჭკუასელის მოთხრობაზე „სეიკო“ და აღნიშნა, რომ მამალი შესანიშნავად მიგნებული მეტაფორაა, შესანიშნავი სიმბოლოა, ხოლო კაპიტანი არის ზნეობრივი ორიენტორი, ისეთივე ორიენტორი, როგორც შუქურაა ზღვის სანაპიროზე, რომელიც ზღვაში გასულ ხომალდებს უნათებს გზას. კაპიტანი – მაღალი ზნეობის კაცი – სწორედ ზნეობრიობის დანერგვას ცდილობს უბანში, ოღონდ ეს არ არის ჩვეულებრივი უბანი, ესეც მეტაფორულ-ალეგორიულია და მიკროსაქართველოს განასახიერებს.

„მწერლის მიზანი ყოველთვის კეთილშობილური უნდა იყოს, მიზანი ის არის, რომ ხვალ რაღაცნაირად უკეთესები გაეხდეთ. ეს არის სწორედ მწერლობის მიზნობა. მხატვრული ნაწარმოები ვერც ყინვისგან დამზრად კაცს გაათბობს და ვერც ძალზე მოშიებულს დააპურებს, მაგრამ მან სულიერად უნდა გაგათბოს და დაგაპუროს. მწერლობა მონოდებაა ზნეობრიობისაკენ. აი, ამ ზნეობრიობის ორიენტორია თემურ ჭკუასელის მოთხრობის უცნაური პერსონაჟი კაპიტანი, მისი მამალი კი მონოდება მარადიული სულის მღვიძარებისკენ. ამ შემთხვევაშიც შეიძლება პარალელის გავლება ილია ჭავჭავაძის სიტყვებთან: „ოჰ, ღმერთო, ღმერთო, სულ ძილი, ძილი, როსლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“, რადგანაც აქაც ის ტკივილია, ოღონდ სრულიად

სხვა ფორმით, სხვა სახით, სხვაგვარი მეტაფორით. ვრცელი პროზაული მეტაფორით გამოხატავს მწერალი იმას, რომ საჭიროა მარადიული სულის მღვიძარებისკენ მოწოდება. როცა ქათმებს ვიღაც დახოცავს, შემთხვევით ერთი დედალი გადაარჩება, რომელიც ისევ გამოჩნეკავს პანა მამალს და მთელი უბანი, ანუ მთელი ქვეყანა, უცდის, როდის დაიცივლებს ის და უზომოდ ბედნიერნი არიან, როცა გაიგონებენ ყვინჩილის ხრინჩიან ყვირს. ე. ი. ისევ ცოცხალია ეს ხალხი, ისევ მღვიძარაა, უკვე გამოსულია სალათას ძილიდან. როგორც აღენიშნე, მარადიული სულის მღვიძარებისკენ მოწოდებაა თემურ ჭკუასელის ეს მოთხრობა“.

შეხვედრის დასასრულ, საბოლოო სიტყვა იმდღევანდელი ლიტერატურული ზემის მთავარ პერსონას, თემურ ჭკუასელს დაეთმო. აქ განცდილმა შთაბეჭდილებებმა ლამის მეტყველების უნარი ნაბართვაო. – განაცხადა მწერალმა და მოკლე, მაგრამ მძაფრი ემოციური პათოსით გაჯერებული სიტყვით გადაუხადა მადლობა მისი ნიჭისა და შემოქმედების დამფასებელ საზოგადოებას:

„ცუდ დროს დავინყე წერა, რადგან ადრე ლიტერატურა ძალიან უყვარდათ საქართველოში. ახლა იმდენად დიდ ყურადღებას აღარავინ აქცევს და ჩემთვის ორმაგად ამაღლელებელია თქვენთან შეხვედრა. ჯერ ერთი, იმიტომ რომ საერთოდ შედგა ეს შეხვედრა და მეორე – შეხვედრის ხარისხი იმდენად გამაოგნებელია, გაოცებული ვუსმენდი აქ გამოძსველთა დიდი ემოციითა და გულწრფელობით ნათქვამ თითოეულ სიტყვას და ხანდახან მაკინყდებოდა, რომ ეს ყველაფერი იყო ჩემ მიერ დანერგლ ნიგნებზე და აბსოლუტურად უცხო თვლით ვუყურებდი და უცხო ყურით ვუსმენდი მათ და ვგრძნობდი, რომ ჭეშმარიტი მკითხველი თავისთავად არის შემოქმედი და მეორე – თქვენთან ერთად ისეთი რამ აღმოვაჩინე ჩემს ნაწერებში, რომლებზედაც მე თავად შეიძლება არც მეფიქრა“.

თემურ ჭკუასელის შემოქმედებითი საღამოს კულმინაცია მისივე სცენარის მიხედვით გადაღებული ფილმის, „გალობის რაინდების“, ჩვენება იყო (რეჟისორი ნანა ჯანელიძე).

ამ მხატვრულ-დოკუმენტურ ფილმში მოთხრობილია დიდებული მამულიშვილების: ფილიმონ ქორიძისა და ესტატე კერესელიძის მიერ ქართული საგლობლების გადარჩენის რთული და ხიფათით სავსე თავგადასავალი.

2003 წელს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ესტატე კერესელიძე წმინდანად შერაცხა და უწოდა წმინდა ექვთიმე აღმსარებელი. წმინდანად არის შერაცხული უდიდესი ერისკაცი ფილიმონ ქორიძეც. ეს მას შემდეგ მოხდა, როდესაც თემურ ჭკუასელისა და ნანა ჯანელიძის „გალობის რაინდები“ გავიდა ეკრანზე. ამ ფილმის სცენარის ავტორიც ისე მისხალ-მისხალ და რუდუნებით აგროვებდა ცნობებს გალობის რაინდების – ფილიმონ ქორიძისა და ესტატე კერესელიძის შესახებ, როგორი რუდუნებითაც ისინი აგროვებდნენ და იწერდნენ ქართულ საგალობლებს.

თუკრებ ფილმს და გეშინია, რაიმე მნიშვნელოვანი ფრაგმენტი არ გამოგჩნეს. აქ ყოველი დეტალი, ყოველი კადრი ეროვნული სულისკვეთებით არის გაუღენთილი და უღრმესი ცხოველმყოფელობით სუნთქავს. მეტიც, აქ პატრიოტიზმს განყენებული, აბსტრაქციული ცნების ფუნქცია დაუკარგავს და ლამის ფილმის პერსონაჟად ქცეულა. ეს ფილმი ერთი დიდი ვარაშიანი ამოკენსაა ჩვენი ქვეყნის ისტორიისა. დღეს, ამ გლობალიზაციის პირობებში, როცა ასე დაკინებულა პატრიოტიზმის შემცენებითი მნიშვნელობა, მით უფრო სავადებულთა, ეს კინოფილმი ჩვენი ქვეყნის ყველა მოზარდს უჩვენონ. მოსწავლე ახალგაზრდობამ აუცილებლად უნდა იცოდეს, რომ საქართველო სწორედ ისეთი ერისკაცების მხრებზე იდგა, როგორებიც ფილიმონ ქორიძე, ესტატე კერესელიძე, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვა დიდებული ქართველი მამულიშვილები იყვნენ. ქვეყნის ისტორიასაც ხომ რჩეულები ქმნიან. სცენარის ავტორს რომ დავესხსხოთ: „ცხოვრება არჩევანს ყველას სთავაზობს, გზას ისტორიისკენ ერთეულები ირჩევენ“.

გასაოცარი ემოციურობით დასრულდა თემურ ჭკუასელის შემოქმედებითი საღამო. „გალობის რაინდები“ აატირა მთელი დარბაზი და რაც არანაკლებ გან-

საცვიფრებელია, თვალცრემლიანი იყო სცენარისტიც. ამ დღემ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მწერალი თემურ ჭკუასელი ჭეშმარიტად ემოციებზე მონადირე კაცია.

რეპორტაჟი მოამზადა
თამარ გელიტაშვილმა

P.S.

ზემოთ, რეპორტაჟის დასაწყისში, თემურ ჭკუასელის გამონათქვამები გავიხსენე მწერლობის შესახებ. კიდევ ერთხელ მოვიხმობ მის ფრაზას: „მწერლობა ილუზიებისაგან გარიყვა და მუდმივი ტკივილიანი ფიქრია...“

ლექსში, რომელსაც ახლა გაეცნობა მკითხველი, სწორედ მისი ავტორის ტკივილი და ბედთან ჭიდილია გამჟღავნებული. იგი თემურ ჭკუასელმა მეუღლის ხსოვნას უძღვნა.

ღულს ჩაიდან


ეუძღვნი ნანას ხსოვნას

როცა უეცრად ნახევარი გაქრა ცხოვრება,
როცა არ მშველის არც დარდი და არც მოგონება,
როცა დავკარგე ღიმილის და ხიბლის უნარი,
არ დამრჩა, როცა არაფერი გაუხუნარი.
როცა ცხოვრებამ კიდევ ერთი კარი ჩარაზა
და, ღმერთმა უწყის, მერამდენე დაიწყო ფაზა,
როცა ნათელი გაუხეშდა, ჩაქრა სინაზე
და ხასიათი აცრილია ირონიაზე,
ვიკითხავ უცებ, ნეტავ, სტვენა მესმის საიდან,
არავინაა მოეფეროს მდულარ ჩაიდანს...
ჩაგხედე ფიქრს და შევანონე პლიუს-მინუსი,
ვერ მოვიხელთე დავითი ან ავრელიუსი...
ჰოდა, ფიქრებმაც ნამოიწყო უცხო თარეში,
ხომ არ გავსწიო მეც იმათთან, სულთა მხარეში,
ხომ არ ავილო მე ჩემს დარდთან ხელი ბრძოლაზე,
ხომ არ ავიდე მონატრების ცისფერ ბორანზე...
მაგრამ აქეთაც რომ არიან ჩემიანები?!
ჯერ ხომ აქეთაც გასალენი დამრჩა ყანები,
და, ჩემი გვარის ბალავარი, ბრძენი მახარბელ,
მე, მის შვილთა შვილს, ჩემ შვილიშვილს თომას მახარბებს.

2015 წლის 7 მარტი



ნებზახ ზახანაშვილი



დიდი მისტიფიკატორი

წიგნიდან „რუსოფობია, ანუ პოეტური იმპერიალიზმი ლომონოსოვიდან ვეტუშინკომდე“

ფიოდორ ტიუტჩევი (1803-1873), ჩემი აზრით, უდიდესი ლირიკოსია რუსულ პოეზიაში და ერთ-ერთი გამორჩეული – მსოფლიოში: მან არაერთი, მათ შორის ფილოსოფიური ლირიკის უანრის, შედეგები შექმნა... და ეს „ჩემი აზრი“ ორიგინალური არ არის: მაგალითად,



თავად სრულიად გამორჩეული, უნიჭიერესი ლირიკოსი აფანასი ფეტი ტიუტჩევის მსოფლიოს უდიდეს ლირიკოსად მიიჩნევა და მართებულად აღნიშნავდა: „ტიუტჩევის პოეტური ძალა, ანუ თვალმახვილობა განსაცვიფრებელია. იგი არა მხოლოდ ხედავს საგანს თვითმყოფადი თვალთახედვით, – იგი ხედავს მის უფაქიზეს დეტალებსა და ნიუანსებს“. ვალერი ბრიუსოვი კი წერდა „ფ.ი. ტიუტჩევი. მისი შემოქმედების არსი“ წერდა – „ტიუტჩევის პოეზია რუსული სულის ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე შესანიშნავი კმნილებათა რიგს მიეკუთვნება“.

და იმავდროულად ფიოდორ ტიუტჩევი, ახლა უკვე, ალბათ, მხოლოდ ჩემი აზრით, უდიდესი მისტიფიკატორია რუსული პოეზიის ისტორიაში: „რუსული სულის ყველაზე მნიშვნელოვანი კმნილებების“ ერთმა – „იდეოლოგიურმა“

ნაწილმა არა მხოლოდ გააგრძელა ლომონოსოვის, სუმაროკოვის, დერჟავინის, ყუკოვსკის და ტიუტჩევის სხვა წინამორბედთა მიერ საფუძველჩაყრილი რუსული ლიტერატურულ-იმპერიალისტური მითისქმნა, არამედ რუსული პოეტური წარმოსახვის მთავარი ფოკუსის არეში მოახვედრა, ახალი იმპულსი, ახალი ბიძგი მისცა, შეიძლება ითქვას, ახალი სული შთაბერა მას და თან ისეთი მძლავრი სული, რომელიც დღესაც „სულდგმულობს...“ სულდგმულობს კი არა, მისით არის განმსჭვალული დღევანდელი რუსეთის სახელმწიფოს სასაფუძველო, ნეოიმპერიალისტური იდეოლოგია.

მაინც რა გააკეთა ასეთი ამ „მიმართულებით“ ტიუტჩევი? ერთი შეხედვით, ის გარკვეული ინტერპრეტირებით იმეორებდა იმ დროისთვის უკვე კარგად ცნობილ მითებს: მაგალითად, მესამე რომის მითს, მითებს რუსეთის გაუთავებელი გაფართოების აუცილებლობის და რუსული ხიშტის „სამართლიანობის“ თუ „სამშვიდობო მისიის“ შესახებ და მისთ; მაგრამ, თუკი ჩავუღრმავდებით, საკმე ასე მარტივი არ არის... არც ის გახლავთ მთავარი, რომ სლავიანოფილი ტიუტჩევი, თავისი დიდი ნიჭის წყალობით, ამკარად „აძლიერებს“ შესაბამის მოტივებს რუსულ პოეზიაში, პუბლიცისტიკასა და ისტორიოსოფიაში.

ჩემი აზრით, გაცილებით უფრო მეტად

მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოება: იმ ეპოქის სხვა რუსი პოეტები („რომანტიკული დემონიზმი“ შეპყრობილი ლერმონტოვიც კი) ნაწილობრივ მაინც ახდენდნენ რელიგიურ-ისტორიოსოფიური მითების ერთგვარ რაციონალიზაციას, მეტ-ნაკლები წარმატებით ცდილობდნენ ბნელის ნათლით თუ ნათლად ახსნას, რუსული დერჟავულობის, რუსული იმპერიალიზმის ზეამბიციურობის გონებისმიერ, „ლოგიკასთან მიახლოებულ დასაბუთებას“. ტიუტჩევმა კი ყველაფერს თავის სახელი დაარქვა და ამ მხრივ ის სხვებზე უფრო გულწრფელ შემოქმედად შეიძლება ჩაითვალოს და, რა პარადოქსულიც გინდა იყოს, სწორედ ეს არის უდიდესი მისტიფიკაცია: მან, არსებითად, უარი თქვა რუსული პოეტური მითების რაციონალიზაციაზე და საპირისპირო რამ მოახდინა – სრული ირაციონალიზაცია! მეტაფორულად თუ ვიტყვი, მან მოახდინა რუსული მართლმადიდებლურ-რელიგიური მისტიკისა და იმპერიალისტური ისტორიოსოფიის ალქიმიური სინთეზი და გააცხადა, რომ ალქიმია ალქიმიაა და ის ლოგიკურ, „გონებისმიერ“ დასაბუთებას არ საჭიროებს!.. და, ფაქტობრივად, ამ „ჯადოსნური რეაქციით“ ტიუტჩევმა დაიხსნა რუსი ხალხის უდიდესი ნაწილი ფუჭი, უსაფუძვლო და უშედეგო რაციონალიზაციის (რაც თავის მართლების და სინდისის ქენჯნის მტკივნეულ მომენტებსაც შეიცავს) „ჯოჯოხეთიდან...“

ტიუტჩევმა ჩამოაყალიბა რუსეთის, რუსული სულის ერთიანი, მრავალნახანგოვანი, პოლიტიკურ-ისტორიოსოფიურ-რელიგიურ-მისტიკურ-პოეტური მეტამითი... ანუ მან შექმნა ისეთი აბსტრაქტული, მიღმიერი „ზემითი“, რომელიც „ამოზრდილია“ ამ რიგის ყველა მანამდე არსებული მითიდან, მოიცავს ყოველ მათგანს და თან დიდ სივრცეს ტოვებს – „მეტაქოლოგის“ ქვეშ – მომავალი მითისქმნისთვის.

სწორედ ამით გაუხსნა დიდმა მისტიფიკატორმა ახალი, მართლაც უსაზღვრო სივრცე რუსულ პოეტურ და ისტორიოსოფიურ მითისქმნას, ახალი ჰორიზონტი დაანახვა მომდევნო თაობებს, განსა-

კუთრებით კი მოდერნისტებს, რომელთა დიდი ნაწილი მისტიკისადმი ისედაც „მიდრეკილი იყო“. ამ მხრივ ტიუტჩევი უთუოდ მათი „გურუა“, რასაც ადასტურებს ის ფაქტიც, რომ გამოჩენილი რუსი მოდერნისტების უმრავლესობა აღმერთებდა ტიუტჩევს და არაერთ მათგანს ცალკე წერილიც აქვს მიძღვნილი მისი შემოქმედებისადმი. ეს განსაკუთრებით იტქმის სიმბოლისტური მსოფლალქმის მქონე პოეტებზე (და არამხოლოდ პოეტებზე), რომელთათვისაც – კალკს თუ მოვიშველიებთ – „გამკვლევ ვარსკვლავად“ იქცა ტიუტჩევის „Мысль изреченная есть ложь“; რაც – ერთდროულად – ზედმიწევნით ზუსტად, მთლიანად თავსდება ტიუტჩევისეული მეტამითის კონტექსტში და თან ამ მეტამითის ერთ-ერთი სასაფუძვლო „მაქსიმია“.

ერთსაც დავურთავ: ტიუტჩევით უპირობო აღტაცება ერთგვარი ლაკმუსის ქალაღდივითაა, რომელიც უმაღლეს ამულავნებს ამა თუ იმ პიროვნების თუ შემოქმედის აზროვნების „იმპერიალისტურობის“ ხარისხს.

თუმცა, მოდით, აქ ცოტათი შევანელოთ ტემპი და მოკლედ, მაგრამ მეტნაკლები თანმიმდევრულობით მივყვეთ ტიუტჩევის „იდეოლოგიურ ნააზრევს“ და ასე მივიღეთ კულმინაციამდე – მეტამითამდე.



ტიუტჩევმა თავისი ცხოვრების ოცდასამი წელი უცხოეთში, ძირითადად გერმანიასა და იტალიაში გაატარა, ამასთან, თვრამეტი წელი – დიპლომატიურ სამსახურში; ის იცნობდა შელინგსა და ჰაინეს.

ამის გამო – თეორიულად – დასავლური იდეალები მეტად უნდა ასახულიყო მის მსოფლალქმსა და პოეზიაში, მაგრამ საპირისპიროდ კი მოხდა – ტიუტჩევს ორთოდოქსულ-დერჟავნიკული, ულტრასლავიანოფილური მსოფლმხედველობა ჩამოუყალიბდა; ის მუდამ ხაზს უსვამდა რუსეთის იმპერიის „მართლმადიდებლურ ხასიათს“, ხოლო ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში აღნიშნავდა, რომ მსოფლიოში

მხოლოდ ორი ძალა არსებობს – რევოლუციური ევროპა და კონსერვატიული რუსეთი (აქვე შეიძლება გავიხსენოთ ის, რომ თვით სიტყვა თუ ტერმინი „რუსოფობია“ პირველად სწორედ ტიუტჩევმა გამოიყენა 1867 წლის 26 სექტემბერს თავისი ქალღმვილისადმი მიწერილ წერილში – პროდასავლურად განწყობილი თავისი თანამემამულეების გასაკრიტიკებლად თუ დასადანამაშულეებლად).

ამასთან, დიდი მისტიფიკატორი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღარ ცდილობს რუსეთის „მარად კონსერვატიული“ არსის მეტ-ნაკლებად რაციონალურ „ამოხსნას“, პირიქით – იგი მიზანმიმართულად ახდენს რუსული დერჟავულობის, რუსული იმპერიალიზმის, მილიტარიზმის, აგრესიის ირაციონალიზაციას (ნ.ზ.: ქვემოთ, რუსულ ტექსტში ბოლო ტაქების ხაზგასმა ჩვენია – ამ „პასაჟს“ ქვემოთ კიდევ შევხვებით; ყოველი რუსული სალექსო ტექსტის შემდეგ ბნკარედული თარგმანია მოცემული ზოგიერთი განმარტებით):

Москва и град Петров, и Константинов град –
 Вот царства русского заветные столицы...
 Но где предел ему? и где его границы –
 На север, на восток, на юг и на закат?
 Грядущим временам судьбы их обличат...

Семь внутренних морей и семь великих рек...
 От Нила до Невы, от Эльбы до Китая,
 От Волги по Евфрат, от Ганга до Дуная...
 Вот царство русское... и не преидет вовек,
 Как то провидел Дух и Даниил предрек.

მოსკოვი და პეტრეს ქალაქი (სანკტ-პეტერბურგი), და კონსტანტინის ქალაქი (კონსტანტინოპოლი) – აი, რუსეთის სამეფოს ალთქმული დედაქალაქები...
 მაგრამ სად არის მისი ზღვარი? და სადაა მისი საზღვრები – ჩრდილოეთისაკენ, აღმოსავლეთისაკენ, სამხრეთისაკენ და დაიხსის მიმართულებით (დასავლეთით)?
 მყობადნი დროებანი ფარდას ახდიან მათ...

შვიდი შინაგანი ზღვა და შვიდი დიადი მდინარე... ნილოსიდან ნევამდე, ელბიდან ჩინეთამდე, ვოლგადან ევფრატამდე, განგიდან დუნაიმდე...
 აი, რუსეთის სამეფო... და ის აღარ გარდავა აღარასოდეს,

როგორც ეს მოიხილა (განჭვრიტა) სულმა (ეტყობა, სულიწმიდა იგულისხმება) და იწინასწარმეტყველა დანიელმა.

ამ ლექსის სათაურია „რუსული გეოგრაფია“ და მას ტიუტჩევის პოეტურ-პოლიტიკურ თუ გეოპოლიტიკურ „წინასწარმეტყველებათა“ სერიაში ერთ-ერთი ცენტრალური, მეტისმეტად ნიშნული ადგილი უჭირავს (ამ ლექსის, მისი გეოპოლიტიკური დისკურსის ვრცელ ანალიზს შეიცავს რომან ლეიბოვის წერილი „ტიუტჩევის „წინასწარმეტყველებიდან“: „რუსული გეოგრაფია“). საგულისხმოა ისიც, რომ ამავე ლექსს მოიძიებთ თითქმის ყველა დღევანდელ დერჟავნიკულ საიტზე; ის აქტიურად გამოიყენება რუსული ულტრარეაქციული ძალების მიერ „საბრძოლო სულისკვეთების“ ასამაღლებლად, მაგალითად, ჩრდილო კავკასიის კაზაკურ ნაწილში.

მსგავსი ლექსებით და მათი პუბლიცისტურ-ისტორიოსოფიური „განმარტებებით“ მიდის ტიუტჩევი მეტამითის შექმნისკენ და ჩვენც დავუკვირდეთ ამ პროცესს.

პოეტებს შორის, ალბათ, ყველაზე მეტად სწორედ ტიუტჩევმა შეუწყო ხელი რუსულ ცნობიერებაში იმ მითის გამყარებას, რაც ფსკოველმა ბერმა ფილოფეიმ მე-16 საუკუნის 20-იანი წლების გზავნილებში „დასაბუთა“ – მითისა მესამე რომის შესახებ: ორი რომი (ანუ რომი და ბიზანტია) დაიქცა, მესამე მოსკოვია და მეოთხე აღარ იარსებებსო. მაგრამ ეს მედლის მხოლოდ ერთი მხარეა.

მედლის მეორე მხარე კი გაცილებით საგულისხმოა: დაუკვირდით – „რუსულ გეოგრაფიაში“ ტიუტჩევი ერიდება ფსკოველი ბერის სახელის ხსენებას და უფრო „დიდ ავტორიტეტს“ – დანიელ წინასწარმეტყველს იშველიებს: იგულისხმება მის მიერ ნაბუქოდონოსორის სიზმრის ახსნა – ოქროსთავიანი, ვერცხლისხელებიანი და რკინა-თიხის ფეხებიანი კერპის შესახებ. ამასთან, ტიუტჩევი გულისხმობს დანიელის წინასწარმეტყველებას მეხუთე სამეფოს თაობაზე: „იმ მეფეთა დღეებში

ზეციერი ღმერთი დაამყარებს სამეფოს, რომელიც უკუნისამდე არ დაიქცევა და მისი ხელმწიფება სხვა ხალხში არ გადავა. იგი შემუსრავს და დააქცევს ყველა სამეფოს, თავად კი უკუნისამდე იდგება“ (დანიელ წინასწარმეტყველი 2:44).

ტიუტჩევის ერთ-ერთ (დაუმთავრებელ) ტრაქტატში („რუსეთი და დასავლეთი“) რუსეთის თუ რუსეთის იმპერიის „ცნების“ მისტიფიცირება-საკრალიზაციის „საფუძვლები“ უფრო დეტალურად არის „ახსნილი“ – ტიუტჩევი წერს: „სამყაროსეული მონარქია – ეს არის იმპერია. ხოლო იმპერია არსებობდა მუდამ. ის მხოლოდ ხელიდან ხელში გადადიოდა... 4 იმპერია: ასირია, სპარსეთი, მაკედონია, რომი. კონსტანტინესაგან იწყება მე-5 იმპერია – საბოლოო, ქრისტიანული იმპერია“ (ნ.ზ.: იგულისხმება კონსტანტინე დიდი, მოციქულთასწორი, რომის იმპერატორი, რომელმაც მოახდინა ქრისტიანობის ლეგალიზაცია და დაარსა კონსტანტინოპოლი – იმპერიის ახალი დედაქალაქი; ასევე ნაგულისხმევია – კონსტანტინოპოლი/ბიზანტია-რუსეთის ერთიანობა თუ უწყვეტობა; ანუ ის, რომ რუსეთი ბიზანტიის „სამართალმემკვიდრეცაა“.)

ამავე ტრაქტატში მართლმადიდებლობის განდიდების და დასავლური, განსაკუთრებით – პროტესტანტული ეკლესიის, დამცრობის პარალელურად (პროტესტანტებს ტიუტჩევი რევოლუციონერებთან აიგივებდა, რომლებმაც უღალატეს ჭეშმარიტ რწმენას) ის რუსეთის „აღმოსავლური“ თუ ევრაზიული „ბუნების“ „თეორიულ საფუძვლებსაც“ ქმნის (რაც, პოეტური ენით, ასევე, გაცხადებულია ზემოთ ციტირებულ ლექსში): „... და რახან მართლმადიდებლურია, რუსეთი არის იმპერიის სანინდარის მცველი (залогохранительница) ... იმპერია არ კვდება. ცარი რუსეთის იმპერატორად მხოლოდ აღმოსავლეთის იმპერატორის ხარისხში გვევლინება. აღმოსავლეთის იმპერია – ეს არის რუსეთი საბოლოო სახით“.

და სწორედ ასეთი „დეტალებით“, ბიბლიური „ავტორიტეტების“ მოხმობით და ბიბლიური ტექსტების მეტისმეტად ტენ-

დენციური, მეტისმეტად საეჭვო ინტერპრეტირებით, მათი მოქცევით წინასწარ აკვიტებული, ულტრასლავანოფილური თუ რუსოფილური იდეების ჩარჩოში თანდათან ხდება რუსეთის რელიგიურ-პოეტურ-იდეოლოგიური ხატის სრული მონყვეტა რეალობისგან, სრული განყენება, სუპერსაკრალიზაცია და რუსეთის ღვთიურობის, ღვთიური არსის, ღვთიური მისიის ახლებური მითის (მეტამითის) ჩამოყალიბება. ამ ახლებურ მისტიფიკაციაში შესამეროობა (თუ მეხუთე „სამყაროსეული მონარქიად“ „გადაქცევა“), ასევე, აღმოსავლურობა (თუ ევრაზიულობა – აქ შეიძლება, პუტინის „ევრაზიული კავშირიც“ გაგვახსენდეს) და მისთანები კერძო „გამოვლინებებიც“, უმთავრესი სხვაა...



მოდით, აქ ისევ ცოტათი შევანელოთ ტემპი და ასეთი ჩანართი წავიკითხოთ: აი, რას წერს ზემოთ ციტირებული ლექსისა, და, საერთოდ ტიუტჩევის დერჟავნიკობის თაობაზე თანამედროვე რუსული პოეზიის უფროსი თაობის შესანიშნავი წარმომადგენელი ალექსანდრ კუშნერი (დაბ. 1936) წერილში «Средь детей ничтожных мира»: „იმველებს რა ბიბლიური დანიელ წინასწარმეტყველის ნათელხილვას, ტიუტჩევი... წინასწარმეტყველებს იმ სამეფოზე, რომელიც „არ დანგრევა უკუნითი უკუნისამდე“. რუსეთის ბოსფორამდე მიღწევის, კონსტანტინოპოლის დაპყრობის ჟინი არ ასვენებდა ფიოდორ ივანოვიჩს. ამის შესახებ ის საკვირველი სიჯიუციით წერდა:

1829-შიც („...*Стамбул исходит – Константинополь воскресает вновь...*“ [„სტამბოლს ბოლო ეღება – კონსტანტინეპოლის აღდგომა ვესწრებით კვლავ“]);

1848-შიც („*Москва и град Петров, и Константинов град – / Вот царства русского заветные столицы...*“ [იხ. ზემოთ]),

1850-შიც („*He в Петербурге, не в Москве, / А в Киеве и в Цареграде...*“ [„არა პეტერბურგში, არა მოსკოვში, / არამედ კიევსა და ცარგრადში“ (ცარგრადი = კონსტანტინოპოლი)];

და 1854-შიც – ყირიმის ომში რუსეთის დამარცხების მიჯნაზეც, ლექსში „სპირიტუალური წინასწარმეტყველება“:

Дни настают борьбы и торжества,
 Достигнет Русь завещанных границ,
 И будет старая Москва
 Новейшею из трех ее столиц.

დგება დღეები ბრძოლისა და ზეიმისა,
 მიაღწევს რუსეთი აღთქმულ საზღვრებს,
 და გახდება ბებერი მოსკოვი
 სამთა შორის უახლეს დედაქალაქად (იგულისხმება – რომს, კონსტანტინოპოლს და მოსკოვს შორის).

ვაგლახ, – განაგრძობს კუშნერი, – ბედი თითქმის ყველა პოეტური, მით უმეტეს „სპირიტუალური,“ წინასწარმეტყველებისა სავალალოა: მათ ახდენა არ უნერია. ტიუტჩევი წინასწარმეტყველებდა თავის სტატიებში, წერილებში და პოლიტიკურ ლექსებში თავისსავე გონებაშეზღუდულ გამოხატუებას სანიშნაოდ: ვიდე: ლექსები არასოდეს ასაბუთებდნენ რაიმე სხვას, გარდა მათი ავტორის მეტნაკლები ნიჭისაო. მიუხედავად ამისა, იგი ამ თემას ყირიმის ომში რუსეთის დამარცხების შემდეგაც დაუბრუნდა... 1867 წელს დაწერილია ორი მოსაწყენი ლექსი ერთნაირი სათაურით – „სლავიანებს“, მეორე მათგანში დამატებით დაშიფრულია ის უდიდესი, ის უკვდავი, ის დაუფინყარი ფორმულირება, რომელიც, რაც თავი გვახსოვს, თან გვსდევს მუდამ; ოღონდ ტიუტჩევთან ის „გეომეტრიული თვალსაზრისით ცოტათი უზუსტოა (ნ.ზ.: ლექსის ნაწყვეტში ხაზგასმა ჩვენია):

...Ужасно та стена упряга,
 Хоть и гранитная скала, –
Шестую часть земного круга
 Она давно уж обошла...

ის კედელი საშინლად დრეკადია (დინამიკურია), მიუხედავად იმისა, რომ იგი გრანიტის კლდეა, – დედამიწის წრის მეექვსედ ნაწილს მან, დიდი ხანია, რაც გაუსწრო... (იგულისხმება – რუსეთის იმპერიის ფარ-

გარე უკვე დედამიწის საერთო ფართობის 1/6-ზე მეტია).

ჩვენ მაინც უფრო ზუსტად გვასწავლიდნენ – ნერს კუშნერი: წრის კი არა, ხმელეთის, ხმელეთის ერთი მეექვსედი! (ნ.ზ.: სხვათა შორის, ჩემი მოსწავლეობის პერიოდშიც სულ ამას ჩავგვიჩინებდნენ – სსრკ მსოფლიოს ერთი მეექვსედიო; თუმცა ამგვარი „ცნობა,“ მასხოვს, გასული საუკუნის 70-იანი წლების ქართველ მოსწავლეებსა თუ სტუდენტებზე დიდ შთაბეჭდილებას არ ახდენდა: ჩვენთვის ეს რალაც განწყენებული ინფორმაცია იყო).

...საკმარისია – განაგრძობს კუშნერი, – აღარ განვიხილავ აღარც „თანამედროვეს“ „დროშები ფრიალებენ ბოსფორზე“, აღარც „ორ ერთიანობას“ და არც ტიუტჩევის სხვა „იდეურ“ ლექსებს, რომლებსაც ის სიკვდილამდე თხზავდა. მან სასიკვდილო სარეცელზეც კი, მას შემდეგ, რაც მღვდელმა უკვე წაიკითხა შენდობის ლოცვა, მოახერხა და იკითხა: „რა დანვროლებითი ცნობებია ზივის ალების შესახებ?“ (ციტატის დასასრული).

ამ ციტატას ორ კომენტარს დავურთავ: პირველი ის არის, რომ ტიუტჩევის შემთხვევაში წინასწარმეტყველების მეტნაკლებად ზუსტად ახდენა არ არის მთავარი, მთავარია – ხანგრძლივადიანი ხედვა, მისი ვექტორი, რომელიც „ცოცხალია“ დღემდე.

და მეორე: ის, რომ დიდ მისტიფიკატორს თავისი ცხოვრების ბოლო წუთებშიც რუსეთის მილიტარიზმი გაახსენდა, სრულიადაც არ არის შემთხვევითი... ეს მისივე შექმნილი მეტამითის „ჯადოს“ გაცხადებაა (იხ. ქვემოთ)...

საბოლოო ჯამში, მაინც რა არის ეს მეტამითი, რა არის უმთავრესი ტიუტჩევის მისტიფიკაციაში? ჩემი აზრით, ეს გახლავთ რუსეთის აბსოლუტური ღვთიურობის აღიარება, ანუ ამ დროს, ამგვარი მისტიფიკაციებისას ხდება რუსეთის ღვთიურ საიდუმლოსთან, ღმრთის ნებასთან (= არსებობად, ღმერთთან) გაი-

გვივება (ჰოდა, რაღა გასაკვირია, ბოლო წუთებში ერთი საიდუმლოს აღსრულების შემდეგ, მეორე საიდუმლოც თუ გაახსენდა დიდ მისტიფიკატორს?!).

სხვანაირად რომ ვთქვათ, რუსეთი და მისი გამოვლინება – რუსული სული, რუსული ხასიათი (რაც ტიუტჩევიდან და მერე ვლადიმირ სოლოვიოვთანაც აშკარად აღუზირებს სულიწმინდასთან და ამას რუსი მკვლევრებიც აღნიშნავენ) – რაღაც, გარკვეული თუ გაურკვეველი მიზეზების გამო კი არ არის იდუმალი, არამედ იმიტომ არის იდუმალი, იმიტომ არის ტრანსცენდენტური, რომ „ეს არის ის,“ თვით ღვთის საიდუმლო.

აი, ასე – მარტივად და ნათლად! და როგორღა შეიძლება ღვთის საიდუმლოს გონებით, გონებისმიერად, რაციონალურად გააზრება?! ის შეიძლება მხოლოდ განმდეს! – ტიუტჩევის, აი, ეს „ფორმულა“ სამარადღაჲმოდ ჩაიბეჭდა რუსულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში:

Умом Россию не понять,
Аршином общим не измерить:
У ней особенная статья –
В Россию можно только верить!

რუსეთს გონებით ვერ ჩანვდები,
საერთო არშინით ვერ გაზომავ:
მას განსაკუთრებული არსი აქვს –
რუსეთის შეიძლება მხოლოდ განმდეს!

და სწორედ ეს გახლავთ ტიუტჩევის უდიდესი მისტიფიკაცია, სწორედ ეს არის მეტამითის დასრულება! ასეთ „მეტაჩარჩოში“ ეტევა ყველა სხვა რუსული დერჟავული მითი, ასეთი ჩარჩო თუ განუსაზღვრელობა, განსაზღვრების apriori შეუძლებლობა ათავისულებს „რუსულ სულს“ ყოველგვარი რაციონალიზაციის აუცილებლობისგან. სხვანაირად თუ ვიტყვით, ეს არის ის, რაც მისტიკურ „აღიბის უქმნის“ დერჟავის ნებისმიერ იმპერიალისტურ ზრახვასა თუ ქმედებას. ამ გზით ტიუტჩევი, ფაქტობრივად, მითი დოქტრინად აქცია (თუ მითური დოქტრინა შექმნა) და „რუსული სულის“ უღრმეს ინდოქტრინირება მოახდინა!

აი, ეს, ასევე, ცნობილი ლექსი კი („ეს

საწყალი სოფლები“), „იდუმალი რუსული სულის“ შესახებ, თითქოს, ცოტათი მეტ „ინფორმაციას“ გვანვდის:

Эти бедные селенья,
Эта скучная природа –
Край родной долготерпенья,
Край ты Русского народа!

Не поймет и не заметит
Гордый взор иноплемennyй,
Что сквозит и тайно светит
В наготe твоей смиренной.

Удрученный ношей крестной,
Всю тебя, земля родная,
В рабском виде Царь Небесный
Исходил, благословляя.

ეს საწყალი (ღარიბი) სოფლები,
ეს მწირი ბუნება –
მრავალჭირთამთმენი მშობლიური მხარე,
რუსი ხალხის მხარეა!

ვერ გაიგებს და ვერ შეამჩნევს
სხვა ტომის ამაყი მზერა
თუ რა გამოსჭვავის და საიდუმლოდ რა
ანათებს
შენს მორჩილ სიშიშველში.

ჯვრის ტვირთით დამძიმებულმა,
შენ სულ მთლიანად, მშობელო მინავ,
მონის სახით, ცათა მეუფემ
კურთხევით შემოგაიარა.

მოდით, გადავხედოთ ამ კიდევ ერთი ნიშნული ლექსის „შინაარსს:“ „რუსი ხალხის მშობლიურ მხარეს“ – ამ „ტრანსცენდენტურ ფენომენს“ – თურმე მატერიალური სიღატაკის და ბუნებრივი გარემოს სიმწირის პირობებში ახასიათებს უსასრულო მოთმინება და რაღაც იდუმალი, რაც გამოსჭვავის ამ ლატაკ და ჭირთამთმენ სიშიშველში და რაც სრულიად გაუგებარია უცხოელისთვის, მიუნვდომელია უცხოელის, სხვა ერის წარმომადგენლის ამაყი (= ამპარტავანი) მზერისთვის (იგულისხმება, რომ სიმდაბლე რუსული სულის, რუსული ხასიათის პრივილეგიაა); და ამ „იდუმალი რაღაცის“ გენეზისი თურმე უკავშირდება იმას, რომ

ჯვრის მტვირთველმა „ცათა მეუფემ“ – მონად გარდასახულმა – შემოიარა და აკურთხა იმ მიწის ყოველი მტკაველი, რომელმაც შვა ეს იდუმალეობა...

და, ალბათ, ესეც სათქმელია: ასეთი მისტიფიკაციის – ქვეყნის, ეროვნების, ეროვნული ხასიათის უკიდურესი საკრალიზაციის – ერთ-ერთი სპონტანური, შინაგანი არსიდან მომდინარე „ავტომატური“ გამოხატულება შოვინიზმია: სწორედ ამიტომ ჰგავს ეს ტექსტი შოვინიზმით შეპყრობილის „ნახელავს“.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ დიდი მისტიფიკატორის „ჯადო“ დღესაც მოქმედებს; მაგრამ თეორიულად სხვა უნდა იყოს კაზაკების მსგავსი, პრიმიტიული დერჟავნიკები და სულ სხვა უნდა იყოს – პეტერბურგელი პროფესორები. საუბედუროდ, რეალობაში მათ შორის დიდი განსხვავება არ შეინიშნება და, ჩემი აზრით, სწორედ ეს არის ტიუტჩევის მეტამითის ძალა (რაც „პროფესორების გავლით“ ზემოქმედებს რუსული პოლიტიკური „ისტაბლიშმენტის“ მსოფლმხედველობაზე და, შესაბამისად, ქვეყნის მართვის თეორიასა და პრაქტიკაზე). ამის საილუსტრაციოდ და „რაკურსის“ დიდმნიშვნელოვნების გამო მომყავს ვრცელი ციტატა რუსი ფილოსოფოსის და კულტუროლოგის, ფილოსოფიის დოქტორის, ხელოვნების ისტორიის რუსეთის ინსტიტუტის სექტორის გამგის, კინოსა და ტელევიზიის სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის კათედრის გამგის, სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პროფესორის **ალექსანდრ ვაზინის** (დაიბ. 1945) წერილიდან „ფილოლორ ტიუტჩევი – იმპერიის პოეტი“:

„სულის (дух) ერთიანობა და მთლიანობა – აი, რა არის საჭირო რუსეთთან შეხებისთვის. ტიუტჩევის შემოქმედება იმის მხატვრული დასაბუთებაა, რომ რუსეთის ერთადერთი ცნება – ეს არის მისი საკუთარი სახელი („სახელდიდება“ – **имяславие**): ვერავითარი აბსტრაქცია აქ ვერ ივარგებს. სწორედ ეს არის რუსული სულიერ-ისტორიული რეალობის განსაკუთრებული არსი (суть). რამდენი

ფუჭი „რუსთმცოდნეობით“ კონცეფცია იყო შემოთავაზებული ანდა მისი „შესწორების“, ევროპეიზაციის, ამერიკანიზაციის რამდენი უშედეგო ცდა გვახსოვს! რუსული სულის ბირთვი, ღვთაებრივი „კოდი“ ყოველთვის ხელიდან უსხლტებოდათ რეფორმატორებს – და ამის საუკეთესო საბუთია ისეც და ისეც ტიუტჩევის პოეზია, სადაც მართლმადიდებლური რუსეთი დასავლეთს უპირისპირდება... შემთხვევითი არ არის ის, რომ ტიუტჩევის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ლექსი რუსეთის დანიშნულების შესახებ იწყება ცნობილი „რუსი ევროპელისადმი“ (კ.ვ. ნესელროდ) მიმართული დამამცირებელი სიტყვებით: «Нет, карлик мой, трус беспримерный...» [„არა, ჩემო ქონდრისკაცო, უმაგალითო ლაჩარო...“]. აი, გაგრძელება:

Не верь в святую Русь кто хочет,
 Лишь верь она себе самой, –
 И Бог победы не отсрочит
 В угоду трусости людской.

То, что обещано судьбами
 Уж в колыбели было ей,
 Что ей завещано веками
 И верой всех её царей, -

То, что Олеговы дружины
 Ходили добывать мечом,
 То, что орел Екатерины
 Уж прикрывал своим крылом,

Венца и скиптра Византии
 Вам не удастся нас лишить
 Всемирную судьбу России –
 Нет, вам её не заурядить!..

ვისაც უნდა, ნუ ინამებს წმიდა რუსეთს,
 ოღონდ მას (რუსეთს) სწამდეს საკუთარი
 თავისა, –
 და ღმერთი გამარჯვებებს არ გადაავადებს –
 მხდალი ხალხის საამებლად.

ის, რაც ბედისწერითაა დაპირებული
 მისთვის ჯერ კიდევ აკვანში,
 ის, რაც უანდერძა მას საუკუნეებმა
 და მისი ყველა ცარის რწმენამ –

ის, რის მოსაპოვებლადაც ოლეგის რაზმები იბრძოდნენ მახვილით (იგულისხმება – ოლეგ მომასნავებელი, რუსი თავადი, რომელსაც კიევის რუსეთის სახელმწიფოს დამაარსებლადაც განიხილავენ ხოლმე) ის, რასაც ეკატერინას არწივი თავისი ფრთით იფარავდა (იგულისხმება – ეკატერინა II), –

ბიზანტიის გვირგვინსა და სკიპტრას თქვენ ჩვენ ვერ ჩამოგვართმევთ, რუსეთის მსოფლიო ბედს – ვერა, თქვენ ვერ დააგუბებთ (შეამდოვრებთ, შეაფერხებთ)!..

ტიუტჩევის საუკეთესო ქმნილებები, – განაგრძობს კაზინი, – ეს თითქოს რუსეთის მიერ ღმერთისადმი აღვლენილი ლოცვებია: ჩემი კი არა, იყავნ ნება **შენი** (ნ.ზ.: ხაზგასმა აქაც და ქვემოთაც სტატიის ავტორისაა)... თავისი ისტორიული ცხოვრებით რუსეთი გვიმტკიცებს, რომ მას მეტად ეშინია ბოროტებისა, ვიდრე ტანჯვისა, და რომ ბოროტება მისთვის ეშმაკეული ნებაა, რომელიც ადამიანურ თავისუფლებას ღმერთთან მიმართების გარეშე განიხილავს. სწორედ ამიტომ არის მიუწვდომელი **წმიდა რუსეთი** უცხო მზერისთვის. ტიუტჩევა თავის ლექსებში, არსებითად, ერთგვარი „ერთგულთა ლიტურგია“ გამოსახა, რომელიც რუსულ მინაზე მუდმივად სრულდება, მაგრამ შეუმჩნეველია პროფანული დამკვირვებლისთვის. და საით უნდა ეჭიროს გეზი ცაბა მუფუფს, თუ არა ასეთი მინისკენ – სიძეთი დაცემული ბაბილონისკენ ხომ არა? ყველას ხომ თავისი ნამოქმედარის მიხედვით მიეზღვება (მათე 16:27)... ეკლესიის მამები თავის დროზე წერდნენ

ქრისტიანულ სამეფოზე – მაგრამ მათ ჯერ არ უწყოდნენ ჩრდილოეთის დიადი სამომავლო ქვეყნის შესახებ“.

ვფიქრობ, ყველაფერი ნათელია, უფრო სწორად კი – ბნელი... და ასე, ტიუტჩევისეულად, აზროვნებს დღევანდელი რუსი ინტელექტუალების უდიდესი ნაწილი...

და ბოლოს, შეიძლება, დავამატოთ, რომ კავკასიაში ტიუტჩევი არ ყოფილა და მასზე ლექსებიც სპეციალურად არ შეუთხზავს. ცნობილია მხოლოდ ეპიგრამა, რომელიც მან ლევ ტოლსტოის „კაზაკებს“ მიუძღვნა:

Затею этого рассказа
 Определить мы можем так:
 То грязный русский наш кабак
 Придвинут к высотам Кавказа.

ამ მოთხრობის განზრახვა
 ასე შეიძლება განვსაზღვროთ:
 ჩვენი ბინძური რუსული დუქანი
 კავკასიის სიმაღლეებთანაა მიწეული
 (მიახლოებული).

ამ ეპიგრამის ქვეტექსტი ცოტათი ბუნდოვანია; ზოგ მკვლევარს ეჭვიც კი ეპარება, რომ ეპიგრამა ლევ ტოლსტოის „კაზაკების“ გამოა შეთხზული. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ლიტერატორთა ერთი ნაწილი უარყოფითად შეხვდა ტოლსტოის ამ ნაწარმოებს – დაინახა რა მასში „მდაბალი თვისებების“ პოეტიზაციის ცდა; გარდა ამისა, ზოგიერთი მკითხველი ამ ეპიგრამაში ტიუტჩევის ირონიას თუ სარკაზმსაც აღმოაჩენს „კავკასიის სიმაღლეების“ მიმართ...



თოხნია ბობნიაშვილი

ქუჩა ტიროდა მაშინ

ყვითელი ჩიტი ჟანგიანი სახურავების გარშემო ტრიალებს. მისი ფრენა ძაღლის ყეფასავით შემანუხებელია. ის კბილის გამოუხარშავი იარაღებით ბურღვას ჰგავს. პეპელა, როგორც საქანელაზე მჯდომი ბავშვი, ისე მოძრაობს, მასთან ერთად ჩემი კორპუსიც ირნევა – აივნებზე გაფენილი შარვლები ღრუბლებისკენ მიიწევენ, თოვამი რკინის თეთრი ჭიქით ვდგავარ, რომელშიც ცხელი წყალი ასხია და დასიებული კბილის დაამებაზე ვოცნებობ. შეუძლებელია სიცვიეში კბილის ტკივილის ატანა. მინდა დავწვე და დავიძინო, მაგრამ ვერ ვახერხებ, დასიებული ყბა არ მასვენებს. სიცვიე მთელ ტანში მივლის, გველივით დაძვრება, მშხამავს, მკენს, ცდილობს დამაგდოს, მაგრამ ძალას ვინარჩუნებ. ფეხზე დგომა ვერ კიდევ შემიძლია. მარტო ვარ, სრულიად მარტო, ჩემს გარშემო არაფერია არის, მხოლოდ კერძო სახლების რამდენიმე მწკრივი და დათოვლილი ტრასა, რომელსაც შიგადაშიგ ვაბიჯებ. გარეთ ვიხედები, უბანს ვათვალიერებ, მაგრამ ვერაფერს ვამჩნევ. მეშინია. სიკვდილის არა, უფრო სიჩუმის. ჩემი უბანი სიჩუმითა არის სავსე ზუსტად ისე, როგორც ის ჩიტუნია... რა უნდა ახლა აქ?! საიდან გამოიჩეკა?! დიდი კლოუნია ისე! ცდილობს გამაგიჟოს, მაგრამ არა! ამის ნებას არ მივცემ. ჭიქა ცივდება და ცივდება ჩემი სხეულიც, უფრო და უფრო რთულია ტკივილის ატანა.

ჩემსკენ ლანა მოდის. ვარდისფერი

შარვალი და ნაცრისფერი პიჯაკი აცვია, ის ძალიან ლამაზია, სასაცილოდ ლამაზი. მისი დანახვა მამხნელებს და სიარულს ვინწყებ, მინდა დავივინყო, კარის გაღების ხმა რომ გამომეპარა და ვცდილობ, მხოლოდ ლანაზე ვიფიქრო. „ტკივილი ასეთია,“ საკუთარ თავს ვეუბნები. ასეთი მომენტები ხშირად გამოგეპარება, შენ ამაზე არ უნდა იწაღვლო. არ უნდა ვინაღვლო, მაგრამ მაინც ვწაღვლობ. ჩემს თვალზე ცრემლი მოგორავს, თოვლს ერევა და სკდება, იკარგება, როგორც ჩემი სიმშვიდე დაიკარგა ტკივილის დაწყებისთანავე.

– ძლივს ვიშოვე! – ლანას ხმა ზემოდან, ღრუბლებიდან მესმის. მერამდენე დღეა, კონცენტრაციის უნარი დაკარგული მაქვს.

– გეხვენები, სახლში შეიტანე და შემოვალ მალე – ყველაფრის თანმიმდევრობით დავიწყება მინდა. მინდა, მხოლოდ ეს ზამთარი მახსოვდეს. დანარჩენი თვეების გახსენებაც არ მსურს. ყველამ უხეში შეგრძნებები დამიტოვა, ყველაფერი რომ გავიხსენო, შეიძლება მართლაც გავგიჟდე.

ახლა ლანას სახეს ვუყურებ. ვცდილობ, ვუთხრა, როგორ მანუხებს ტკივილი.

– აფთიაქთან ჩაპი ვნახე, სიცვიისგან კანკალებდა, არ უნდა გაგეგდო. – ლანა საუბარს ასრულებს და კარისკენ მიდის. გავყვები – მეთქი ვფიქრობ, მაგრამ ვჩერდები, პირიდან ორთქლს ვუშვებ,

თითქოს ტკივილს ვეუბნები რალაცას, ვეუბნები, რომ მძულს, ან შეიძლება თოვლი მძულს, შეიძლება ორივე. ერთადერთი ვინც მიყვარს ლანაა.

- გეცოდება? გულახდილად მითხარი, თუ გინდა მოვიყვან.

- შენ გეცოდება? - მეკითხება ის.

- კი, თან ძალიან.

- მერე რატომ გააგადე?

- მე არ გამოგდია, ლანა! თვითონ წავიდა!

- თვითონ წავიდა?

- კი. რამდენი დღეა, სახლში აღარ შემოდის.

- იმიტომ, რომ ოთახებში შესვლის ნებას არ აძლევ!

- ბუნაგი ხომ აქვს?

.....

აღარაფერს ვამბობ. რკინის დიდ ყუთთან მივდივარ და ჭიქას ზედ ვდებ. შემდეგ ფარდულისკენ ვიხედები, სადაც ცარიელი ტომარები მეგულება. ლანა ხვდება, რაც უნდა გავაკეთო და ფარდულში შესვლას მასწრებს, ორი, ცარიელი ტომარა გამოაქვს, მე მანვდის, უხმოდ ვართმევ და ქუჩაში გავდივარ.

გზა მოყინულია, ნაძვის ტოტები ისეა დახრილი, სადაც არის, დაიმტვრევა და დამძიმებულ ასფალტს ოკეანეში ჩაიტანს. თოვლი ყველგანაა, როგორც ხიფათი, თოვლი ყველაფერს ჭამს, ის ჩიტი კი ისევ ისე უაზროდ ბზრიალებს - თავადაც არ იცის, საიდან გამოიჩეკა ამ შუა ზამთარში.

მანქანებით სავსე ორ ქუჩას ვჭრი და ეკლესიასთან ავდივარ. ყველაფერი სითეთრეშია ჩაკარგული, მხოლოდ რკინის დიდი ჯვარი მოჩანს ნათლად. მინდა ეკლესიასთან მივიდე, მაგრამ ვერ ვახერხებ, დალილობისგან კიდურები მიმძიმდება და ვჩერდები. ეკლესიის მოპირდაპირე მხარეს აფთიაქია. ძველი, ნახევრად დანგრეული შენობა, წლებია ასე დგას და არაფერი მოსდის, რომის კოლიზეუმივით მყარ ნანგრევად

იქცა. „მიხვედი უკვე,“ საკუთარ თავს ვამხნევებ, მინდა სახლში მალე დავბრუნდე, რომ კბილის ტკივილი შევიჩერო. სიცივეზე უფრო მიმძაფრდება ტკივილი, ფიქრის უნარსაც მართმევს - მონუმენტად მაქცია.

ასიოდე მეტრს კიდევ გავდივარ და საზარელ სურათს ვანყდები: უბნის ბიჭებს ჩემი ძალი რკინის ძელზე დაუბამთ და გუნდებს უშენენ. აფთიაქამდე ათიოდე მეტრილაა დარჩენილი, მაგრამ საბოლოოდ ვჩერდები, გუნდას ვკრავ და ერთ-ერთს თავში ვუმიზნებ.

მიზანი არ ტყუის! თოვლის დატკეპნილი მასა ხულიგან ახალგაზრდას სახეში ხვდება, ტირის.

დანარჩენები გაკვირვებით მომჩერებიან, ცდილობენ, ჩემი გახელების მიზეზი გაიგონ, მაგრამ არაფერი გამოსდით, მეორე გუნდა მეორე ბიჭს ხვდება, ამჯერად მხარში.

- ჩემი ძალია! მოცილდით! - ვყვირი მე. სიცივისგან გაყურებული ქუჩა ხმაურზე იმშუშნება, მალაზიებიდან ხალ-



ხი გამოდის, ტრასაზე იშლება. მე ხალხის დანახვა უფრო მაქვს და გუნდების სროლას განვაგრძობ.

- არ ვიცოდით, შენი თუ იყო! გაჩერდი, რა! - მეუბნება ბოტებიანი და ხავერდის ყვითელმარვლიანი ახალგაზრდა. - გიცნობთ, მაგრამ ეს ძალღიპი პირველად შევამჩნიეთ, დედას გეფიცები!

- სოფლიდან ჩამომიყვანეს ორი კვირაა. ეზოში მყავდა.

- მერე, რატომ გაუშვი? - მეკითხება ყველაზე დაბალი.

- თვითონ წამოვიდა. - ვამბობ თუ არა, ლურჯმარვლიანი ძაღლს მაშინვე უშვებს. განზე დგება, თავს ხრის, დანარჩენებს უყურებს - როგორც ჩანს, ყველაზე უფროსია.

- ბებერია! - ამბობს ცოტა ხნის შემდეგ.

- ძაღლი? კი, ბებერია! - ვუმომწბ მე.

გზაზე გამოშლილი ხალხი სანახაობას

უხმოდ უყურებს. ადამიანები ყინულის ლოლუებს ჰგვანან, ვერაფერს ამბობენ, საკუთარი სინდისის დასამშვიდებელს მაინც.

ტომრებს ნაგვის ურნაში ვყრი და სახლში ვბრუნდები. არ ვნანობ, ძაღლი რომ არ წამოვიყვანე - უნდა ვაცალო, მშვიდად შეასრულოს თავისი წესი, ის ხომ კარგი ძაღლია.

ხელში ისევ ის რკინის ჭიქა მიჭირავს, ლანას ვუშვრ. ის დივანზე ზის და ტელევიზორს უყურებს. სახლების ჟანდანი სახურავებს ისევ დასტრიალებს ის ყვითელი ჩიტი, არ ვიცი, საიდან მოვიდა, საიდან გამოიჩეკა ამ შუა ზამთარში.

- ძალიან გტკივა? - მეკითხება ლანა.

- კი, ლანა, ახლა უფრო მეტად ამტკივდა! - თავს ხელეში ვრგავ, ტირილი მინდა, მაგრამ არ შემიძლია - ჩემს წინ ლანა ზის, ქალი, რომელიც მიყვარს.

თელონიუსი ხაზგში

ჩემი შემოდგომა ასფალტზე გაგლესილი ყურძნის ფერია. ხეივნიდან შავი მარცვალი რომ ჩამოვარდება და რუხ ეზოს კიდე უფრო გაამუქებს, მაშინლა ვგრძნობ, შემოდგომა გვარიანად რომ მოუახლოვდა კალენდარს. მოუახლოვდა კი არა, დაიდო კიდეც ბინა ხის თეთრ ანათალზე, კედელს რომ არ სცილდება უკვე ნახევარი წელიწადია.

- არ ვიცი, ვინ უკრავს თელონიუსს, არ ვიცი, საიდან მოდის ეს ხმა, მაგრამ ნამდვილად მისი მუსიკაა. გეფიცები. - ჩაძინებას ვაპირებდი, ქეთევანმა ეს სიტყვები რომ მითხრა. რა თქმა უნდა, სერიოზულად არ მივიღე. ვის უნდა სცოდნოდა მისი აკორდები ან ამ ლამეში ვის უნდა გასჩენოდა სურვილი, თელონიუსი დაეკრა. ყურადღება არ მიმქცევია ქეთევანის ნათქვამისთვის, საბანი სახეზე წაეფარე და ძილის ოთახში ვცაღე შესვლა. - გეფიცები თელონიუსის მუსიკა! - იმეორებდა ჯიუტად.

- ქეთო, იცი, ასეთ დროს მძინავს

ხოლმე. მოისვენე და ეცადე, დაიძინო. იცი, რა კარგია ძილი?! - წამით გაეჭუმდი და... მართლა მისი მუსიკა იყო. გავოცდი, ყურებს ვერ ვუჯერებდი, ვერ ვხვდებოდი, რა ხდებოდა ჩემს ირგვლივ, ძილის შემოქმედება იყო თუ ცხადი სასნაული. აქ ვის უნდა სცოდნოდა მისი მუსიკის დაკვრა. ვის უნდა გასჩენოდა სურვილი? ღმერთო ჩემო, კიდეც ახდენ ასეთ სასნაულებს თუ უბრალოდ ნიშანია რაიმე, საფრთხისგან დასაცავი? ფანჯარაში გაიხედე, სიბნელე იყო. შუალამის ვაგონი დიდი ხნის შემოსული იყო დროის სადგურში. ვიცოდე, ახლა გარეთ გასვლა დიდი სისულელე იყო, მაგრამ მაინც ვუთხარი ქეთევანს: - გავიდეთ. თბილად ჩავიცვით და გავიდეთ. აქედან შეუძლებელია იმის გაგება, საიდან მოდის მუსიკა. - ჩვენი სახლი ჭალასთან ახლოს იდგა. სწორედ იმ ადგილას, სადაც ნოემბრის მგლები ბინადრობენ. ასე ეძახიან ჩვენთან მგლებს. ისინი მხოლოდ ნოემბერში არიან საშინში. მხოლოდ მა-

შინ ეტანებინ ხალხს, დანარჩენ თვეებში არავის ერჩიან. ის კი არა მეზობელი სოფლის მონადირეებს უნახავთ, ერთ-ერთი მათგანი ჯოგისგან მოშორებით იდგა და მაყვლის ძირებში დარჩენილ ქორფა ბალახს ჭამდაო. არ ვიცი, რამდენად დაეჯერებათ მათ, მაგრამ დღეს, როცა ოქტომბრის ბოლო დღეა, თორმეტი საათამდე უნდა მოვასწრო იმის გაგება, ვინ უკრავს თელონიუსს. თორემ მეც და ქეთევანიც ცნობისმოყვარეობის მსხვერპლი გავხდებით. ჩვენ უნდა შევძლოთ, დიდი სიცივის მიუხედავად, გარეთ გავსვლა; თუმცა მიუხედავად იმისა, რომ სოფელი თითქმის ცარიელია და ლამაზობით ქურებს არავინ ანიოკებს, მიუხედავად იმისა რომ ჭალა საესეა ხიფათით, ჩვენ უნდა შევძლოთ გზის გადალახვა.

ჰო. ჩვენ ქუჩაში გამოვედით. მივდიოდით ჭლიან ქვიან გზაზე და ვაკვირდებოდით ტირიფის მაღალ ხეებს, რომლებმაც იმ ღამით ყველაფერი იცოდნენ ამ ადგილების შესახებ. მინდოდა მეკითხა, საიდან მოდიოდა მუსიკა, მაგრამ ხმის ამოღებას ვერ ვებედავდი. ტირიფებს არ სურდათ ლაპარაკი. ისინი ხომ სიჩუმის შვილები არიან.

ივრის ხმამ ქეთევანის ყურადღება მიიქცია. მას სურდა, გაეგო, რატომ ბორბავდა მხოლოდ ის მდინარე, როცა მთელი სოფელი და ჭალა ძილის მატარებელს მიჰყვებოდა ატმის ბალებისკენ. ეს ის სოფელია, რომელმაც ყველაზე მეტად შეიყვარა შემოდგომა. მაშინ როდესაც მთელი ქვეყანა მის სიცივეს გაუზრბის, ხაშმი დგას დინჯად, როგორც შავი გემი ტალღის გრძელ კორიდორში და უყურებს შემოდგომის ჯარვისფერ თვალებს, რომელსაც, სადაცა არის ცრემლის მორიგი წვეთი მოსწყდება.

საათს ვუყურებდი, თერთმეტი ხდებოდა. ნელა-ნელა მკლავებს იზრდიდა ღამე.

- წყდება, ხედავ? ვერ გაიგებ, ვინ უკრავს. აქეთ სახლები აღარ არის. აზრი არა აქვს წინ წასვლას. - მუსიკის შორეულ სიძლიერეს ქეთევანის შიშნარევი ხმა შეერია და მე ველარ გავძელი.

- ასე ფიქრობ? არ ვიცი, რა გითხრა. - ხმა ქრებოდა. თითქმის აღარ ისმო-

და. უკან ვაპირებდით დაბრუნებას, რომ ისევ გავიგონეთ მკაფიო ბგერები.

- ნამომყევი. - მე და ქეთევანი დამშრალ ტბაში შევედით. ის ცარიელ აუზს ჰგავდა, უზრმაზარ, ცარიელ აუზს, რომლის ნაწილიც ბაყაყების სამეფოდ ქცეულა. ახლა იქ შესვლა სახიფათოა. შეიძლება ფეხი ჩაგეფლოს ნიადაგში და ბოლომდე ჩაგითრიოს.

- ფრთხილად ვიაროთ, რა. მეშინია. - ცოტა ხანში მდინარესთან ჩავედით. მინდოდა, ჩემი თვალი მენახა ის, რაც წლების წინათ მიამბო პაპამ. მან მითხრა, რომ ყოველ წელს, ოქტომბრის ბოლოს, ივრის ნაპირთან თელონიუსი მოდის და საოცარ მუსიკას უკრავს. პაპა მეუბნებოდა, რომ მხოლოდ ის მეგობრობდა ნოემბრის მგლებთან; მითხრა, რომ მათ უყვართ თელონიუსის მუსიკა. მაშინ არ დავიჯერე, არც კი ვიცოდა, რას ხედავდნენ მუსიკაში განსაკუთრებულს. მე ის მაშინ არ მჭირდებოდა.

ივრის ტალღები ვერცხლისფრად ანათებდა. ნაპირამდე აღწევდა სინათლე. მე და ქეთევანი ვუყურებდით ჯერ მდინარის საოცრებას, შემდეგ კი ნაპირთან მდგარ ფორტეპიანოს, რომელთანაც თელონიუსი რკდა. მას დიდი შავი ქუდი ეხურა თავზე.

- დიდი ხანია აქ არის, ნეტავ? - ქეთევანი ვერაფერს ხვდებოდა. მისთვის არასოდეს მომიყოლია პაპას ნაამბობზე. მან არაფერი იცოდა თელონიუსზე; მან არც ჩემზე არ იცოდა რაიმე; ისიც ისეთივე ზმანებას ჰგავდა, როგორც ივრის ნაპირთან მოწყობილი სანახაობა.

საათისთვის არ დამიხედავს. არ ვიცი, ასე მალე რატომ გამოვიდნენ ნოემბრის მგლები. დანამდვილებით შემიძლია თქმა, რომ თორმეტი ჯერ არ იყო. ყოველივე იმდენად მალე ხდებოდა, შეუძლებელია, მთელი საათი გასულიყო.


მგლები ფორტეპიანოს გარშემო ჩამკრივდნენ ხეებივით. ჩვენ უკან დავიხიეთ, თელონიუსმა კი დაკვრა განაგრძო. ის გამეტებით ურტყამდა ღონიერ თითებს შავ-თეთრ კლავიშებს. თელონიუსი იორს ჰგავდა, მღელვარე იორს, რომელმაც არაფერი იცის ძილის შესახებ. მე და ქეთევანი მგლებს ვემსგავსებოდით - მათსავით

გაკვირვებით შევცქეროდით ჯერ ვერცხლისფრად აელვარებულ მდინარეს და შემდეგ ცას, იქ მუსიკის ჭრელი ნემსები ჩანდნენ, ისინი ბუმტებოვით ხეთქავდნენ ღრუბლებს და ვერცხლისფერი ქვიშით ავსებდნენ მდინარის ტალღებს.

ჩემი შემოდგომაც და ჩემი სოფელიც

თელონიუსის მუსიკის ფერია. ისევე, როგორც შენი თვალები, ქეთევან.

ხეივნიდან შავი მარცვალი რომ ჩამოვარდება და რუხ ეზოს კიდეც უფრო გაამუქებს, მაშინლა ვგრძნობ, შემოდგომა გვარიანად რომ მოუახლოვდა კალენდარს.





ბუხამ შებხაიცივილი

აკუნინიადა

დილის რომელიღაც საათზე რო სპარტაკას ხარი გაგაღვიძებს და რომ არ იცი, სად ხარ, ეგრე ვიყავი. კი დამპირდა, ისე დაგათრობ, ისე დაგათრობ, სადაურობა-საც დაგავიწყებ და სახელსა და გვარსაცო.

- რა გქვია? - მკითხა ტელეფონში.

- ოო, კაი რა, რა რა მქვია, რა დროს ეგაა, დამაძინე თუ ძმა ხარ! - სპარტაკას ხმა გაორებულიად მესმოდა და მივხვდი, რომ ჩემი საქმე მთლად კარგად ვერ უნდა ყოფილიყო.

- რა გქვია-მეთქი.

- გურამი, გურამ თეიმურაზოვიჩ მერგელიშვილი. კაია?

- სიდან ხარ წარმოშობით?

- მერე, აკუნინზე რო გაგვიანდება თუ იცი?

უკარება გოგოს რო ლექტორი უპნენს, ისე წამოვხტი შუშინებული. „აკუნინზე მიგვიანდება!“

აკუნინის მონევეა ჩემი იდეა იყო. ის - რუსეთზე გაბრაზებული, ჩვენ - ევროკავშირის წლებთან დაკავშირებული ზიემებით ზედმეტად აღზნებული და დრო ვიხელთე, ზესტაფონის გამგობაში წერილი ვაფრინე, არიქა, საიუბილეო წელი აქვს მწერალს და მისი სახელობის სკვერი გავხსნათ ზესტაფონში-მეთქი. თან მივყაოლე, ეგრე კაცი რუსებს გაუბრაზდა, მსოფლიო იცნობს, ჩვენც კარგად შევფუთავთ ამ ამბავს და ვიქნებით ყველა ინდური კინოს პერსონაჟებივით (ბოლოში) კმაყოფილები-მეთქი.

არ ვიცი, რა ანონ-დანონეს და ვინ

ანონ-დანონა, მაგრამ პასუხი კი თხუთმეტ სამუშაო დღეში მომივიდა ფოსტით, ბატონო გურამო, სკვერის რა გითხრათ, თუ სახელმწიფო მნიშვნელობის ფიგურა არ არის და პოლიტიკაში დიდი ამბები არ გაუკეთებია, სკვერს მის სახელს ვერ დავარქმევთო, მაგრამო, აგერო, გავიკითხეთ-გამოვიკითხეთ და ზესტაფონში მართლა დაბადებულია ეგ თქვენი ნახუნები კაცი და შეგვიძლია, სადაც დაიბადა, იმ ქუჩას დავარქვათ მისი ღრმადპატივსაცემი სახელიო, ოლონდო, აკუნინი ძალიან რუსულად უღერს და ჩხარტიშვილ-აკუნინის ქუჩა იქნებაო.

ამ სტერეოტიპებს ხო ვერ გავცდით და ჯანდაბას, ვიფიქრე, ოლონდ დაარქვან და დაარქვან. რაც უნდათ.

ჩემ მშობლიურ სოფელში, კაი ათი წელი იყო, ნამყოფი არ ვიყავი (ავტობანზე ჩავლა-ჩამოვლას თუ არ ვიგულისხმებთ) და ვიფიქრე, ქუჩის გახსნამდე 2-3 დღით ადრე ჩავალ, მივიხედ-მოვიხედები, მუავე იმერულ ნაჭყამალე ღვინოს დავლევე, მაყვალში ჩადებულ დედალს კბილს გავკრავ, ძირულაში „თავლიასთან“ ვიბანავებ, ნათესავებს ვნახავ და ეგეთები. ნავედი 18 მაისს. შორაპანი კია ზესტაფონამდე, მაგრამ ვინ მიმიშვა სოფლამდე - ილემის გადასახვევთან დამხვდა ჩემი ძმაკაცი სპარტაკა და ყაბარდოული ცხენები არ გაუტაციათ ისე, იმან რო გამიტაცა ზესტაფონისკენ.

სპარტაკა შემთხვევით გავიცანი, ჩვენ საერთო ძმაკაცს ახლდა პარკში, სადაც

ლუდის დასაღვევად შევიკრიბეთ ერთ მათს. სპარტაკას ხელში რალაც უცნაური მახინჯი ცხოველი ეჭირა და ეფერებოდა. მაშინ, მახსოვს, კი ვიფიქრე, ეს მგონი მთლად მატორზე ვერ უნდა იყოს-მეთქი (ალბათ, მალალი, გამხდარი და დაბოლილი რომ იყო, იმიტომ), მგონი იმანაც იგივე იფიქრა. ცივად მივესალმეთ ერთმანეთს და ლუდის სმა განვაგრძეთ. მერე სპარტაკამ ქალღალღში გახვეული „პლანი“ ამოიღო, ის თავისი მახინჯი ცხოველი მუხლებზე დადისვა და „შეკეთება“ დაიწყო.

ზღვის გოჭმა მუხლებზე მაგრად დამაფსა. ეს მაშინ გავიგე, მონეული რომ მქონდა რალაც სამინელება, ქოთანში გამოყვანილი სპარტაკას რეცეპტით, მაგრამ არ მწყენია, უკვე ძმაკაცები ვიყავით მე და ჩემბუბური სპარტაკა. რომ გავიგე, ზესტაფონელი ყოფილა, გამიხარდა. მშობლიური კუთხიდან ვინც არის ხომ ყველა გიყვარს ადამიანს.

მერე გავიგე, თურმე რალაც სპეციალურ ექსპერიმენტებს ატარებდა კანაფზეც და ადამიანებზეც (მაშინდელი მმართველი პარტიის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი სპარტაკას ხელში გამოვლილი თავი ყოფილა და, სპარტაკამ დავგულუპა და დაგვაქციაო ვხუმრობდით ხოლმე მეგობრები). სრულიად უნიკალური ნიჭისა და გაქანების კაცი იყო, როგორც თამაზა ქვრივიშვილი იტყოდა ხოლმე, სხვა მასშტაბებზე მოაზროვნე, მაგრამ დიდ ავიაციას შეეშვა და მშობლიურ ზესტაფონში გადასახლდა ისევ.

ნინა საღამოს სწორედ სპარტაკასთან დავთვერით და ახლა ბუნდოვნად ვიხსენებდი ყველაფერს.

– ყოჩაღ ძმაო, სმა ისევ შეგძლება, აი! – მხარზე ხელი ისე დამარტყა სპარტაკამ, მობილური ტელეფონი გამივარდა. ახლა მივხვდი, რატომ მესმოდა მისი ხმა გაორებულად.

– რა იყო, ჩამიყარეთ რამე? – ძლივს ნამოვიხეი თავი, ტანი, ფეხები.

– გადაჩვეული ხარ ჩვენებურ ღვინოს და მიტომ! – მითხრა სპარტაკამ და, სანამ ხელ-პირი დავიბანე და აზრზე მოვედი, ცხელ-ცხელი, რძეში გადახელილი იმერული ყველის სუპი დამახვედრეს. იმერეთში ხაში დიდად არ იციან, ჩიხირთმა,

ბოზბაში და ეგეთები საერთოდ არ იციან, არტალის ნახარშს მწვანილით უფრო ეტანებიან ხოლმე, მაგრამ ეს საოცრება, რაც ნაბახუსევზე გავსინჯე, მეც პირველად ვჭამე.

იმერეთის ბუნება იქაურ საქმელშიც კარგად ჩანს და ღვინოშიც (წუხანდელ ღვინოს არ ვგულისხმობ, აქეთ ღვინის ყიდვა არ ღირს, თუ დალევ, სანდო ოჯახში, ოჯახის ღვინო უნდა დალიო). საქმელი ეკლექტურია, საქართველოს ყველა კუთხის კერძი იმერულ სუფრაზე შეიძლება შეგვხვდეთ. ის, რაც კახეთში თითქმის მიუღებელია (მაგალითად, ღომი), და ისიც, რასაც სამეგრელოში პრაქტიკულად ცუდად ამზადებენ (მაგალითად, ხინკალი), მაგრამ იმერეთს თავისი განსაკუთრებული სამზარეულოც აქვს, ისეთი, როგორიც სხვაგან არსად იციან.

მაგალითად, რად ღირს ეკალას ძმარსა და ნიგოზში ამოღესილი ფხალი (და სხვა ფხალეულობა კიდევ ზედ დატანებული) ან ქოთანში ამოღესილი ღობიო კეცზე თხლად გამომცხვარი (თუ ზემო იმერეთში ხარ, სქლად დასმული იციან) მჭადით. ხორცეული გიყვარს და, ქათმისგან ისე სად ამზადებენ კერძებს, როგორც შუაგულ იმერეთში იციან? ან ნიგოზში (შეიძლება ისრიმ-მაცვალშიც) ჩადებულ „კვატა“, რომელ ებრაელ მზარეულს არ მოუშხამავს შურით გუნებას? უფრო მსხვილი ხორცეული თუ გინდა და, სტალინის არ იყოს, ტელეფაში გაზრდილი დაკლული ბატკანი რომ საუკეთესოა, ეს ამბავი ნიუ-იორკშიც კი იციან. ფრთოსნებს რომ მივუბრუნდეთ ისევ, ტაბაკაზე შემწვარი ზემოიმერულ სიმინდზე გაზრდილი წინილა გინდა ნიორ-წყალში, გინდა ისე, უნივროდ, სხვაგან სად მოაქვთ ისეთი რუდუნებით, თითქოს ეს-ესაა სამშობიაროდან პირველშობილი გამოყავს დედასო? ახლა სანებლები, ბატონო? გოჭის ხორცი რა მოსატანია სუფრასთან, როცა იმერული სანებელი დევს მაგიდაზე? არა, იმ გოჭსაც კი გაკრავ კაცი კბილს, მაგრამ უფრო იმიტომ, რომ სანებლის გემოს უკეთესად ჩაატანო გემო. და ნიგოზიანი აჯიკა? სამწუხაროდ, ამ ნეტარების გასინჯვა ასე უბრალოდ და ასე მარტივ-

ვად შეუძლებელია, საამისოდ გასვენება საჭირო, გასვენებისთვის კი ვინმე შინაურ-ახლობელი უნდა გყავდეს იმერეთში (მასხოვს, ზაზა ვარდიანიძე მყავდა შორაპანში ნაყვანილი და, იმდენი ველაპარაკე ფურჩიან დოქსა და ნიგვზიან აჯიკაზე, ჰამაკში ჩანოლილი ღმერთს ევედრებოდა, ვინმე ასაკოვანი ადამიანი ამქვეყნიური ტანჯვისგან დროულად ეხსნა, რომ გასვენებაში მივსულიყავით და ეს დალოცვილი აჯიკა გაგვესინჯა).

ახლა ჩადებული ინდოური (რამია ჩადებული, ეს მარტო ღმერთმა და დიახახლისმა იცინა)? და, რომ მოაყრიან მოლოქსა, ჩიტისთავას, ჯიჯილაყას და მანჭკვალას, ბატონო, თუ არ შეიხსენი ყველა ღილი, რაც გაქვს, ე იქ გაქვს, უკაცრავად და, დარხეული.

თეზი გინდა და რა სჯობს ყვირილაში (ჭიათურამდე) და ძირულაში (ზესტაფონამდე) დაჭერილ მურნას? სანურიდან ახალი გადმოღებული რომაა, ცალ მხარეს შემშრალი ცხიმისანი წყალი რომ აქვს შესქელებულად მიკრობილი, მასპინძელი რომ განახებს, ჭამა როგორ უნდა, ტუჩს ტუჩზე რომ მიადებს მურნას და მერე უცებ კუდიდან რომ დეინყებს ჭამას, ეს ვანახოთ მსოფლიოს, მეგობრებო, და ნამდვილად აღარავინ იტყვებს ურაცის ნავთობსა თუ ირანის გაზზე.

ახლა ღვინოს არ იტყვი? ციცქა და ცოლიკაური გასაგებია, მაგრამ ძელშავი? ოჩხანური მალღარი, მისა, ღრუბელა, ცვივანა, ჯორა, ჭანგილოური, ქვიშხური, კრახუნა, ქისი, კაპისტონი, ოცხანური საფერე, ჩემო ბატონო, და თუნდაც დონდლაბი იყოს (გერმანელები რომ გვედავებინ და გვედავებინან). მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ეს ყველაფერი იყო და იყო დილის რძეში გადაზეულილი იმერული ყველის სუპიც, რომელმაც, ვაღიარებ, მიშველა.

ქუჩის ოფიციალური გახსნა საღამოს იყო, მანამდე ზესტაფონში გავლა შემომთავაზა სპარტაკამ. ვიცი მე ეს გავლები, რაც არის. შეგათრევს ვინმე იქაური სახლში, ამოგტენის თონეში შემწვარი მწვადითა და კეცზე დამცხვარი ხაჭაპურით, ჭურის თავზე გასმევს ღვინოს ჭინჭლით და, სულამოხდელს

რომ მიგასვენებენ სადმე სტუმრისთვის განკუთვნილ ლოჯინზე, ე მაშინ ამოისუნთქებს შვებით მასპინძელი.

ეს ყველაფერი ხომ ვიცოდი, მეც იმერელი არ ვარ? ხოდა, მეოქი, არ მინდა „გავლა“, აგერ ჩავსხდეთ ჩემ მანქანაში და მივიდეთ „ზესტაფონის“ სანვრთნელ ბაზაზე, ჩემი ბიძაშვილის შვილი გიორგი მეგრელიშვილი მინდა ენახო. თან ლიგის მოგებას მიველოცავ (გიორგიმ „ზესტაფონი“ ორი წლის წინ ჩაიბოძა, როგორც მწვრთნელმა, და ნელს ჩემპიონთა ლიგა მოიგო საქართველოს ისტორიაში პირველმა), თან მამამის გელასთან სათევზაო ბადეს დავაბარებ, საღამოს გავუვლი და თბილისში წავაყოლებ ხელს.

შენ ისე ნახვალ ამელამ თბილისში, როგორც ბებიჩემი ვარვარა ნავა საღამოს კაბით ქუთაისში აბესალომ და ეთერიზეო, დამცინა სპარტაკამ და მივხვდი, რომ დიდ შარში ვიყავი.

გიორგი ბაზაზე არ დაგვხვდა. ტელეფონი, როგორც ყოველთვის, გამორთული ჰქონდა. რამდენიმე უცხოელი ტურიტი იყო და მოედანს ათვალეერებდნენ, სუვენიერებს ყიდულობდნენ. მე ხომ აყოლა ვიცი და, მეც ვიყიდე დროშა, მაისური და ჭიქები. ალიანს არეწაზე არ მიყიდა ეგეთი პაჭაპუჭა რალაცები და მაინცდამაინც ზესტაფონში კი ვიყიდე (ბოლოს ეს ყველაფერი ჩემ დიშვილებს ერგოთ ნილად). საღამომდე კიდევ ოთხი საათი გვრჩებოდა. „შუალედურზე“ (იმერულად ეს არის სანამ მთავარი სუფრა გაიმდება, მწვანილზე, მწნილზე და მსუბუქ ხორცულზე პირის გავარჯიშება) „აპაპაპაპა“ ვთქვი და, დრო რომ გაგვეყვანა, შორაპანის ციხის დასათვალეერებლად წავედი.

ზესტაფონი ძალიან შეცვლილი იყო, იმ ძველი ქალაქიდან, არც ერთი მთავრობის მოსვლა რომ არ დაეცყობოდა ხოლმე, თითქმის აღარაფერი დარჩენილიყო. ქალაქელების დიდი ნაწილი პროთეზების და ფაზლების ქარხანაში მუშაობდა. ფაზლების ქარხანა მას შემდეგ გაიხსნა, რაც ალექსა ჩიქოვანმა ზესტაფონის რებრენდგს მოჰკიდა ხელი. თავის დროზე ალექსამ ხარაგაულის რებრენდინგი ჩაატარა ხუთიანზე და ზესტაფონის მერმაც ამ პირობით დაიქირავა. ალექსა ჩიქოვა-

ნი რისი ალექსა იქნებოდა ალლო უცბად რომ არ აელო ყველაფრისთვის. რა გაქვთ ზესტაფონელებს მაგარი? ღვინო? დიდი ბოდში, მაგრამ ნიშა დაკავებულა. საფეხბურთო კლუბი? ეს წელს, გაისად აღარავის ემასხოვრებით ლიგერპულივით. ტრიო? რა ტრიო? ქალაქური მუსიკის? ხუმრობთ? და, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ შორაპნის ციხე უნდა ეხსენებინა ვილაცას. ამ ციხეს კი იმის გარდა, რომ სტრაბონი ახსენებს „სარაპნის“ ციხედ, ფარნავაზ პირველს მიანერენ მის აგებას და ოთარ ჭილაძეს თავის რომანში რამდენიმე გვერდი აქვს მიძღვნილი, ქვეყნის მთავარი ლეგენდა უკავშირდებოდა – არგონავტების მითს ვგულისხმობ.

რატომაც არა, ხო? არ არის დადასტურებული? ბევრი რამე არაა დადასტურებული, „მეფუთისთვის“ კი მშვენიერი ბრენდული პროდუქტი იყო.

და ის წელი „ოქროს სანმისის“ წლად გამოცხადდა. დაინერა ბევრი ნიგნი, მუსიკა არგონავტებზე. გადაიღეს ორი ცუდი და ერთი კარგი ფილმი მედიაზე. მოიწვიეს საერთაშორისო ექსპერტები და დაიწყეს უთავბოლო თხრა და თხრა აქეთ ხომლის მთისა და იქით შორაპნის ბორცვებისა (იქ, სამწუხაროდ, ნახმარი ელემენტების მეტი არაფერი უპოვნიათ). მოძებნეს ყველა ის ადამიანი, ვინც ტიმ სვერინი ცოცხლად ნახა, ხელი ჩამოართვა თუ დედა აგინა. მოატარეს მთელი ქვეყანა, ტელევიზიები. იყო მთელი შოუები და ქვითინი, ტურისტებისთვის „ოქროს სანმისი“ მითის ცხვირში შეტენა, მასიურების ბეჭდვა და გოგოებისთვის მედეას დარქმევა და, საბოლოოდ, წლისთავზე, ცოლი რომ ნიშანს მოგცემს რალაც გაინძრო და რომ შემფოთდები სიხარულით, ეგრე მისცა ნიშანი ქალაქს პირველმა ინვესტორმა, ყოფილი „ფეროს“ ტერიტორიაზე უზარმაზარი ფაზლების ქარხანა რომ გახსნა. და რას ანარმოებდნენ ამ ქარხანაში – „ოქროს სანმისის“ მითზე აგებულ ისტორიებს (ახლა ამ ფაზლების შეძენა ნებისმიერ დროს შეიძლება ამაზონზე. მიტანის საფარაუდო დრო 17-23 საშუალო დღეა და სულ რაღაც 6.99 დოლარი ღირს).

შორაპნის ციხე აღდგენილი იყო. მე

არ მიყვარს აღდგენილი ციხეები, მაგრამ უფრო არ მიყვარს დანგრეული ციხეები. შორაპნის ციხე კი ძალიან კარგად იყო რესტავირებული (ცნობილმა რესტავრატორმა დოდო ჭიკაძემ აღადგინა). ციხის ირგვლივ რამდენიმე სუვენირის მაღაზია და ლია კაფე იყო. კაფეს დანახვა არ მესიამოვნა, ბავშვობაში, ჩემი ცხოვრებული მეგობარი გია (გიკუნა) ვოროჩენკო გაიშვერდა ხოლმე ხელს დანგრეული ციხისკენ და იტყოდა: მანამდე მაცოცხლა, ნეტავ, შორაპნის ციხეზე ყავას რომ დავლევთო. ამიტომ, სპარტაკამ ყავის დაღვევა რომ შემომთავაზა, ცივი უარი ვუთხარი და გველნაებნივით გავცლდი იქაურობას. გიკუნას გახსენებამ ცუდ გუნებაზე დამაყენა. სოფელში ჩასვლა მისი და დედამისის, ლია დეიდას გამო მიყვარდა (ლია დეიდა, არ ვიცი, საიდან, მაგრამ ყოველ წელს ახალ-ახალ ზღაპრებს მიყვებოდა ისე, რომ ბროდვეის ნებისმიერ არტისტს შურისგან მუშტების დაკბენა მოუნდებოდა. მე მიმაჩნია, რომ ჩემ მწერლად შედგომაში ლია დეიდამაც დიდი ნვლილი შეიტანა). ნაკვიყვანდა ხოლმე მე და გიკუნას ბოსელში და თან ძროხას ნველიდა და თან ზღაპრებს გვიყვებოდა ხოლმე. მერე დედა-შვილი ნადრევად წავიდნენ ამქვეყნიდან და მეც შორაპანში იშვიათად დავდივარ.

ოქროს სანმისის თემაზე გაკეთებული რამდენიმე სუვენირი ციხესთან გახსნილ მაღაზიაშიც ვიყიდე. ტურისტების ბუმი იყო-მეთქი, მოვიტყუები, მაგრამ ალაგ-ალაგ ოთხი-ხუთი დამთვალეიერებელი დახეტიალებდა. პრინციპში, შორაპნის რესტავირებულ ციხეში სანახავი ბევრი არც არაფერი იყო – მსგავსი ციხეები ხომ მხოლოდ ისტორიულ კონტექსტში ათასი მოგონილი თუ ნამდვილი ამბის გაცოცხლების შემთხვევაშია საინტერესო. ციხის ლეგენდა კი, ის-ის იყო (მართალია, მე მითის შექმნაში მონაწილეობის მისაღებად არ დამიძახეს, მაგრამ ჯანდაბას), იქმნებოდა. ადგილობრივმა გიდმა გვირავი გვაჩვენა, რომლითაც ციხის მცხოვრებლები ალყის დროს მდინარესთან ჩადიდდნენ. მსგავსი გვირავები ბევრ ციხეს აქვს, თითქმის ყველას, რაც კი მინახავს და შუა საუკუნეების ან მა-

ნამდელი ციტადელია. გვირაბში ჩასვლა მაგრად მეზარებოდა, მერე რა, თუ ყველიანი სუპი გაქვს კაცს ნაჭამი, ნაბახუსევზე ზედმეტი მოძრაობები მინც არასასურველია, მაგრამ, სპარტაკა ისეთი გულანთებული იყო, ხათრი არ გაუტეხე და ოციოდე მეტრი ჩავედი კიბით. გვირაბი ტერასებად იყო დაყოფილი. თითო ტერასაზე მცირე ოთახებივით საცავები იყო მოწყობილი, როგორც ჩანს, აქ იარაღს, სურსათს ან ტანსაცმელს ინახავდნენ. თავბრუ დამეხვა, მართლა დამეხვა და ბოდმის მოხდით ისევ ზევით ამოვედი. ისტორია კარგია, მაგრამ კარგია, სანამ ჯანმრთელობას არ ავნებს.

კიდევ სამი საათი იყო ქუჩის გახსნამდე დარჩენილი, როცა სპარტაკას გამგეობიდან დაურეკა ახლობელმა. სახე ისე შეეცვალა, მივხვდი, რაღაც არ იყო კარგად, და თვითონვე მითხრა, რამდენიმეკაციანი რადიკალურად განწყობილ მორწმუნეთა ჯგუფია ჩამოსული და ქუჩის გახსნის დროს ტრანსპარანტების გაშლას აპირებსო. რომელი განდი აკუნინი მყავდა, მორწმუნეთა ჯგუფს მისი სახელობის ქუჩის გახსნა ეპროტესტებინა, მაგრამ ჯანდაბას, თავისუფალი ქვეყანაა, ვისაც რა უნდა, ის იყვიროს, შთავარია, ორი წლის წინანდელივით ყოვლად გაუგებარ კვერცხების წვიმაში არ მოვხვდარიყავით და ტრანსპარანტებს კი აიტანდა კაცი.


- არ დაეზარათ თბილისიდან ამის გამო ჩამოსვლა? - მხრები აიჩეჩა სპარტაკამ მე კიდევ გაბრაზებულმა ჩაიბურტყუნე: - შენი ღვინო უნდა დაგველევივნებინა, ყველაფერი ჩაივლიდა მშვიდად!

ნუ გადამაყოლებ ამ ღვინის ამბავსო, გაცხარდა. მგონი, მართლა ეწყინა და ეგრევე მოვკეტე.

ზესტაფონის გამგეობაში ცოტა ღელავდნენ. ხელისუფლებას ძალიან არ მოსწონს ხოლმე ტრანსპარანტები, თუნდაც ისეთი სულელური რამეები ეწეროს ზედ, რაც იმ დღეს ეწერა.

მაგალითად: „აკუნ = ბოროტ ადამიანს,“ „შეიცვალე მეტსახელი - განუდექ ეშმაკსა!“, „ძირს ფსევდონიმები. ფსევდონიმობამ დაგვლუპა. გაიხსენეთ ღვინო!“, „We are aganst Jiapon Expansion!“ და სხვა.

სპარტაკა გვამშვიდებდა, ყველაფერი კარგად ჩაივლის, იმერლების პლასტიკურიობის ამბავი ხომ იცით, დიპლომატიურად ისე მოუგვარებენ ამათ, გახსნისას



ყველაზე მქუხარე ტაშს ეგენი დაუკრავნო.

ტაში არა, მაგრამ ბევრი მართლა არ უყვირიათ. თან იმერული წვიმა წამოვიდა. აი, არც ძალიან თქემი, ხულოში რომ იცის, და არც ძალიან ჟუჟუნა, სამეგრელოში რომ წამოასველებს ხოლმე. არც ისეთი უჟმური, კახეთში რომ დაუშებს და მწვადს მოგანდომებს, და არც ისეთი

ხანმოკლე, ხევსურეთში რომ გაგლუმპავს და მერე აგაშრობს. საშუალო, დინჯი ნიმი ნამოვიდა გახსნამდე ორი საათით ადრე. ტრანსპარანტებზე გარკვევით რაც ეწერა, იმის გარჩევაც გაჭირდა, არათუ დამახინჯებული ინგლისურით დაწერილის. აკუნინი მანქანიდან არ გადმოსულა – გაციებული ვარ და ფილტვების ანთებას ვერ გადავიტანო. ფანჯარა კი ჰქონდა ჩამონეული, სანამ გამგებელი სიტყვით გამოდიოდა და სახეზე წურწურით ჩამოსდიოდა წყალი. მე ქოლგის ქვეშ ვიდექი, რა მენაღვლებოდა. ხალხი არ მოვიდა ბევრი, როგორც ასეთ დროს ხდება, ინტერესი არ იყო, მთავარია, გაშუქდა და ქათმებივით აბუზული ხალხი ეკრანზე დიდ რაოდენობად გამოჩნდა. თბილისიდან ჩამოსულ გამპროტესტებლებსაც ხალხი აღარ ჰქონდათ არაფრის. ჟურნალისტის კითხვასაც უხალისოდ უპასუხეს, ალბათ, ფიქრობდნენ გახსნის ცერემონიაზე გაშლილ სუფრას მანაც არ გამოვრჩეთო. ზოგადი ფრაზები თქვეს და ეგ იყო.

გახსნა დამთავრდა და გამგებელმა

იმერულად დაგვპატიჟა „მტერ-მოყვარე,“ გამვლელ-გამომვლელი, დიდი და პატარა. სუფრა გაიშალა ისეთი, ღაზს სექტორის კონფლიქტი გადაწყდებოდა, მონინალმდევე მხარეები რომ დაგვესვა მაგიდასთან. ლენინოც კარგი იყო, მართლა კარგი. სადღაც მეშვიდე ჭიქაზე აკუნინმა, ერთი გაციების დედაცო, და გაიხადა, მაისური ეცვა წარწერით „Я Грузин.“ ტრანსპარანტებიანმა ხალხმა ისეთი ლომენს და კოცნეს სტუმარი, ხელიდან ძლივს გამოვნივსკნეთ. ჩვენო ყველანი ქართველები ვართ და ძმები ვართო, აკუნინი იქნები თუ შმაკუნინი, მაინც ქართველი რჩები და, ვინც შენზე ცუდი თქვა, იმისი ასე და ისეო და, მოკლედ, კრება კარგად გაერთო.

გრიგორი დილით ისევ სერიოზული გახდა. რძეში მოხარშული ყველის სუკზე და სხვა სიამებზე უარი თქვა, ოფიციალურად დაგვემშვიდობა და ქუთაისის აეროპორტით მოსკოვში გაფრინდა.

ჩვენ კი შეგვრჩა აკუნინ-ჩხარტიშვილის ქუჩა, რომელსაც სახელის ადგოლას ინიციალები არ აქვს დღემდე.

მოლაღატი ჭრებვისა და აღწილი ხმლებისა

ჩემი მეუღლის ბაბუის, რამაზ ყურაშვილის ზარმა გამაღვიძა. ვერ გავერკვე, რა დრო იყო. როგორც წესი, ამ ბოლო დროს ახალ ჩაძინებულს მალევე მეღვიძება და დილაზე ვერ ვიძინებ ხოლმე, მზე ამოიწერება თუ არა, ისევ მეძინება და ეს არის ის რამდენიმესაათიანი დასვენება, რაც ჩემს ტვინს რეალურად აქვს ბოლო საში წელია.

საათზე დახედვა ვერც მოვასწარი. ადრენალინმა უცბად გამომაფხიზლა. მოულოდნელ ზარს ხომ ხშირად ეს ეფექტი აქვს – მაინცდამაინც ცუდზე იწყებ ფიქრს და გეშინია. სანამ პასუხს გაცემდი, გვერდით მწოლ ცოლ-შვილს გადავხედე და ვუპასუხე. ხევსურეთიდან მირეკავდა. რამაზმა ხატოვნად იცის ხოლმე რაღაცების თქმა – კარგი ენდოკრინოლოგი რომ არ ყოფილიყო, მშვენიერი მხატვარი, იქნებ, მწერალიც

იქნებოდა, რადგან სხვადასხვა სივრცის, ამბებისა და ადამიანების დაკავშირება ოსტატურად ლამაზად ჩვევია. ახლაც ისე ოსტატურად აღწერა სასტუმროს ვერანდა, თურქი მეცნიერის გაკვირვებული თვალები და მზე, რომელიც ამოდის თუ ჩადის ძნელი გასარკვევიაო, რომ სრულიად ცხადად წარმოვიდგინე რიჟრაჟი მუცოსჭალაში.

მაგრამ რამაზი, რა თქმა უნდა, პეიზაჟების აღწერისთვის არ მირეკავდა – ხვალ დილით სიდნეიში საერთაშორისო კონფერენციაზე უნდა ვიყო და შენი დახმარება მჭირდებოდა. მუცოსჭალის მინიეროპორტიდან, ჯერ კიდევ 90-იანებში გამოშვებული რამდენიმე ვერტმფრენი და ორი მცირე ზომის თვითმფრინავი რომ დაფრინავდა, თბილისში აპირებდა გადმოფრენას, იქიდან კი ავსტრალიაში. ჩემ „Evoque“-ს სასტუმროს სადგომზე

დავტოვებ და დედაქალაქში ჩაიყვანო.

მუცოში პირველად სტუდენტობისას, 2002 წელს ვიყავი. თსუ-ის ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა ნინო გოგინაშვილმა, ხათუნა მაკალათიამ და სხვებმა ხევსურეთისთვის საქველმოქმედო „გასვლა“ დაგვემეს. ავაროვეთ ტანსაცმელი, წიგნები, საკეები და არტოდში სამხიდიანი „ურალით“ ძლიერ ჩავაღნიეთ. ვისაც ფიქალის ქვაზე მანქანით უვლია, კი იცის, რომ, თუ წილი არ გაქვს მეორადი საბურავების მალაზიაში, იაფად ვერ გამოხვალ. ახლა ხევსურეთში გვირახებით ისეთი გზა მიდიოდა, თოვლი კი არა, არმაგედონი რომ დაწყებულყო, მინიკუპერთი ოთხ საათში მშვიდად ჩახვიდოდი შატალიში ყავის დასალევად, სიგარეტის მოსაწეოდ და ბიზნესისახლებების წასაკითხად.

ქეთი გავალვიძე, ნავიდეთ, ბავშვებიც სუფთა ჰაერს ჩაყლაპავენ-მეთქი და თვითონაც მივხვდი, უაზრო იდეა იყო. აქედან მანქანით ვერ ნავიდოდით, ნასიცხარი ბავშვების ავტობუსით წაყვანა კი მთლად ჯანსაღი აზრი არ იყო. ფაცაფუცით ჩაცმას ვერ გადავეჩვიე, ალბათ, ვერც გადავეჩვევი. მგონი, მეზობლებმაც კი გაიღვიძეს. ცოლმა ხევსურული ქარხნის ყველი, ბავშვებმა სათამაშოები დამავალეს და ავტოვაგზლიდან ზუსტად ორმოც წუთში გავედით.

ჟინვალი სტანდარტულად ლამაზად გამოიყურებოდა. როგორც კარგი ქალი ყოველთვის ლამაზია, ახალგაღვიძებულზეც და სრულიად უძინარიც, ჟინვალის წელიწადის ყველა დროს ყველა მხრიდან მოხდენილია, მაგრამ, როგორც ყველა ხელოვნურ ნაქალაქსაც, მასაც რაღაც აქვს ისეთი, რაც მისდამი სიყვარულს კი არა, ვნებას გიჩენს.

თეთრი და შავი არავგის გასაყართან გაჩერება მოგვინია. დიდი ცხვირის ფარა მდინარესავით კვეთდა გზას. მეცხვარეებს უსაფრთხოების ფორმები ეცვათ და გამეცინა, ყველაფერი გადამეტებულად ხომ ჩვენ ვიცით. ასეთი რამ მხოლოდ ევროპის ნაწილში მენახა, გზაზე გადასვლისას მასწავლებელს და ბავშვებს უსაფრთხოების ფორმები – შუქამრეკლი, ყყეტელა ნარინჯის ან ბალახისფერი

რომ ეცვათ, ხევსურეთში, მეცხვარეებზე ნარინჯისფერი შუქისამრეკლის დაწახვა ცოტა სასაცილო იყო.

ბარისახოში ტურისტები შემოგვიერთდნენ. ადგილობრივი ბიჭი ახლდათ და თავისი მხარის ისტორიას, ალბათ, მერამდენედ ყვებოდა. უნებურად ავტობუსის ეკრანს ავხედე და გავბრაზდი – მე და ჩემმა მეგობრებმა სამი წელი ვიბრძოლეთ იმისთვის, რომ ტურისტული რეგიონებისკენ მიმავალ ავტობუსებში ეკრანები დაემონტაჟებინათ, სადაც მხარის ლირსმესანიშნაობების სარეკლამო რგოლი იტრიალებდა. მძლოლი კი, არხეინად რომ იჯდა საქესთან, არც ფიქრობდა რგოლის გაშვებას.

ცხვირის ჩაყოფას ვერ გადავეჩვიე, თუ რამე უსამართლობა მგონია, სანამ არ გავარკვევ, ვერ ვეშვები ხოლმე, ახლაც ავდექი და ჩურჩულით, მაგრამ მაინც მივუთითე მძლოლს. აგდებით ამომხედა და ზანტად ჩართო ეკრანი. ასეთებს თუ არ მიუთითე, ავტობუსში მოწვევნი კიდეც, გავიფიქრე თავის დასამშვიდებლად ჩამთვლიდა.

შატილთან გამეღვიძა. ავტობუსი ხიდთან იდგა და ხალხი წყალში გადავარდნილ მანქანას უყურებდა. როგორც ჩანს, მძლოლი სწრაფად მოდიოდა, დამცავ ჯებირს კი აცდა, მაგრამ ხიდსაც აცდა და პირდაპირ წყალში გადავარდა. მძლოლს პლედი ჰქონდა შემოხვეული და უაზრო სახით იკრიჭებოდა. „რა გენალეულება, დაზღვეული გეყოლება!“ – ჩაბურტყუნა ჩვენი ავტობუსის მძლოლმა, ჩავიდა და იქვე, კართანვე მოუკიდა სიგარეტს.

შატილის ციხე ისეთივე იყო, როგორც ათი წლის წინათ ვნახე და ისეთივე, როგორც ათასი წლის წინათ. გვიან გაზაფხულზე შეღებილი თვალევივით ამონათუბული იყო საერთო სივრცეიდან, შუა შემოდგომაზე კი თვალის სწრაფი გადავლებით კლდის ქვის ტონში გადნევიტილი ციხე შეიძლება ვერც შეამჩნიო. ალბათ, შუა საუკუნეებში რომ ბომბდამშენები ყოფილიყო, შატილი დანგრევას გადაურჩებოდა, რადგან თითქმის წარმოუდგენელია, სიმაღლიდან ციხე კლდის მასივისგან გაარჩიო.

მას მერე, რაც შატილი ოუნესკოს მსო-

ფლორ მეძვიდრეობის საცდელი სიიდან მთავარ სიაში გადაიტანეს, ტურისტულმა ნაკადმა მკვეთრად იმატა. ადგილობრივი ეკონომიკა ცოტა ამოისუნთქეს, გზებმა და ინფრასტრუქტურის სწრაფმა განვითარებამ ყველაფერი შეცვალა. შეიცვალა ადგილობრივი მოსახლეობის რიცხოვნობაც. თუ ადრე შატლიშიც კი მუდმივი მცხოვრებლების რიცხვი ორნიშნას არ აღემატებოდა, ახლა მარტო შატლიში 2455 ადამიანი ცხოვრობდა. მამაჩემმა იცის ხოლმე თქმა, ადრე სადაც ლიანდაგი შედიოდა, ცივილიზაციაც შედიოდა, ახლა ლიანდაგი ინტერნეტმა შეცვალა. ინტერნეტი ბოლო სიამე იყო, რაც შატლიმა მთავრობისგან საჩუქრად მიიღო, მას მერე ყველაფერი სწრაფად და ბუნებრივად ვითარდებოდა.

ადგილობრივებში მნიშვნელოვანი ხასიათობრივი ცვლილება არ მოხდარა. სტუმართმოყვარეობა ისევ იცოდნენ, სიმთვრალეში ჩხუბი ისევ უყვარდათ, ოღონდ ზომიერად. ისევ უცნაური ეკლექტიზმით ეცვათ – კატერფილარის ჩექმის შიგნით ხევსურული წინდა, ტანზე რუსული ბუშლატა და ირლანდიური თბილი ქუდი თავზე. ადგილობრივმა ტრადიციებმა ყოველდღიური სივრცეიდან სამუზეუმო სივრცეში გადაინაცვლეს, თუმცა ცხვრის დაკვლის ტრადიციას მთავრობამაც კი ვერაფერი მოუხერხა. სამაგიეროდ, რომელიღაც ჭკვიანმა კანონმდებელმა სწორი რეგულაცია დაუნესა და ერთ დროს ძირძველი ხევსურული ტრადიციები საერთო სადღესასწაულო, საკარნავალო სამოსში გაახვიეს. აღადგინეს ძველი ხევსურული კეჭნაობა და წელიწადის იმ დღეს, როცა ადგილობრივები ათენგეგნობას აღნიშნავდნენ (ქრისტიანული წესით ეს აღდგომიდან 98-ე დღეს ხდებოდა, მაგრამ მერე სახალხო ტრადიციამ ეს დღე ივლისის ბოლო შაბათს დაამთხვია), დიდი თეატრალიზებული შოუ იდგმებოდა, სადაც ყველა ხევსურული ტრადიცია (მატყელის ჩეჩვით დანყებული და ფიცკერცხლით დამთავრებული) იყო გაცოცხლებული.

არ მიყვარს ავტობუსით მგზავრობა. ის კი არა, რომ საზოგადოებრივ ტრანსპორტს ვერიდები ჩემი ცოლივით,

არა, მანქანით მოგზაურობას ბევრად მირჩევნია მატარებელი. ადრე მითხრა ერთმა არამკითხველ ფსიქოლოგმა, თავს უფრო უსაფრთხოდ გრძნობ რელსებზე, შეიძლება მართალიცაა, მაგრამ მე უფრო სხვა მიზეზი მგონია – მატარებელში თავბრუ არ მეხვევა კითხვისას და შემძლია მოძრაობის სანინალმდეგოდაც დავედე. ხევსურეთში მატარებელი არ იყო, არც ყოფილა და, ალბათ, არც იქნება. ამიტომ ვიჯექი (მართალია, კომფორტული, მაგრამ მაინც) ავტობუსის მეხუთე რიგის A5 (ფანჯარასთან) სკამთან და ველოდებოდი, როდის დავიძვრებოდი.

ოცი წუთის მერე დავიძვარი. შატლის რომ გაცდები, მალევე პატარა დასახლებასავითაა, ახალშენია. აქ შარშან ორი ქარხანა ააშენეს და მუშებისთვის ათამდე კოტეჯი ჩაუდგამთ. თავლის გადაამამუშავებელი ქარხანა „როშკონი“ იმავე ადამიანს ეკუთვნის, ვინც როშკაში პირველი ორვარსკვლავიანი სასტუმრო გახსნა. სამწუხაროდ, თავად სასტუმრო არ მინახავს, როშკაში ბოლო სასტუმრო რაც ვნახე, შოთა ნიკლაურის საოჯახო ტიპის ჰოსტელი იყო. ახალი სასტუმროს გახსნას დიდი ვნებათა ღელვა მოჰყვა. ადგილობრივები და მიტმასნილი არასამთავრობოები აპროტესტებდნენ – არიქა, ტრადიციებს გვართმევენ, ქართველობას გვართმევენ, გვრყვნიან, გვაუბედურებენო. მერე, როგორც ხშირად ხდებდა ხოლმე, პროცესი მაინც თავისი გზით წავიდა, როშკა კი არ დაიცალა, როგორც უწინასწარმეტყველებდნენ, ხუთი ოჯახით გაიზარდა, თავლის ქარხანაც აშენდა და ახლა კავკასიის ყველაზე დიდი იმპორტიორი „როშკონის“ ქსელი იყო.

მეორე ქარხანას ქარხანას ვერც დაარქმევდი, უფრო მცირე საამქრო იყო. ის ადგილობრივმა ქალმა, ელინსო ჯალაბაურმა გახსნა. წლებს წინათ, ერთმა არასამთავრობო ორგანიზაცია „მოშავლის სოფელმა“ სხვადასხვა სოფლებში ტრენინგ-სემინარების მთელი ციკლი ჩაატარა – შეისწავლეს რეგიონების სამრეწველო და სამეურნეო პოტენციალი და ადგილობრივებს რამდენიმე იდეა მიანოდეს. მგონი დიდი ალტაცება ამ ამბავს არც გამოუწვევია, თუ არ

ჩავთვლით ათიოდე სოფელში სასათბურე წარმოების წამოწყებას, ფშავში სამი საკალმახის გაკეთებას, კახეთში ჩურჩხელის სამი მცირე საწარმოს გახსნას და ა.შ. ხევსურეთში ყველის მინიქარხნების გახსნაზე ფიქრობდნენ, მაგრამ ბაზარი საკმაოდ ათვისებული აღმოჩნდა ახალი ბრენდის შესასვლელად, ამიტომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ისევ ტურიზმში ჩაერთო. ელისო ახალგაზრდა ქვრივი ქალი იყო. პირველად სატელევიზიო სიუჟეტში ვნახე. ეტყობოდა, რომ ცხოვრებამ საოცრად მობოლიზებული და ორგანიზებული გახადა. მკაცრი სახის ნაკეთები, ოდნავ დახრილი თვალის ფორმა და თხელი ტუჩები ჰქონდა. მაშინ იქნებოდა, ასე, 33-34 წლის. იქნებ, უფრო პატარაც (მთის ქალები ადრე ბერდებიან შედარებით მძიმე ცხოვრებისეული პირობების გამო), ორი მცირეწლოვანი ბიჭი ჰყავდა და თავის მომავალ გეგმებზე ლაპარაკობდა. ამ ქალმა ხევსურეთში, შატლითან ახლოს ხელნაკეთი დანების მცირე საამქრო გახსნა, რომელიც amazon-ზე და ebay-ზე იაპონური წარმოების ფირმებს არაფრით ჩამოუვარდებოდა. ეს იყო ბრენდული, ტრადიციული ქართული ჭედური დანები, ხმლები და სხვა საბრძოლო იარაღი, რომლის ფასები, რბილად რომ ვთქვათ, საშუალო შემოსავლის ადამიანისთვის ხელმისაწვდომი არ იყო.

„უკანა გზაზე შევივლი და შოუ რუმს ვნახავ,“ – გადაწყვიტე და სასტუმროსთან ახლოს გაჩერებაზე ჩამოვხტი. მძლოლმა კარები ისე სწრაფად მომიკეტა, მივხვდი, წელანდელი შენიშვნა ისევ არ ჰქონდა მონელებული.

სასტუმრო შუა საუკუნეების ციტადელისა და თანემედროვე დიზაინის საოცარი სინთეზი იყო. მივხვდი, რატომაც ეტანებოდა აქაურობას ყველა, ვისაც არ ეზარებოდა მცირე სემინარის, შეხვედრისა თუ კონფერენციის ჩატარება. რამაზიც სწორედ ენდოკრინოლოგების საერთაშორისო კონფერენციაზე იყო ჩამოსული.

„ამხელა გზაზე დილაუთენია წამოსვლა ღირდა!“ – გავიფიქრე, როცა ქვის, ხის და მინის საოცარ შეხამებას ქვევიდან შევხედე. ცოლ-შვილი რომ წამომეყვანა,

აღბათ, რამდენიმედღიან დასვენებას მოვინჯობდი. გული დამწყდა, აქაურობა მალე რომ უნდა დამეტოვებინა, მაგრამ რას ვიზამდი – რაც იყო ეგ იყო.

სასტუმროს შესასვლელთან ხევსური მებრძოლის ფიტული იდგა. ქვეშ ძალიან წვრილად ეწერა ავტორის სახელი „ხათუნა გიგუაშვილი“. არ ვიცოდი, ეს მხატვარი ფიტულელებსაც თუ აკეთებდა. სახლში მისი ორი ნამუშევარი კი მქონდა იმის იმედად, რომ ოდესმე ჩემი რომელიმე შთამომავალმა ძალიან ძვირად გაყიდდა. პრინციპში, ეს დამოკიდებულება ვინმეს სნობიზმად მოეჩვენება, მაგრამ, როგორც ერთმა ჭკვიანმა კაცმა თქვა, მხატვრობაში ეგრეა: გარკვეული ჯგუფი თუ გადამწყვეტს მხატვარი ცნობილი გახდება, საამისოდ დახარჯავს ფულს, ენერჯიას და სხვა ადამიანურ რესურსსაც, აუცილებლად გახდის პოპულარულს და მერე თავის დროზე ჩადებულ გროშებს ათამაგად ამოიღებს უკან.

სანამ მე ფიტულზე დანერვილ სახელს და გვარს ვკითხულობდი, იქვე მდგომი მელოტი, დაბალი კაცი თვალს არ მამორებდა. რასაკვირველია, ქალივით კარგი პერიფერიული ხედვა ნამდვილად არ მაქვს, მაგრამ მთელი სამი წუთი რომ სულელივით მიყურებს ვიღაც, ამას კი აუცილებლად ვხვდები. ის-ის იყო, შემოვტრიალდი, რომ უხეშად მეთქვა რამე, სიგარეტი იქვე გადააგდო, ხელები გამაღა და, ზემხაო, დამიყვირა.

ამ მეტსახელს მხოლოდ ძალიან შინაურები მეძახიან ან ისინი, ვინც დიდი ხანია მიცნობს. ეს ძალიან შინაურს არ ჰგავდა, სახეც არ მეცნო, სანამ ახლოს არ მოვიდა და ბლინვიით სახე ზედ ცხვირთან არ მომიტანა.

„ლევან, შე ტრაკო!“ – გამეცინა მის დანახვაზე, ჩემი ძველი მეზობელი იყო, „იალითველი ლევანა,“ როგორც მას ვეძახებდი ხოლმე, ლევან გრიგორიანი. ბავშვობაში დიდი დარტყმული ვინმე იყო, ხან სატანისტი იყო, ხან ათეისტი, ხან რასელისტი, სინამდვილეში კი ღმერთს ეძებდა, ასეთი ადამიანები ღმერთის ძებნაში ათას რამეს მიედ-მოედებიან ხოლმე, მაგრამ, სადაც არიან, გულმზურვალედ იბრძვიან იმ ფრონტზე. მართლა

გამიხარდა მისი დანახვა, კაი ვინმე იყო, ცოტა ზედმეტად სომხოფილი, აი, ვეფხისტყაოსანი რომ სომხის დანერილია და მეგრელები რომ სომხები იყვნენ ადრე, ეგეთი, მაგრამ მერე დანყნარდა. ერთი ხანობა ცოტა გაუბერა კიდეც, ფსიქიატრიულში ინვა ორი კვირა და სამი დღე იჯდა გლდანის ციხეში, მაგრამ რომელი არ ვუბერავთ?

„აქ რა გინდა, ბიჯო?“ – ვკითხე სიხარულით და ორმაგად გამიხარდა – თუ თბილისში დაბრუნებას ჩემთან ერთად გადაწყვეტდა, მარტო მაინც აღარ ვიმგზავრებდი.

როგორც აღმოჩნდა, აქ „ყოფილთა“ წრეს მართავდა. ესენი, ყოფილი ნარკომანები, ბოზები, სექტანტები, ლოთები და უბრალოდ ისეთი ხალხი იკრიბებოდნენ, რალაციდან თავის დაღწევა რომ მოახერხეს ერთხელ და იმ მძღნერში მეორედ დაბრუნება რომ აღარაფრის დიდებით აღარ სურდათ. სულ მომწონდა ეს ამერიკული ბიჰეივიორისტული სკოლის მიდგომა ადამიანის აღზრდისა, საკუთარი გამოცდილების გაზიარებისა და საჯარო აღსარებისა. არ ვიცი, სინამდვილეში როგორ მუშაობს ასეთი წრეები, მაგრამ ის კი ნაღია, რომ კინოში ეს ყველაფერი მაგრად ჩანს.

ენა აღარ ებმოდა, გამართული ქართულით კი ისედაც სულ ლაპარაკობდა. მართლა გამიხარდა, რომ დავინახე, და კიდეც ერთხელ გადავეხვიე.

„თმა რა უყავი, ბიჭო!“ – მხარზე დავარტყი ხელი.

„ხო იცი კავკასიელების ამბავი, ზედმეტად აღზნებული ხალხი ვართ,

ახალგაზრდობაში მომატებულ ენდროგენებს კარგად ვერ ვხარჯავთ და ვმელოტდებით.“ – ეგრევე ამიხსნა რაციონალური მიდგომათ.

„ჰა, როგორია ხევესურეთი?“ – ვკითხე და ემპაკურად მოკუმა ლურჯი თვალები – „ნუ, მთლად ვანადორივით ვერაა, მაგრამ, ნავა რა!“

დიდი მაიმუნი ვინმე კი იყო.

შეხვედრა მენყება, არ ნახვიდო, ძალიან მთხოვა. საათ-ნახევარში გამოვალ და, კაი არაყი რომ მაქვს ნომერში, ის

დავლიოთო.

ხელები გავასავსავე, მანქანით ვიყავი ნასასვლელი, დარჩენით კი დაგელოდები, სუფთა ჰაერს ჩავყლაპავ, აქაურობას დავათვალიერებ-მეთქი.

ადმინისტრატორი ტარანტინოს ფილმიდან გამოქცეულს ჰგავდა. სხარტი



მოძრაობები ჰქონდა და ცოტა ვერ იყო თავის მატორზე. პირადობის მოწმობა გამომართვა და სკანერზე შეამონმა. მერე კარგა ორი ნუთი დაჟინებით მაკვირდებოდა, აი, საბაჟო გამშვებზე რომ იციან აეროპორტებში, ისე, პირადობა დამიბრუნა და, გასაღებს როცა მანვლიდა, სამჯერ გამიმეორა „ფრთხილად იარეთ,

იცოდეთ! გასაგებია? ფრთხილად! ეს ხევესურეთია, მიხვეულ-მოხვეული გზებია, აქაოდა, დიდი ბოდში და ევოუქზე ვზივარო, ნუ მიადგამთ, გაიგეთ?"

ხმა არ გამიცია, ცუდი გამოცდილება მაქვს დაჩოჩებულლებთან ურთიერთობაში, ის კი გამკვირვებია, ოთხვარსკვლავიან

გუდაურის სასტუმროში ატეხილი ჩხუბი მონაგონი იქნებოდა, მერე მიდი და უმტკიცე შენიანებს, რომ ჩხუბისთავი შენ არა ხარ.

ვერანდაზე ყავის დასალევად გავედი. გემრიელი ყავა ჰქონდათ და ხევესურული თაფლით ვაკეთებულ კრუასანებზეც მომიტანეს. სხვისი არ ვიცი და, მე ყველაზე მეტად სწორედ ხევესურული თაფლი მიყვარს. შემიძლია იმდენი ვჭამო, სანამ თავბრუსხვევა არ დამწყება და სასწრაფოს არ გამოუძახებენ. გერმანული სიალალთ მოტანილი კრუასანები უცბადვე გადავსანსლე და მუცოს ჭალაში გავედი.

მუცოს ჭალას ეს სახელი შემორჩა, თორემ ჭალიდან აქ იმდენივე დარჩა, რამდენიც თბილისიდან თბილისი. სასტუმროები, მცირე აეროპორტი, სუპერმარკეტები და, რაც მთავარია, ძაღლების რბოლის ცნობილი მოედანი, თანამედროვე მუცოს ჭალა სწორედ ასეთი იყო. მოედანი დაკეტილი იყო, დარაჯმა მითხრა ორ კვირაში, სეზონის სრულ გახსნასთან ერთად ჩვენც ვიხსნებითო. ეს ერთადერთი ადგილი იყო საქართველოში, სადაც ბუკმეკერებთან ფულის დადება შეეძლო ადამიანს. ჯანდარის ცნობილი მემორანდუმის შემდეგ, როცა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აზარტული თამაშები აიკრძალა და ჯანდარის ტბის ირგვლივ ახალი ქალაქი „ოქროს ტაფობი“ გაშენდა, სადაც ყველა ყომარბაზს, ამჭუნებულ ქალსა თუ კაცს, ნაგებისა და მსუბუქი (არალეგალურად ნაკლებ მსუბუქი) ნარკოტიკის მოყვარულთ სიხარულით ელოდებოდნენ. გამონაკლისი „მუცოს ჭალა“



სასტუმროში ასეთ კადრს რატომ იყვანენ რესეფმენში, მაგრამ ეგ არაფერი, განვეითარდებით ცოტა და ყველაფერი დალაგდება.

სასტუმროს დათვალეირება გადავიფიქრე - ლევანს რომ ვნახავდი, მეთქი, მერე. ამ მიმღების კაცის თავი არ მქონდა, კიდევ რამეს იტყოდა, ალბათ, და

იყო. სახელმწიფომ, ქართული ტრადიციებიდან გამომდინარე, ცხენების დოღს აზარტული თამაშების სტატუსი მოუხსნა და მალე პირველივე გახსნილ „საჯინიბოს“ ძალღების რბოლის ოფიციალური მოედანიც მოჰყვა.

დაახლოებით საათ-ნახევარი ვიხეტილა. კაი გვარიანად კი მომშვიდა და მომწყურდა კიდევ. სუპერმარკეტ „ჩარგალი“ შევიარე, ლიმონათი და შოკოლადი ვიყიდე. როცა კი ლიმონათს (თუნდაც ისეთ ნატურალურს, როგორც „ჩარგალი“) და შოკოლადს ვეპარები ხოლმე, სულ ჩემი ცოლის ბაბუა მახსენდება. ალბათ, ევა არ ფიქრობდა იმდენს ღმერთზე ცნობილი ვაშლის მოგლეჯის წინ, როგორც მე ვფიქრობ ხოლმე რამაზ ყურაშვილზე, როცა ტყბილულის ჭამას ან დალევას ვაპირებ. მახსენდება ხოლმე ყველა ის სტატისტიკა, რაც დიაბეტის ავისმომასწავებელ ზრდაზე მეტყველებს, ასეთ დროს კოკა კოლას ხომ ზედაც არ ვუყურებ (ისედაც არ მეხატება გულზე ეს ამერიკული ნაგავი) და კაი ნატურალურ შაქარზე გაკეთებული „ჩარგალიც“ ყელზე მაღდება.

სასტუმროში ისეთ დროს დავბრუნდი, ნდობის ჯგუფის (თუ რაც ერქვათ) წევრები დარბაზიდან გამოდიოდნენ. ლევანმა დამინახა და ხელი ამინია. მივედი და რამდენიმე თავისნაირ დარეხილთან წარმადგინა, ესო დიდი პოეტიკაო (რით ვერ არჩევს ეს ხალხი დღემდე მწერალს და პოეტს ერთმანეთისგან, ვერაფრით გამოიგია), ბევრი პრემიის და ფულის პატრონიო (ისემც ასე და ისე – ნუ, კაი, ეგონოს). ერთი წვერცანცარა კაცი და ორი გოგო ახლდა. გოგოები კლასიკური ნევროტიკები იყვნენ, ჩემი ოდესლაც მიღებული ფსიქოლოგიური განათლება ამის გარკვევაში უცბად დამეხმარა. ერთი ისეთი გამხდარი იყო, ასვილაქსიური შოკი წამი-წამზე უნდა დამართნოდა, მეორე, არ ვიცი, იმის ფონზე თუ სინამდვილეშიც, უფრო ფუმფულა იყო, სადად ეცვა და აჭარულ სიგარეტ „მწვანეს“ ნერგულად სრესდა თითებით.

არჩევანზე თუ მიდგებოდა საქმე, ამ უკანასკნელს ავირჩევდი, ალბათ. ზოგადად, მიმანია, რომ ზედმეტად გამხდარი

ქალები ლატენტურ გეებს, ფსიქოპატებს და იმპოტენციის ბილიკებზე შემდგარ საკუთარი ასოთი დაკომპლექსებულ კაცებს მოსწონთ. თუმცა ყველას თავისი კომპლექსი და ფსიქოპატია გვალაპარაკებს, ესეც ცხადია. გოგოებს ანა და ანა ერქვათ (სად მოებნა ამანაც ორი ერთი სახელის გოგო), რაც ძალიან მოსახერხებელი გამოდგა, რადგან მე სახელების დამახსოვრება მიჭირს, ორის განსაკუთრებულად. თან საკმარისი იყო, ერთხელ მეთქვა ანა, რომ ორივე იხედებოდა. ძან კი გამიმართლა.

ლევანმა ბარში შესვლამდე გამაფრთხილა, იმ გამხდარს ხელი არ დაადო, ჩემი საკბილოაო, მე მეორეც შენტვის მემეტება-მეთქი, თავაზიანად დავთმე. მას მერე, რაც ცოლი მოვიყვანე, ბერის ნაბისყოფით ვინარჩუნებდი სულიერ და ფიზიკურ ერთგულებას. განა რამე, ვინ რას გაიგებდა, მაგრამ პრინციპი ხომ პრინციპია და მოკლედ, არც ვისკი დამილევია და არც კახური ჭაჭა პიტნისა და ლიმნის ნაყენით. დარჩენა კი მაინც მომიწია, აქეთური, იქითური, ლაი-ლაი, შმაი-ლაი და შემოვრჩი. თან იმ დარეხვილი რესეფშენისტის წყევლა-პრუღვასავით დადევნებული შეგონება არ მასვენებდა, ფრთხილად იარეო, რომ გადამეკიდა და შემოვრჩი. თავისუფალი ნომრები კი ჰქონდათ, მაგრამ ლევანმა, ორ ადგილიანში ვარ და ჩემთან დარჩიო. მერე თვითონ ორი ანას ნომერში გაძვრა და დამტოვა მარტო.

ასეთ დროს მე თავის დაზღვევის და დამშვიდების ამბავში ცოლ-შვილთან ვრეკავ ხოლმე, რომ სინდისს შევახსენო რალაცები. არც შვილები დამელაპარაკნენ (მულტიფოლმს ვუყურებთო), არც ცოლი (მტვერს ვწმენდ ავეჯზეო). ჰოდა, მეთქი, დავიძინებ, რა, ადრე, რაც ადრე დაიძინებ კაცი, მით ადვილია ყველაფერი, განსაკუთრებით მთავი.

წყლის გადავლებას რამდენი უნდა განა და ნომერში ანა არ დამხვდა ტელევიზორთან მოკალათებული? მეთქი, ლევან, შენი ასე და ისე, არ ამცდა პატარძალივით ასაცდენი. ნუ, კაი, რაცაა ეგაა. პუტკუნა ანას პირი და ტვინი ძალიან პატარა ჰქონდა. მომიყვა ყველა საოჯა-

ხო საიდუმლო მაზლის ცოლი ხათუნათი დაწყებული (ვინც ქმართან ერთად შვეიცარიაში ცხოვრობდა და თურმე ოცდაექვსივე კანტონში საყვარელი ჰყოლია) დედამთილის საყვარლის, ნუგზარას ჩათვლით. მეო, მითხრა, როცა ქვედაბოლოს იხდიდა, არ იფიქრო ან ქმარი არ მიყვარდეს, ან ბოზი ვიყო, ეს ჩემი ქალური პროტესტია ჩვენი პატრიარქალური საზოგადოების, ჩემი სტერეოტიპებით დახუნძლული ოჯახისა და ზოგადად, მოუწესრიგებელი სამყაროს მიმართო.

მეთქი, რაც არი, ეგ არი. ჩავალ თუ არა თბილისში, ყველაფერს ცოლს მოვუყვები. სიმბოლურად ვიჩხუბებთ და დაგვაკინწყდება მომხდარი. ახლა მთავარი იყო, ამ რუსეთივით უზარმაზარი ტერიტორიისთვის ოქროს ურდოსავით გადამეგლო და ნაპოლეონივით შუა გზაში არ შემერცხვინა თავი.

პირი არ გააჩერა, ქმარს მიდგა და ლანძღვა დაუნყო. ეგო, სანამ მე აქ რეაბილიტაციის კურსებს გავდივარ, რომ სმას თავი დავანებოო (არადა ქვევით ბარში ხუთი ჭიკა ვისკი მარტო მე დავუთვალე), დაძრწის რუსეთსა და უკრაინაში, ქალს არ ტოვებს მოურთველად (იმან ბევრად უხეშად თქვა) და მაიძულებს თავზე ხელი სრულიად ავიღოვო. ქალური სოლიდარობა კია საქვეყნოდ ცნობილი, მაგრამ არც კაცები ვაკლებთ ხანდახან, მოვალე პირი და მისი ქმრის დაცვა არ დავიწყებ? მეთქი, შენ ასეთო და ისეთო, კაცი დადის, ნვალობს, შრომობს, რომ არაფერი მოგაკლოთ, ბაბუაშენმა

რომ დილით უთენია დაურეკოს, შეიძლება ზუგდიდიდან ყარალაჯში მანქანის ნაგზისაყვანად წავიდეს და კიდეც ლანძღვებ? ეგ ხართ – დაუნახავები და უმადურები, ეგა ხართ ქალები, მეთქი.


ჯერ მორთო გაუთავებელი ბლავილი, მერე სიცილი დაიწყო და მერე არ გაუქანა სრულიად უდანაშაულო ტელევიზორს ჯერ საფერფლე და მერე ვისკის გაუხსნელი ბოთლი?

ერთი გუგუამ უღალატა სამშობლოს და მეორე მე ცოლს. დილაშე გამოძიებლის ოთახში ვიყურყუტე, ახსნაგანმარტების დანერა მომიწია, რომ ქალზე ქალის ხმარებას არ ვაპირებდი. არც მე და არც ანას ამბის გახმაურება არ გვანწყობდა, თორემ ისეთი გაბრაზებული იყო, შეიძლება ქმრის ჯავრი მთლიანად ჩემზე ეყარა.

დილით უთენია დავბრუნდი თბილისში, ნაჭედი დანების საამქროც დამავიწყდა და ხევსურეთში წასვლის მიზეზიც.

მთელი გზა იმ თარსი რესეფშენისტის ხმა ჩამესმოდა: „ნელა იარე, აქაოდა, ევოუქში ვზივარო, ნუ მიადგამთ, გაიგეთ?“ მეთქი, ავდგები და მივადგამ, როგორც ირაკლი ჩარკვიანი ადგა და მიადგა. რა მამბრაზებდა, მეც არ ვიცი, მარა, რო ბრაზობ და ძან რო ბრაზობ, ეგრე ვიყავი.

სახლში მისულს კიდეც ცოლი დამხვდა მუავე სახით. „დაისვენე, არა?“ მითხრა. დავისვენე, ხო, დავისვენე!



ანდრო ბუაჩიძე – ზუხაბ ხასაია

საუბარი საჭირბოროტო თემაზე

როგორც ჩვენი ჟურნალის მკითხველს ახსოვს, წინა ნომერში თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში არსებული ვითარების თაობაზე ვესაუბრეთ ლიტერატურათმცოდნე ზაზა შათირიშვილს, სადაც დღევანდელია შევადარეთ XX საუკუნის 10-იან და 20-იანი წლებში მიმდინარე კულტურულ პროცესებს. ახლა იმავე კითხვით მივმართეთ ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, უაღრესად საინტერესო ლიტერატურულ-ფილოსოფიური ესეების კრებულის, „თავისუფლების დრამის“, ავტორს, ზურაბ ხასაიას.

ა. ზ. XX საუკუნის პირველი ოცდაათწლეული კულტურული აღზევების ხანა იყო ევროპასა და რუსეთში. რუსებმა ამ ეპოქას „ვერცხლის საუკუნე“ უწოდეს. ეს იყო ლიტერატურული და რელიგიურ-ფილოსოფიური აზრის წარმოჩენის დრო. იგივე მოხდა საქართველოშიც ლიტერატურის, ხელოვნების, სიბრძნისმეტყველების სფეროში. ეს ეპოქა კატაკლიზმების ნიშნით იყო აღბეჭდილი. სამწლიანი თავისუფლება 1921წელს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიით დასრულდა. დაიწყო რეპრესიები, თუმცა კულტურული აღზევების ეპოქა არ შეწყვეტილა, 1930 წლამდე გრძელდებოდა. ამ წლებში ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“, კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“, გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“, გალაკტიონის „ასი ლექსი“, გერონტი ქიქოძის ესეები, პუბლიცისტური წერილები და სხვ. ეს ეპოქალური ცვლილებების დრო იყო, რომელიც მაღალ დონეზე აღიბეჭდა ქართულ

ლიტერატურაში.

იმავეს ვერ ვიტყვით გასული საუკუნის მინურულზე, 90-იან წლებსა და მომდევნო პერიოდზე, თუნდაც დღევანდელ დღეზე. დავძხო საბჭოთა იმპერია, ლიტერატურა განთავისუფლდა ცენზურისაგან, მოხდა ეპოქალური ძვრები, დაგროვდა უამრავი მასალა – საწუხარი, საფიქრალი, საკეთებელი. ხელახლდა გასააზრებელი ყველა ის პრობლემა, რომელიც ფუნდამენტურია ჩვენთვის, ქართველებისთვის – ვინ ვართ, საიდან მოვდივართ, საით მივდივართ? ხომ არ დავეკარგეთ საუკუნეების ნიაღში გამოტარებული ჩვენი ნამდვილი სახე? ეს შეკითხვები ისევე ბუნებრივად იბადება დღეს, როგორც XX საუკუნის 10 -იან და 20 - იან წლებში იბადებოდა, მაგრამ მაშინ თუ პასუხისაგამცემი არსებობდა, ახლა სრული დუმილია გამეფებული. მწერლობა, ჩვენი ერის მთავარი ზნეობრივი საყრდენი, ფუნდამენტურ საკითხებზე ფიქრს თავს არიდებს, ფორმალური ჩხირკედლაობით, წვრილთემიანობით ან თავშესაქცევი ის-

ტორიებით არის გართული. რა ვქნათ? იქნებ მწერლობა აღარ არის ჩვენთვის ის ფენომენი, რაც აქამდე იყო, თუ ჩვენ თვითონვე გაგვიწყალდა სიტყვა და გაგვიქრა წარმოსახვა?

ზ. ხ. ცვალებადია ნუთისოფელი, მაგრამ თვით ეს ცვალებადობა უცვლელად ჰგვიბს. აი, ამ აზრ-გაგებით, ცვალებადი ნუთისოფელი ერთობ უცვლელი რამ არი. ვინ იცის, რამდენი უბედურება დასტყდომია თავს ქვეყნიერებას ნუთისოფლის გაუმჯობესების დემონური ნადილისგან, ოღონდ ამ ტრაგიკულ პარადოქსს მეორე მხარეც აქვს: რამდენი უნდა იბრძოლოს კაცთა მოდგამს, რათა ყოველივე იგივე დარჩეს!

ვისაც ამ უსაშველო აბსურდისგან შუბლი არ დანაოჭებია, მას გულუბრყვილოდ ჰგონია: ჭირთა კვანძი მაინცდამაინც მასში და მის სიახლოვეს იდებს ბინას, სხვები კი ბევრად უფრო არხინად ცხოვრობენ, მაგრამ შემეცნება სხვა რამეში გვარწმუნებს: ტანჯვა, რასაც თითოეული ადამიანი მხოლოდ თავის ხვედრად მიიჩნევს, სინამდვილეში ადამიანთა მოდგმის საერთო ხვედრია:

„სოფელი ესე ხომ ყოველგან ერთი და იგივეა: სიხარულსა, ტანჯვასა და შრომაში ჩაფლული!“ – ამბობს **გოთე**. ყველგან და ყოველთვის ბოროტება, ჭარბობს სიუკეთეს, ანუ სისახტივე – თანაგრძნობას, უსამართლობა – სამართლიანობას, უსიამოვნება – სიამოვნებას. ეს კარგად ჩანს „ბიბლიაშიც“, „ილიადასა და ოდისეაშიც“, „ლვთაებრივ კომედიაშიც“... ამაში დარწმუნდება ყველა დაკვირვებული ადამიანი, ვინც იმოგზაურებს თანამედროვე მსოფლიოში თავის სამშობლოზე რაღაც უკეთესის მოძიების იმედით.

ნუთისოფლის ამ უცვლელ შინაარსს ზედმინევნით გამოხატავს დავით **გურამიშვილის** ლექსი:

„მიდის-მოდის ეს სოფელი, ქარტეხილთა ზღვაებრ ღელავს,

უკან მისდევს დრო და ჟამი, მის ნაქსელავს ქსოვს და სთელავს,

ის მჭლე კაცი ცელს რას აქნევს, რასა

სთიბავს, რასა სცელავს?

ამად ვწუნობ სანუთროსა – სულ ბნელია, რასაც ელავს!“

სავსებით გასაგებია, რომ ადამიანს, მაშასადამე, ქართველსაც, თავისი ჭირი გამორჩევით უგრძვნია. ცხოვრება მძიმე განსაცდელია და მას გაუმკლავდება მხოლოდ ის ადამიანი, ის ხალხი, ვინც თავის მდგომარეობას სწორად დაინახავს და გონების ძალას მოიკრებს უბედურების შესამცირებლად. აი, ამ, ერთი შეხედვით, უმარტივესი ამოცანის გადაწყვეტა ადამიანთა საბედისწერო პრობლემა ყველგან და ყველა დროში.

გვახსენდება ბიბლიური ამბავი ათი წმინდანის შესახებ. სოდომისა და გომორის მკვიდრნი ზნეობრივად გაიხრწნენ. ღმერთმა ანგელოზები მოავლინა ამ ქალაქების დასაქცევად. ზეციური სტუმრები აბრაამის ეზოს მოადგნენ და აუწყეს ჰურიების პატრიარქს თავიანთი გეგმის შესახებ. აბრაამს შეეცოდა განწირული მოსახლეობის პატიოსანი ნაწილი და სთხოვა ანგელოსებს, რომ ამ მცირე ნაწილის ხათრით დაენდოთ სოდომი და გომორი. ანგელოზები დათანხმდნენ, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ორმოცდაათი მართალი მაინც აღმოჩნდებოდა ორივე ქალაქში. შეშინებულმა აბრაამმა ხვეწნა-მუდარით დაიყოლია ანგელოზები, რომ ხელი აეღოთ განზრახვაზე, თუნდაც ათი მართალი, პატიოსანი ადამიანის ხათრით, მაგრამ არც ერთ ქალაქში ათი მართალი კაციც არ აღმოჩნდა და ანგელოზებმაც აღგავეს სოდომი და გომორი პირისაგან მიწისა.

თუ მითის ენას გავამარტივებთ, ასეთ შინაარსს აღმოვაჩნთ: ადამიანთა საზოგადოება ვერ იარსებებს და უეჭველად დაილუპება, თუ მასში პატიოსან ადამიანთა მცირე ჯგუფი მაინც არ არის. სხვაგვარადაც შეიძლება ითქვას: ადამიანთა თანაარსებობისთვის საჭიროა გარკვეული რაოდენობის რწმენისკაცები, ანუ – ზნეობრივი ენერჯია. ეს ძალა აუცილებელია ადამიანთა საზოგადოების არსებობისა და განვითარებისთვის. სხვა

შემთხვევაში საზოგადოება დაილუპება ან სხვა, უფრო მოწესრიგებულ საზოგადოებაში გაიფანტება.

ლაპარაკი არ არის იმაზე, რომ ბოროტება ჭარბობს სიკეთეს. ეს სავესებით კანონზომიერია და არ არის საჭირო წუნუნის ამის თაობაზე. ეს ასეა ყველგან და ყოველთვის. ამგვარი ტოტალური ეგოიზმი, როგორც ჩანს, საჭიროა შეჯიბრებისა და განვითარებისთვის, მაგრამ იმისთვის, რომ ეგოიზმმა თავისივე თავი არ აიფეთქოს, საჭიროა მისი სანინალმდებო ძალა – გონება, ზნეობის ენერჯია, რომელიც ლავამს ამოსდებს და განსაზღვრულ ფარგლებში მოაქცევს ამ თავდაპირველ, მარადიულ და უპირობო ბოროტებას – სიცოცხლის გრივალს!

ყველას პრობლემა და სატკივარი ეს არის. მის გადასაწყვეტად, ზნეობრივი ენერჯიის მოსაკრებად და დასამკვიდრებლად, ადამიანთა რეალურ ყოფაში თითქმის სტიქიურად, ლამის როგორც სიზმარში, ერთგვარ „კოლექტიურ ზმანებაში“ იქმნება მითოსი, ზეპირსიტყვიერება, ადათები, რელიგიური ავტორიტეტი.

საქართველოში ასეთი სულიერი ავტორიტეტი იყო „ვეფხისტყაოსანი“ – ჩვენი ზნეობის ნიგნი. რუსთველის ლექსის ასეთი ძალა ერთობ საინტერესო მოვლენაა. მითუმეტეს, რომ ეკლესიას ეს ამბავი, ცხადია, არ ეჭაშნიკებოდა და შესაბამის რეაქციასაც ამჟღავნებდა. ეს არ უნდა მოგვეჩვენოს კლერიკალების რალაც ბოროტებად. ეკლესია საკუთარი ზნეობრივი დოქტრინით აღჭურვილი და წესებულება და სხვა, მასზე მალალ ავტორიტეტს იგი ვერ დაუშვებს, რადგან ეს მისი გაუქმება იქნება.

ერთობ საინტერესოა ის ამბავი, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ქართველმა ხალხმა გადაარჩინა, ისევე, როგორც „ვეფხისტყაოსანმა“ – ქართველი ხალხი. ზნეობრივ ცხოვრებას ქართველი სწავლობდა ამ ლექსიდან და უბეში სათუთად ინახავდა მას. შესაძლოა, ეს მოვლენა მისი პოეტური ბუნებით აიხსნას, იმ ბუნებისა, რომელმაც შექმნა „ქართული სასულიერო პოეზია“, – ლუთერის და ფრანჩესკო

ასიზელის, თვით ძველ ებრაულ საგალობელთა ბადალი; ბუნებისა, რომელმაც მძლავრი კანონიკური რელიგია ლამის პოეზიად გადააქცია! აკი სახარებაც დაახლოებით იმავე მორალს ქადაგებდა, რასაც „ვეფხისტყაოსანი“, მაგრამ თხრობის იგავურ ფორმაზე მეტად ქართველს სალექსო ფორმა მოსწონდა; ქრისტეს იგავებზე მეტად – რუსთველის აფორიზმები.

ლექსს საერთოდ აქვს დიდი ძალაუფლება „ბუნებრივ ცნობიერებაზე“, ანუ „ბუნებასთან ახლოს მდგომ“ ადამიანზე. ქართველი კი, შესაძლოა, გეოგრაფიული პირობების გამოც, განსაკუთრებულად მგრძობიარე იყო სილამაზის მიმართ. მოხდენილად, ტკბილხმოვანებით, შთამბეჭდავად ნათქვამი სიტყვა განსაკუთრებით ჭრის ქართველზე მაშინ, როცა სხვა ხალხებს უფრო ნათქვამის შინაგანი მოტივაცია და ინფორმაციული მხარე იზიდავს, მაგრამ ეს სულ სხვა საკითხია და აქ მასზე საგანგებოდ მსჯელობა საჭირო არ არის.

მოკლედ შევნიშნავ, რომ ზნეობა ინდივიდის, „მე“-ს დაქვემდებარება საერთოსადმი, კოლექტიურობისადმი. ეს კაცობრიობის მითაყამური იდეალიზმია, რომელიც ინდივიდს მოუწოდებს თვითშეზღუდვისა და საერთო საქმისთვის თავგანწირვისკენ. ზნეობა შინაგანი ძალისხმევაა, რომელიც ინდივიდს ამ მართულებით განაწყობს – ესე იგი აძლევს საამისო ძალას და ანიჭებს შესაბამის სიამოვნებას. მეტ-ნაკლებად ყველასთვის ცნობილია ამ სიამოვნების ამაღლებულობა. ის ჩვეულებრივ სიამოვნებას, ტკბობასა და განცხრომას როდი ჰგავს, სხვა რიგის არის და დანაკარგებს, ტკივილებს უკავშირდება. ამიტომ ზნეობრივი ქცევის დროს ადამიანი მისთვის საერთოდ დამახასიათებელი „ამბივალენტობის“ მალალ ნიშნულებს აღწევს – მასში ორი „მე“ ერთობ მტკივნეულად ეჯახება ერთმანეთს.

ამ საერთო ადამიანურმა იდეალიზმმა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში თავისებური სახე მიიღო. „თერგდალე-

ულემა“ იგი დაამყენეს ეგრეთწოდებულ „ეროვნულ თვითშეგნებაზე“. „საერთო“, „ზოგადი“, რასაც უნდა დაემორჩილოს ინდივიდი, გახდა „ერი“, ხალხი. ისინი ადამიანს ზომავდნენ ერისადმი სამსახურის საზომით. აქაც, ისევე, როგორც რუსთველის ლექსში, ზნეობა „ზოგად-კაცობრიულია“, მაგრამ ამ უკანასკნელს ადამიანი შეიმეცნებს მხოლოდ „თავის ენაზე“. „კაცობრიობა“ ადამიანს ეცხადება მხოლოდ თავისი ერის სახით. ადამიანი უნდა ემსახუროს საკუთარ ერს. მხოლოდ ამ გზით ემსახურება იგი „ზოგად-კაცობრიულს“.

ამიტომ „ვეფხისტყაოსნის“ სულისკვეთება საქართველოში არ შეცვლილა. პოეზიისადმი მგრძნობიარობა გრძელდებოდა ქართულ სულში. ქართველი კაცი კითხულობდა ლიტერატურას, იმახსოვრებდა გმირებს, გმირის სიტყვებსა და – ცხოვრების წესს. ქართული ცნობიერება, ამის წყალობით, მკვეთრად განასხვავებდა სიკეთესა და ბოროტებას. ლიტერატურაშიც, რუსთველის გავლენით, მკვეთრად უპირისპირდებოდა ერთმანეთს კეთილი და ბოროტი. ქართული მწერლობა კვლავაც ატარებდა მკაფიოდ გამოხატულ ზნეობრივ ფუნქციას, რაც აშკარად მალლა იდგა ლიტერატურის „შემეცნებითს“ და „ესთეტიკურ“ ფუნქციებზე. იგულისხმება: მწერალი იმას კი არ გამოხატავდა, რაც არის, არამედ იმას – რაც უნდა იყოს. ქართველისთვის სრულიად გაუგებარი იყო „ბოროტების ესთეტიკა“, „ბოროტების ყვაილები“, ანუ ის, რომ ბოროტება შეიძლება ლამაზიც იყოს და მიმზიდველიც.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: დასავლური კულტურა მეცხრამეტე საუკუნეში თანდათან უარს ამბობს ზნეობის პირველობაზე და მასზე წინ აყენებს თავისუფლებას. ასეთი სულისკვეთება გერმანულმა რეფორმაციამ შემოიტანა საქრისტიანოში. ცოტა მოგვიანებით კი იმავე რეფორმაციისგან შობილმა მძლავრმა ბუნებისმეტყველებამ ძირი გამოუთხარა სამყაროს იერარქიული წყობისადმი რწმენას. თვით კეთილ ქვეყაშიც მთავარი

გახდა არა სიკეთე, არამედ, პიროვნების ნება. ადამიანის ღირსების საზომად იქცა არა ნორმები, თუნდაც შინაგანი, არამედ ნებისყოფა, თავისუფლება. ამიტომ სიკეთე და ბოროტება სულ ერთია. მთავარია, ადამიანის შინაგანი ძალა და მისი დემონსტრირება, ანუ წარმატების მიღწევა იქცა ადამიანის მიზნად. მთავარია, მიაღწევ თუ არა წარმატებას. ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა სფეროში აღწევ მას. ცხოვრების შინაარსი გაქრა; დარჩა მხოლოდ ფორმა.

ბევრს გაუკვირდება, მაგრამ ზნეობის იდეალი დასავლური ცივილიზაციის მძლავრმა ოპონენტმა – სტალინის იმპერიამ შეინარჩუნა. აქ დარჩა „საერთო სადმი“ ინდივიდის უპირობო დაქვემდებარების ძველი, გვაროვნული, ღვთისმომშიშური იდეა. ამ იდეას შესანიშნავად მოერგო ტრადიციული რუსული სალონობა, „ქრისტესმიერი სირეგვე“ და, რაც მთავარია, ბელადის „სტოლურ-ქრისტიანული“ სიმპათია სიღარიბისადმი. მსოფლიო ისტორიაში ანალოგი არ მაგონდება იმ ფანტასტიკური ექსპერიმენტისა, რაც სტალინმა განახორციელა. მან თითქმის ნახევარი მსოფლიო შეკრა მძლავრი რელიგიური სულისკვეთებით და დედამიწაზე აღმართა სამხედრო-ყაზარმული ყაიდის „გიგანტური სპარტა“.

ზოგი ამტკიცებს, რომ ეს იყო ქართული სულიერი კულტურის მკვლელობის სამოცდაათი წელი. ეს არ არის შეცდომა, ეს ბოდეაა, პირიქით, ხსენებული სამოცდაათი წელი საქართველოს ისტორიის ოქროს ხანად უფრო გამოიყურება. ზოგი უფრო ზომიერია და, უბრალოდ, უკვირს: ქართული კულტურა როგორღა ვითარდებოდა ამ უზედურების ხანაში ან დღეს, ამ გაგანია თავისუფლების ეპოქაში ნეტავი რა ჭირი ეტაკაო. აი, ეს კი შეცდომაა და ღირს განხილვად.

სტალინის იმპერიაში ხალხი, დიხახაც, ღარიბულად ცხოვრობდა, მაგრამ დღევანდელ ღრმად ეკლესიურ საქართველოში კარგად უნდა მოგვეხსენებოდეს ქრისტეს მცნება: „ნეტარ არიან ღარიბნი!“ ანუ მდიდარი ისევე ვერ მოხვდება სასუფე-

ველში, როგორც აქლემი ვერ გაძვრება ნემსის ყუნწში. სიღარიბე ადამიანის „ბუნებრივი მდგომარეობაა“ და ადამიანიც ადვილად ეგუება მას. დღევანდელი ქართველი სიღარიბით კი არ იტანჯება, არამედ სიმდიდრის ურცხვი პროპაგანდით. სტალინისდროინდელი ზნეობრივი ენთუზიაზმი და საყოველთაო სიღარიბე საუკეთესო პირობებს ქმნის ნიჭის და, საერთოდ, სულიერი კულტურის განვითარებისთვის. ირღვევა „ეგოს“ ჯგბირები, ადამიანი ეჩვევა საერთო ინტერესების შეგნებას და უერთდება სახალხო ცხოვრებას, ხალხის წიაღს. სულიერება სწორედ ეს არის. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ საქართველოს სულიერმა კულტურამ სტალინის იმპერიაში უმაღლეს დონეს მიაღწია უკლებლივ ყველა დარგსა თუ სფეროში.

ნიჭი ბუნებისგან არის, რომელიც ყველა ეპოქაში თანაბრადაა მომადლებული მონაცემების სახით, მაგრამ მონაცემებს განვითარება სჭირდება და სწორედ ეს განვითარებაა ხალხის სულიერი კულტურა. ეპოქები და ქვეყნები ადამიანთა ნიჭის ოდენობით კი არ განსხვავდებიან, არამედ ნიჭის განვითარების კულტურით. აი, ეს კულტურა იყო სტალინის იმპერიაში და აღარ არის დღეს.

ერთი შეხედვით, ზუსტად ასევე გასაკვირია საგნის მეორე მხარე: დაირღვა საბჭოთა იმპერია, ლიტერატურა გათავისუფლდა ცენზურისგან. ჩვენი მწერლობა კი ფუნდამენტურ საკითხებზე ფიქრს თავს არიდებს და ფორმალური ჩხრიკედელაობით, წვრილთემიანობით ან თავშესაქცივით ისტორიებით ერთობა. ჩვენმა სულიერმა კულტურამ ამკარად იკლო.

დაიხ, ეს ერთი შეხედვით არის გასაკვირი, თორემ საქმეში ჩახედულ კაცს არ გაუკვირდება. „ერთი შეხედვა“ პარტიულ ჯგუფებს სჩვევიათ, ერი კი საფუძვლიანად, ღრმად, ფილოსოფიურად შეიმეცნება.

მეოცე საუკუნის ბოლოს დიდი მოვლენები მოხდა მსოფლიოში, რომლებიც პირდაპირ შეეხო საქართველოს. ამ მოვლენების აღქმისას და შეფასებისას ჩვენ

პირწმინდად და სამუდამოდ შემოვიფარგლეთ პარტიული ჯგუფების მიერ „დადებული“ თვალსაზრისებით და შეფასებებით; ვერა და ვერ გამოვედით ანტი-სოვეტური პროპაგანდის ჯვადღადა: კეთილმა ძალემბა დაამარცხეს ბოროტების იმპერია და გვეხმარებოდა თავისუფლების სრულად მიღწევამ! ჩვენ ვერ შევწვდით უფრო მაღალ, ფილოსოფიურ პოზიციას, როგორც ეს ერს ეკადრებოდა. აი, ეს იქნებოდა „საქმეში ჩახედვა“.

„საქმეში ჩახედვისას“ კი სულ სხვა სურათი გადაგვეშლებოდა: საბჭოთა იმპერიის დანგრევა არ ყოფილა „კეთილი“ ძალების მიერ „ბოროტების იმპერიის“ დანგრევა. ეს იყო ერთი „ბოროტების“ მიერ მეორის დამარცხება, კერძოდ: ევროატლანტური იმპერიის მიერ რუსეთის იმპერიის დამარცხება. შესაბამისად, ამას მოჰყვა საქართველოს გათავისუფლება არა უცხო, არამედ რუსული იმპერიისგან და მისი დამონება ახალი ბატონის, ევროატლანტური იმპერიისადმი. ამიტომ სულ მცირე, არავითარი საფუძველი არ არსებობს გაკვირვებისა: რატომ არ მოჰყვა რუსეთის იმპერიისგან გათავისუფლებას ჩვენი სულიერი კულტურის ამაღლება?! ესაა პირველი, ზოგადი სურათი, რაიც ფილოსოფიური აზროვნების წინაშე გადაიშლება, მაგრამ უფრო საინტერესო და ნაყოფიერი ამ სურათის დაკონკრეტებაა. ეს ომები, რომლებიც ზერეულ აზროვნებას „რუსეთ-საქართველოს“, „რუსეთ-უკრაინის“ და ა.შ. ომები ჰგონია, სინამდვილეში დასავლური (ევროატლანტური) და აღმოსავლური (რუსული) ცივილიზაციების ომია, ამ ორ ცივილიზაციის, ჩვენს ყოფილ და ახლანდელ ბატონებს შორის კი დიდი და ერთობ საინტერესო განსხვავება!

ჩვენი ყოფილი ბატონი „სენსორული აღმოსავლეთი“ იყო, ახლანდელი კი „მოტორული დასავლეთი“. პირველს ადამიანი ესმის „კოლექტივის“, „ერთობის“ ნაწილად, მეორეს – „ატომად“, „ინდივიდად“. „კოლექტივისეული ადამიანის“ ღირსება სულიერებაა, თანაზიარობაა. მისი მანიერება უპიროვნობა და მო-

ნობა. ინდივიდუალისტურ კულტურაში ადამიანის ღირსება თავისუფლება და ძალაუფლების ნებაა, ხოლო მანკიერება – შიზოიდური ცნობიერება. ამიტომ ნაკლებად ცდებიან ისინი, ვინც დღევანდელ საქართველოში ვინრო ხელობის დაუფლებას და წარმატებას ესწრაფვიან, ხოლო დაბნეულად იქცევიან ისინი, ვინც ზნეობასა და სულიერ კულტურაზე ოცნებობენ დღევანდელ „პროდასავლურ საქართველოში“.

დასავლეთს, საითქენაც ჩვენ ვილტვით, სულ სხვაგვარად ესმის მწერლობაც. დასავლური აზროვნების პირველმა მენცარმა, **კანტმა**, საფუძვლიანად და შთამბეჭდავად უარყო ხელოვნების ზნეობრივი ფუნქცია. თითქმის არც ერთი დასავლეთელი მწერალი არ მიიჩნევს ხელოვნებას ზნეობის ქმნილებად. ხელოვნება „სიკეთესა და ბოროტებაზე მაღლა დგას“, როგორც **ნიცშე** და **უილი** ბრძანებდნენ.

დასავლეთის ლიტერატურული გმირი, განსხვავებით ჩვენი გმირებისგან, თითქმის არასოდეს არ არის „ზნეობის კაცი“. ის უფრო საკუთარ თავსა და ბედისწერასთან მეტრძოლი ფაუსტია. ის ბრწყინავს არა სიკეთისგან, არამედ – ძლიერი ნებისგან, თავისუფლებისგან. ჩვენი ლიტერატურა კი მუდამ ადამიანის ზნეობის ცენტრს აღვივებდა, სხვისთვის ზრუნვისა და თავგანწირვისთვის განწყობდა ადამიანს. ეს ორი სრულიად სხვადასხვა კულტურაა. დასავლურ კულტურაში მწერლობას არ აქვს ზნეობრივი ფუნქცია. ამიტომ არც ახალ, მედასავლეთე საქართველოში უნდა ვაკისრებდეთ მწერლობას ასეთ ფუნქციას.

ასევე ფილოსოფიურ მიდგომას საჭიროებს ზოგიერთი სიკეთე, რომელიც დასავლურმა ტალღამ მოიტანა ჩვენში (ვგულისხმობ ცენზურის მოხსნას ლიტერატურაზე). აზროვნება გათავისუფლდა ცენზურისგან. სიტყვამ მოიტანა და უნდა ვიხუმრო: სამაგიეროდ, ლიტერატურა და მედია გაივსო „უცენზურო“ სიტყვებითა და გამოთქმებით; ზოგადად, აზროვნება გახდა უცენზურო, მაგრამ ახლა საკით-

ხის სხვა, უფრო ღრმა ფენას შევხვით.

ლიტერატურული ცენზურა შეიცავს ფარულ სიკეთეს – სახელმწიფო ცენზობს და აღიარებს სიტყვისა და აზრის ძალას! პოეტის უბედურება არც სიღარიბე და მარტოობაა, არც პატიმრობა და სიკვდილი. მისი უბედურება „ლოგოსის“, სიტყვის სიკვდილია. ტირანი ზოგჯერ ებრძვის პოეტს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ცენზობს პოეზიის, სიტყვის ძალას. ამიტომ პოეტის წინააღმდეგ ტირანის ბრძოლა საწინააღმდეგო შედეგს აღწევს ხოლმე და პოეზიის სასარგებლოდ მთავრდება – პოეტის სახეს ეღვარება ემატება და ამით პოეზია მხოლოდ მოგებული რჩება. ეს პოეტის **ტრაგედიაა!**

დასავლურ კულტურაში კი პოეტს არავინ ებრძვის, რადგან ის ამად არ ღირს. მის სიტყვას ძალა არა აქვს. დასავლურ კულტურაში „ლოგოსი“ მოკვდა, სიტყვა ფუტურო გახდა, ანუ იქცა „ბგერათა კომპლექსად“. ამიტომ პოეტი აღარ არის საშიში და მას არც არავინ ებრძვის. ის ბაზარზე გამოსული რიგითი გამყიველია, რომელიც ვაჭრობს არც ისე სარფიანი საქონლით. ეს პოეტის **კომედიაა**.

კულტურებს შორის ამ განსხვავებების ახსნა და განმარტება მოცემულ შემთხვევაში ჩვენს მიზნებს სცილდება. შემოვიფარგლოთ ზოგადი შენიშვნით: აღმოსავლეთს ყოფნა ესმის საიდუმლოებად, რის გამოც სიტყვა ფარული, მოულოდნელი მნიშვნელობებითაა დატენილი. დასავლეთს კი ყოფნა ესმის არითმეტიკულ ქმნილებად, რაც სრულად ექვემდებარება აღრიცხვასა და გამოთვლას. ამიტომ სიტყვა მხოლოდ პირობითი ნიშანია და მთავარია მისი ზუსტი მნიშვნელობა. **სიტყვისა და საგნის რაიმე საიდუმლო ბირთვზე ლაპარაკი აქ უბედურებაა.**

ასეთ პირობებში პოეზია თავისებურად საინტერესოა, მაგრამ – ნაკლებად სასარგებლო და გამოსაძევი. ცნება კი, მართალია, ნაკლებად შთამბეჭდავია, მაგრამ სამაგიეროდ – სანდო, საიმედო. აღმოსავლური კულტურა პოეტს სხვაგვარად უგდებს ყურს! დასავლეთს კი მეცნიერზე, ტექნიკოსსა და გამომ-

გონებელზე უჭირავს თვალი. ძნელი არ არის დავასკვნათ, რომ ქართული კულტურა ტრადიციულად აღმოსავლურია და პოეტური. ამიტომ დღეს დასავლურ სივრცეში გადატანილი საქართველო ვეღარ ეგუება თავისსავე ტრადიციებს, ისტორიას და იძულებულია, ახლიდან, ნულიდან დაიწყოს. პოეზია, ლიტერატურა ჩრდილში მოექცა და მისგან ძველებური, ტრადიციული ფუნქციის შესრულებას აღარ უნდა ველოდოთ.

ლიტერატურას მკითხველი აღარა ჰყავს. ამიტომ პოეტის მაჯისცემა დასუსტდა. პოეტი ხომ არც ფულისთვის წერს, არც სასუფევლის დამკვიდრებისთვის, არც რაიმე მინიერი ბიდეებისთვის. ის წერს მკითხველისთვის, ხალხისთვის, მაგრამ, როცა მკითხველი აღარ არის, პოეტის მოტივაცია ქრება და დგება ხანა პოეზიის კვდომისა. სცენა ლიტერატურულ წერილფეხობას რჩება. პოეზიიდან ქრება საიდუმლოება და რჩება შიშველი ლიტერატურული ტექნიკა, ვერსიოვაციული სალტო-მორტალები. ეს კი ისევე ნაკლებადაა ლიტერატურა, როგორც ბურთის თვითმიზნური კენწვლა – ფეხბურთი.

წერილფეხობის მეორე ნაწილი უარს ამბობს ტექნიკურ ფონგლიორობაზე და ცდილობს გრძნობებისა და განცდების გამოხატვას, მაგრამ „ლოგოსის“ სიკვდილის გამო მისი ეს შინაგანი სამყარო მწირია და უნაყოფო. ის შეიძლება საინტერესოდ მოგვითხრობდეს, მაგრამ თვით მოსათხრობს, სათქმელს აკლია „საფუარი“. ამიტომ ის აკმაყოფილებს მხოლოდ გარეგან ცნობისმოყვარეობას – რითი დამთავრდება ნეტავი ამბავი? ადამიანის სულის სიღრმეებში იგი ვერ აღწევს, ადამიანს ვერ **ჩააფიქრებს**. მას არ ძალუძს გამოსტაცოს ადამიანი ყოველდღიურ ფუსფუსს, „ამაოებათა ამაოებას“ და აქციოს „დამკვირვებლად“, შემმეცნებლად, მოაზროვნე არსებად.

ასეთი მწერალი და მისი მკითხველი უნაშთოდ, თავიდან ბოლომდე მატერიალურ სამყაროს ეკუთვნიან. არც ამგვარ თხზვაში და არც ამგვარ კითხვაში „სული“ არ მონაწილეობს. მწერალი წერს

შთაგონების გარეშე; ხოლო მკითხველი კითხულობს მონყენილობის გამო.

ყველაფერ ამას ძველად „სულიერი კრიზისი“ ერქვა. დღეს ეს ტერმინი აღარ იხმარება. გვიმტკიცებენ, რომ ეს, პირიქით, წინსვლაა, რომ ადამიანის სიმწიფე შევიდა განვითარების უმაღლეს ფაზაში – ადამიანის „ბიბლიურ ტიპს“ ცვლის „პოსტიბილიური ტიპი“. ადამიანი თავს აღწევს უმნიშვარ წარმოდგენებს „სამყაროს დიქტატორის“ შესახებ, რათა ბოლოს და ბოლოს სრულად იგრძნოს საკუთარი თავი და თვითონ, საკუთარი ძალებით შეუდგეს დამოუკიდებელ, თავისუფალ ცხოვრებას. როგორც მამის სიკვდილია თავისებურად სასარგებლო ვაჟის დაკაცებისთვის, ისე „ღმერთის სიკვდილი“ – ადამიანთა მოდგმის თავისუფლებისთვის. ადამიანი იწყებს ცხოვრებას „ღმერთისა“ და „სულის“ გარეშე. სამაგიეროდ მასთანაა მისი ტექნიკა და ტექნიკური უნარ-ჩვევები.

რომანტიკოსმა პოეტმა ფრიდრიხ ნიცშემ იწინასწარმეტყველა ეს მომავლის ადამიანი და **ზეაკაცი** (der Übermensch) უწოდა მას. მოგვიანებით შევიცარიელმა მწერალმა მაქს ფრომმა ეს ადამიანი უფრო კონკრეტულად და დალაგებულად დაგვიხატა და უფრო შესაფერისი სახელიც დაარქვა – Homo Faber (ინჟინერი ადამიანი).

ა. ზ. ბატონო ზურაბ, თქვენი პასუხი პარადოქსული აზროვნების ნიმუშია. ამგვარი, ხშირად პარადოქსების შემცველი განსჯა, ცოცხალ ინტერესს აღძრავს. ამიტომ გამიჩნდა სურვილი, ზოგიერთ საკითხზე ჩემი აზრი გამომეთქვა. თქვენ ამბობთ, რომ „ყველგან და ყოველთვის ბოროტება სჭარბობს სიკეთეს, ანუ სი-სასტიკე -თანაგრძნობას, უსამართლობა – სამართლიანობას, უსამოვნება -სი-ამოვნებას. ეს კარგად ჩანს ბიბლიაშიც, „ილიადასა“ და „ოდისეაშიც“, „ღვთაებრივ კომედიაშიც...“. დიახ, ასეა. ბოროტების მიძინვარება, რა თქმა უნდა, ჩანს ამ თხზულებებში, მაგრამ, ჩემი აზრით, მთავარი სხვა რამ არის: აქ უფრო თვალნათლივ ჩანს ადამიანის მუდმივი შეური-

გებლობა ამ ბოროტებასთან. არსებითად ეს დიდი წიგნები იმიტომაც დაინერა, რომ ბოროტების ფონზე „ადამიანის აქტივობა...“ მისი მეტაძოლი და მაძიებელი ბუნება წარმოჩენილიყო. მოსეს წინამძღოლობა უდაბნოში კაცთა განსაცდელისგან ხსნის აპოთეოზია და ვერგილიუსის დანტესადმი გაწეული მეგზურობა ჯოჯოხეთში სამყაროს ბნელი მხარეების შემცნობელი პოეტური ტრაქტატია. ჰომეროსის „ილიად“ აქილევსის გმირობის განსაღიბებლად არის დაწერილი და მის უკვდავყოფას ეძღვნება. ოდისევსის შინ დაბრუნების ამბავი კი - არანაკლებ ტრაგიკული, ვიდრე მთელი ათწლიანი ტროას ომი - ყველაფერთან ერთად ცოლ-ქმრული ერთგულების აპოლოგიაა და ამით უაღრესად ადამიანურია და სიკეთის შემცველი.

ნიმფა კალიფსო თავდავიწყებით შეიყვარებს ულამაზეს ოდისევსს, გამოქვაბულში დაატყვევებს, სარეცელს იყოფს მასთან და შინ აღარ უშვებს, არადა, ათწლიანი ომის შემდეგ შინსაკენ მიმავალ ოდისევსს ერთი სული აქვს თავის კერას დაუბრუნდეს, მშვიდნიერი მეუღლე პენელოპე და უკვე დავაუკაცბული ვაჟი ტელემაქე იხილოს. და აი აქ ხდება უაღრესად საინტერესო რამ: ნიმფა კალიფსო კიდევ ერთხელ სთხოვს დარჩენას ოდისევსს და უკვდავებას სთავაზობს მას! რთული არჩევანის წინაშე დგას ოდისევსი: ან უკვდავება, ანუ ღმერთადყოფნა, ან ოჯახური კერა! ოდისევსი ამ უკანასკნელს ანიჭებს უპირატესობას და შინსაკენ განაგრძობს გზას.

თავის მხრივ მისი მეუღლე პენელოპეც ათავგვარი ხრიკებით იგერიებს შემოსულ სასიძოვებს და ოდისევსისადმი ერთგულების განუხრელ პირობას ბოლომდე იცავს. ასე რომ, აქ ორმხრივი სიყვარული ამარცხებს ყოველგვარ ბნელ ძალას და უსიყვარულობას!

მეორე საკითხი, რომლის გამოც განსხვავებული აზრი გამაჩნია, საბჭოთა იმპერიაში კულტურის განვითარების, მისი დაცვმა-აღზევების საკითხია. თქვენ ამბობთ, რომ სტალინური იმპერია არნა-

ხულ პირობებს ქმნიდა სულიერი კულტურის ასაყვავებლად. თქვენი აზრით, ტოტალიტარული რეჟიმის არსებობის სა მოცდაათი წელი საქართველოს ისტორიის ოქროს ხანად შეიძლება შევარცხბოთ; ასევე დასძენთ, რომ სტალინის იმპერიაში ადამიანი ღარიბი იყო და ეს სიღარიბე მას „ბუნებრივ მდგომარეობას“ უქმნიდა. მომყავს ციტატა: „სიღარიბე საუკეთესო პირობებს ქმნის ნიჭის და, საერთოდ, სულიერი კულტურის განვითარებისთვის. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ საქართველოს სულიერმა კულტურამ სტალინის იმპერიაში უმაღლეს დონეს მიაღწია უკლებლივ ყველა დარგსა და სფეროში“.

სიღარიბე სტალინის ეპოქამდეც არებობდა და, სამწუხაროდ, მას აქეთაც არსებობს, ამიტომაც ის სულიერი კულტურის განვითარების მიზეზად არ შეიძლება მივიჩნიოთ. ვფიქრობ, აქ სიღარიბე არ უნდა იყოს მთავარი. თქვენეული პარადოქსის შინაარსი მე სხვაგვარად მესმის და ალბათ ასე უნდა გამოითქვას: რაც უფრო მძიმე იყო სტალინური ტოტალიტარიზმის წნეხი, მით უფრო მეტი ზნეობრივი ძალა ეძლეოდა მწერლობასაც, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზენოლას ის ტოლძალღვანი უკუგებით პასუხობდა. ეს აზრი ადრეც გამოთქმულა, მაგრამ არა მგონია, მას რაიმე შეხება ჰქონდეს სიმართლესთან. და აი, რატომ: სტალინმა ყოველგვარი თავისუფალი აზრი ამოძირკვა, ყოველგვარი უკუგება გაანადგურა: ნაწილი მწერლებისა დახვრიტა ან თვითმკვლელობამდე მიიყვანა, მეორე ნაწილი კი „მოათვინიერა“.

რაც შეეხება კულტურის აღმავლობას, ეს მოვლენა უშუალოდ სტალინის ეპოქამდე გაცილებით ადრე დაიწყო, სტალინის ეპოქაში კი შეჩერდა. XX საუკუნის ათიანი წლებიდან კულტურის აღმავლობა შესამჩნევი იყო მთელს ევროპაში და რუსეთში. ამ თვალსაზრისით საქართველოშიც შეინიშნებოდა გამოცოცხლება, რომელიც თანდათან უფრო გაძლიერდა. რუსებმა ამ სულიერი აღზევების ხანას თავიანთ ქვეყანაში „ვერცხლის საუკუნე“

უნოდეს. ეს იყო ბლოკის და ანენსკის, გუმბოლოვის და ვოლოშინის, ახმატოვას და ცვეტაევას, პასტერნაკის და მანდელ-შტამის, ბულგაკოვის და პლატონოვის, ბერდიაევის და როზანოვის და სხვათა მოღვაწეობის დრო. ამ აღმავლობის შეფერხება ლენინმა დაიწყო (გუმბოლოვის დახვრეტა 1921 წელს) და შემდეგ უფრო „ნარმატებულად“ სტალინმა განაგრძო 30-იან წლებში.

საქართველოში სამწლიანმა თავისუფლების პერიოდმა კულტურული აღმავლობის განვითარების თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და კონსერვატორია, 1919 წელს გამოიცა გალაკტიონ ტაბიძის გენიალური ნიგნი „არტიტული ყვავილები“.

ქართველი მეცნიერები და ხელოვანები სწავლობდნენ ევროპაში, ისინი საუკუნის უპირველეს სწავლულებს და ხელოვანებს ემონაფებოდნენ, ვთქვათ, ოგოუსტ როდენის მონაფე იყო იაკობ ნიკოლაძე, ედმუნდ ჰუსერლისა – კოტე ბაქრაძე. გერონტი ქიქოძე ლაიფციგისა და ბერნის უნივერსიტეტებში სწავლობდა. ლაიფციგის უნივერსიტეტში დაიცვა 1909 წელს სადოქტორო დისერტაცია დიმიტრი უზნაძემ. ამავე უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი დაამთავრა გრიგოლ რობაქიძემ. ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი და დავით კაკაბაძე პარიზში XX საუკუნის უპირველესი მხატვრების გვერდით ჰფენდნენ თავიანთ ნამუშევრებს. არ შეიძლება დავივიწყოთ ადრე გარდაცვლილი, სამწუხაროდ, დღემდე დაუფასებელი არაჩვეულებრივი მხატვარი შალვა ქიქოძე, რომელიც პარიზშივე ქმნიდა თავის განუმეორებელ ტილოებს. ნიკო ლორთქიფანიძეც ევროპაში სწავლობდა და არტურ შნიცლერთან მეგობრობდა. ძნელია ყველას ჩამოთვლა, უბრალოდ, აქ ერთი რამ არის თვალმისაცემი: ეს ადამიანები ღვთისაგან ბოძებულ ნიჭის მეშვეობით თავიანთ შემოქმედებაში ეროვნულის და უნივერსალურის სინთეზს ახორციელებდნენ. მთავარი კი ის გახლავთ, რომ ყოველივე ეს ხდებოდა

სტალინის ეპოქამდე. უკვე მძლავრობდა ქართული კულტურა და მისი ხელოვნური ჯვბირებით შეჩერება შეუძლებელი იყო. ამიტომ 1921 წლის ანექსიის შემდეგ, რომელიც რუსეთმა სტალინის და ორჯონიკიძის ხელით განახორციელა, თავისუფალი აზრის დინება და შემოქმედებითი აღმასვლა ნაუცბათევად არ შეწყვეტილა. 1924 – 25 წლებში ახლადდაარსებულ ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა გალაკტიონის ასი ლექსი, გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“, მიხეილ ჯავახიშვილის „ჯავახოს ხიზნები“, კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“, გერონტი ქიქოძის წერილები და სხვ. თავისუფალი აზრის დინება გაგრძელდა 1930 წლამდე, შემდეგ კი დაიწყო ქართული ლიტერატურის სრული გაცამტვერება, რასაც მოჰყვა საუკეთესო ქართველი მწერლების და ხელოვანების ფიზიკური განადგურება. მიხეილ ჯავახიშვილის და ტიცოან ტაბიძის სახელები ნამებულ ქართველ მწერალთა სიმბოლოდ იქცა. ამიტომაც ძნელია ოქროს ხანა უნოდო უშუალოდ სტალინური დიქტატურის წლებს. სტალინის სიკვდილის შემდეგ კი დადგა ე. წ. „დათბობის“ პერიოდი, რომელიც ასევე ძნელია ოქროს ხანად მოიხსენიო.

ასე რომ, ათიანი წლებიდან დაწყებული და ოციანი წლებში ბუნებრივად განვითარებული კულტურის ზეაღმავალი ხაზი, ოცდაათიანი წლებში საბედისწეროდ დაქვეითდა, შეფერხდა და შეჩერდა. შემფერხებელი კი, რა თქმა უნდა, სტალინური იმპერია გახლდათ, რომელსაც ძნელი იყო, რაიმე „ზნეობრივი იდეალი“ შეენარჩუნებინა. ასე მოვალნიეთ სამოციანი წლებამდე.

სამოციანი წლებში მწერლობაში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებსა და ხელოვნებაში ძლიერი ნიჭით დაჯილდოებული თაობა მოვიდა. კულტურას თითქოს ხანგრძლივი შეფერხების შემდეგ ახალი სუნთქვა გაეხსნა; ვთქვათ, გურამ რჩეულიშვილის პროზას და ოთარ ჭილაძის პოეზიას არაფერი დატყობია „მოთვინიერებული“ მწერლობისა; იგივე შეიძლება ითქვას ზურაბ კაკაბაძის არაჩვე-

ულებრივ ფილოსოფიურ ესეისტიკაზე, თამაზ ჩხენკელის და ვახუშტი კოტეტიშვილის თარგმანებზე, ავთანდილ ვარაზის დრამატიზმით აღბეჭდილ ტილოებზე, მერაბ ბერძენიშვილის შექმნილ დავით გურამიშვილის ქანდაკებაზე, რომელიც სულიერების ნიშანსვეტივით წარმოდგა თბილისში. ცალკე თემაა ქართული კინემატოგრაფის მიღწევები, რომლის ტონის მიმცემი, აგრეთვე, სამოციანელთა თაობა იყო. დღემდე საამაყოდ გვაქვს ოთარ იოსელიანის, თენგიზ აბულაძის, ძმები შენგელაიების ფილმები. ამ ჩამონათვალის გაგრძელება, დამეთანხმებით, კიდევ შეიძლება. აღარაფერს ვიჭყვი აკაკი ბაქრაძისა და რობერტ სტურუას პერიოდის რუსთაველის თეატრზე.

მაშასადამე, სტალინის იმპერიამ ხელი კი არ შეუწყო, პირიქით, ქაობობალასავით გადაუარა ათიან და ოციან წლებში მიმდინარე პროცესებს, მოსხიბა შემოქმედი ადამიანები და შიშის ზარი დაარისხა ქვეყანაში, მაგრამ სამოციან წლებში ისევ გამრთელდა და წამოიმართა წელში გადრეკილი ხე, რომელიც ძლიერ ფესვზე იდგა. იგივე მოხდა რუსეთშიც. ტრიფონოვისა და მაკანინის, შუკშინისა და ვამპილოვის პროზამ და დრამატურგიამ, ტარკოვსკისა და გერმანის კინემატოგრაფმა ახალი შინაარსით აავსო სიცარილე.

უკვე ნათქვამს, კიდევ ერთხელ გავიმეორებ: სულიერების აღორძინება, რომელსაც XX საუკუნის დასაბამიდან დაედო სათავე, ბუნებრივად რომ განვითარებულიყო და საბჭოთა იმპერიას არ ჩაეხშო, ალბათ მთლიანობაში მართლაც განსაცვიფრებელ ატმოსფეროს შექმნიდა რუსეთშიც და საქართველოშიც. ის დონე კი, რომელიც არსებობდა 70-იან, 80-იან წლებში, მაღალი იყო, მაგრამ პერმანენტული ცენზურული შეზღუდვა მას მაინც თავის დაღს ასვამდა. ვთქვათ, რუსეთში ყველაზე უფრო მართალი წიგნი ისეთ გრანდიოზულ მოვლენაზე, როგორც მერე მსოფლიო ომი გახლდათ, მაინც ე.

ნ. „პერესტროიკის“ პერიოდში გამოქვეყნდა. ეს არის ვასილი გროსმანის ვრცელი ეპოპეა „ბედისწერა და ადამიანები“. „პერესტროიკის“ პერიოდში გამოქვეყნდა აგრეთვე ანდრეი პლატონოვის ანტიუტოპია „ჩევენგური“, რომელმაც იმპერიის აბსურდული სახე გვიჩვენა და ვარლამ შალამოვის მოთხრობები, რომელშიც საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკების შემზარაობა პირველად გამომჟღავნდა.

მე თვითონ დავსვი თავდაპირველად შეკითხვა და პასუხის გაცემა თავადვე მომიწია. 20-იან წლებში ქართულ მწერლობას ჯერ კიდევ შესწევდა ძალა ცხოვრების გამოწვევებზე მაღალმხატვრულად ეპასუხა. 30-იან წლებში საამისო საშუალება აღიკვეთა. სამოციან წლებში კი კვლავ აღდგა სიცოცხლისმიერი პროცესები. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ცენზურის მოხსნის მიუხედავად, ისეთი გლობალური სულბერნობა შემოიჭრა ჩვენში, რომ ცხოვრების ეპოქალურ ძვრებზე პასუხის გაცემა შეუძლებელი აღმოჩნდა. ვფიქრობ, ამ ვითარებას ზედმიწევნით კარგად გადმოსცემს გამონათქვამი: „ვას“ გავეყარე და „უვის“ შევეყარეო. საბჭოთა ტოტალიტარიზმიდან გლობალური სულბერნობის ხანაში ამოვყავით თავი. ჰერმან ჰესენ ყოველივე ამას „ფელეტონის ეპოქა“ უწოდა თავის რომანში „რიოში მარგალიტებით თამაში“.

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა პერიოდში საქართველოში მართლაც მოზღვავება იყო ნიჭიერების. (მიუხედავად იმისა, რომ ნიჭიერება იშვიათია), მაგრამ ამ ნიჭს ფართო გზა არ მიეცა. არადა კარგი იქნებოდა, რომ მისცემოდა.

P. S. რედაქცია შემდგომშიც გააგრძელებს დისკუსიას ანდრო ბუაჩიძისა და ზურაბ ხასაიას საუბარში წამოჭრილ საკითხებზე. ბუნებრივია, მზადა ვართ, დავბეჭდოთ ბატონ ზურაბ ხასაიას საპასუხო ნერილი.



თამაჩ გაიბახაშვილი

სიკვდილთან შერიგებული გენიოსი (გალაკტიონ ტაბიძის „შერიგება“ და „მთანმინდის მთვარე“)

„ალფრთოვანებულ ფიქრებში იდგა ყრმა მეოცნებე და გენიოსი“, – წერდა 1909 წელს ჯერ კიდევ 17-18 წლის გალაკტიონ ტაბიძე ლექსში „რაა ეს გრძნობა“. ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ პათეტიკურ სიტყვათა მიღმა იდგა მარტოსული, დედის მუცლიდან თანდაყოლილი არსებობის შიშით შეძრწუნებული პოეტი, რომელმაც საკუთარი ყოფიერება ლექსად გარდაქმნა.

გაიგლის სულ მცირედი დრო და „გენიოსი ყრმის“ შემოქმედებითი მღელვარება თავბრუდამხვევი სისწრაფით მიაღწევს იმ თვალშეუდგამ პოეტურ სიმაღლეს, რასაც რუსთაველის შემდგომ თითქმის არც ერთი პოეტი არ შესწვდენია.

გალაკტიონისთვის განსაკუთრებით ნაყოფიერია 1915-18 წლები. სწორედ ამ პერიოდიდან ვეცნობით მას, როგორც სიმბოლისტ პოეტს, როგორც ტონის მიმცემს ქართული პოეტური სივრცის ყველაზე უფრო ძნელად ასახსნელი და რთულად აღსაქმელი ლექსებისა. აღნიშნული წლების მისეულ პოეზიაში უფრო მეტია სიმბოლიზმი; აქ უფრო მეტად ჩანს დღემდე ბოლომდე ამოუხსნელი მგოსნის უკიდევანო იდუმალება – „**მე ვხედავ სიზმრებს არა თქვენებურს**“ – და ამასთანავე

„უპირველესი მომანიჭეს დაფნა მეფეთა“
გალაკტიონ ტაბიძე

შემოქმედებითად განუძარცველი სული – თავისუფალი ეპოქის კონიუნქტურისაგან.

მოიპოვებს რა სალიტერატურო კრიტიკისა და საზოგადოების აღიარებას, შემოქმედებით შესაძლებლობებში თავდაჯერებული პოეტი საკუთარ თავს ასე შეაგულიანებს:

**შენ გელის დაფნა, შენ დიადი დიდება გელის,
პოეტო! არვინ არ ყოფილა ესდენ ძლიერი.**

ეს სიტყვები გალაკტიონმა 1915 წელს წარმოთქვა ლექსში „აუზისაგან“, ხოლო ვიზიონერული ხილვა მეფური დიდების გვირგვინით შემოკობისა იმავე, 1915 წელს გამოხატა ლექსებში: „შერიგება“ და „მთანმინდის მთვარე“.

„შერიგებას“ მეტად საგულისხმოდ და დამაფიქრებელი სათაური აქვს. იგი არ გულისხმობს ვინმე კონკრეტულ პიროვნებასთან შერიგების სურვილს. მას გაცილებით მეტი სიღრმისეული დატვირთვა ენიჭება, ოღონდ, თუ რა შინაარსის მატარებელია ლექსის სათაური (რაც ამავე დროულად ნაწარმოების დედააზრიცაა),

ამაზე ცოტა მოგვიანებით, მანამდე კი ლექსის ზოგად მიმოხილვაზე შევჩერდეთ.

„შერიგება“ თავიდან ბოლომდე საზეიმო, ამაღლებული განწყობილებითაა გამსჭვალული. ამგვარი ეგზალტირებული მზაობა პირველივე სტრიქონიდან ჩნდება და ფონად გასდევს მთელ ნაწარმოებს. გალაკტიონი მისთვის ჩვეული, ამოუცნობი იდუმალებით იკარგება შთაგონების მიღმა, სადაც თეთრი ტანსაცმლით მორთვასა და ქარში გასვლას აპირებს მოცარტის მსუბუქი მუსიკის ზვირთებით გარემოცული:

...თურც ტანსაცმელში მე მოვირთვები
და წავალ ქარში, როგორც მოცარტი,
გულში სიმღერის მსუბუქ ზვირთებით.

გალაკტიონის საოცარ ფერთა პალიტრაზე არაერთხელ შეინიშნება თეთრი ფერი, როგორც სიმბოლო სინმინდისა, როგორც სასწაულის დადასტურება სხვა სამყაროსკენ მიზანსწრაფული მგზავრისა („სადმე ყრუ ადგილს დავესახლები, / სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი“ – „გზაში“), მაგრამ ამ პოეტური აღმადრენის ჟამს უჩვეულო და მნიშვნელოვანი სულ სხვა რამეა: გალაკტიონის მზერაცა და გონებაც კონცენტრირებულია თვალშეუდგამი სიმაღლისაკენ – მყინვარის მწვერვალისაკენ, სადაც, მყინვარის მარადიულ სიდიადესთან ერთად, თვალნათლივ ხედავს საკუთარ პოეტურ დიდებას, დრო-სივრცეში აღმოზრწყინებულსა და მოკაშკაშეს.

გალაკტიონი მყინვარს „მაღალ ზრახვათა მეფეს“ უწოდებს და ამ პოეტური ალუზიის საშუალებით რადიკალურად განსხვავებულად წარმოგვიდგენს ილია ჭავჭავაძის მიერ „მგზავრის წერილებში“ დახასიათებული მყინვარის ნიშან-თვისებებს. იმისათვის რომ ეს თვალშისაცემი სხვაობა ნათელი გახდეს „მგზავრის წერილებში“ გავიხსენოთ: „დიდებული რამ არის ეგ მყინვარი. აბა მაგას შეუძლიან

სთქვას: ცა ქუდადა მაქვს და დედამინა ქალამნადაო. ცისა ლაყვარდსა მოჩანდა იგი თეთრად და აუმღვრევლად. ერთის მუჭისოდენა ღრუბლიც არა ჰფარავდა მის მაღალს შუბლსა, მის ყინვით შევერცხილთ თავსა. ერთადერთი ვარსკვლავი, მეტად ბრწყინვალე, ზედ დაჰნათოდა, ერთს ალაგს გაჩერებული, თითქო მყინვარის დიდებულ სახეს განუცვიფრებიაო. მყინვარი!.. დიდებულია, მყუდრო და მშვიდობიანი, მაგრამ ცივია და თეთრი. დანახვა მისი მაკვირვებს და არ მალეღვებს, მაცივებს და არ მათობებს, – ერთის სიტყვით მყინვარია. მყინვარი მთელის თავის დიდებულებით საკვირველია და არა შესაყვარებელი. აბა რად მინდა მისი დიდება? ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალს შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატოკებს. ძირი თუმცა დედამინაზედ უდგა, თავი კი ცას მიუბჯენია, განზედ გამდგარა; მიუკარებელია. არ მიყვარს არც მაგისტანა სიმაღლე, არც მაგისტანა განზედ განდგომა, არც მაგისტანა მიუკარებლობა“.

როგორც მოცემული მონაკვეთიდან ჩანს, ილიას გული ვერ მოუნადირებია მყინვარის სიდიადეს, ვინაიდან მწერალი ფიზიკურ ხატში კი არ ეძებდა ხიბლს ყოველი არსისა (იქნებოდა ეს სულიერი თუ სულიერად გარდაქმნილი უსულოება), არამედ შინა-არსში.

„მგზავრის წერილებში“ მყინვარის „მაღალი შუბლი“ მარტოოდენ ყინვით შევერცხილლ მშვენიერებას განასახიერებს, თუმც სწორედ ილიას ფრაზა: „მყინვარი უკვდავებისა და განცხრომის დიდებული სახეა“ იქცა გალაკტიონის შთაგონების წყაროდ. ვინაიდან პოეტმა მყინვარის მიუწვდომელ დიდებულებაში, მის მეფურ სიდიადეში სულ სხვა რამ – საკუთარი უკვდავებისა და დიდების ანალოგი შეიქნო; ამიტომაც მოიხსენიებს მას: „მაღალ ზრახვათა მეფედ“. ილიასთან თუ მყინვარს ერთადერთი ვარსკვლავი დაჰნათის და არა ვარსკვლავთა დასი, გალაკტიონთან ის მზით დაფერილი ყინულებიდან

არეკილ კამკამა ნათებად წარმოჩინდება, რასაც მგოსანი „უძიძემს იაგუნდებს“ უწოდებს.

ამდენად, ილიას მიერ უარყოფით კონტექსტში დახატული მყინვარი გალაკტიონთან აშკარად ტრანსფორმირდება და სულ სხვა განზომილებაში ინაცვლებს:

და მყინვარს, მაღალ ზრახვათა მეფეს,
მაისი ალით ააზამბახებს.

მოცემულ პასაჟში მგოსანი პოეტურ ლიცენციას მიმართავს და ნაცვლად სიტყვისა – „ააგიზგიზებს“, საოცრად ფერადოვან და ხატოვან სიტყვას ქმნის – „ააზამბახებს“, რაც ერთდროულად გულისხმობს აგიზგიზებასაც, აფერადებასაც, აყვავებასაც, აყვავილებასაც. აქ, როგორც აღინიშნა, საქმე გვაქვს პოეტურ ლიცენციასთან – ოკაზიურ ფორმასთან. ამგვარი სიტყვაქმნადობა უპირველესი მახასიათებელია გალაკტიონის პოეზიისა, რათა სიტყვას მაღალმხატვრული ელფერი მიანიჭოს, უფრო ღრმად შინაარსიანი, ნატიფი და მოქნილი გახადოს – ფრაზა დაიმორჩილოს.

„შერიგების“ აზრობრივი შინაარსის ამოსაცნობად საჭიროება მოითხოვს, კვლავ მყინვარის დიდებულებას მივუბრუნდეთ. ვსაუბრობთ რა მის მარადიულ სიდიადეზე, უნებლიედ ჩნდება კითხვა: რა საერთოა მყინვარსა და პოეტს შორის? ამ კითხვას მგოსანი მარტივად და მკაფიოდ პასუხობს:

ჩვენ გვირგვინები გვაქვს ოდნავ მსგავსი,
ლამაზი შუქთა მარადი ნთებით:
მე მსუბუქ დაფნის ფოთლებით სავსე,
მყინვარს – უძიძემს იაგუნდებით.

ამრიგად, ლექსის თანახმად, პოეტი და მყინვარი ერთმანეთს იგავმიუწვდომელი დიდებისა და მარადიულობის ნიშნით აღბეჭდილი გვირგვინებით ემსგავსებიან. ამიტომაც ამკობს გალაკტიონი მყინვარს მეფური დიადემით – უძიძემს „ყინულის

იაგუნდებით“, ხოლო საკუთარ თავს – „მსუბუქი დაფნის ფოთლებით“.

აქვე უნდა ითქვას, რომ არა მარტო ამ ლექსში („შერიგება“), არამედ სხვაგანაც, საგარაუდოა, რომ სწორედ მყინვარის დიდებულებამ უბიძგა პოეტს საკუთარი თავისთვის შემოეძახებინა:

შენ მხოლოდ მარადი სიმალლე გიშველის,
როს შუქად მშობლიურ ცას შეეშენები.
(„დრო“).

როგორც ცნობილია, გალაკტიონს 1921 წელს ამკობენ სიმბოლური დაფნის გვირგვინით და ანიჭებენ მას ქართული პოეზიის (პოეტების) მეფის ტიტულს. მანამდე კი იდუმალი პოეტი, რომელსაც ტიცინ ტაბიძემ 1916 წელს „მარტოობის ორდენის კავალერი“ უწოდა, წინ უსწრებს მწერალთა კავშირის ერთი ნაწილის გადაწყვეტილებას და საკუთარ თავს თვითონვე უმკვიდრებს პოეზიის (პოეტების) მეფის სახელს. სწორედ ეს თამამი განაცხადია გამჟღავნებული 1915 წელს დაწერილ ლექსებში: „შერიგება“ და „მთანმინდის მთვარე“.

ლექსში „მთანმინდის მთვარე“ საკუთარ შემოქმედებით პოეტენციაში ღრმად დაჯერებული პოეტი დაუფარავად აცხადებს: „რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები“. ამ სიტყვებით სავსებით შეცნობადი ხდება გალაკტიონის იდუმალთმეტყველება – ის თავის ტოლად და სწორად არც ერთ თანამედროვე პოეტს არ მიიჩნევს. ერთი წლის შემდეგ კი კიდევ უფრო მკაფიოდ იტყვის: „როგორც ერთია ქვეყანა მთელი, ისე ერთია გალაკტიონი“. თუმც, აღსანიშნავია, რომ თანამედროვეთა ერთგვარი იგნორირების მიუხედავად, გალაკტიონი ღრმა პარტიკულარული ნინაპართა მიმართ. ამაზე ნათლად მეტყველებს „მთანმინდის მთვარე“, სადაც გალაკტიონმა პირდაპირ მიანიშნა, თუ ვის სულიერ მემკვიდრედ მიიჩნევს საკუთარ თავს. ეს პოეტები არიან: ნიკო-

ლოზ ბარათაშვილი
და აკაკი წერეთელი.

წერილში „საკუთარი ლექსების შესახებ“ გალაკტიონი წერდა: „რომ მეფე ვარ და პოეტი“ – მქონდა ასეთი ფრაზა „მთანმინდის მთვარეში“. ეს ლექსი („მთანმინდის მთვარე“) მიუხედავად იმისა, რომ ძალიან პოპულარულია, საკმარისად შესწავლილი არ არის, როგორც ერთ-ერთი გასაღებთაგანი ჩემი შემოქმედებისა. ამ ლექსში უსათუოდ სჩანს პოეტი, რომელიც თავის შემოქმედებას უკავშირებს მეცხრამეტე საუკუნის პოეზიის კორიფეების შემოქმედებას, (აცხადებს რა თავს ნიკოლოზ ბარათაშვილისა და აკაკი წერეთლის მემკვიდრეთ“ (გალაკტიონ ტაბიძე, 1950-1958, გვ. 22),

ასე რომ, სრულიად მიზანმიმართული და კონკრეტული შინაარსის შემცველია „მთანმინდის მთვარის“ პოეტური სტრიქონები: „ბარათაშვილს აქ უყვარდა ოზლად სიარული...“ და „აქ ჩემს ახლო მოხუცის ლანდს სძინავს მეფურ ძილით...“

დიდი კვლევა არ სჭირდება იმის დადგენას, თუ ვის გულისხმობს გალაკტიონი მოხუცში, ვისაც „სძინავს მეფურ ძილით“, რადგან ლექსის პირველ ვარიანტში ის აკაკის პირდაპირ ასახელებდა: „აქ ჩემს ახლო აკაკის ლანდს სძინავს მეფურ ძილით“ (ეს ასეა დღესაც ზოგიერთ გამოცემაში). შემდეგ კი, როგორც თავად უწოდებდა: „დაუმონებლად ამაყი და ციური ნიჭით დაჯილდოებული ნამდვილი პოეტი აკაკი“ კონკრეტუკას აარიდა და



მისთვის, სიმბოლისტისთვის ჩვეული საფარველით შებურა – სიტყვა „აკაკი“ „მოხუცით“ ჩანაცვლა: „აქ ჩემს ახლო მოხუცის ლანდს სძინავს მეფურ ძილით“. ეს კი იმისათვის დასჭირდა, რათა ფრაზისთვის მეტი მხატვრული გამომსახველობა მიენიჭებინა, დამაფიქრებლად ეფექტური გაეხადა მკითხველისა და მსმენლის წინაშე წამოჭრილი ამოცანა – თუ ვინ იგულისხმება მეფური ძილით განსვენებული მოხუცის ლანდში.

„მთანმინდის მთვარეს“, ისევე, როგორც „შერიგებას“, ფონად გასდევს ავტორის უაღრესად ეგზალტირებული, მძაფრი პოეტური იმპულსით გაჯერებული ამაღლებული განცდა. ორივე ლექსში მგოსანი თავს პოეზიის (პოეტების) მეფეს უწოდებს და არ არსებობს ამქვეყნად ძალა, რომელიც შემოქმედის ემოციას შეაფერხებს, დათრგუნავს მის ესოდენ ძლიერ გრძნობას – გამარჯვების სიხარულს, რომელიც პოეტის არსებაში მას შემდეგ დამკვიდრდა, რაც გაცნობიერა,

რომ თავისი უკვედავი პოეზიის წყალობით თვით სიკვდილიც კი დაამარცხა. „**მე პოეზიამ დავინყებინ ცელს ამარიდა**“, – იტყვის გალაკტიონი ცოტა მოგვიანებით (1916 წელს). მანამდე კი თავისი სათქმელი, როგორც უკვე ითქვა, ყველაზე მძაფრად „შერიგებასა“ და „მთანმინდის მთვარეში“ გამოხატა, სადაც აკლდამისა და სასაფლაოს ხსენების მიუხედავად, მაინც იგრძნობა მაჟორული ტონალობა.

მთანმინდაზე მყოფ პოეტს მთვარის იდუმალება შთაგონებით აღავსებს და ძვირფას ლანდებს გამოახმოვინებს. პოეტურ საუფლოში ამაღლებულ, სულიერი ჰარმონიით გამაჭვალულ მგოსანს არა თუ თრგუნავს ან აშინებს ბინდბუნდის აწრდილებთან ლაციცი, პირიქით, ათამამებს კიდეც დიდებულ ლანდებთან სიახლოვე, ვინაიდან მან უკვე იცის, რომ მთანმინდის არც ერთი ბინადარი, არც ერთი დიდი მგოსანი გარდაცვილილად არ ჩაითვლება, რადგანაც ხალხის ხსოვნაში მათ თავიანთი შემოქმედებით სამარადუამო დიდება და უკვდავება დამკვიდრეს. ამიტომაც სუფევს მთანმინდის პანთეონში არა მწუხარება, როგორც საზოგადოდ შეეფერება სასაფლაოს, არამედ მგოსანთა საძვალე აღიქმება პარნასად – ვარსკვლავების შუქით აკიაფებულ მხიარულ გარემოდ:

**აქ მწუხარე სასაფლაოს ვარდით
და გვირილით,
ეფინება ვარსკვლავების კროთმა
მხიარული.**

სწორედ ამგვარი განცდა უბიძგებს პოეტს, რომ საკუთარი თავი მაშინაც კი პოეზიის უჭკნობი გვირგვინით, დაფნის გვირგვინით შემკობილად წარმოიდგინოს, როდესაც დადგება დრო მისი აღსასრულისა, რომელთან შეხვედრაც გედის სიმღერით, ანუ თავისი უკვედავი პოეზიით სურს („**რომ ნაჰყვება საუკუნეს თქვენთან ჩემი ქნარი...**“). თუ რაოდენ დიდია ემოციური მუხტი სიკვდილის დამარცხებით გახარებული პოეტისა, რაოდენ

რომანტიკულად წარმოდგება სიცოცხლის დასასრული, ამას შემდეგი სტრიქონები გვამცნობს:

**და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის
სევდიან გედად,
ოლონდ ვთქვა, თუ მთვარემ სულში
როგორ ჩაიხედა,
თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან
ცამდე ფრთები,
და გაშალა ოცნებათა ლურჯი
იალქნები;
თუ სიკვდილის სიახლოვე როგორ
ასხვაფერებს
მომაკვდავი გედის ჰანგთა ვარდებს
და ჩანჩქერებს,
თუ როგორ ვგრძნობ, რომ სულისთვის,
ამ ზღვამ რომ აღზარდა,
სიკვდილის გზა არაა არის, ვარდისფერ
გზის გარდა.**

როგორც ითქვა, გალაკტიონი სიკვდილის შიშს პოეზიით ამარცხებს, რადგანაც იცის, რომ მარადიულ დიდებას საკუთარი ლექსები დაუმკვიდრებენ. ამიტომაც ეჩვენება მას აღსასრულის გზა ვარდისფრად, ანუ მსუბუქად, სადაც მშვენიერ ზღაპარს ემსგავსება მგოსანთა შემოქმედებითი წვა და თავგანწირვა.

ის ფაქტი, რომ „შერიგება“ და „მთანმინდის მთვარე“ კონცეფციურად ერთმანეთის მსგავსია, უკვე ითქვა. ახლა კი დადგა დრო, დავაკონკრეტოთ, თუ რისი მიმანიშნებელია სათაური ლექსისა – „შერიგება“ და რა საერთო აქვს მას ნანარმოების აზრობრივ შინაარსთან.

ერთ წერილში „ავტობიოგრაფიული ჩანაწერები“ გალაკტიონი აღნიშნავს: „**ჩემი ტრიბუნა იყო პოეზია და მე არასოდეს არ მიმიტოვებია ეს ტრიბუნა და არ გადამიცვლია რაიმე სხვა სამსახურზე**“ (გალაკტიონ ტაბიძე, 1952, გვ.175). პოეტურ ტრიბუნაზე შემდგარი პოეტი „შერიგებაში“ საკუთარ სულს თეთრ აკლდამაზე, ანუ სიკვდილზე ამალეებისაკენ მოუწოდებს:

**ამაღლი სულო, თურ აკლდამაზე
მშენიერების ლექსით მქებელი:
დღეს ყველგან მზეა და სილამაზე
სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი.**

ესაა ახალგაზრდა პოეტის რიტორიკული მიმართვა საკუთარი თავისადმი, იმ პოეტისა, რომელიც, შემოქმედებით ძალებში დარწმუნებული, სიკვდილს იოლად ურიგდება, ვინაიდან შესანიშნავად იცის, რომ პოეზია უკვდავებას დაუმკვიდრებს და მაშინაც კი, როდესაც მისი სხეული მიწას შეერევა, სახელი პოეტისა არასოდეს დაეშვება დიდების მწვერვალთან.

დასასრულ, მსურს, ორიოდ სიტყვით შევხზო მოსაზრებას, გამოთქმულს „შერიგების“ შესახებ (ამ შემთხვევაში გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, თუ ვის ეკუთვნის იგი). ხსენებული მოსაზრების თანახმად, გალაკტიონი იმიტომ ურიგდება სიკვდილს, რომ ამას მისი რელიგიური მრწამსი განაპირობებს და მას, უბრალოდ, სხვა გზა არ დარჩენია, რადგანაც ბუნების კანონზომიერება აღსასრულის კლანჭებიდან თავის დაღწევას შეუძლებელს ხდის. მიმაჩნია, რომ ასეთი მოსაზრება აღარიბებს ლექსის ღრმაზროვან შინაარსს, რამეთუ ამგვარ „შერიგებას“ ყოველი მართლმორწმუნე ქრისტიანი აცნობიერებს, მაგრამ სიკვდილის მოახლოებას ჯერ არავინ შეხვედრია ხელგაშლილი, აღფრთოვანებული და სიხარულით აღსავსე. პოეტის პათეტიკური განწყობა, ლექსის საერთო ამაღლებული ტონალობა, რომლის მიღმა ვხედავთ ნეტარებამოგერილ ავტორს, რომელმაც თითქოს ეს-ესაა საკუთარი მარადიული დიდებისა და უკვდავების მიზეზი შეიც-

ნო, რითაც სიკვდილზე ამაღლდა – „**დღეს ყველგან მზეა და სილამაზე, / სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი**“, – გვაფიქრებინებს, რომ ეს არ არის ჩვეულებრივი მოკვდავის აუცილებელი ხვედრი, ეს უფრო ამაღლებული, სულიერი ჰარმონიით აღვსილი შემოქმედის ყოფაზე მიგვანიშნებს, უფრო დიადსა და მიუწვდომელზე, ვიდრე თითოეული ჩვენგანის შეგუებაა გარდაუვალ აღსასრულთან. თუმც, ყოველივე ეს – ფიქრი დიადსა და ამაღლებულზე, უკვდავსა და მარადიულზე – ყველაზე უკეთ თვითონ გალაკტიონმა გამოხატა. ამიტომაც კიდევ ერთხელ მოვუხმოთ მას:

**ცხოვრება ჩემი უანკარეს
ღვინის ფერია,
იგი ელვარებს, საბოლოოდ
დაშრება ვიდრე,
მასში დიდება პოეტისა მე
დავიმკვიდრე,
რომლის გარეშე – უკვდავებაც
არაფერია.
თეთრი დღეების ისევე ისე
მიჰყვება დასი,
მე არც წარსულის, არც მომავლის
არ მეშინია.
(„ცხოვრება ჩემი“)**

ამგვარი შემართებით ეგებება გალაკტიონი გამოცხადებას, როდესაც 1959 წლის 17 მარტს „თეთრი დღეების“ ბროშურით მოჯადოებული და სიკვდილის-შიშდაძლეული ადის ფანჯრის რაფაზე და საავადმყოფოს მეოთხე სართულიდან ხელებგაშლილი მისწრაფვის მარადისობისაკენ, რათა საკუთარ სხეულთან გაუცხოებული მისი სული სამუდამოდ შეუერთდეს უკიდევანო იდუმალების მიღმა მოლივლივე თავისსავე ლანდს – დაფინის გვირგვინით შემკულსა და უკვდავი დიდებით გაცისკროვნებულს.

ნიწო სადლობეიწვილი



მომზაური მარტოსული

(ინტერვიუ გურამ მეგრელიშვილთან)

„იმას, რასაც ჩემი მეგობრის მეტი ვერ გაიგებს, ლიტერატურა არ შეიძლება ერქვას“

ადამიანი და მის გარშემო მყოფი სამყარო მთავარი ფიქრია, რომელმაც გურამ მეგრელიშვილს წერის სურვილი გაუჩინა. ყველაფერი ადამიანის შესახებ, მის სისუსტეებზე, ნაკლოვანებებზე, სიყვარულსა და სიძულვილზე – ეს ინსპირაცია დღემდე მოქმედებს მასზე და ამასობაში უკვე ათზე მეტი წიგნი დაუგროვდა...

თავდაპირველად კი ფსევდონიმით დაიწყო. ბევრს ახსოვს მოთხრობების კრებული „ზემხას“ ავტორობით, გარეკანზე – ნახევრად ჩაბნელებულ ობიექტივში ახალგაზრდა კაცის პროფილი, წიგნში კი – უცნაური, ღონიერი, ბასრი მოთხრობები, დახვეწილი ენით ნაამბობი და დასამახსოვრებელი იუმორით გაჯერებული.

საკუთარი გვარ-სახელი მალევე „დაიბრუნა“ და მას შემდეგ არაერთ წან-რში სცადა ბედი. იუმორს (სარკაზმს), თხრობის ლალ მანერას, საყვარელი თემებისადმი ერთგულებას ყველგან ინარჩუნებს. სწორედ ამის გამო გურამ მეგრელიშვილი ერთ-ერთი გამორჩეული ავტორია თანამედროვე ქართულ მწერლობაში. ის უფრონალ „ცისკარს“ ესაუბრება:

იცხოვრო ისე, როგორც წერ ან, პირიქით – წერო ისე, როგორც ცხოვრობ – არსებობს ასეთი მწერლური კრედოც. შენ როგორ ცხოვრობ? საიდან იწყება შენთვის „მწერლობის საზღვარი“?

ალბათ, არ ვუსურვებდი თავს ისეთივე ცხოვრებას, როგორც ვწერ. ვგულისხმობ, ვისზეც ვწერ და რა თემებზეც. მე გაცილებით მშვიდი, დუნე, რომანტიკული ცხოვრების სტილი მირჩევნია. ალბათ, ამიტომაც ჩემი ნაწარმოების გმირები ძირითადად ქალაქის, ქაოსის, სისტემის შვილები არიან და ცდილობენ, შეიცვალონ და შეცვალონ მათ ირგვლივ მყოფი გარემო.

საიდან იწყება მწერლობის საზღვარი? უკეთესი იქნება, ეს კითხვა შებრუნებულად დაისვას – სად მთავრდება მწერლობის საზღვარი: იქ, სადაც მწერალი ფიზიკურ არსებობას წყვეტს. მწერლობა, ჩემი გადმოსახედიდან, არც მხოლოდ პროფესიაა, არც რალაც მისტიკური ზემოთგონება, ზეციური მონაბერი სიო თუ პიროვნული მიღწევა. მეტიც, მე მიმაჩნია ყველა, ვინც წერს, მწერალი არ არის და ყველა, ვინც არ წერს, შორს არის მწერლობისგან. სხვა სახელოვნებო დარგებისგან განსხვავებით, ლიტერა-

ტურა ყველაზე ახლოა ფილოსოფიასთან, რელიგიასთან და, ზოგადად, ფიქრთან, აზროვნებასთან. ადამიანი, ვინც ფიქრს იწყებს, ვინც სხვის გაგებას, თანაგრძნობას სწავლობს, უკვე მწერალია. და, მეორე მხრივ, ავტორი, რომელსაც საკუთარი პერსონაჟის მიტევებაც კი არ შეუძლია, ძნელად გახდება მწერალი.

არ მიყვარს რაიმე ტიპის ჰეროიზაცია, მაგრამ ვერც იმას უარვყოფ, რომ სამყაროს შექმნის შემდეგ მუსიკასა და ლიტერატურაზე საოცარი დედამიწას არაფერი ახსოვს. ხშირად მიფიქრია კიდევ, რომელია სწორი – ის, რომ ლიტერატურა სინამდვილეს ასახავს, თუ ის, რომ სინამდვილე ასახავს ლიტერატურას. არ ვეთანხმები აზრს, თითქოს პროტაგონისტს აუცილებლად უნდა ჰყავდეს პროტოტიპი, პირიქითაც ხომ შეიძლება მოხდეს, პროტაგონისტი თავად იქცეს პროტოტიპად და ახალი ტიპის ცნობიერებას დაუდოს სათავე? ამ მხრივ საინტერესო მინიშნება ჩემთვის „დონ კიხოტშია“. გახსოვთ, როგორ იწყებს გმირი „ასპარეზზე“ გამოსვლას – ის კითხულობს სათავგადასავლო რომანებს, ბაძავს დიდ გმირებს და თავადაც ხდება დიდი გმირი. ლიტერატურა და რეალური ცხოვრებაც ასეთია – მკითხველი ეძებს მის გმირს, ბაძავს და ოდესმე თავადაც ხდება (იმედია) გმირი.

ლიტერატურაში ფსევდონიმით შემოხვედი. რატომ გადაწყვიტე ეს მისტიფიკაცია?

წლების წინათ, როდესაც ჩემი მეორე წიგნის წარდგენა იყო ლიტერატურულ კაფეში, ჩემი მეგობრის მამამ, თამაზ გერსამიამ ოტია იოსელიანი მომიყვანა სტუმრად. მაშინ ფსევდონიმით ვწერდი წიგნებს. გამიხარდა ამ ადამიანის დანახვა – მწერალს თავისი წიგნის წარდგენაზე სხვა მწერლის სტუმრობა უხარია, მით უმეტეს, თუ ეს ცნობილი ავტორია. მაშინ ჩემი ახალი წიგნი ვაჩუქე ბატონ ოტიას და, რაკი მისი ენის ამბავი ვიცოდი, თავი დავიზღვიე – წიგნი წიგნად თუ არ მოგე-

წონებთ, კაი 250 გვერდია და, ბუხარი რომ გაქვთ, იმაში შეუფიქრებლეთ. ამის მერე დავმეგობრდით, ხშირად მახსენებდა ამ ამბავს, გუნოს დაუჯოკრე, 24 წლისამ თქვი მოცარტი და მეო. ესეც ერთგვარი კალამბური იყო, ალბათ. ფსევდონიმიც ამიტომ ავირჩიე. რაკი ცენზურა არ არსებობს, ვისაც უნდა, რასაც და რამდენსაც უნდა გამოსცემს – თავს ერთგვარი გამოსაცდელი ვადა მივეცი, ცენზორად დავუდგეო. მესამე წიგნი კი ჩემი გვარ-სახელით გამოიცა.

შენს ტექსტებში რეალობა ისეთი უცნაური სიმკაცრით არის ნაჩვენები, რომ ხანდახან ისინი სინამდვილის მეორე მხარეზე, ანუ ფანტასტიკურ ამბებზეც გვიყვება. რა არის შენთვის რეალობა, რა გაძლევს ხოლმე ინსპირაციას?

უცნაური ამბავია, რომ არასოდეს სინამდვილეზე არ დამინერია, მეტიც, ვცდილობ ხოლმე, ზედმეტად არარეალური ამბები გამოვიგონო და მაინც, მკითხველისგან ხშირად მსმენია ზედმეტად რეალისტურად წერო. ფაქტობრივად, არ არსებობს ერთი მოთხრობის სიუჟეტი მაინც, რომელიც შეიძლება ოდესმე, სადმე მართლა მომხდარიყო, მაგრამ, რაკი რეალურს ჰგავს, შეიძლება მოხდეს კიდევ.

სამშობლო, ენა... – რა არის შენი იდენტობა? რას ნიშნავს შენთვის, იყო „ქართველი მწერალი“? ზოგადად, რას ნიშნავს შენთვის ქართული მწერლობა?

ღირებულებათა შკალას თუ ავიღებთ, სამშობლოზე და ენაზე მაღლა შეიძლება სხვა რამაც იდგეს. რაც შეეხება იდენტობას, რასაკვირველია, იმ სივრცეში, ენობრივ ველში და გარემოში, სადაც დავიბადე, ქართველი მწერალი შეიძლება მერქვას და ვარ და მიხარია კიდევ ჩემი ცნობიერი ქართული ენისათვის დამახასიათებელი სინტაქსური ნიშნების მანერა, ენის უსაზღვრო შესაძლებლობები და მუსიკალურობა – ეს დიდი კომფორტია ავტორისთვის. რასაკვირველია, ვისურვებდი, ქართულად კითხვა ინსავლოს ჩი-

ნეთის, ინდოეთის მოსახლეობამ ან სულაც ძირითად საერთაშორისო საკომუნიკაციო ენად იქცეს, მაგრამ რაც არის ეს არის – მასშტაბებს უნდა შევევოთ.

რაც შეეხება ქართულ მწერლობას, მწერლობას, ნამდვილს, ეროვნება და სქესი, ასაკიც არ აქვს. მწერლობა რაღაცით რელიგიასაც ჰგავს. განა სწორია ფორმულირება „ქართული მართლმადიდებლობა?“ – განა ფოლკნერი, ინგლისურ ენაზე მწერალი, აჭარელი არ არის ან ვაჟა ქართულად არ წერდა კოლუმბიელისთვის ესოდენ ახლობელ და მართალ ამბებს? შეიძლება ჩვენ სხვადასხვა ენაზე ვლოცულობდეთ, ვწერდეთ, მაგრამ საფუძველი ხომ ზოგადადამიანური ტიკილი, სიხარული და ბედნიერება? იმას, რასაც ჩემი მეგობრის მეტი ვერავენ გაიგებს, ლიტერატურა არ შეიძლება ერქვას.

„irrata.ru“ შენი გახმაურებული რომანია, რომელიც ავვისტოს ომს ეძღვნება. როცა შენს შემოქმედებას კიდევ ერთხელ გადავავლე თვალი, მომეჩვენა, რომ სწორედ ავვისტოს ომია ის წყალგამყოფი მოვლენა შენს შემოქმედებით ცხოვრებაშიც, რომლის მერეც რაღაც ახალი იწყება, რაღაც ახალი იხსნება შენთვის, როგორც მწერლისთვის...

ომზე წერა მწერლისთვის სახიფათო ჩიხია. თუ შორეულ ომზე არ წერ ან სხვის ომში არ ბრძენობ, შენთანებმა შეიძლება გაგაკიცხონ, არ მიგიღონ და ზურგიც კი შეგაქციონ. არც მიფიქრია, ომზე დამეწერა, მით უფრო, რომ 2008 წელმა საკმაოდ დიდი გარდატეხა მოახდინა ზოგადად ჩემს ცნობიერებაშიც, ღირებულებებშიც, მიდგომებში.

მოხდა ისე, რომ ამერიკულ-ქართულმა გამომცემლობამ დამიკვეთა, დამეწერა რომანი ამ ომზე. მიდგომებში და ფაბულაში სრულიად თავისუფალი ვიყავი, მოთხოვნა იყო, გვეჩვენებინა ის შეცდომები, რაც ხელისუფლებამ დაუშვა ომის მსვლელობისას. რომანი ალტერნატიული დასასრულით დამთავრდა, რადგან,

როდესაც ფურცელზე ყველაფერი ისე გაიწერა, როგორც შეიძლებოდა მომხდარიყო, შედეგი სხვა დადგა.

ეს წიგნი სამხედროებს უფრო მოეწონათ, ვიდრე კრიტიკოსებს. კრიტიკოსებმა ბრალი დამდეს იდეოლოგიზებული წიგნის დანერაში, რასაც, პრინციპში, ვეთანხმები და თანაც არა. ერთი ის შემძლია ვთქვა, რომ ერთადერთი წიგნია, რომელიც 2008 წლის ომს ნატურალისტური სიმძაფრით, დოკუმენტალისტური ჩანართებით და მაინც მხატვრულად აღწერს. მეორე გამოცემას, ალბათ, სათაურს შევუცვლით. დიდი სურვილი მაქვს, ყველა ჯარისკაცმა წაიკითხოს ეს წიგნი – აკი, მიძღვნაც მათდამი აქვს გაკეთებული.

ცოტა ხნის წინათ შენი პუბლიცისტური წერილების კრებული გამოვიდა – „მდიდარი სოფლები... ამის გარდა, ხარ არაერთი პიესის და კინოსცენარის ავტორი (მათ შორის ერთ-ერთი – „სეზონი“ გახმაურებულ ფილმს დაედო საფუძველად). სად უფრო კომფორტულად გრძნობ თავს, რომელ ჟანრში?

კომფორტულად თავს სავარძელში ვგრძნობ, რომელიმე საყვარელი რეჟისორის ფილმს რომ ვუყურებ, რაც შეეხება წერას – ამ ბოლო დროს, მგონი, ჩემი ბოლო რომანის პერსონაჟივით მომდის – გონებაში ვწერ ათას ამბავს და ფურცელზე გადატანა მეზარება, რადგან მგონია, რომ თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით მაღე აზრების სრულ გაციფრულებას მოვახერხებთ.

უცხოენოვანი მკითხველი თუ იცნობს შენს შემოქმედებას?

მე ისიც არ ვიცი, ქართულენოვანი მკითხველი თუ მიცნობს. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურად, რუსულად, იტალიურად და ახლა მალე ალბანურადაც ითარგმნება ბოლო რომანი – „მოდელი 18/12“, დარწმუნებული არ ვარ, ვინმეს წაუკითხავს თუ არა რომელიმე ეს წიგნი.

მწერლების რამდენიმე ტიპი არსებობს:

ზოგს განდევნილობა მოსწონს, ასოციალუ-
რია და ჩაკეტილ სივრცეში ქმნის თავის
შემოქმედებას, ზოგი, პირიქით, მოგზაუ-
რია, გახსნილია ადამიანების მიმართ. შენ
უფრო რომელ მათგანს მიეკუთვნები?

პასკალის არ იყო, ბოლოს მაინც ყვე-
ლანი მარტონი მოეკედებით. ადამიანი
მარტოობისთვის არის განწირული. ეს
იმას არ ნიშნავს, რომ ის აუცილებლად
განდევნილია. მარტოობაში, სულიერ მარ-
ტოობაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. მო-
აზროვნე, მწერალი, სულიერი ადამიანი
თუ წარმოსახვით უდაბნოში არ გავიდა,
განვითარება გაუჭირდება. მე, ალბათ,
მოგზაური მარტოსული ვარ, რომელიც
ადამიანების გარემოცვის გარეშე ვერ
ძლებს.

შემოქმედისთვის მაინც ერთი ან რამ-
დენიმე ძირითადი თემა არსებობს, რაზე
წერაც მისთვის ყველაზე კომფორტულია,
ახლობელი, ბუნებრივი. რა არის შენი შე-
მოქმედების მთავარი თემა (თემები)?

ადამიანის ამოუცნობი ბუნების იქით
საერთოდ არაფერი მაინტერესებს. რა-
ტომ ვცოცხლობთ, ვისი ადგილი დავი-
კავეთ ამ ცისქვეშეთში და ვამართლებთ
კი მიზანს? ვინ არის ჩემს ქცევაზე პასუ-

ხისმგებელი, ჩემი შვილი თუ ჩემი წინაპა-
რი? მწერალმა წინასწარმეტყველება უნ-
და შეძლოს – როგორც მომავლის, ასევე
წარსულის.

როგორია თანამედროვე ქართული ლი-
ტერატურა შენი თვალთახედვით?

მსოფლიოში ბევრი კარგი მწერალი
შემოდის ასპარეზზე, მათ შორის ქარ-
თველებიც. მაგრამ ჩვენი ნიჭიერება ხში-
რად პროვინციალიზმითა და სააზროვნო
თემების სივიწროვით იწრდილება. იმდენი
კარგი მწერლის დასახელება შემიძ-
ლია, ვისიც კეთილი შურით მშურს, რომ
ვერ წარმოიდგენთ, თუმცა, სამწუხა-
როდ, არალოკალურ თემებზე, ზოგადა-
ადამიანურ თემებზე ბევრი არ წერს.

ამ მხრივ თანამედროვე ლიტერატუ-
რულ ცხოვრებას მკითხველისა და გა-
მომცემლის ხელშეწყობა სჭირდება. სა-
ბოლოო ჯამში, მწერლობა ერის სარკეა
– რა მკითხველიც ვართ, ის მწერლობა
გვყავს ხოლმე. სულ ამას ვამბობ, აიჩე-
მეთ ერთი ავტორი მაინც და მისდიეთ
ბოლომდე, დადეთ მასზე ფსონი. და ის
ოდესმე დიდი ავტორი გახდება სწორედ
თქვენი, მკითხველის გულმოდგინების
ხარჯზე.

ჩვენს ინანიშვილი

ოსურ მნაზა

Реуз Инанишвили



ყინულის პაპის საჩუქარი

ყინულის პაპას მთელ დღეს ღრმა, ჩაბნელებულ ხევში ეძინა. მზე რომ ჩადიოდა, კიდურების ჩხარაჩხურით წამოდგა (ყინულის პაპას ხომ კიდურებიც ყინულისა აქვს), გრძლად დამთქნარა, მერე თვალები მოიჩრდილა, მიდამო მოათვალიერა და ნელ-ნელა შეუდგა თავის საქმეს. ჯერ სერს გადაუსვა ზემოდან ცივი ხელი – აი, ასე, ჩვენ რომ კატას გადაუსვამთ ხოლმე ზურგზე, – შმაშურა ბლახნები გაკირჩხლა, გააშეშა; შემდეგ დაბლა დაჰყვა, კალოს პირებზე მობალახე ცხენებს, სახედრებსა და ინდაურებს ამოაძუებინა კუდები. იქიდან ვენახებში ჩავიდა, აქა-იქ შერჩენილი ფოთლები დაკრუნჩხა, დაასაცოდავა. ვენახებიდან სოფლის ორღობეებს ჩამოუარა, თამაშით გართულ გოგო-ბიჭებს ცხვირის წვერები აუნვა და სახლებში შერეკა. ჩიტუნებსაც თბილი ბულულები მოანახვინა. სულ ბოლოს ნისქელის არხზე ჩავიდა, ნაპირთან ჩაჯდა, იდაყვებით მუხლებს დაეყრდნო, ხელები ყბებზე შემოინყო, ლოყები დაბერა და ნელ-ნელა დაუნყო სულის ბერვა წყალს.

ზის ასე ყინულის პაპა არხის პირას, ნელ-ნელა უბერავს წყალს და თან მღე-

ИХЫН ДАДАЙЫ ЛӘВАР

Ихын Дада әнәхъяән бон арф, талынг комы фынаей кодта. Хур куы фәәйәныгуылди, уәд йә уәрджыты дзыггал-мыггулгәнгәйә растадис (ихын дадайән кәй зәгъын әй хъяуы йә уәрджытә дәр ихәй конд сты), йә ком дардыл аивәзта, йә цәстытәм әрауон кодта, йә алфәмбылай әрбәрджытә кодта әмә сындәггай йә куыстыл балаууыд. Нырма хохы фахсыл йә уазал кхуә әруагъта – мәнаә, гъе, афтә, мах гәдыйы чылдымыл нә кхуы куыд әрсәрфәм, – хус кәрдәджытыл иварс ахәщид, нысәәлын сә кода; уый фәстә йәхи уырдыгмә айста, мусы былтыл хизгә бәхтәән, хәрджытәән әмә гогызтәән сә къядзилты сагәхтты бакәнын кодта. Уырдыггай сәндәттүрдәм арасти, иуәй-иу рәтты ма цы сыфтертәгә аздад уыдон ныккъяркъәтә әмә ныттәригәддаг кодта. Сәндәттәй хъяуы әмбәндты 'хсән әруади, уым хызгә сабитәән сә фындзы цуппытә асәлын кодта әмә сә хәдзәрттәм басырдта. Цъиутәән дәр хъярм мәкъяуылтә әрцагурын кодта. Аппәты фәстагмә куыройы къянауыл ныщыди, доны был әрбадти, йә рәмбынкъядзтәй уәрджытыл әрәнцой кодта, кхухтә рустәм сбыщәу кодта, русты ныдымста әмә сындәггай райдыдта доныл йә комы

რის კიდევც:

აბლი-ბაბლი, ოქროს ტახტი,
მზით ავიღე, მთვარით დავდგი.

წყალი კი იყინება. პირველად ლერ-
ნემის ლეროების ირგვლივ ჩნდება პატარა-
პატარა ყინულის რგოლები. შემდეგ ეს
რგოლები ერთმანეთს უერთდება, შემდეგ
თხელი, ჭრაჭუნა ყინული ნაპირებიდან
შუაგულისკენაც მიიწევის. ყინულის პაპა
კი ისევ ისე უბერავს, ისევ დუღუნებს,
ვითომ მღერის:

აბლი-ბაბლი, ოქროს ტახტი,
მზით ავიღე, მთვარით დავდგი.

მაგრამ უცებ რაღაც უჩვეულო ხმა
შემოესმა. ეს წყლის ხმა არ იყო. წყალი
არასოდეს ხმაურობს ასე. ეს არც ლერ-
ნემები იყვნენ, არც ბებერი წნორები. ბე-
ბერი წნორები, როგორც ყველა ბებერი
სალამო ხანს, უკვე თვლემდნენ. შეიძლე-
ბა ეძინათ კიდევც! ეს ხმა იმათ ქვეშიდან
მოდიოდა. იქ თითქოს ვიღაცა იჯდა და
ხელებს იორთქლავდა.

– შენ ეი, ვინა ხარ მანდ, დამენახვე,
რა სულიერი ხარ! – დაიძახა ყინულის
პაპამ, მაგრამ პასუხი არავის გაუცია.
ლერნემებს სიცვიით აცახცახებდა, ბებერ
წნორებს ნამდვილად ეძინათ. მაშინ წა-
ოდგა ყინულის პაპა სახსრების ჭახჭა-
ხით, ბუტბუტით. წაგრძელდა, წაგრძელ-
და, გადაიხედა არხის მეორე ნაპირზე,
აცახცახებულ ლერნემებს იქით, და, აი,
რა დაინახა: პატარა ბიჭი ილა! მიმჯდარა
ბებერი წნორის ძირში, მოკუნტულა, ხე-
ლები პირთან მიუტანია და გაჩქარებული
იორთქლავს.

ყინულის პაპამ მშვენივრად იცის, რა-
ნიც არიან პატარა ბიჭები. „ეს აქ საკა-
იკაცოდ არ იქნება ჩამჯდარი, უთუოდ,
გვერდელა ბებერი წნორის ფულუროში
რომ კოდალა ცხოვრობს, იმას უთვალ-
თვალეებს, იმისი დაჭერა უნდაო“. ჩაახვე-
ლა, ბოხი ხმა უფრო დაბოხა და ვითომც
გაბრაზებულმა გადასძახა ილას:

– შენ ეი, რატომ არ გესმის, რომ გე-
ძახი! ხომ ხედავ, წყალს ვყინავ. ახლავე
ნადი აქედან, თორემ შენც გაგყინავ!

თაფ უაღზინ.

ბადი აფთა იხინ დადა დონი был,
სუნდატაი დონыл фу каны амае зары:

Абли – бабли, сыгъзарин тәрхәг,
Хур райста, мәй рывәрдта.

Дон салын райдыдта. Фыццаг хъәзы
хәтәлты альварс фәзынди чысыл
ихы тымбьлагәтә. Уый фәстә ушы
тымбьлагәтә кәრәдзимә иу кодтой, стәй
тәнаг, хырыстгәнаг их кәрәттәй дони
тәккә астәумә әввахс кәнын байдыдта.
Ихын Дада дарддәр фу каны, йә дьгыуыл-
дыгъуыл хуысы цыма заргә кәны:

Абли – бабли, сыгъзарин тәрхәг,
Хур райста, мәй рывәрдта.

Фәлә йәм әвнпайды цыдәр әнахуыр
уынаер әрбайхуысты. Уый дони уынаер
нә уыди. Дон афтә нукуы хәләләба кәны.
Уый нәдәр хъәзтә удыдысты. Нәдәр
заронд урсахәристә. Заронд урсахәристә,
куыд алы заронд дәр изәры әрбалаудәй
фынаймә цәттә удыдысты. Гәнаән ис амае
фынай дәр кодтой! Ацы уынаер уыдоан
сә бынай хуыстис. Уым цыма чидәр
бадтис амае йә кьухты хид калдта.

– Ей, кәцы дә уым, дәхи ма мын
равдис, цавәр улы хицау дә! – бадзырдта
Ихын Дада. Фәлә дзуапн нә райхуыст.
Хъәзы хәтәлтә фырузалай гәв-гәв
кәнын райдыдтой, заронд урсахәристә
әцәгәйдәр фынай кодтой. Уәд йә
бынагай растадис Ихын Дада йә
уәрджыты кьәс-кьәсгәнгә амае хуыр-
хуыргәнгәйә. Акастис дони инна фарсы
былма, гәвгәвгәнаг хъәзы хәтәлты
фәле, мәна цы фәдта: чысыл ләппу
Илайы! Бабырыд заронд урсахәрисы
бынмә, ныкутьитә ис фырузалай амае
йә кьухтыл тагъд-тагъд йә комы тәф
уады.

Ихын Дада иттәг хорз зоны, цахәмтә
сты чысыл ләппутә. «Ай ам хорз
хуылдагән нә баддзән, әнәмәнгәй,
фәрсырдыгәй заронд урсахәрисы мәрайы
цы хәәдхой цәры, уый бәрәг кәны,
йә 'рцахсыны фәнд кәны». Схуыфыди,
йә хәләс фәбәзджын кодта амае
мәстыхуызәй бахьәр кодта Иламә:

– Ей ды, цәмәннә коммә кәсыс, куы
дәм дзурыт! Куы йә уыныс, дон салын
кәнын. Ныртәккә афардәг у ардыгәй,
әндәра дәу дәр ныссәлын кәндзынаң!

ილამ დიდი თვალები შემოანათა და არც ახლა უპასუხა არაფერი, ისევ ხელე-ბის ორთქლვას განაგრძობდა.

– მაშ, არ გესმის ჩემი ლაპარაკი, არა?!

– მუქარით დაიქნია თავი ყინულის პაპამ.

– მაშ იჯექი მანდ და, რაც დაგემართოს, შენს თავს დააბრალე.

ყინულის პაპა ჩაცუცქდა, ხელები ყებზე შემოიწყო და მძლავრად შეუბერა. წყალს მთლიანად ყინული გადაეკრა, ლერწმები წვერებამდე შეიჭირხლნენ, ბებერმა წნორებმა ძილში იგრძნეს სიცვიე და კრუსუნით გადაელაპარაკენ ერთმანეთს:

– ოი, ოი, ეს რა ამბავია, რატომ ბრაზობს ყინულის პაპა ასე?!

ილამ კი ერთხელაც გამოხედა დიდი, უკვე დანალვლიანებული თვლებით და უფრო აჩქარებით დაიწყო ხელების ორთქლვა.

ყინულის პაპა გაბრაზდა: ნუთუ ამ თითისტროლა ბიჭმა უნდა მაჯობოსო! წყალს გადაალაჯა, ილას წინ დაუტუცქდა, დამცინავი თვალებით თვალეზში ჩააშტერდა და დაკვრანჩხული ჩხაკუნა თითები ნელ-ნელა მიუტანა ცხვირთან.

– მაშ, არ გეშინია ჩემი?! არ გეშინია, არა?

ილამ დაასწრო და ცხვირზე თავისი ფუნჩულა ხელები დაიფარა, მაგრამ ყინულის პაპა ცხვირში კი არა, ყურებში ნასწვდა და მწარედ მოუსრისა.

– მაშ, არ გეშინია, ხომ? – ქირქილებდა ყინულის პაპა და აქა-იქ შერჩენილ ლურჯ კბილებს აჩენდა.

ილამ ახლა ყურები დაიფარა. ყინულის პაპამ კი ცხვირის წვერი მოუსრისა.

– ხა-ხა-ხა! მაშ, არ გეშინია ჩემი, ხომ?

ილამ ისევ ცხვირზე დაიწყო ხელები. ყინულის პაპა ისევ ყურებში ნასწვდა. ილა ყურებს იფარავს, ყინულის პაპა ცხვირის წვერს უსრესს. თან იცინის, ჯამბაზივით სტის.

– მაშ, არ გეშინია ჩემი, ხომ?

და ის იყო, ცრემლები უნდა წამოსცვენოდა ილას, რომ არხისპირა ბილიკი-

Ила йаѣм йе стыр цаѣстыѣ ферттывтѣ аѣма та йын ницы дзуапп радта, дарддѣр кодта йѣ кхутхыл комытаѣф уадзын.

– Уѣдѣ, нѣ ‘мбарыс маѣ ныхас, наѣйы?!

– Аѣртхьирѣнгѣнгѣ батылдта йѣ сѣр Ихын Дада.

– Уѣдѣ бад уым аѣмаѣ, дыл цы рѣаудзаѣнис, уый иу даѣхи сѣры аххос каѣн.

Ихын Дада ардзущаѣг кодта, йѣ кхутхѣ рустыл авардта аѣма тыхджын рафу кодта. Дон аѣнаѣхѣнаѣй йѣ сѣрыл их сѣваердта, хѣაзы цѣуппытыл халас аѣрхѣаѣд, зѣронд урѣхѣриѣта фыны банкардтой уазал аѣма хѣкѣуырѣнгѣнгѣ сдзырдтой карѣдзимѣ:

– О, О, ай цы хабар у, цаѣмаѣн маѣсты каѣны Ихын Дада аѣтаѣ?!

Ила та йаѣм аѣрбазылдта йе стыр, фѣлаѣ ацы хатт аѣнкѣард цаѣстыѣта аѣма ноджы цырდдѣარѣй райдыдта йѣ кхутхыл комытаѣф уадзын.

Ихын Дада йаѣм сѣмаѣсты ис: заѣгѣгаѣ дам мылаѣы ныхѣსѣრѣйას лѣппу куыд хѣуамаѣ фѣтыѣх уа! Доны сѣрты аѣрбакѣахдѣაѣф кодта, лѣппуйы раз ардзущаѣг кодта, йѣ цаѣстыѣтаѣм ын лыѣтаѣг ныккаѣсти аѣмаѣ йын йѣ зылын-мылын кѣуырѣцц-кѣуырѣцგѣнаѣн аѣнгуылдѣта сѣндаѣგтай бахаста йѣ фындзы რѣбынმაѣ.

– Уѣдѣ, маѣნაѣй ნѣ თѣრსყს?! ნѣ თѣრსყს, ნაѣйы?

Ила фѣаѣырдис аѣма йѣ фындз йѣ хѣмпუს армы тѣაѣлаѣнаѣй амბѣრѣзта, уѣд ын Ихын Дада йѣ фындзмѣ ნѣ фѣлаѣ йѣ хѣუსტѣმ ფეწაѣლდта аѣмаѣ йын сѣ тыхджын аууѣრѣსტა.

– Уѣдѣ, ნѣ თѣრსყს, ნაѣ? – БахუდტიИхын Дада аѣма йѣ зыхѣхьыр цѣაѣх დაწდაგტѣაѣ ფეწდაѣსტა.

Ила ныр та йѣ хѣუსტѣამბѣრѣзტა. Аѣмаѣ йын уѣд Ихын Дада йѣ фындзы რაგѣ аууѣრѣსტა.

– Ха – ха – ха! Уѣдѣ маѣ ნѣ თѣრსყს დყ, ნაѣ?

Ила фѣსტაѣмаѣ йѣ фындзы რაგѣыл йѣ кхутхѣაѣვარდტა. Ихын Дада та йын йѣ хѣუსტѣამ фეწაѣლდტა. Ила йѣ хѣუსტყ амბѣრѣзы, Митын Дада йын йѣ фындзы რაგѣ аууѣრდყ. Куы худгѣ каѣны, куы бѣндѣнѣыл каѣаგѣау хьылдымტѣаѣ каѣны.

– Уѣдѣ маѣ ნѣ თѣრსყს დყ, ნაѣ?

Илайѣან аныр йѣ цаѣსყгტѣაѣ აѣრკაѣლოყ, аѣტაѣ архыбылგѣრონეყ кѣахѣაწდაგტყლ

დან ნაბიჯებისა და ლაპარაკის ხმა მოისმა.

– იი, ისემც რას ვეტყვი იმასა!

ორივემ იქით მიიხედა, ილამაც და ყინულის პაპამაც. ოთხი ქალი კოლმეურნეობის ფერმიდან ბრუნდებოდა. ქალაზე გამოველოთ, თითო კონა ხმელი ფიჩხი შეეკრათ, შემოედოთ მხარზე, მწკრივად მოდიოდნენ გაყინულ ბილიკზე და მოლაპარაკობდნენ, ვიღაცაზე ამბობდნენ:

– იი, ისემც რას ვეტყვი იმასაო!

სულ წინა ქალი ილას დედა იყო.

– დედა! დედა! – ნამოხტა გახარებულ ილა, – შენ გელოდები, მომეცი ფიჩხი, ფიჩხს მე ნამოვიღებ.

– უიმე, ხომ გაიყინებოდი, შვილო! – შოშითა და გაკვირვებით გაუფართოვდა თვალები დედას. სხვა ქალებსაც გაუკვირდათ, – ხომ გაიყინებოდი, შვილოო, – მაგრამ ილა უკვე ფიჩხს მიაძუტუებდა და მხიარულად იცინოდა.

– ყინულის პაპას უნდოდა, რომ გავეყინე, მაგრამ ვერაფერი დამაკლო. ჰეჰეი, ყინულის პაპავ! აბა, მიყურე, როგორი ბიჭი ვარ, ყინულის პაპავ!

ქალებმა კიდევ უფრო გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს. ეტყობოდათ, მათ არასოდეს ენახათ ყინულის პაპა. რა ყინულის პაპა, რის ყინულის პაპა, რეებს ლაპარაკობს ეს ბიჭიო, მაგრამ რას ვიზამთ! ისინი ხომ უბრალო კოლმეურნე ქალები იყვნენ და გაგონებითაც არ გაეგონათ, რომ დიდებს არასოდეს ეჩვენებოდა ასეთი რამეები თავიანთი ნამდვილი სახით! დიდები მარტო სუსხს გრძნობენ, ყინულის პაპას კი ვერ ხედავენ. ის ახლაც ორიოდე ნაბიჯით იყო დაშორებული მათგან, მაგრამ მაინც ვერ ხედავდნენ. მიჰყრდნობოდა გვერდელა წნორს და ფიქრობდა. ცოტა ხნის შემდეგ კეფა მოიფხანა, ესე იგი, უფრო შეაწუხა ფიქრმა; მერე შუბლზედაც მოისვა ხელი, ესე იგი, სინანული იგრძნო, ეს რა ჩავიდინეო, თურმე კარგი ბიჭი ყოფილა ილა, მე კი ტყუილად ვანამებდიო! ბებერმა მუხლებმა ველარ გაუძღეს, ჩაკუნტდა, ხელები

კვადზეფთი ამა ნიხასი უინაერ აერბაიხუიტი.

– ომა იინ, ახამაი ცი ხუამა ზაგონ უიმან!

დუუადაერ ნიხას კაეაი რაიხუიტი უიყრდამ აკასტი, ილა დაერ ამა იხინ დადა დაერ. კასინც ამა ციპპარ უსი კოლქეტივონ ხაძზარადი ფერმაიე რაეაუინც. უსტიე ცალაილ რაფადი, ფაიეაე კონა ხუს ნიხსტიე ბაბასთი, საე უახსკილ საე ბაპაერსთი ამა სალდ კვახენდაგილ კარადნიი ფაფილ აერბაეიციფადი ნიხასგენგაიე, კაეუილდაერ ძვირდთი: – ომა დამ, ახამაი ცი ხუამა ზაგონ უიმან!

Аппагы разей цы ус цыди уий Илайы мад уыди.

– Нана! Нана! – раапп кодта иае размае цингэнгаиე Ила, – даумае куы ‘нхьалмае касын, ари-ма дае пыхсыты кьона, ае сае ахаседзынан.

– Аеллае, аеаещагаен ниих дае, хьаебул!

– Тасаи амае фырдисаи иае цаестытае ауаерах сты маден.

ინიე უსტიე დაერ ფადის კოდთი, – აეაещაგაენ ნიხ უდაის, ხьაეбул, – ფაღაე უადმა ილა ნიხსტიე კონა იაე ფაესტე ახარაერ კოდა ამაე ხაელდაეგუდთ კოდა.

– იხინ დადაი ნარგაე ფენდიდი, ნიხსაილინ მაე კოდაიდ, ფაღაე მინ ნიცი რაკანინ იაე ბონ ბაცი. Гье-гьей, Митын Дада! Кас-ма, уаеда, ცი ლაპუ დაენ, Митын Дада!

უსტიე ნოჯი თინგაერ ფადის კოდთი ამაე კარადნიმაე ბაკასტი. ზინდის სილ, უიღონ კაი ნიკუი ფედთი იხინ დადაი. ცაი იხინ დადა, ცავერ იხინ დადა, ციეაე ძური აცი ლაპუ, ზაგეგაე. ფაღაე ცი ხუამაე ზაგეამ! უიღონ კოლქეტივონ ხაძზარადი ხუიმათაე სილგოიმაგეაე უდაფადი ამაე ხუსგაე დაერ ნიკუი ფაეკოდთი, ისტირტაენ კაი ნიკუი რადისინც ახამ ციდარტაე სე ‘цаг цаесгомы! ისტირტაე არმაესტაერ ფირუაზალ ფენკარიინც, იხინ დადაიენ იაეხი ნაე ფაეუინინც. უიი ნირტაკკაე დაერ იუ დუუაე კვახდაეფი ადდადაერ ლაუუილ უიღონაი, ფაღაე იაე უაედაერ ნაე უიდათი. ბანთი კოდა ურხარისილ ამაე ხუიდატიე კოდა. ჩისილ რესტადჯი ფაესტე იაე კაეაბუთ ანიხთა, აეაещაგაენ აი ხუიდატიე ხყი დარდთი; სთაი იაე ნიხილ დაერ არსარფთა იაე კხუ, აეაещაგაენ, არფაესმონ კოდა, აი დამ

ყბებზე შემოიწყო და ახლა ასე განაგრძო ფიქრი და სინანული. ფიქრობდა დიდხანს. ფიქრობდა და დუდუნებდა თავისთვის. ამოვიდა ვეებერთელა ყვითელი მთვარე. ამოსცდა ცისკიდურზე შავად გახლართულ ხეების კენწეროებს, დაადგა თავზე ყინულის პაპას და – გამარჯობაო! – ჩამოსძახა.

და, აი, ამ ხმამ რაღაც იმედის შუქით გაუბრწყინა თვალები.

აბლი-ბაბლი, ოქროს ტახტი,
 მზით ავიღე, მთვარით დავდგი, –

ნამოიძახა სიხარულით. – გაგიმარჯოსო, მთვარევ! – ხელები გაშალა, დატრიალდა, კუდიანი ქარივით გადაუარა ხეებსა და ლობეებს. ჩუმად ჩაეშვა ილანთ ეზოში, ჩუმადვე აიპარა აივანზე, მიუცუცქდა მთვარის სხივებით გაბრწყინებულ ფანჯარას, სახელო აიკაპინა და აღერსიანი ჩურჩულით, ისე, რომ მძინარე ილას არ გაღვიძებოდა, თქვა:

– კარგო პატარა ბიჭო ილა! მე მინდა, როგორმე გამოვასწორო ჩემი შეცდომა, მაგრამ რა გააჩნია უსახლკარო მოხუც მხატვარს, გარდა თავისი ხელობისა?! მაშ, მიიღე ეს მცირე საჩუქარი ჩემგან!

და საჩვენებელი თითით მინაზე მარდად მოხატა პირველი ქოჩორა ხე აღმასის ციმციმა ვარსკვლავებით აღსავსე ზღაპრული ტყისა, რომლის მსგავსი რამ აქამდე არავის ენახა ქვეყანაზე.

მაცვალზე

ნავედი მაცვალზე. იქ კი არა, სოფლის გოგობიჭობა და ქალები რომ დავდიან. – შორს, მდინარის გაღმა, ლეკია ჭალაში. ხომ სულ გვგონია, მდინარის გაღმა, ჩვენიდან შორს, ნაკლებად ხვედება ადამიანის ფეხი! ვიარე, ვიარე, ვიარე. მაცვლის ერთ რიგიან ბარდასაც კი ვერ წავანყდი. ხელცარიელს რა დამაბრუნებდა, შინ ბარტყებივით პირდაღებული

ცი სარაქთონ, აეაგაიდაერ დამ ხორ ლაპუკუი უ ილა, აზ თა დამ აეი ანაეხუადჯი ფუდუაეი მარდთონ! იაე ზერონდ უერდჯიგაე იაე ნალ ბაურადთოი ამაე არხაუდთა, კუხტაე იაე რუსტამ ბიჯაეუ რადთა ამაე აფტამაეი დარდარე ხუიუდოი ამაე ფასმონ კაენინ რაიდაეი. ბირაე რესტაეგ ხუიუდოი კოდთა. ხუიუდთაე კოდთა ამაე იაეხიჯან ციდაერტაე დიბალ-დიბულ კოდთა.

სყსი ხარვ სტურ ბურ მაეი. ფაეიპარდის ბერვონდ ბაესტოი ცუპუიგაეი, არლაეუიუდი იხინ დადაიეი სარმაე ამაე იაემ არდვრდთა:

– და ბონ ხორ უა!

აემაე, იეინ, აცი ხელაესოი უინარე ციდაერ ნიფსოი რუხ ფერტივინ კოდთა იაე აესტითი.

აბლი – ბაბლი, სიგვარინ თარხაე,

ხურ რაისთა, მაეი რივარდთა, – სღვრდა ცინგანგაეი.

– დაეხი ბონ დარე ხორ უა, მაეი! – იაე კუხტაე რაიტიგ კოდთა, ნივზილდი, ხინგანაეგ დიმაეიგაეუ ავილდი ბაესტოი ამაე ამბანდთი. სუსაეგაეი იაეხი აუაგაეი ილაიეი კარტმაე, სუსაეგაეი სხუივზიდი ბალკონმაე, ბაბერიდის მაეი თინტაეი არტივგაე ფარსაეგმაე, დისტაე ბასჩილ კოდთა ამაე რავდაუგაე სიბარ-სიბურგანგაე, აემაეი ფინაეი ილა მა რაიხალ უიდაიდ, ზაგაე:

– ჩისილ ხორ ლაპუი ილა! მაენ ფაენდი, ისტი ხუივტი რარასტ კანონ მაე რადიდ, ფაელაე ცი ის ანაეხადვარ, ანაედუარ ზერონდ ნივგანაეგან, იაე დასნიდაეი იეილაემაე?! აემაე უადაე, აის აცი ჩისილ ლავარ მანაეი! აემაე იაე ამონაენ ანგუილდვაეი ავგლი ცირდაეი სნივ კოდთა ფიშაგ კოცორა ბელას ალმასოი არტივგაე სტალიგაეი ედვარ ალაემათონ ხაედ, კაეციეი ანგაეს ნურმაე ნიკუი ნიჩი ფედთა დუნიეილ.

ДЗЕДЫРÆГ ТОНЫНМÆ

Ацыдтæн дзедырæг тонынмæ. Хъæуы чызджыгæ аемæ лæппутæ кæдæм фææуыиц уырдаем нæ фæлæ, дард, цаугæдоны фаллагфарс, лекъи цъаламæ. Афтæ хуыды кодтон, цаугæдоны уыцы фарс, махæй дард ран, адаем æм къаддæр æфты! Фæразил-базил кодтон. Дзедыры иунаг къутары рæнхъыл дæр нæ фæхæстдаен. Афтидæй мае цы раздæхтаид, хæдзары маем цъиуы лæппынтау сæ дзыхтæ ныххæлиугангæ æнхæлмæ кастысты

გამომცემლობა „ინტელექტი“ უახლოეს ხანებში გამოსცემს კანადელი ინგლისურენოვანი მწერლის, 2013 წლის ნობელის პრემიის ლაურეატის – ელის მანროს მოთხრობების კრებულს.

„ცისკრის“ მკითხველს ვთავაზობთ ნობელიანტი მწერლის ერთ მოთხრობას.

●
შენზე, როგორც გარდაცვლილზე, ფიქრი ამეკვიატა.

წლების წინათ მითხარი, რომ გიყვარდი. წლების წინათ... და მაშინ მეც გიპასუხე, რომ მიყვარდი. გავაზვიადე.

●
მაშინ სულ ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ ვერ ვხვდებოდი, რადგან სხვა დრო იყო. იმ ასაკში, როდესაც დღევანდელი ცოგონები წელამდე თმას იზრდიან და ავლანეთში მოგზაურობენ, თან – როგორც მე აღვიქვამ – გველთეფხებივით დანარჩენებენ თავიანთ მრავალფეროვან, უცოდველ და წარმავალ სიყვარულებს შორის, მე, ნამძინარევი და ქალის საშინაო ხალათში გამოხვეული, წელამდე სისველეში ჩაფლული, სახვევებს ვწურავდი, თოთო ბავშვის ეტლს მივაქანებდი მალაზიისაკენ მიმავალ გზაზე (რაც ისე გამჯდომოდა ძვალ-რბილში, რომ ამ საყრდენის გარეშე მკლავებში შემანუხებულ სიმსუბუქეს ვგრძნობდი; სხეული კი, რომლის წონაც თანაბრად უნდა გადანაწილებულიყო, უკან გადამიქანდებოდა ხოლმე), წიგნს ვკითხულობდი და, ტახტზე მიწოლილი, ძილში ვეფლობოდი. ჩვენ,

ჩემი ხნის ქალებს, გვიბრალებენ ხოლმე იმ ჯაფის გამო, ოდესღაც რომ გამოვივლია; ჩვენ თვითონაც თავი შეგვბრალებია, მაგრამ, გულწრფელად თუ ვაღიარებთ, ზოგჯერ ეს არც ისე ცუდი ყოფილა და ამ ერთფეროვან შრომას, პატარ-პატარა საჩუქრებს, როგორცა არის ყავა და სიგარეტი, განუსჯელ, იუმორით გაჯერებულ, სხვა ქალებთან ყალიბში მოქცეულ ურთიერთობებსა და დიდებულ ზმანებებს კმაყოფილებაც კი მოუნიჭებია.

მაშინ ვცხოვრობდით სათვისტომოში, სახელად „ქოხები“, საუნივერსიტეტო ქალაქის განაპირას. სინამდვილეში ეს იყო ძველი ყაზარმა სამხედროებისათვის, რომელსაც დაოჯახებული სტუდენტების ბინებად იყენებდნენ. მთელი ზამთარი „ჯადოსნურ მთას“ ვკითხულობდი. ბოლოს წიგნი მუცელზე ჩამომიცურდებოდა და კითხვაში ჩამეძინებოდა ხოლმე. ზოგჯერ ხმამალა უუკითხავი დუგლასს, როდესაც ძალიან იღლებოდა და მეტი მუშაობა აღარ შეეძლო. „ჯადოსნური მთა“ რომ დავამთავრე, გუნებაში მქონდა, „მოგონებებს“ გავმკლავებოდი. ერთმანეთზე მკლავებგადაჭდობილი და ძილს დანატრებულნი ბორძიკ-ბორძიკით მივდიოდით საწოლისაკენ. მაგრამ

დროდადრო მოგვიანებით ლოგინიდან ნამოდგომა და სააბაზანოში გასვლა მინვედა ჩასახვის სანინალმდევო დი-აფრაგმის გასაკეთებლად. სააბაზანოს ფანჯრის ზედა ნაწილიდან პლასტმასის ფარდის ღრეჩოდან რომ გადამხედდა, ამ დასახლების სხვა სააბაზანოებში ანთე-ბული შუქის დანახვას შეეძლებდი; სხვა ცოლეს ნარმოვიდგენდი ხოლმე, ღამით ამდგართ იმავე მიზეზით. ბავშვებზე, სამზარეულოს ქურებსა და აბაზანებზე მიჯაჭვული ყოველდღიური მოხმარების ნივთები ახლა ჩვენი ღამის მოხმარების ნივთებად ქცეულიყო, რის მიღმაც იმა-ლებოდა ნაშით გაელვებული მინიშნება ცოლესა და მშვენიერებაზე. სულ რა-ღაც ოთხი-ხუთი წლის წინანდელი ამბა-ვი მომაგონდა, რაც მაშინ უსაშველოდ დიდ დროდ მეჩვენებოდა; მომაგონდა, როგორ აპოკალიფსურ ურთიერთობად გვესახებოდა სექსი (ლორენსს ვკითხუ-ლობდით და ბევრი ჩვენგანი ოცი წლის ასაკში ჯერ კიდევ ქალწულად რჩებოდა). ახლა ეს გაქრა და სწრაფ, გამუდმებულ, დამაკმაყოფილებელ, ადგილით შემოსა-ზღვრულ ნაცვალგებად იქცა, რომელ-საც საკმარისად იტყვენენ ეს ოჯახებით დასახლებული უბნები. ისე ცხადად არ-აფერი მიგრძენია, როგორც დაუკმაყო-ფილებლობა. მე უბრალოდ აღვნიშნე ცვლილება, ისევე როგორც კვლავაც აღ-ვნიშნავდი შობადლის მინავლებულ მომ-ხიბვლელობას. ჩემი რწმენით, ამგვარი ცვლილებების მიზეზი ის გახლდათ, რომ გავიზარდე და სამყაროს გაუშინაურდი. საკმაოდ ახალგაზრდა ვიყავი საიმისოდ, რომ ასეთ აზრებს შევეწუხებინე, ყველა-ნი ახალგაზრდები ვიყავით. სიტყვა, რო-მელსაც ხშირად ვიყენებდით, გახლდათ „მონიფული“. ვხედებოდით ვილაცას, ვისაც რამდენიმე წლის წინათ ვიცნობ-დით და აღვნიშნავდით, რომ ეს პიროვ-ნება გვარინანად მონიფულიყო. თქვენ იც-ნობთ, ყველა იცნობს, ნუსხას აუხდენე-ლი ოცნებებისა, რომლებსაც ორმოცდაა-თიან წლებში ვეზიარეთ. ძალზე ადვილია მათი გაბიბრება და იმის განცხადება, რომ მონიფულია განისაზღვრებოდა ავტომატური სარეცხი მანქანის მფლო-ბელობითა და პოლიტიკური უქმყოფი-ლების მიჩუმათებით თუ შვილოსნობისა

და ძარიანი ავტომობილებისადმი მიდრე-კილებით. ეს ძალზე ადვილია და არც სრული ჭჭმარიტება გახლავთ, რადგან, ასე მგონია, ყურადღების მიღმა რჩება რაღაც, რაც იყო მომხიბვლელი ჩვენს მოუქნელობასა და თვინიერებაში, ბორ-კილების სიყვარულში.

„ქოხებში“ არ იყო ორგულობა, მე ასე-თი არ ვიცი. ისე ახლოს ვიყავით ერთ-მანეთთან, ისეთ სიღარიბეში ვცხოვრობ-დით!.. მოცლა არ გვქონდა. იშვიათად თუ გაიღვებდა ვნება საღამოს წვეუ-ლებებზე; ალბათ, იმის საშუალებაც არ გვქონდა, რომ საკმარისად დაგველია. შენ ამბობ, რომ გიყვარდი და მეც გპასუ-ხობ, რომ მიყვარდი, მაგრამ სიმართლე სულ სხვა იყო. მე უფრო ვიტყოდი, რომ თვალი მოეკარით რაღაცას ერთმანეთის წიაღ, რაზეც არასდროს გვიფიქრია და რაც, შენი მხრიდან, შეიყოვნდა, ხოლო ჩემი მხრიდან, ჯერ გაცნობიერებულაც არ ყოფილა.

ის დღე გავიხსენე, შენც რომ გა-გახსენდა, ორი წლის წინათ სრულიად მოულოდნელად რომ შეეხვდით ერთ-მანეთს იმ ქალაქში, რომელშიაც არც ერთ ჩვენგანს არ უცხოვრია. ამაზე მა-შინ ავლაპარაკდით, ბლომად ღვინო რომ დავლიეთ ნახემსებისას.

— ერთხელ სასეირნოდ წავედით. იმ რაღაცის აწევა მომიხდა...

— საბავშვო ეტლის. იქ ჯოსლინი მეჯდა.

— ლოდებსა და ტალახში. მასხოვს.

მზიანი დღე, გაზაფხულის – აპრილის თუ სულაც მარტის – ცხელი, ღამაში დღე. აფთიაქში წავედი კამპუსის სა-ვაჭრო ცენტრში. ზამთრის მოკლე პალ-ტო მეცვა, რადგან ვერ ვიჯერებდი, რომ მართლა ისე თბილოდა, როგორც ჩანდა. როგორც კი დაგინახე, ვიფიქრე, ნეტავი, ახლა სახლში ნამიყვანა, თმა ხელახლა, უფრო გულმოდგინედ დამავარცხნინა და ჩემი შალის ხაოიანი, მუქი ნაცრისფერი სვიტერი ჩამაცმევინა-მეთქი. პალტოს ვერ გავიხსენებდი, რადგან მოკლესახელოე-ბიანი სპორტული მაისური მეცვა, რო-მელზეც ჯოსლინის ფორთოხლის წვენი დაენვეთებინა.

კარგად არ გიცნობდი, შენ „ქოხების“ მეორე ბოლოში ცხოვრობდი. ღამის ყვე-

ლა ჩვენგანზე უფროსი იყავი და შრომისა და ომის ნამდვილი სამყაროდან უნივერსიტეტში ასპირანტად დაბრუნებულიყავი (ვტყუი, არ დარჩენილხარ, ნახვედი და ერთ ჟურნალთან თანამშრომლობას შეუდგე! მალევე იმ დღის შემდეგ, სასეირნოდ რომ წავედით). შენი ცოლი ყოველდღე მანქანით დადიოდა სკოლაში, ცეკვა რომ ესწავლებინა. ის პატარა, შავგვრემანი, ბოშური იერის ქალი იყო, ზედიზედ თავდაჯერებული; სულაც არ ჰგავდა მთვლემარე და უსახურ, შინაყუდა ცოლებს.

აფთიაქის წინ ვიდექით და ვლაპარაკობდით. შენ თქვი, ისეთი შესანიშნავი დღეა, რომ სამსახურში დაბრუნებას მიჯობს ცოტა გავისეირნოთ. ლამაზ და ფართობილიკებიანი კამპუსისაკენ აღარ წავსულვართ, მდინარის ზევით გადაშლილ ველურ და ნახევრად ტყით დაფარულ მიწის მომცრო ნაკვეთს შევუყვით, სადაც სტუდენტები - რა თქმა უნდა, დაუქორწინებელი - დადიოდნენ ხოლმე დღის საათებში ნახევარი ნეტარების, ლამის საათებში კი - სრული ნეტარების განსაცდელად. იმ დღეს იქ არავინ იყო. წელიწადის ამ დროს ყველას ანცივიფრებად ესოდენ გულუხვი დარი. იმ ადგილებში ჭირდა ეტლის ტარება. როგორც შენ თქვი, ეტლის აწევა მოგიხდა, ლოდებსა და ტალახს მისთვის გზა რომ არ ჩაეხერგა. ჩვენც ასევე გვიჭირდა საუბარი. მნიშვნელოვანი არაფერი გვითქვამს. ერთმანეთს არც კი შევხებივართ. უფრო და უფრო უხერხულად ვგრძნობდით თავს, რადგან ცხადი ხდებოდა, რომ ჩვენი გასეირნება ხორცს ვერ შეასხამდა იმას, რაც, როგორც თავს ვიკატუნებდით, გვინდოდა მისი წყალობით განგვეცადა ან მართლაც გვინდოდა, რომ განგვეცადა - ანუ სულ რაღაც ერთსაათიანი ერთად ყოფნის სიმსუბუქეს იმ სასიამოვნო დღისა. მაშინ ამგვარი დაძაბულობა ჩემთვის უცხო ხილი იყო. არც გათვლა შემეძლო და არც მართვა, რასაც მოგვიანებით მშვენივრად ვახერხებდი სხვა მამაკაცებთან ურთიერთობისას. იმაშიც კი არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ეს ჩემ მიღმა გაგრძელდებოდა. დამშვიდობებისას თავი ისე ვიგრძენი, თითქოს პაემანზე ულაზათოდ და უინტერესოდ მოვქცეუ-

ლიყავი. მეორე თუ მესამე დღეს ტახტზე მინოლილი, ჩვეულებისამებრ, წიგნს რომ ვკითხულობდი, ვიგრძენი, რომ შენზე ფიქრებში წასულმა, გვარიანი მანძილი შევამცირე და, ასე მგონია, ეს იყო დასაბამი და ხორცშესხმა იმისა, რაც კიდევ უფრო მოჭარბებულად შეიძლებოდა ყოფილიყო. ასე რომ, გითხარი, მიყვარდითეო.

გინდა იცოდე, როგორ გავიგე შენი სიკვდილის ამბავი? სასწავლებლის სამხარეულოსაკენ მივდიოდი ერთი ფინჯანი ყავის მოსამზადებლად, სანამ ათ საათზე გაკვეთილი დამწყებოდა. დოდი ჩარლზმა, რომელიც მუდამ რალატას აცხობდა, ალუბლის ტორტი მოიტანა (ჩვენ, ძველმა პროფესიონალებმა, ვიცით, ამ ფანტაზიებში რამდენად მნიშვნელოვანია წვრილმანები და სიმკვრივე; დიახ, ალუბლის ტორტი). ის გახვეული იყო გასანთლულ ქალაქში და შემდეგ გაზეთში, რამდენადაც გავარჩიე, ეს უნდა ყოფილიყო არაადგილობრივი გაზეთი *The Globe and Mail* („გლობუსი და ფოსტა“). უხალისოდ გაეხედავდი ხოლმე ამ ერთიკვირისწინანდელ გაზეთს და წყლის ადულებას ველოდებოდი, რომ უცებ პატარა ცნობას მოგვარი თვალი მოკრძალებული სათაურით: გარდაიცვალა ვეტერანი ჟურნალისტი. ვფიქრობდი სიტყვაზე „ვეტერანი“. რას ნიშნავდა იგი? ვილაცას, ვინც ომში იბრძოდა თუ უბრალო ზედსართავი იყო? თუმცა ამ შემთხვევაში, მე მგონი, ერთიც შეიძლება ყოფილიყო და მეორეც, რადგან ის გვამცნობდა, რომ ეს კაცი გახლდათ სამხედრო კორესპონდენტი; აი, მაშინ კი გავიზურე. შენი სახელი. ქალაქი, რომელშიაც სიცოცხლის ბოლომდე იცხოვრე. გულის შეტევა - ეს იყო და ეს...

ჩვევად მაქვს შენი ყოველი მორიგი წერილის ხელწინით ტარება. როდესაც კიდევ ერთი წერილი მომდის, ძველის მაგივრად ჩანთაში ახალს ვინახავ, ძველს კი სხვა წერილებთან ერთად მივუჩენ ხოლმე ადგილს ჩემს კარადაში. სანამ წერილი ცინცხალია, რომ მოვიცილი, ჩანთიდან ვიღებ და ვკითხულობ, მაგალითად, როდესაც რომელიმე პატარა კაფეში ვზივარ და ყავასა ვსვამ ან კბილის ექიმს ველოდები. გარკვეული ხანი რომ გავა, წე-

რილს საერთოდ აღარ ვიღებ წასაკითხად, აღარ მინდა მისი დანახვა – დაკეცილი და კუთხებებადაკეცილი, იმ გაჭიანურებულ კვირებსა და თევებს მაგონებს, ახალ წერტილს რომ ველი მოთმინებით. ოღონდ ეგ არის, რომ იქვე ვტოვებ და კოლოფში არ გადამაქვს, ვერ ვბედავ.

თუმცა ახლა, მას შემდეგ, რაც გაკვეთილები ჩავატარე, ჩემს კოლეგებთან ერთად ვისაუბრე, ჩემს სტუდენტებს შევხვდი და, რაც მომეთხოვებოდა, შევასრულე, შინ მივდივარ და ამ წერილს – ამ უკანასკნელ წერილს – ჩანთიდან ვიღებ, სხვებთან ერთად ვინახავ და ჩემი თვალსაწიერიდან ვაქრობ. ამას დინჯად, ლამის ყოველგვარი გულისტკივილის გარეშე ჩავდივარ, აწონ-დანაწონილად. სასიმელს ვიმზადებ და ცხოვრებას ვაგრძელებ.

ყოველდღე, სასწავლებლიდან რომ ვბრუნდები, ფოსტის ყუთს ვამოწმებ და, გულწრფელად რომ გითხრა, რაღაც სასიამოვნო განცდა მეუფლება, მოლოდინით რომ აღარა ვარ შეპყრობილი. ეს რკინის ყუთი ორი წლის მანძილზე ჩემი ცხოვრების უმთავრეს საგანს წარმოადგენდა და ახლა, როდესაც ის ბევრს არაფერს მამცნობს, ბევრს არაფერს მიქადის და ვერაფერს მიმხელს, ტკივილიც თითქოს გამიწვლდა. არავინ იცის, რომ რაღაც დაეკარგე, არავინ იცნობდა ჩემი ცხოვრების ამ მხარეს, თუ არ ჩავთვლით რაღაც ზოგად მონაჭორს. როდესაც შენ ჩემთან მოდიოდი, ხალხს არ ვხვდებოდით. ასე რომ, შემიძლია ისე გავაგრძელო ცხოვრება, თითქოს არც არაფერი მომხდარა, არც შენ მომხდარხარ. მაგრამ გარკვეული ხნის შემდეგ ერთ კაცს მაინც ვუმხელ ამ ამბავს – ჩემს თანამშრომელს, გას მარკს. ახლახან ცოლს დაშორდა. სადღივად მპატიჟებს ხოლმე, ცოტას ვსვამთ და ერთმანეთს ჩვენს ამბებს ვუზიარებთ, მერე კი, მეტწილად ჩემი ინიციატივით, დასაძინებლად მივდივართ. ის თმინია და სევდიანი, მე – გამაგებელი. ჩემი თავის გამკვირვებია. რამდენიმე დღის შემდეგ ყავაზე მპატიჟებს და მეუბნება:

- შენზე ვდარდობდი; იმაზე ვფიქრობდი, იქნებ, ვინმესთან მისულიყავი.
- ფსიქიატრს გულისხმობ?
- რა ვიცი... რომ დალაპარაკებოდი...
- დაფიქრდები.

მაგრამ გულში დავცინი, რადგან თავში სულ სხვა გეგმები მიტრიალებს. სემესტრის დასრულებისთანავე, აპრილის ბოლოს, შენ უნდა გესტუმრო – იმ ქალაქს უნდა ვესტუმრო, სადაც სიცოცხლეს გამოვსალმე. მე იქ არასოდეს ვყოფილვარ. არავის შემოუთავაზებია ჩამოდიო. გულისფანცქალით ველი ამ მგზავრობას და ამის გაფიქრებაც კი საოცრად მახალისებს. მოდურ მზის სათვალესა და ცოტაოდენ ახალ, მსუბუქ ტანსაცმელს ვყიდულობ.

სიყვარული სულაც არ არის გარდაუვალი, მას შენ ირჩევ. საქმე ის არის, რომ ძნელია იმის გაგება, როდის შეჩერდი ამ არჩევნაზე ან როდის გახდა იგი შეუქცევადი იმის მიუხედავად, რომ სერიოზულად არ აღიქვამდი. არ არსებობს არანაირი მკაფიო გაფრთხილება ამის თაობაზე. მახსოვს, შენთან ერთად რომ ვსაუბრობდი და რომ მითხარი – „მიყვარდი და ახლაც მიყვარხარო.“ შენ უკან, რესტორნის სარკეში, ჩემს გამოსახულებას შევაღე თვალი და თავგზა ამებნა. ვიფიქრე – ღმერთმა იცის, რატომ – უბრალოდ მეარა მიყვებოდი; ეს სიტყვები სერიოზულად არ მიმიღია და მეგონა, ერთი ნუთის შემდეგ შემომხედავდი და მიხვდებოდი, რომ ეს სიტყვები სხვისთვის, ანუ იმ ქალისათვის გითქვამს, ვისაც რეტი დასხმოდა და ლაპარაკის უნარი წართმეოდა, ასეთი პატივის ღირსი რომ შექნილიყო. მანამდე სულ ცოტა ხნის წინათ ხელი ავიღე ინტრიგებსა თუ მეორეხარისხოვან, მგზნებარე თავგადასავლებზე. თავი ვანებე თმაზე მუქი საღებავის დადებისა და აღარც კვერცხის თეთრ, მოჩაღისფრო-მოთაფლისფრო თუ ჰორმონალურ მალამოებს, ფერ-უმარილსა თუ სხვა რამეს ვიკარებდი სახეზე.

მერე მივხვდი, რომ შენ რასაც გულისხმობდი, იმას ამბობდი, და ახლა კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, მეჩვენებოდა, რომ, ალბათ, ცდებოდი.

- დარწმუნებული ხარ, რომ ვიღაც სხვა არ გაგონდება?

- ჩემი გონება ჯერ ასე არ გადაგვარებულა.

მანამდე ძალდაუტანებლად ვსაუბრობდი. მე შენს ცოლზე დაგისვი შეკითხვა.



– აღარ ცეკვავს. მუხლზე ოპერაცია გაიკეთა.

– მისთვის, ალბათ, ძნელია უმოქმედობა.

– დაკავებულია. მალაზია აქვს, ნიგენბის მალაზია.

დუგლასზე მკითხე და გიპასუხე, რომ ერთმანეთს დავეშორდით. გითხარი, რომ შვილები აქეთ-იქით დაიფანტნენ და პირველი წელი იყო, რაც ორივენი შორს იყვნენ ჩემგან. მითხარი, რომ შვილები არ გყავდა. ოდნავ შეზარხოშებული ვიყავი და ისიც კი გითხარი, რომ ამ ბოლო ხანებში დუგლასი გამუდმებით თავის თავს ელაპარაკებოდა. ფარდის უკან ვიმალეობდი და თვალყურს ვადევნებდი, როგორ ესაუბრებოდა საკუთარ თავს, როგორ ხითხითებდა, გამომეტყველებას იცვლიდა – თითქოს ვილაც მოსწონდა და ვილაც სძაგდა, თან ბალახს კრეჭდა. და რა გიჟური და იდუმალი ცნობისნადილი იღვრებოდა მისი საუბრიდან, რომელსაც არ წყვეტდა, სანამ პირს იპარსავდა, და ეგონა, რომ მის ხმას ელექტროსაპარსის ხმა ახმოებდა. როგორც გითხარი, ბოლოს და ბოლოს მივხვდი, რომ არ მინდოდა იმის გარკვევა თუ რას ლაპარაკობდა.

ჩემი თვითმფრინავი ხუთის ნახევარზე გაემგზავრა. ქალაქიდან აეროპორტისაკენ წამიყვანე. თავს უბედურად სულაც არ ვგრძნობდი იმის გამო, რომ უნდა მიმეტოვებინე და აღარასოდეს შეგხვდებოდი, თუმცა ძალიან ბედნიერი ვიყავი იმიტომ, რომ შენთან ერთად ვიჯექი მანქანაში. ნოემბერი იდგა; სამ საათს რომ გადასცილდებოდა, ბნელდებოდა და გზას მანქანის ფარები ანათებდა.

– იცი რა, შეგიძლია შემდეგ თვითმფრინავს გაჰყვე.

– არ ვიცი.

– შეგიძლია ჩემთან ერთად წამოხვიდე სასტუმროში, დარეკო, ფრენა გადადო და უფრო გვიანი რეისი დაჯავშნო.

– არა, არა მგონია, შევძლო. ძალიან დაღლილი ვარ.

– ასე ძალიანაც ვერ დავიჟინებ.

– არა.

მანქანაში მთელი გზა ხელები ერთმანეთზე გვეჭონდა გადაჭდობილი. ხელი გავითავისუფლე და შესტით განიშნე, რომ სულ სხვა რამემ – განცდებმა? – დამლა-

ლა და ხელი უმაღლესად დავაბრუნე. ზუსტად თვითონაც არ ვიცოდი, რას ვგულისხმობდი, მაგრამ ველოდი, და მართებულადაც, რომ გამიგებდი.

ჩქაროსნულ ავტოსტრადაზე შევეხვიეთ ქალაქის ჩრდილოეთით. მისასვლელი გზიდან რომ გადავუხვიეთ, დასავლეთს გავესწორეთ თვალს. ცის ზოლები ღრუბლებს შორის ცეცხლის ენებით ავარდისფრებულები. მანქანების ფარებიდან გამომავალი შუქი თითქოს ნაკადად მოვარდნილიყო და კარგა დიდ მანძილს ფარავდა. ეს ყველაფერი სამყაროს ხილვას ნაავაგდა თითქოს – აირისებრ, უწყინარ ხილვას, სასვებით სანუგეშოს. ასეთი ხილვები სიმთვრალისას მენდევოდა ხოლმე. რატომაც არაო, ჩამჭურჩულა მან. მან მიბიძგა, მერწმუნა, მენავარდა ანწყობი, რომელიც, ალბათ, სამარადისოდ გაგრძელდებოდა. მთვრალი არ ვყოფილვარ. საუზმობისას დავთვერი, მაგრამ უკვე გამოფხიზლებულიყავი.

– რატომაც არა?!

– რა რატომაც არა?

– რატომაც არ უნდა ნავიდეო სასტუმროში?! დავრეკოთ და ფრენა გადავლოთ.

– ამის იმედი მქონდა, – მითხარი შენ.

როგორ ფიქრობ, ამ არჩევანზე მაშინ შეეჩერდი, როდესაც ცა და მანქანის ფარებიდან გამომავალი შუქი დავინახე? უდარდებლობის ელფერი დაჰკრავდა, დიდი არაფერი... სასტუმრო/მოტელი დიდი თეთრი ღრუ აგურით იყო ნაგები. კედლები ერთნაირად იყო მოპირკეთებული როგორც შიგნიდან, ისე გარედან; ისე რომ, ერთი შეხედვით მდიდრული ფარდების, ნოხებისა თუ ესპანური ყაიდის მძიმე ავეჯისათვის თითქოს როგორღაც უთავბოლოდ მიეჩინათ ადგილი რომელიღაც დროებით, გაუდაბურებულ თავშესაფარში. სურათზე, სანალიდან რომ ჩანდა, ასახული იყო ნარინჯისფერი ნავები და მუქ-ნარინჯისფერი შენობები, რომლებიც მოშავო-მოლურჯო წყალში ირეკლებოდა. ერთი შენი ნაცნობი მამაკაცის ამბავს მიყვებოდი, რომელიც მხოლოდ მოტელებისათვის ხატავდა. ხატავდა ნავებს, ფლამინგოებსა და ყავისფერი, დედიშობილა ფიგურებს, მეტს არაფერს; მითხარი, ამით ბევრ ფულს

მოულოდნო.

ზემოდან თვითმფრინავები დაგვეჯუგუნებდნენ. ზოგჯერ არ მესმოდა, რას მეუბნებოდი, სახით ჩემს სხეულს რომ ეხებოდი. ვერ გეუბნებოდი, გამიმეორემეთქი, რადგან სასაცილო ვიქნებოდი – ასეთ რაღაცებს, ჩვეულებრივ, არ იმეორებენ. მაგრამ რას იზამდი, შენ რომ ჩემთვის შეკითხვა დაგესვა, პასუხი ვერ მოგესმინა და შეკითხვა ვერ გაგემეორებინა? ამაზე ფიქრი მტანჯავდა მოგვიანებით, როდესაც მსურდა, სასურველი პასუხი გამეცა შენთვის.

ორთავე ვცახცახებდით. ძლივს რაღაც მოვახერხეთ, იმდენად გაოგნებულნი და მადლიერებით აღვსილნი ვიყავით ორივენი, დიახ, ორივენი! დაუმსახურებელი, შუუზღუდავი, თითქმის დაუჯერებელი ბედნიერების, ნეტარების მოზღვავება! თვალები ცრემლით აგვესებოდა. უდავოდ ასე იყო. დიახ!

შენ რომ ის კაცი ყოფილიყავი, ვისაც იმ დღეს ან იმჟამად შეეხვდი, ვემიყვარდებოდი?! არც ასე ძალიან. არა მგონია. არც ასე ძალიან. იმიტომ მიყვარდი, რომ ჩემს წარსულთან მაკავშირებდი, ჩემს ახალგაზრდა, უცოდველ „მე“-სთან, ბავშვის ეტლს რომ მისაეირნებდა კამპუსის გზაზე საკუთარი ცოდველით დაუშძიმებელი. მაშინ სიყვარულის ცეცხლის ავიზიგზებდა თუ შემებლო, ახლა კი მისი დაუფლება, იმაზე ნაკლები დიმიკარგავს, ვიდრე მეგონა – ბევრად ნაკლები... ჩემი ცხოვრება მთლიანად არ დაშლილა ცალკეულ ნაწილებად და არ დაკარგულა.

მაშინ გადავწყვიტე, პირველ მისს გავმგზავრებულიყავი. თითქმის ორი თვე მქონდა თავისუფალი ჩემი შვილების ჩამოსვლამდე და საზაფხულო სკოლის დაწყებამდე. მიფრინავ იმ ქალაქში, სადაც მთელი ამ ხნის განმავლობაში წერილებს გიგზავნიდი – ჩემს ხალისიან წერილებს, ჩემს ჭორიკანა და მიმწდობ წერილებს, ჩემს ცუდის მომლოდინე და მავდერებელ წერილებს. სად გავაგზავნიდი მათ ისევ, საკმარისად ჭკვიანი რომ არ ვყოფილიყავი და შენი სიკვდილი არ შემეტყყო?!

ქალაქი, რომელშიაც შენ ცხოვრობდი და რომელსაც ცალყებად აღწერდი, მაგრამ მთლიანობაში კმაყოფილებით

იხსენიებდი შენს წერილებში. როგორც შენ ამბობდი, ის სავსე იყო გადაღებულ ბებრებითა და თავგზააბნეული ტურისტებით. არა. ჩემნაირი ბებრეკებით, ასე ამბობდი და, როგორც ყოველთვის, თავს შენი ასაკის მამაკაცზე უფრო ხნიერად წარმოაჩენდი. ასეთი ქცევა გჩვეოდა, დაბალილად თუ ზარმაცად თავის მოკატუნება და საკუთარი გულგრილობის ხაზგასმა გიყვარდა. გულწრფელად რომ გითხრა, მეგონა, თვალთმაქცობდი. რაც არ მჯეროდა და რისი დაჯერებაც ვერ წარმომიდგინა, ის იყო, რომ ეს შეიძლებოდა სინამდვილე აღმოჩენილიყო. ერთხელ მითხარი, რომ სრულებით არ გენაღვლებოდა, მალე მოკვდებოდი თუ კიდევ ოცდახუთ ნელინადს იცოცხლებდი. ლუთის გმობა საყვარლისაგან. მითხარი, რომ არ ფიქრობდი ბედნიერებაზე, ეს სიტყვა აზრადაც არ მოგდიოდა. გავიფიქრე, რა მედიდურობაა-მეთქი და ისე მივიღე, თითქოს ეს სიტყვები ახალგაზრდა კაცს ეთქვას, თავად კი თავიც არ შემინუხებია და არ მიცდია, გამეგო იმ მამაკაცისათვის, რომლისთვისაც ეს განცხადება ცალსახა სიმართლე იყო და რომელშიაც, მე რომ ველოდი, ის ენერგია ჩაფერფლილიყო ან სრულ დავისთვის მისცემოდა. მართალია, თმას აღარ ვიღებავ და, ჩემი ჭკუით, ვისწავლე, როგორ ვიცხოვრო გარკვეული მოლოდინით; ეს იმედი – ეს უშველებელი იმედი – დიახაც შენკენ მოვმართე. უარი ვთქვი, უარს ვამბობ შენ დანახვაზე ისე, როგორც, ალბათ, შენ ხედავდი საკუთარ თავს.

„შენზე ვფიქრობ, ალბათ, როგორც თბილ და ცნობიერებით დაჯილდოებულ ნიაღვარზე, – მომწერე ერთხელ. – და მე ჯანსაღი ადამიანური დამოკიდებულება მაქვს წყლით დატბორვასთან, რაც თან სდევს ნიაღვარსო“.

მოგწერე, რომ მე სულ მხოლოდ ერთი პატარა შენაკადი ვიყავი მდინარისა, რომელსაც, შეგეძლო, შერწყმოდი. შენ უკეთ იცოდი.

როგორ ვცდილობდი მაშინ, მომეხიბლე და თავგზა ამერია შენთვის როგორც ჩემი წერილებით, ისე ერთად ყოფნისას! ჩემი დამოკიდებულება სიყვარულისადმი წარმოჩინდა სიყვარულის შენიღბვაში, მის გაუწებლობასა და გახალისებაში.

რა დამამცირებელი და უაზრო ფაციფუცი იყო ეს ყველაფერი! და შენ, შენ რა-ღაცნაირად, ნახად ილიმებოდი; მე მგონია, გვარიანად გრცხვენოდა ჩემ გამო.

ვკოულობ მრავალბინიან შერობას ზღვასთან ახლოს, რომელიც, ალბათ, ოციანი წლებით თარიღდება – მოყვი-თალო, კრემისფრად მოზათქამებულ შენობას დაბზარული ფანჯრის რაფებით, უშინაარსო დეკორაციული მედალიონითა და კარზემოთ გამოსახული გაუში-ფრავე ხელნაწერით. როგორც ერთხელ მითხარი, აქ ბევრი მოხუცი დასეირ-ნობს შუქურას თვალისმომჭრელი შუქით გასხივოსნებული. ქუჩებში დავებეტე-ბი და ყოველ კუთხე-კუნჭულს ვათვა-ლიერებ. თავს არ ვინუხებ სასაფლაოზე ნასვლით. მაინც არ ვიცი, რომელი სა-საფლაოა. იმ ტროტუარზე დავაბიჯებ, რომელზეც, ალბათ, შენ დააბიჯებდი და იმ საგნებს შეეცქერი, რომლებსაც შენ შესცქეროდი უეჭველად. ფანჯრები, შენს ანარეკლს რომ მასპინძლობდნენ, ახლა ჩემსას იხსლებენ. ეს თამაშია. ამ ქალაქს სხვა, ჩემთვის ჩვეული ქალაქებისაგან სრულიად განსხვავებულად აღვიქვამ. ციცაბო კიბეები, მქრქალი, შებათქაშე-ბული სახლები, ბრტყელი სახურავებით რომ გადაუხურავთ, ბენზინგასამართი სადგურების ახირებულ ყაიდაზე აუგიათ და ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე „თანამედროვე სტილად“ მოუნათლავთ. სქელი მინაბლოკის ნაგრძელებული ორ-ნამენტული ფანჯრები. ალაგ-ალაგ – ესპანური სახურავი ან უადგილო ადგი-ლას დატოვებული ლიობი და ბრტყელი სახურავები. ცნობილი ბალები. როდო-დენდრონი, აზალია, ჰორტენზია ნითელ-ნარინჯისფერ და მენამულ ფერებში, თვალებს რომ გტყვენ. კათხისტოლა ტი-ტები, დაუსრულებელი თავის მოწონება. და მალაზიები, ესოდენ უცნაურია რომ ეჩვენება სამრეწველო თუ საუნივერსიტე-ტო ქალაქიდან ჩამოსულ ადამიანს – მას, ვინც, სავაჭრო ცენტრში შეგულებული ლამაზ-ლამაზი ტანისამოსის მიუხედა-ვად, მიჩვეულია გარკვეულ კომერციულ სისადავესა და ფუქციონალიზმს. საუკუ-ნის დამდეგს გამართული სანაყინეები. ველური დასავლეთის სპორტული საქო-ნელი. ჰავაიდან ჩამოსული შემთხვევითი

მყიდველები კანჯოში დაფენილი პალმის რტოებით. ტიუდორებისდროინდელი კა-ფე-საკონდიტრო სიფრიფანა წვეტურით. თოკისლანჩიანი სანდლები რომელიღაც სარდაფის მსგავს სადგომში, რომლიდა-ნაც ლამის სათევის ხმაური ყურთასმენას სწვდება. საკონდიტრო მალაზიები მინია-ტურული ციხე-სიმაგრეების ცრუ ფასა-დით. ეს მასკარადი მეტისმეტად მრავალ-ფეროვანია და მეტისმეტად დამღლელი. ერთ დღეს სუპერმარკეტში მივდივარ ცოტაოდენი პურისა და ფორთოხლის საყიდლად; სალარო აპარატთან დგას ჯვალოს ქსოვილში გამოხვეული გოგონა, სახე ტალახითა და ნითელი საღებავითა აქვს მოთხუნილი, თმაში კი პლასტმასის ძვალი გაუყრია. ქიშიშისა და ავსტრა-ლიიდან ჩამოტანილი ძროხის ხორცის გასაღებას ცდილობენ. მაგრამ, გადაღ-ლილი, თბილად მილიძის; ტალახიანი და საღებავით მოთხუნილი, რღაც-ში მარწმუნებს; ასეთ ადგილებში მუდამ არის ვილაც, ვისაც ამის უნარი შესწევს.

საკუთარ თავს ვხედავ, როგორ დავდივარ ქუჩებში და შენზე მოგონე-ბებს ვუხმობ, როგორც ერთხელ ვეძებდი საიდუმლოს გასაღებს იმ სტატიებში, შენ რომ წერდი ჟურნალ-გაზეთებისათვის და იმ ნივნებში, ესოდენ გონივრულად რომ თხზავდი სხვათა – და არამც და არამც შენი საკუთარი თავის – სასიკე-თოდ. შენ ისე სახალისოდ და შინაარსი-ანად წერ, ისე ოსტატურად აღწევ ლამის დახვეწილობის მწვერვალს! ოღონდ აქაც თავშეკავებას ამჯობინებ. სულ ეს არის-მეთქი? – მესმის, როგორ ვეკითხები ჩემს თავს, შენ კი შემწყნარებლური სიცილით იცინი – მეტი რაღა უნდა იყოს-ო! ოღონდ მე ბოლომდე ვერ ვიჯერებ. არ გემეები, გამოცხადებას ველტვი.

შენი აღწერა რომ დამჭირდეს, რაკი მალულად გხვდები, ვიტყვოდი, რომ შენს სინდისს არასოდეს უღალატებ. შენ კი მოუთმენლად განაცხადებდი, რომ მთელი ცხოვრება სინდისს ღალატობდი. მაგრამ ამას არ ვგულისხმობ. ვიტყვოდი, რომ უღალატო ხარ და ხისტად, ჯიქურ მიინე-ნინ (ერთ სულ-ხორც), თავდაჭერილი, კე-თილი, მაგრამ არცთუ გულშემატკივარი. ხაზს გაუფსვამდი იმას, რომ არის შენში რაღაც რაინდული. დიას, მაქვს მოლოდი-

ნი იმისა, რომ შენ რაინდულად ხელგეწიფება ძველებურ ყაიდაზე თავის განირგვა, ისევე როგორც განსაკვივრებელი სისახეტივის გამოვლენა და რომ შეგიძლია, ორივე ამ ნამოქმედარს ფარული განგებულებისადმი მორჩილების ელფერი მიანიჭო.

შენ, შენი მხრივ, საკუთარ თავს ერთლალ, უზნეო, ჩვეულებრივ თავკერდას და სიამოვნებას დახარბებულ კაცად დაგვიხატავდი. სათვალის ზემოდან გადმოშხედავდი ჩემი უსაქციელობით გაღიზიანებული რომელიმე მშვიდი და ულმობელი მასწავლებლის მსგავსად. მოგვინედა ჩემს სიყვარულზე დაფიქრება, დაფიქრება იმაზე, თუ როგორ მიყვარდი, თითქოს ეს სახადის მსგავსი ახირება ან რომელიმე ესეის თვითნებური შავი მონახაზი ყოფილიყო.

რა თქმა უნდა, იმთავითვე ვიცოდი, რომ ცხოვრების ეკლიან გზას დავედგომოდი. ნებისმიერ ნუთში მოსალოდნელი იქნებოდა და იყო კიდევ განმორება; არავინ იცოდა, სად განყდებოდა ძაფი შენი სურვილით თუ შენგან დამოუკიდებლად; ვერავის შევჩვილებ. ბოლო ნუთში უმალ ხსნა გამოჩნდებოდა. ჩემი ლაკონიური, მგზნებარე წერილი, ბოლო სიგაჟე; მერე კი შენი ოუმორით სავეს, ნაზი, პატიების თხზვისი წერილი, რომელიც მუხუნებოდა, რომ არაფერი შეცვლილიყო. მე მუდამ მყარ ნიადაგზე ვიდექი, შენ არასოდეს მიგიტოვებდარ. თითქოს ეს ორმო – სამუდამო უშენობა – რომელშიაც ვვარდები, მხოლოდ და მხოლოდ სიზმარი იყოს, რომლითაც ჩემს თავს ვაშინებ ან, უარეს შემთხვევაში, ადგილი, რომლიდანაც საკმარისია ხმამალა და დამაჯერებლად მოგიხმო საშველად და ხსნაც გამოჩნდება.

ჩემს თავს იმაზე ვიჭერ, რომ სტატიებს ვკითხულობ ქალებისათვის გამოცემულ ჟურნალებში. როდესაც იმედი მიბრუნდება და ცაში დავფრინავ, ცრურწმენა დამრევს ხელს და ამ ჭკუისდამრიგებლურ გაკვეთილებს ვახტები; ხოლო, როცა უიმედობა მომეძალება, სასო წარმეკვეთება და უსასობა მიპყრობს, მაშინ ვინყებ მათ კითხვას თავის სანუგეშებლად, რადგან ნუგეშსა მგვრის იმის აღმოჩენა, რომ მაგანისა და

მაგანის პირადული ამბავი რაიმე განსაკუთრებულ სულთაბრძოლას კი არა, მხოლოდ გაცვეთილ და ნაცნობ გული-სტიკვილს იტევს. სხვა ქალებს დაუძლევიათ ეს ტიკვილი და ახლა გამხნევენ და გულს გიმაგრებენ. მართა ტ. ხუთი წლის მანძილზე იყო იმ კაცის საყვარელი, რომელიც ატყუებდა, ასულელებდა და ნუსხავდა. იმიტომ შემეყვარდა, რომ ძალზე სათუთი კაცი მეგონაო, ამბობს იგი. ემილი რ.-ის საყვარელი, როგორც თავად აცხადებდა, დაქორწინებული არ ყოფილა. და რამდენჯერ გამიგონია საკუთარი ხმა როგორც მამაკაცებთან, ისე ქალებთან საუბრისას, სვედით შეპყრობილი გააზრებულად და დაულოებლად რომ მიველტივი ამ თემას – როგორ აგებენ ქალები თავიანთ კოშკებს ისეთ მერყევ საფუძველზე, თავშესაფრად ერთი ღამითაც რომ არ გამოდგება; როგორ იტყუებენ თავს და რა ტყუილად იტანჯავენ თავს ქალები, როგორ აჩაგვრინებენ თავს იმის გამო, რომ მათი ცხოვრება ფუჭია და სულში რალაც ღრმა – მაგრამ ბუნდოვანი და არა უკანასკნელი – ბზარი დასტყობიათ. ჰოდა, მივუყვები და მივეყვები ამ სტრიქონს, რომელსაც დღესდღეობით ყველა მარტივ სიმღერასავით იზუთხავს. ამასობაში სიმღერაში გაბზარული გულივით მეც გული მეზბარება; ის გამომხმარი და დამსკდარია ხევეით დასერილი მიდამოს გაუდაბურებული კუთხე-კუნჭულივით. მე მართა ტ.-სა და ემილი რ.-სთან ერთად ვტირი და ვცდილობ, გავიგო, რა მანქანებით მოახერხეს ტიკვილების დაამება. მაკრამე ისწავლეს? ღრმად ჩაისუნთქეს? ერთხელ ერთმა ჩემმა მეგობარმა – რა თქმა უნდა, ქალმა – მითხრა, რომ, თუკი უკან, წარსულისაკენ ან წინ, მომავლისაკენ იყურები, მარტო ტიკვილი გიწერია და ამიტომ თიელი პრობლემის ძირფესვიანად ამოძიკვა იმით შეუძელი, რომ მხოლოდ თითოეული განკერძოებული ნუთით ვცხოვრობო. ყოველი ნუთი სავესა აბსოლუტური სიწმითო, ამბობდა იგი. ესეც ვცადე და სხვა რამესაც ვცდი, მაგრამ ვერ ვხვდები, ეს როგორ გაჭრის.

რუკა ვიყიდე. შენი ქუჩა ვიპოვე, ის კვარტალი, რომელშიც შენი სახლია. ის არც ისე შორს არის ჩემი ბინიდან, სულ

რალაც ათიოდე კვარტალში. ჯერ იქით არ დავდივარ. ერთი-ორი კორპუსი მრჩება იქამდე და მერე გვერდით გავუხვევ ხოლმე. ეს ის სახლია, რომელსაც ვერასოდეს იფიქრებდი, რომ ვნახავდი (ის ადგილი, სადაც მე ვცხოვრობ, სრულიად განსხვავებულია. მე მას ვრთავ და ვახალისებ, როდესაც შენ მესტუმრები ხოლმე). ახლა თუ მომინდა, შემიძლია დავინახო. შემიძლია ქუჩის მეორე მხარეს გადავიდე და გულაძგერებულმა ჩაეუარო. მართლ ერთი ორჯერ თუ შევავლებ ხოლმე თვალს, მერე კი სითამამე მემაცხება და უფრო ნელა მივბაიჯებ. ბინდებუნდს ვირჩევ ღია ფანჯარასთან ახლომახლო სახეტილოდ და მუსიკისა თუ სხვა ხმებისათვის ყურის მისაგდებად. წარმოიდგინეთ ეს ნამდვილი, რეალური სახლი, სადაც ხალხი ჭურჭელს რეცხავს და დლით დროზე ვერ იღვიძებს. ღამით, ფარდები თუ არ ჩამოაფარა, შემიძლია შენს ოთახში შევიხედო. სურათები შენი არჩეულია თუ მისი? არც ერთის. ორივესი. ეს აღმოჩენა, ჩვეულებრივ, გულსა მტკენს.

ერთხელ ჟურნალში ერთი ამბავი წავიკითხე, ნაღდი ამბავი; შესაძლოა, ერთ-ერთი იმ ჟურნალთაგანი იყო, რომლებთანაც თანამშრომლობდი. ერთი ახალგაზრდა ქალის ამბავი იყო მოთხრობილი, რომელსაც ორი მცირენლოვანი ქალიშვილი დაეკარგა ავტოავარიაში და რომელიც ყოველდღე, როდესაც სხვა ბავშვები სკოლიდან შინ ბრუნდებოდნენ, გარეთ გადიოდა და ქუჩებში დასეირნობდა – ვითომ თავის შვილებთან შეხვედრას ელოდებოდა. მაგრამ სკოლამდე არასოდეს მისულა, არასოდეს შეუჭყეტია მათ ცარიელ საკლასო ოთახში, ამდენი ველარ გაუბედავს.

შენი ცოლის მალაზიისაკენ მივდივარ, ესლა შემიძლია. სახელწოდება არ ვიცი. სატელეფონო ცნობარის ყვითელ ფურცლებზე ნიგნის მალაზიებს ვეძებ. ბარბარას ნიგნის მალაზია – ალბათ, ეს არის. ამ სახელწოდებიდან რალაც ძველებურსა და მოკრძალებულს მოველოდი. მაოცებს მალაზიის სიდიდე, სიკაშკაშე, ფუსფუსი და უფერულობა. არანაირი ნიშან-წყალი იმისა, რაც შუა საუკუნეებსა თუ ტიუდორების მმართველობაზე მიგვანიშნებდა;

არაფერი მსგავსი! ეს არის მყარი, ნლიური – და არა ტურისტებისათვის შელამაზებული – ბიზნესი.

მამინვე ვიცანი, თუმცა შეცვლილა. თმა ჩემზე მეტად გაჭალარავებია და კეფაზე გამოუნასკევას. სახის ნაკეთები განაზებია და კოსმეტიკასაც არ ხმარობს. მოყვითალო ფერის კანი აქვს და, მაინც, თვალისმომჭრელი, კაშკაშა მომხიბვლელობა მოსდგამს. ეს მისი თრთოლა, მახვილგონიერება, გზნება. გახუნებული მენამული ფერის ხალათი აცვია ინდური ნაქარგით განწყობილი ბაფთებით. მკვეთრად მოძრაობს მას შემდეგ, რაც ხელახლა აიდგა ფეხი, მუხლის ხრტილი რომ ამოუღეს. როგორც მითხარი, წონა მართლაც მოსჭარბებია; ის ახლა ზორბა ტანის შუახნის ქალია.

მალაზიის უკანა ოთახიდან გამოვიდა, ხელში რამდენიმე უშველებელი ნიგნი ეჭირა ხელოვნების სფეროდან. სანერ მაგიდას უკნიდან მოუარა, ნიგნები თაროებზე დაალაგა და გამყიდველ გოგონას გაუბა ლაპარაკი, თითქოს ადრე დაწყებულ საუბარს აგრძელებსო.

– ჰოო, არ ვიცი, როგორ... ანგარიშ-ფაქტურა... დაურეკო მათ და ვუთხრა, რომ აქ ასე არ ვმუშაობთ..... მთელი პარტია უკან არის დასაბრუნებელი.

მასსოვს მისი ხმა – იგივე ხმა, რომელიც ამდენი ხნის წინათ გავიგონე ერთ-ორ წვეულებაზე; მკვეთრი, გამომწვევი ხმა, რომელიც ძალზე შთამბეჭდავად უღერს სიბრაზის გარკვეულ დონეზე; ხმა, რომელიც რალაც განსაკუთრებულად ამბობს, „ღმერთო ჩემო, ნეტავი რაზე ფიქრობენ ეს იდიოტები!“ ვთქვათ, ჩემი ხმა იცნო ან სახით ვეცნაურე. არა მგონია, მიცნოს. ის იმათ რიცხვს არ მიეკუთვნება, ჩრდილოში მყოფი ხალხი რომ ამახსოვრდებოდეს; იგი მუდამ მოვლენების შუაგულში ტრიალებს და ჩემ შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გააჩნია, ხომ ასეა?! შეუძლებელია, ის აქ ჩემთან შეხვედრას ელოდეს.

და მაინც, უცნაური შეგრძნება მეუფლება, თითქოს დამნაშავე ვარ და მას თვალში უნდა მოვხვედე. თუმცა კარგა ხანს ვრჩები და მალაზიის ირგვლივ დავხეტილობ. ეს საშინია, აქ იმდენი ნიგნია! ალბათ, მუდამ ვჩერდები ნი-

გნებთან, რომლებიც ხალხს უმხელენ ბედნიერების ან, უკიდურეს შემთხვევაში, სიმშვიდის მოხვეჭის ათასგვარ ხერხს. შენ ხომ აზრზე არა ხარ – ან, იქნებ, ხარ კიდევ, – რამდენი ასეთი წიგნია იქ! ამას ქედმაღლურად როდი ვამბობ! მე მიმაჩნია, რომ ეს წიგნები უნდა ნავიკითხო, უკიდურეს შემთხვევაში, ზოგი მათგანი მაინც. მაგრამ ერთადერთი, რაც შემიძლია გავაკეთო, ის არის, რომ ყველჩვით მივაშტერდე მათ. სხვა წიგნები გვიმხელენ ჯადოქრობის საიდუმლოს; აქ მართლაც ასობით წიგნია კუდიანებზე, შელოცვებზე, ნათელმზილველებზე, რიტუალებსა და ყველანაირ ხრიკსა თუ სასწაულზე. მგონია, რომ ეს წიგნები ყველა ერთნაირია – ბედნიერება-სიმშვიდის მომტანი და ჯადო-სასწაულის მომასწავებელი. ისინი სულაც არა ჰგვანან დაცალკეებულ წიგნებს, ამიტომაც მათ ვერ ვეხები. ისინი ყველანი ერთად მოედინებიან მაღაზიის გარშემო ნაირფერი და განსაცვიფრებელი ნაკადულისა თუ ფართო მდინარის მსგავსად და მე უმაღლეს ყალქვეშ უკეთ ვისუნთქებ, ვიდრე იმას მიხვდები, რა წერია მათში.

ყოველდღე აქ მოვდივარ. რამდენიმე რბილყდიან წიგნს ვყიდულობ. მათ შეიძლება მოეჩვენოს, რომ საათობით ვიჩხრიკები წიგნებში. იგი ერთხელაც შემომხედავს და მიღიმის, მაგრამ ეს ერთი ალაღებდზე ნასროლი ღიმილია, მყიდველისათვის განკუთვნილი. ვუსმენ, როგორ ელაპარაკება გამყიდველ გოგონას, იცინის, ხუმრობს; მერე დარბაისლურად და მკაცრად ვილაცას ტელეფონზე ესაუბრება, თაფლიან ჩაის ითხოვს და დამცინავი, ქედმაღლური იერით უარს ამბობს ნამცხვარზე. მესმის, როგორ ოსტატურად, ზოგჯერ მომხიბლავდაც კი, აფრთხოვს მყიდველებს. შემიძლია წარმოვიდგინო, როგორ ვუმეგობრდები და მის აღსარებას ვისმენ. მრცხვენია ასეთი ფანტაზიების. მასთან ყოფნისას ვეჭვიანობ და, იმავდროულად, არამყარი გამარჯვებით გამონვეულ სიხარულსაც ვგრძნობ, ისევე როგორც ქარაფშუტულ და უგუნურ ცნობისნადილს. ამ ყველაფერს რომ ვისხენებ, სირცხვილი მიჰყრობს.

ლამით მოვდივარ – მაღაზია ცხრა საა-

თამდე ღიაა – მაგრამ ის, ჩვეულებრივ, იქ არ არის ხოლმე. ერთ ღამესაც მოვედი და იქ დამხვდა მარტო. მაღაზიამ სხვა არაფერ არის. უკანა ოთახში გადის და უკანვე ბრუნდება. ხელში რაღაც უჭირავს და პირდაპირ ჩემკენ მოემართება.

– მგონი, ვიცი, ვინცა ხარო.

შიგ თვალებში მიყურებს. ნიკაპს მალა სწევს, რადგან ჩემზე ბევრად დაბალია.

– ჩვენ ყველამ შეგნიშნეთ, აქაურობას გარს რომ უვლიდით. თავიდან მაღაზიის ქურდი მეგონეთ. ყველას ვუთხარი, ამ ქალზე თვალი გეჭიროთ-მეთქი. მაგრამ მაღაზიის ქურდი არ უნდა იყოთ, ასე არ არის?

– არა, არა ვარ.

ხელში რაცა აქვს, მადლევს – წერილებით სავსე ყავისფერ საქალაღდეს.

– ის მკვდარია, – ისე მიღიმის, როგორც მასწავლებელი გიღიმის, როდესაც სკოლაში საბედისწეროდ გაგიტყდება სახელი. – ამიტომაც, რომ მისგან არაფერი ისმის. მარტში გარდაიცვალა. გულის შეტევა ჰქონდა, თავის სახლში, საწერ მაგიდასთან. ამ მდგომარეობაში დამხვდა, ვახშმობის დროს რომ შევაკითხე.

ვერაფერს ვეუბნები, ან რა უნდა ვუთხრა.

– უნდა გითხრაო, ვწუხვარ, ამას რომ გეუბნებით-მეთქი? არ ვწუხვარ. თქვენ რასა გრძნობთ, ჩემთვის სულერთია. არანაირად არ მანაღვლებს. აღარ მინდა, კიდევ აქ განახოთ. კარგად ბრძანდებოდეთ.

მაღაზიიდან ისე გამოვდივარ, ერთ სიტყვასაც აღარ ვეუბნები.

ჩემს ბინაში საქალაღდეს ვხსნი და წერილებს ვიღებ. წერილებია, უკონვერტოდ. ვიცოდი, ეს რომ იქნებოდა; ჩემი წერილები იქნებოდა. არ მინდა, მზარავს მათი ნაკითხვა, აჯობებს, გვერდზე გადავდო. მაგრამ მერე ვამჩნევ, რომ ეს არ არის ჩემი ხელწერა. კითხვას ვინყებ. ეს წერილები ჩემი არ არის, ისინი მე არ დამინერია. ერთიდან მეორეზე გადავდივარ ძრწოლაგაბანილი და ხელმოწერას ვაკვირდები. პატრიცია. პატი. პ. უკან ვბრუნდები და სათითაოდ, გულდასმით ვკითხულობ.

ძვირფასო, საყვარელო,
შენ ისეთი ბედნიერი დამტოვე! სამან-
ტასთან ერთად პარკში წავედი - ისეთი
კარგი იყო! საქანელაზე ვარწმუნედი, ვუყუ-
რებდი, სასრიალოზე როგორ დასრია-
ლობდა და იმაზე ვფიქრობდი, რომ ეს
პარკი სამუდამოდ მეყვარებოდა, რადგან
აქ მაშინ დავდიოდი, როდესაც შენთან
ყოფნის შემდეგ ასეთი ბედნიერი ვიყავი!

ძვირფასო,
გახსოვს ის შექანებული ბერიკაცი
ჩვენ მეზობლად? მოვიდა და იმ ვარდი-
სფერი ხიდან, ბაღში რომ იდგა, რალა-
ცების ჭამა დაიწყო. იმ დეკორატიულ
ქლიავის ხეს ვგულისხმობ. ის ქლიავიც
ხომ დეკორატიული იქნებოდა. ქვასა-
ვით მაგარი იყო და, დარწმუნებული
ვარ, აზრადაც არავის მოსვლია, რომ
მას ვინმე შეჭამდა. მაგრამ მე დავინახე,
ხიდან როგორ გლეჯდა და მუჭა-მუჭა
ნთქავდა. იატაკზე ვიჯექი მენამული ფე-
რის მუთაქებზე, იმ ოთახში, მზე უხვად
რომ ეფრქვეოდა, სადაც მე და შენ...

ჩემო ძვირფასო,
ნუხელ მესიზმრე. უცნაური, ლამაზი
სიზმარი იყო. ჩემი თმა ხელში მოგექცია და
მეუბნებოდი, შენთვის ეს მეტისმეტად მძი-
მეა, უნდა მოიჭრა, თორემ ძალას გამოგა-
ცლის და გამოიფიტებო. ამას ისე საყვარ-
ლად მეუბნებოდი, ისეთი თანაგრძნობით,
თითქოს თმას კი არა, სულ სხვა რამეს გუ-
ლისხმობდი. როგორ უნდა მივხვდე, საყვა-
რელო, რას მეუბნები სიზმარში, თუ შენს
წერილს ვერ ვეღირსები?! გთხოვ, მომწერე
და მითხარი, რას მეუბნები...

ჩემო საყვარელო,
სულ ერთთავად იმას ვცდილობ, თავი
შევიკავო და არ მოგწერო, რადგან მნამს,
არჩევანის საშუალება უნდა მოგცე-
ბარ მინდა, უკან გდიო და თავი მოგა-
ბერო, მაგრამ გაუსაძლისია შენი ასეთი
აორთქლება პირისაგან მინისა, საშინელი
სიმარტოვეს ვგრძნობ. თუ მეტყვი, რომ
აღარ გინდა ჩემი ნახვა ან ჩემგან რაიმეს
გაგონება, შევეგუები, მართლა მგონია,
რომ შევეგუები, მაგრამ გაურკვეველო-
ბა საშინელეება. თუ საჭირო შეიქნა,
ჩემს განცდებს გაეუმკლავდები და შენს

სიყვარულსაც გადავხარშავ, მაგრამ უნ-
და ვიცოდე, კვლავაც გიყვარვარ? გინ-
დივარ? გთხოვ, გთხოვ, ან ჰო მითხარი,
ან არა.

და ბოლო წერილი, რომელსაც წერი-
ლადაც ვერ მიიჩნევი... მსხვილი ასოებით
დაჯღაბნილი ფურცელი, არც მისალმება,
არც ხელმწერა...

გთხოვ, მომწერე ან დამირეკე; გაგი-
უებას არაფერი მიკლია: ვერ ვიტან ჩემს
ამგვარ ყოფას, მაგრამ მეტის ატანა აღარ
შემიძლია. ამიტომ, გემუდარები...

-
- ეს წერილები მე არ დამინერია.
- თქვენ ის არა ხართ?
- არა. მე არ ვიცი, ის ვინ არის. არ ვიცი.
- მაშინ რატომ წაიღეთ?
- ვერ მივხდი. აზრზე არ ვიყავი, რაზე მელაპარაკებოდით. ბოლო ხანებში დიდი დარდი გადავიტანე და ზოგჯერ... ყურადღება მიდუნდებოდა.
- ალბათ გიყვად შემრაცხეთ.
- არა. უბრალოდ არ ვიცოდი, რა მე-ფიქრა.
- იცით რა... საქმე ისაა, რომ ქმა-რი გარდამეცვლა. მარტის თვეში გარდაიცვალა. ჰო, ახლა უკვე შეიტყვეთ ჩემგან. ეს წერილები კი მოდის და მოდის. გამომგზავნის არც მისამართი წერილი, არც გვარი. საფოსტო შტემპული ვანკუ-ვერისაა, მაგრამ რა ხეირი? სულ ველი, რომ გამოჩნდებოდა. ის ისეთი სასონარკვე-თილი ჩანს!
- დიახ!
- ყველა ნაიკითხეთ?
- დიახ.
- ამდენი ხანი დატყირდათ იმის გა-საზრებლად, რომ აქ რალაც შეცდომა მოგვივიდა?
- არა. უბრალოდ ცნობისმოყვარეო-ბამ მძლია.
- საიდანაც მეცნობით. იმდენი ხალ-ხი მეცნობა, ალბათ მალაზიის ბრალია. იმდენ ხალხთან მაქვს საქმე.
- ჩემს სახელს ვუმხელ, ჩემს ნამდვილ სახელს; რატომაც არა? ის მას არაფერს უბნება.



- იმდენ ხალხთან მაქვს საქმე! - წერილებით სავსე საქალაქე ნაგვის ყუთთან მიაქვს და შიგ ავლებს. - ამის მერე ველარ შევინახავ.

- ვერა.
- დე, იტანჯოს.
- ბოლოს და ბოლოს მიხვდება.
- თუ ვერ მიხვდა? რა ჩემი საქმეა.
- მართლაც!

ალარ მინდა მასთან ლაპარაკი და მისი ამბების მოსმენა. ისეთი განცდა მიჰყრობს, რომ ატმოსფერო მის ირგვლივ სისასტიკითაა გაუღწეოთილი - თითქოს ისეთ შუქს ასხივებს, გარშემო ყველაფერს რომ ახმობს.

მიყურებს.

- არ ვიცი, რატომ მომივიდა აზრად, რომ ეს შეიძლებოდა თქვენ ყოფილიყავით. თქვენ ჩემზე ბევრად ახალგაზრდა არ იქნებით. ყოველთვის ვიცოდი, რომ ის უფრო ახალგაზრდა იქნებოდა.

შემდეგ მეუბნება:

- თქვენ მეტი იცით ჩემს ცხოვრებაზე, ვიდრე იმ გოგონებმა, ჩემთან რომ მუშაობენ; ან კიდევ, ჩემმა მეგობრებმა ან ნებისმიერმა ადამიანმა, მის გარდა. მაპატიეთ. ნამდვილად აღარ ვისურვებდი კიდევ თქვენ ნახვას.

- მე აქ არ ვცხოვრობ. მალე მივემგზავრები. კაცმა რომ თქვას, ალბათ ხვალვე გავემგზავრები.

- ხომ იცით, ასეთია ცხოვრება. ეს ჩვეულებრივი ამბავია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთმანეთს ვერ ვენყობოდით. შეილება არ გვყოლია, მაგრამ რაც გვინდოდა, გვექონდა. ძალიან კეთილი კაცი იყო და მასთან ურთიერთობა მეადვილებოდა. არც წარმატება აკლდა. ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ხელს თუ გამოიღებდა, შეეძლო, მეტი წარმატებისათვის მიეღწია. მაგრამ მაინც. მის სახელს თუ გეტყვით, ალბათ გაიხსენებთ.

- არ არის საჭირო.

- არა, არა. არ გეტყვით. სახეს ოდნავ მანჭავს, თითქოს რალაცას ყლაპავსო. ბოლოს მის ტუჩზე რალაც ახირებული ხაზი იკვეთება, რაც იმის მაუწყებელია, რომ უშენობას მოი-

ნელებს. დროზე ვიბრუნებ პირს, ეს რომ არ დავინახო.

გარეთ, ქუჩაში გავდივარ. ჯერ კიდევ ამ ხანგრძლივი საღამოს შუქი დგას. მივდივად და მივდივარ. ამ ჩემი წარმოსახვის ქალაქში ქვის კედლებს ჩავუვლი - ხან აღმა აუწყებები ციცაბო გორაკებს და ხანაც დაღმა დაუწყებები. გონების თვალთ იმ გოგონას - პატრიციას ვხედავ. გოგონა, ქალი - ქალი, რომელიც თავის ქალიშვილს სამანტას არქმევს; ძალიან თხელი, შავგვრემანი, მოდაზე ჩაცმული, ოდნავ ნერვული, ოდნავ ხელოვნური. მისი გრძელი შავი თმა. დაუფარცხნელი გრძელი შავი თმა და ხორკლიანი სახე. ბნელში ჩამომჯდარა. გარს უვლის ოთახებს. ცდილობს, საკუთარ თავს გაუღიმოს სარკეში. ცდილობს, მაკიაჟი გაიკეთოს. სწამს ქალის და მამაკაცთან წეება. პარკში - ოღონდ სხვა პარკში - მიჰყავს თავისი ქალიშვილი. თავს არიდებს გარკვეულ ქუჩებს, არასოდეს ფურცლავს ამა და ამ ჟურნალს. ყველასათვის ნაცნობი უაზრო და წმიდათანმიდა კანონების გამო იტანჯება. როდესაც მასზე ვფიქრობ, ამგვარ სიყვარულს ისე ვხედავ, როგორც შენ დაინახავდი თუ ხედავ, როგორც რალაცას, სადღაც შორს რომ ხდება. უცნაური, უქმი დანახარჯი, სიბრაულესაც რომ არ იმსახურებს. გაუგებარი ცერემონია უცნობ აღმსარებლობაში. სწორი ვარ?! უფრო გაიხლოვდები, მართალია?!

მაგრამ შენ ხომ ის იყავი - სულ მაინყვება, - ის იყავი, ვინც ეს პირველმა თქვა!

როგორ უნდა გაგიგოთ?

არა უშავს. ის მე გამოვიგონე. შენც მე გამოვიგონე, განზრახ! შენი სიყვარულიცა და შენი სიკვდილიც ჩემი გამოგონია. მეცა მაქვს ჩემი ხრიკები და გასაძრომ-გამოსაძრომი. ვერ ვხვდები, რას ვაქნევ მათ ამჯერად, მაგრამ სიფრთხილე მმართებს, მათზე აუტს ვერ დამაცდენინებთ!

ინგლისურიდან თარგმნა
რუსუდან მახათაძემ



ტატΙΑნა ტოლსტაია

ტატიანა ტოლსტაია 1951 წელს ლენინგრადში (დღევანდელი სანკტ-პეტერბურგი) დაიბადა. დღეს იგი რუსეთში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროზაიკოსი, პუბლიცისტი და ტელეწამყვანია; მას ეკუთვნის ჯერჯერობით ერთადერთი რომანი „კისი“ (2009), რომელიც ეთნოცენტრისტულ პოსტაპოკალიფსურ ანტიუტოპიას წარმოადგენს და მოთხრობებისა და ესეების არაერთი კრებული. მისი ტელეპროექტებიდან ყველაზე ცნობილია გადაცემა „ავსიტყვაობის სკოლა“ (2002-2014), რომელიც ავღოტია სმირნოვასთან ერთად მიჰყავდა.

ტოლსტაია უაღრესად გამჭრიახი და უღმობელი ესეისტია, ხოლო მისი მხატვრული ტექსტები ნატიფი ფსიქოლოგიზმით, მდიდარი ზღაპრულ-მითოსური კაზმულობითა და ენის არქაული პლასტების გამოყენებით გვაოცებს.

პაემანი ფრინველთან

– ბიჭებო, სახლში-ი! ვახშმის დროა! იდაყვებამდე ქვიშაში ჩაფლულმა ბიჭებმა თავები ასწიეს, გონს მოეგნენ: დედა ხის პარმაღზე დგას, ხელს იქნევს: მოდით, მოდით, სწრაფად! კარის ჭრილიდან სითბოს, სინათლის, შინაური საღამოს მყუდრო სუნი გამოდის.

მართლაც ჩამობნელებულა. ნოტიო ქვიშა მუხლებს აცივებს. ქვიშის კომკეები, თხრილები, მინისქვეშა დერეფნები – ყველაფერი ყრუ, უფორმო, გაურკვეველ მასად იქცა. ველარც ბილიკს გაარჩევ, ველარც ჭინჭრის ტევრებსა და წვიმის წყლის კასრს, თუმცა დასავლეთით ჯერაც ბუნდოვანი სითეთრე ბუჭტავს. აცახცახებული, ნაღვლიანი ოხვრა ბალს ძალიან დაბლა გადაეგლო და ხეების მუქი კორომები შეარხია: დღე მიიცვალა.

პეტამ ხელები სწრაფად ააფათურა ქვიშაში და ლითონის მძიმე მანქანები აკრიფა: სათამაშო ამწეები და სატვირთოები. დედას ხელი კარის სახელურისთვის ჩაეგლო და მოუთმენლობისგან ფეხს აბაკუნებდა, პატარა ლიონეჩკამ კიდევ ერთხანს ინუნუნა, მაგრამ ისიც ხელში აიტაცეს, შინ შეათრეეს, პირი დაბანეს და,

წინააღმდეგობის მიუხედავად, ვაფლის მკერივი პირსახოციტ გაუმშრალეს.

სინათლის წრეში, თეთრ სუფრაზე სიმშვიდე დასადგურებულა. ლამბაქებზე ყველისა და ძეხვის მარაოებია გაშლილი, ლიმონის ბორბლებიც ალაგია – თითქოს ციცქნა ყვითელი ველოსიპედი დაამტერიესო; მურაბაში ლალის ნაპერწკლები იძვრის.

პეტას წინ ბრინჯის ფაფით საცხე მათლაფა დაუდგეს; კარაქის ლღვობადი კუნძული სარგასის ზღვის შლამში დაცურავს. ჩაიძირე, კარაქის ატლანტიდავ. ვერავინ გადარჩება. ზურმუხტის ხორკლისებურსახურავიანი თეთრი სასახლეები, კიბე-კიბედ ნაგები ტაძრები, რომელთა მაღალი კარების ჭრილებში ფარმევანგის ფრთის ტალღოვანი ფარდები კიდია, ოქროს ვეება ქანდაკებები, ზღვის სიღრმეში ჩამავალი მარმარილოს კიბეები, ვერცხლის ბასრი ობელისკები ზედ ამოკვეთილი უცხო წარწერებით – ყველაფერი წყალში ჩაინთქმევა. ოკეანის მწვანე, გამჭვირვალე ტალღები უკვე ტაძრის საფეხურებს მისდგომია. შავტუხა, თავზარდაცემული ადამიანები აქეთ-იქით აწყდენ-

ბიან, ბავშვები კვიან... მძარცველები მიათრევენ სურნელოვანი ხის უძვირფასეს მძიმე სკივრებს, ძირს უფარდებთ; გამჭვირვალე სამოსელთა გროვები ფრიალებს... აღარაფერი გამოდგება, აღარაფერი ივარგებს, ვერავინ გადარჩება, ყველაფერი თბილ გამჭვირვალე ტალღებში ჩაიქცევა... უზენაესი ღვთაების რვასართულიანი ოქროს ქანდაკება ტორტმანებს და მესამე თვალის სევდიანად გასცქერს აღმოსავლეთს...

- საქმელთან მაიმუნობას მოეშვი!

პეტია შეკრთა და ფაფას კარაქი გადაურია. ძია ბორია, დედას ძმა - ჩვენ ის არ გვიყვარს - უკმაყოფილოდ იყურება. შავი წვერი აქვს, თეთრ კბილებში პაპიროსი გაუჩრია; კართან მიჩორდა და ისე ეწევა, კვამლს დერეფანში უშვებს. სულ მუდამ მასხრად გვიგდებას, არ გვასვენებს, ნეტავ, რა უნდა?

- აბა, ჯიგრებო, სანოლში, სწრაფად. ლეონიდს სადაცაა ჩაეძინება.

ლიონეჩკას, მართლაც, ცხვირი ლამის ფაფაში ჩაუყვია და ნებოვან მასას კოვზს ნელა უსვამს. აი, პეტია კი არანაირად არ აპირებს დაძინებას. ძია ბორიას თუ თავისუფლად მონევა უნდა, კეთილი ინებოს და პარმალზე გავიდეს. და სხვას ცხოვრება აცალოს.

პეტია დაღუპული ატლანტიდა გადასანლა, კოვზით სუფთად მოფხიკა ოკეანე და ტურქები ფინჯანში ჩაყო - ჩაის ზედაპირზე ცხიმიანი ლაქები ატივტივდა. დედამ მძინარე ლიონეჩკა წაიყვანა, ძია ბორია სკამზე მოკალათდა და უკვე ღიად ეწევა. საზოზღარ, მძიმე კვამლს უშვებს. აი, თამილა კი მუდამ რალაც სურნელოვანს ეწევა. ძია ბორიამ პეტიას ფიქრები ამოიციწო და, როგორც ყოველთვის, ჩაეთხა:

- რაო, ისევ შენ საეჭვო დაქალთან ხომ არ ყოფილხარ?

დიახაც, ისევ. თამილა საეჭვო სულაც არ არის, მოჯადოებული მზეთუნახავია, სახელიც ჯადოსნური აქვს. წინათ ბროლის ცისფერ, მიუნჯდომელ მთაზე ცხოვრობდა, ისეთ სიმალღეზე, საიდანაც მთელი სამყარო მოჩანს მის დასალიერზე მდგარ სვეტებამდე, ამ სვეტებს კი აწერია: „სამხრეთი“, „აღმოსავლეთი“, „ჩრდილოეთი“, „დასავლეთი“, მაგრამ

იქიდან წითელმა გველეშაპმა მოიტაცა, ერთხანს ცაში ატარა, მერე კი, აქ, ამ სააგარაკო დასახლებაში დატოვა. ჰოდა, ახლა სულ ბოლო სახლში ცხოვრობს, ვერანდიან დიდ ოთახში, სადაც ვარცლებში ჩინური ხვიარა ვარდები იზრდება. ოთახში ამ ვარდების, ძველი წიგნების, კოლოფების, ზარდახშებისა და შანდლებისგან ტევა არ არის. თამილა თხელ სივარეტს ეწევა გრძელი მუნდშტუკით, რომელზედაც სპილენძის რგოლებს გაუდის ჟღარუნი, თან ციცქნა ჭიქებიდან რალაცას წრუპავს და დროდადრო ისე იცინის, გეგონება, ქვითინებსო. გველეშაპის მოსაგონრად ფართომკლავიანი შავი პრიალა ხალათი აცვია ზურგზე წითელი მრისხანე დრაკონით. აბურძნელი შავი თმა კი სავარძლის სამკლავურამდე ჰკიდია. პეტია დიდი როცა გაიზრდება, თამილას ცოლად შეირთავს, ძია ბორიას კი კოშკში დაამწყვდევეს, მაგრამ მერე, შეიძლება, შეიბრალოს და გამოუშვას კიდევ.

ძია ბორია ისევ მიუხვდა გულისნადებს, გადაიხარხარა და ამღერდა - ვითომდა ისე, სასხვათაშორისოდ, მაგრამ საწყენად:

*ჯერ მკერავი ყოფილა-აა
და მუღინით ქარგავდა.
მერე სცენას მიაშურა,
მსახიობი გა-ახდა!
ტარამ-პამ-პამ!
ტარამ-პამ-პამ!*

არა, არაფრით არ შეიძლება მისი კომიდან გამოშვება.

დედა მაგიდას დაუბრუნდა.

- პაპას აჭამე? - ძია ბორია ჭიანკბილს ასისინებს, ვითომც აქ არაფერი-აო.

პეტიას პაპა უკანა ოთახში იწვა, ავადმყოფობდა, ხშირ-ხშირად ქოშინებდა, დაბალ ფანჯარაში რალაცას გასცქეროდა და დარდობდა.

- არ უნდა, - უპასუხა დედამ.

- დიდი დრო აღარ უწერია, - დაისინა ძია ბორიამ, და ისევ იმ ამაზრზენი მელიოდის სტვენას მოჰყვა: ტარამ-პამ-პამ!

პეტია მადლობა თქვა, ჯიბეში ასანთის კოლოფი მოისინჯა, სადაც განძი

ედო და დასაწოლად წავიდა - პაპას შეიბრალებს და საკუთარ ცხოვრებას ჩაუფიქრდება. თამილაზე აუგის თქმას არავის გააბედინებს, რადგან სიმართლე არავის ესმის.

... პეტია იმ შორეულ აგარაკთან თამაშობდა ბურთს, ტბის ნაპირისკენ რომ ჩადის. იქ ჟასმინი და იასამანი ისე უხვად იზრდებოდა, რომ ჭიშკარსაც ვერ მიაგნებდი. ბურთი ბურჭნარს გადააფრინდა და სხვის ეზოში გაუჩინარდა. პეტია ლობეზე გადაძვრა, ტვერებში გზა გაიკვლია და ყვავილებიანი მდელო დაინახა შუაში მზის საათით. ფართო ვერანდაზე კი თამილა იჯდა. შავ სარწვეულა სავარძელზე ირწვოდა, შავი ხალათი ეცვა, ფეხი ფეხზე გადაედო, შავი ბოთლიდან ჭიქაში სასმელს ისხამდა და ქუთუთოებიც შავი და მძიმე ჰქონდა, პირი კი - წითელი.

- გაუმარჯოს! - გამოსძახა თამილამ და ისე გაიცინა, გეგონება ქვითინებსო, - გელოდებოდი!

ბურთი ფეხებთან, ყვავილებით მოქარგულ ქოშებთან ედო. წინ და უკან ირწვოდა. მუნდმტუკს აჟღარუნებდა და წვრილ ცისფერ კვამლს უშვებდა, ხალათზე ფერფლი ეყარა.

- ჰო, შენ გელოდებოდი, - დაუდასტურა თამილამ, - შეგიძლია ჯადო ამხსნა? არა?... აბა, შენ ყოფილხარ... მე კი მეგონა... მაშ, წაილე შენი ბურთი.

პეტიას კიდევ მოუნდა ასე დგომა, მისი ცქერა და მისი სიტყვების სმენა.

- რას სვამთ? - ჰკითხა ქალს.


- რას და, პანაცეას, - უპასუხა თამილამ და ისევ მოსვა, - ყველა ციური და მიწიერი ურვისა და ტანჯვა-ტკივილის ნამალს, საღამურ ეჭვსა

და ლამის მტარვალს რომ აფრთხობს. ჰო, მართლა, ლიმონი გიყვარს?

პეტია დაფიქრდა და უთხრა მიყვარსო.

- ლიმონს როცა შეჭამ, კურკები შემეგროვე, კარგი? ლიმონის ასი ათას კურკას თუ შეაგროვებ და მძივად აასხამ, აფრინდები, ხეებზე უფრო მაღლა, იცი? გინდა, ერთად გავფრინდეთ, მე ერთი ადგილი ვიცი, სადაც განძია დაფლული, აი, სიტყვა კი დამავიწყდა, კლიტე რითიც უნდა გაიხსნას. იქნებ, მე და შენ ერთად მოვიფიქროთ.

პეტია არ იცოდა, ერწმუნა თუ არა, მაგრამ ძალიან კი უნდოდა ეცქირა, როგორ ლაპარაკობს, როგორ ირწევა თავის უცნაურ სავარძელში, სპილენძის რგოლები როგორ ჟღარუნებს. ქალი ბიჭს არც მასხრად იგდებდა, არც თვალებში



ჩასცქეროდა: აბა, საინტერესოდ ვყვები თუ არაო? უბრალოდ შავი და გრძელი, გადანოლილიყო, ირწეოდა და ჟღარუნებდა და პეტისა ეთათბირებოდა. ბიჭიც მაშინვე მიხვდა, რომ ეს ქალი მისი საუკუნო მეგობარი გახდებოდა.

ახლოს მივიდა, ქალის ხელზე მოლაპლაპე ბეჭდების თვალიერებას შეუდგა. თითს სამჯერ შემოხვეოდა ლურჯთვალა გველი, გვერდით კი ვერცხლის დაჭყლეთილი გომბეშო გაჩაჩხულიყო. თამილამ გველი მოიხსნა და ხელში დააჭერინა, გომბეშო კი არაფრის დიდებით არ მოახსენიანა:

- რას ამბობ, რას ამბობ, ეს რომ მომხსნა, ნამში გავთავადები. შავ ქვიშად ჩავიფშენები, ქარი გამფანტავს. მე ხომ შეიდი ათასი წლის ვარ, აბა, შენ რა გეგონა?

მართლაც შეიდი ათასი წლისაა, მაგრამ ნუ მოიხსნის ბეჭედს, კიდევ იცოცხლოს! ოჰ, რამდენი რამ უნახავს! ატლანტიდის დაღუპვასაც შეესწრო, ის სამყარო რომ იძირებოდა, თავზე გადაუფრინა ლიმონის კურკების მძივით. კოცონზეც უპირებდნენ დანვას, ჯადოქრობისთვის, უკვე ნათორიეს, ის კი ხელიდან დაუსხლტა და ღრუბლებში გაუჩინარდა - აბა, მაშ, მძივი რისთვის აქვს? ურჩხულმა კი მაინც გაიტაცა ბროლის მთიდან, ბროლის სასახლიდან, მძივიც იქ დარჩა, სარკეზე ჩამოკიდებული.

- გინდა ცოლად შემირთო?

პეტია განითლდა და უპასუხა მინდაო.

- მაშ, შევთანხმდით. ოღონდ, ხომ იცი, პირობა პირობაა! ახლა კი ჩვენი კავშირი პატიოსანი სიტყვითა და შოკოლადის კანფეტებით გავამყაროთ.

და მთელი ლარნაკით დაუდგა კანფეტები. თითონ კანფეტების გარდა არაფერი ჭამდა და შავი ბოთლიდან სასმელს აყოლებდა.

- გინდა ნიგნების დათვალიერება? აი, იქ ყრია.

პეტია მტვრიან გროვასთან მივიდა და პირველივე ნიგნი გადაშალა. ფერადი სურათი აღმოჩნდა, თითქოს ძველი ნიგნის ფურცელი იყო, ოღონდ ასოებს ვერ გარჩევდი, მაღლა კუთხეში კი ერთი ვეება, ფერადი ასომთავრული გამოესახათ, ერთთავად ბრტყელი ზონრით, ბალახეული-

თა და მაჩიტას ყვავილებით შემოხლართული, მის თავზე კი ფრინველი იჯდა თუ ქალი, ვერ გაიგებდი.

- ეს რა არის? - იკითხა პეტია.

- რა ვიცი, ჩემი არ არის, - თამილა ისევ ჟღარუნით ირწეოდა და კვამლს უშვებდა.

- ასეთი ჩიტი რატომ ხატია?

- მიჩვენე, აბა. აჰ, ჩიტი. ეს სირინია, სიკვდილის ფრინველი. მისი არ უნდა შეგეშინდეს, თორემ დაგახრჩობს. ხომ გავიგონია, საღამოობით ტყეში რალაც როგორ მოთქვამს, გუ-გუს იძახის? სწორედ ის არის. ეგ ღამის ფრინველია. არის კიდევ ფრინველი ფინისტი. ხშირად მოფრინავდა ხოლმე ჩემთან, მერე კი წავეჩხუბე. კიდევ ასეთი ფრინველიც არსებობს, ალკონოსტი. დილით ადრე, გარიჟრაჟზე დგება, სულმთლად ვარდისფერია, გამჭვირვალე, სინათლედ ასხივებს, ნაპერსკლებს აფრქვევს. წყლის შროშანებზე იკეთებს ბუდეებს. ერთადერთ კვერცხს დებს, ძალიან იშვიათს. იცი, ადამიანები წყლის შროშანებს რატომ წყვეტენ? ამ კვერცხს ეძებენ. ვინც მას იპოვის, სიკვდილამდე დარდით გაიტანჯება. მაინც ეძებენ, მაინც უნდათ. ისე, მე კი მაქვს, გინდა გაჩუქო?

თამილა შავ გრეხილ სავარძელზე შეირხა, ადგა, სადღაც სახლის სიღრმეში შევიდა. სავარძლიდან ბისერით მოქარგული ბალიში გადმოვარდა. პეტია დაიხარა და აიღო - ბალიში გრილი იყო. თამილა დაბრუნდა. მის ხელისგულზე დაგორავდა და ბეჭდების შიდა მხარეს ეხლებოდა შუშის ერთი ციდა ვარდისფერი, ჯადოსნური კვერცხი, რომელშიც ოქროს ნაპერსკლები ეყარა.

- არ გეშინია? ჰა, დაიჭი! მესტუმრე ხოლმე, - გაიცინა და სავარძელში მოცულილივით ჩაიკეცა, ტკბილი, სურნელოვანი ჰაერი შეარხია.

პეტია ვერ ნამოიდგინა, როგორია, სიკვდილამდე დარდით გაიტანჯო, ამიტომაც კვერცხი გამოართვა.

ნამდვილად შეირთავს ცოლად. წინათ დედას შურთავს აპირებდა, მაგრამ, რაკი თამილას დაჰპირდა... დედასაც აუცილებლად თან წაიყვანს, ბოლოს და ბოლოს, ლიონჩკას ნამოყვანაც შეიძლება, ძია ბორიას კი - არა. დედა ძალიან ძა-

ლიან, უყვარს, მაგრამ მისგან არასოდეს გაიგონებ ისეთ უცნაურ, ზღაპრულ ამბებს, რასაც თამილა ყვება. ჭამე, პირი დანიბანე – სულ ეს არის, რასაც დედას-გან მოისმენ ან კიდევ, რაიმე თუ იყიდა – ხახვი ან, ვთქვათ, თევზი.

ფრინველ ალკონოსტზე კი დედამ არაფერი იცის და ჯობს არც გაიგოს. პეტია კვერცხს ასანთის კოლოფში ჩადებს და არავის უჩვენებს.

პეტია სანოლში იწვა და იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ იცხოვრებდა თამილასთან ერთად ჩინური ვარდებით დაბურულ დიდ ოთახში. ვერანდის საფეხურებზე იჯდება და ჩხირებს გამოთლის, იაღქნიან ხომალდს ანწყობს და „მფრინავ ჰოლანდიელს“ დაარქმევს. თამილა კი ისევ განაგრძობს სავარძლის რწევას, პანაცეას სმასა და თხრობას. მერე კი „მფრინავ ჰოლანდიელში“ ჩასხდებიან, ანძის კენწეროზე დრაკონიან დროშას ააფრიალებენ, შავხალათიანი თამილა გემბანზე იდგება, სახეს მზესა და წყლის შხეფებს შეუშვებს და ერთად გაემგზავრებიან ოკეანის მწვანე მაცდურ სიღრმეში ჩასული, დალუპული ატლანტიდას საქებნელად.

წინათ თავისთვის ცხოვრობდა – სულ უბრალოდ: ჩხირებს თლიდა, ქვიშას ქექავდა, სათავგადასავლო წიგნებს კითხულობდა; სანოლში იწვა და ფანჯრის მიღმა დამულები ხეების გმინებას და ჩოჩოლს უგადებდა ყურს და ეგონა, სასწაულები სადღაც შორეულ კუნძულებზე, თუთიყუშებიან ჯუნგლებში ხდება ანდა პლასტმასის ინდიელებითა და რეზინის ნიანგებით დასახლებულ ციქცნა სამხრეთ ამერიკაში, ქვევით რომ ვიწროვდება. არადა, მთელი სამყარო აღმოჩნდა იდუმალებით, სევდით, ჯადოქრობით გამსჭვალული, რტოებში მოშრიალე, მუქ წყლებში მონანავე... საღამოობით დედა ბავშვებს ტბის პირას ასეირნებს: მზე დაკბილული ტყის იქით ჩადის, მოცივისა და ნაძვის ფისის სუნი დგას, მაღლა ოქროსფრად ღუის წითელი გირჩები. ტბის წყალი, ცივი რომ გგონია, ხელს თუ ჩაყოფ, ცხელიც კი მოგეჩვენება. მაღალ ნაპირს ტანმალალი ჭაღარა ქალბატონი მიუყვება, ნაღებისფერი კაბა აცვია, ხელჯოხს ეყრდნობა, სულ მუდამ თბილად

უღიმის, თვალები კი ჩამქრალი აქვს და მზერა – ცარიელი. დიდი ხნის წინათ ამ ტბაში მისი პატარა გოგონა დამხრჩვალა. დედა ელოდებოდა: ძიღის დროა, გოგონა კი არა და არ ჩანს. ჭაღარა ქალბატონი ჩერდება და საათს ეკითხება, პასუხს რომ იღებს, თავს აქნევს: „ნახე შენ!“ მაგრამ, უკან როცა გამობრუნდებიან, ისევ იკითხავს, რომელი საათიაო.

მას შემდეგ, რაც მისი საიდუმლო შეიტყო, პეტიას ეს ქალბატონი ეცოდება, მაგრამ თამილა ამბობს, პატარა გოგონები წყალში არ იხრჩობიან, ეს, უბრალოდ, შეუძლებელიაო. ბავშვებს ლაყურები ჰქონიათ. წყალქვეშ თუ მოხვდნენ, პატარა თევზებად იქცევიან, თუმცა უცბად არა. ეს გოგონაც ვერცხლისფერი თევზია, წყლიდან თავს ამოყოფს ხოლმე, უნდა, დედას დაუძახოს, ხმას კი ვერ იღებს...

ახლომახლო ფიცრებით აჭედილი აგარაკი დგას. იქ არავინ ჩამოდის, პარმალი მომპალია, დარბები – მყარად ჩარაზული, ბილიკები დაიბურა. ამ აგარაკზე საშინელი მზაკვრობა ჩაიბინეს და მას მერე აქ ვერავინ ჩერდება. პატრონები მდგმურებს ეძებდნენ, რამდენჯერ ემუდარნენ, დიდი ფულიც შესთავაზეს, ოღონდაც ეცხოვრათ, მაგრამ ვერავინ დაითანხმეს. ბოლოს და ბოლოს, ვილაცებმა გაბედეს, მაგრამ, სამი დღე არ გასულა, აქაურობა რომ დატოვეს: შუქი თავისით ქაქება, ჩაიდანში წყალი არა და არ დულდება, ჩარეცხი არ შრება, დანები თავისით ბლაგვდება, ბავშვები კი მთელი ღამე თვალს ვერ ხუჭავენ და სანოლებში ციქცნა თეთრ სვეტებად სხედან.

აგერ, იქით კი – ხომ ხედავ? – იქ ნასვლა არ შეიძლება, იქ ნაძვის ბნელი ტყეა, გაუვალი ბინდი, სუფთად მოხვეტილი ბილიკები და თეთრი მდელოები, რომლებზეც მათობებელა ყვავილები ხარობს. სწორედ იქ, ტოტებში, სიკვდილის ფრინველი სირინი სახლობს, დიდია, როჭოსხელა. პეტიას ავადმყოფ პაპას სირინისა ეუმინა – მკვრდზე თუ დააჯდა, დაახრჩობს. თითო ფეხზე ექვს-ექვსი თითი აქვს – დანაოჭებული, ცივი, კუნთიანი, სახით კი მძინარე გოგონას ჰგავს. ქუუ-გუ! ქუუ-გუ! – ყვირის საღამოობით ფრინველი სირინი, ნაძვის ტვერებში ფაფხურობს. პაპასთან არ მიუშვათ,

კარ-ფანჯარა კარგად დახურეთ, ლამაზ ანთეთ, მოდით, ხმამალა ნაეკითხოთ ნიგინი! მაგრამ პაპას ემინია, შფოთავს, ფანჯარას გაჰყურებს, საბანს ბლუჯავს. ქუუ-გუ! ქუუ-გუ! რას გვერჩი, ფრინველო? ჩვენს პაპას არ მოეკარო! პაპა, ფანჯარაში ასე რატომ იყურები, რას ხედავ? ეგ ნაძვის ტოტებია, სიბნელები რომ ირხევა, ეგ უბრალოდ ქარია, რომ დღეღავს და ვერ ისვენებს. პაპა, ყველანი აგერ ვართ! ლამაზ ანთია, სუფრაც ქათქათაა, მე გემი გამოვთაღე, აი, ლიონეჩკამ კი მამალი დახატა, ნახე! პაპა?!

- ნადით, ნადით, ბავშვებო, - დედა მათ პაპას საძინებლიდან ყრის, წარბები შეკრა, თვალბუმი ცრემლები უდგას. კუთხეში სკამზე ჟანგბადის შავი ბალიშები აწყვია - ფრინველ სირინის გასაფრთხობად. ფრინველი მთელი ღამე უტრიალებს სახლს, ფანჯრებზე ფხატუნობს, დილისკენ, ბოლოს და ბოლოს, ნაპრალს მიაგნებს, ფანჯრის რაფაზე მძიმედ აბობლდება და პაპას ძებნაში საბანზე ბავბაჯს მოჰყვება. დედა საშინელ შავ ბალიშს დასტაცებს ხელს, იყვირებს, ხელებს აუქნევს, სირინს აფრთხობს... გააგდო.

პეტია თამილას ფრინველის შესახებ უყვება: იქნებ, რამე ნამალი იცოდეს ან მამლის ჯადო-სიტყვა, ფრინველი სირინი რომ აღარ მოგვეკაროს? მაგრამ თამილა თავს ნაღვლიანად აქნევს: არა; ჰქონდა, მაგრამ ყველაფერი იქ დარჩა, ბროლის მთაზე. კი მისცემდა პაპას ავგაროზად გომბეშოს ბეჭედს, მაგრამ თვითონ რომ ჩაიფერფლებო?.. და ისევ შავი ბოთლიდან სვამს.

უცნაური ვინმეა! ბიჭს მის ნაამბობზე უნდა ფიქრი, იმ სიზმრებზე, მას რომ ესიზმრება; უნდა მისი ვერანდის საფეხურებზე ჯდომა. ამ სახლში ყველაფერი ნებადართული აქვს: მურაბიანი პურის დაუბანელი ხელებით ჭამა, მოკუნტული ფაშაბა, ფრჩხილების კვნეტა; თუ მოეხასიათა, ფეხსაცმელებით ყვავილების კვლებშიც გაივლის და არავინ დაუყვირებს, არავინ მიუთითებს, არავინ მოუწოდებს ნესრიგის, სისუფთავისა და გონიერებისაკენ. შეუძლია, მაკრატელი აიღოს და ნებისმიერი ნივნიდან ის სუროლი ამოჭრას, რომელიც მოეწონება

- თამილასთვის სულ ერთია, სურათის ამოჭრა თვითონაც კი შეუძლია, ოღონდ მრუდედ გამოსდის. პეტიას აქ შეუძლია, რაც თავში მოუვა, ის ილაპარაკოს, აქ არავინ დასცინებს: თამილა ყველაფერზე ნაღვლიანად და გამგებად უქნევს თავს, ხოლო, თუ გაიცინებს, ისიც ისე, თითქოს ქვითინებსო. თუ სთხოვ, ქალაქსაც გეთამაშება: „დურაკას“, „ლორობანას“, ოღონდ ცუდად თამაშობს, ქალაქები ერთიმეორეში ერევა და სულ აგებს.

ყოველივე გონივრული, მოსაწყენი, ყოველდღიური აყვავებული ბუჩქნარით დაბურული ღობის მიღმა რჩება.

როგორ არ უნდა შინ დაბრუნება! შინ ხომ კრიტიკა არ უნდა დაძრას არც თამილაზე (გავიზრდები, ვიქორწინებო, მაშინ ხომ გაიგებო), არც სირინზე და არც ალკონსტის ბრდღვიალა კვერცხზე, რომლის მფლობელსაც სიკვილამდე დარდი გატანჯავს...

პეტიას კვერცხი მოაგონდა, ასანთის კოლოფიდან ამოიღო, ბალიშის ქვეშ ჩაიდო და „მფრინავი ჰოლანდიელით“ ღამის შავ ტალღებს გაუყვა.

დილით სახედასიებული ძია ბორია პარმალზე იდგა და უზმოზე ეწოდა. შავი წვერი გამომწვევად აებურძგლა, თვალები ზიზლით მოუჭყუა. დისშვილის დანახვისთანავე ისევ იმ გულისამრევი მელოდიის სტვენას შეუდგა... და ჩაიქირქილა. წვერ-ულვაში კბილები იშვიათად მოუჩანდა, ახლა კი მგლისებრ დაკრიჭა. შავი წარბები შუბლზე აზიდა.

- სალამი ნორჩ რომანტიკოსს! - მხნედ მიაძახა ძიამ ბიჭს, - მიდი, პეტრე, ველოსიპედს შეახტი და მალაზიაში გაქანდი! დედას პური სჭირდება, მე კი ერთი კოლოფი „ყაზბეგი“ მომიტანე. მოგცემენ, მოგცემენ, არ იდარდო. ნინკას ვიცნობ, ეგ თექვსმეტ წლამდე ბავშვებს უარს არაფერზე უთბნებო!..

ძია ბორიამ პირი დააღო და გადაიხარხარა. პეტიამ ქალაქის მანეთიანი გამოართვა და ფარდულიდან შეორთქლილი „ორლიონოკი“ გამოიყვანა. მანეთზე ციცქნა ასობით წერია ატლანტიკისგან შემორჩენილი გაუგებარი სიტყვები: ბირ სუმ. ბირ სომ. ბირ მანათ. უფრო ქვემოთ კი მუქარაა: „სახელმწიფო სახაზინო ბილეთების გაყალბება ისჯება კანონით“.

– მოსაწყენი სიტყვებია, დიდებისთვისაა. ფხიზელმა დილამ ჯადოსნური საღამური ფრინველები გახვეტა, გოგონა-თევზიც ფსკერზე ჩაეშვა, ყვითელი ქვიშის საფარ-ქვეშ ატლანტიდის სამთვალა ოქროს ქანდაკებებს სძინავთ. ძია ბორიამ ტლანქი, შურაცხმყოფელი სიცილით უფაქიხესი საიდუმლოებანი გაფანტა, ზღაპრული ნაცარტუტა გადაყარა, მაგრამ არა სამუდამოდ, ძია ბორია! მხოლოდ დროებით! მზე კვლავაც დასავლეთისკენ მიიღრიკება, ჰაერს სიყვითლე შეეპარება, ირიბი სხივები განეება და იღუმალი სამყაროც აიშლება, წამოიწევა, წყალში დამხრჩვალნი უტყვი გოგონა წყალში ვერცხლის კუდს მოიქნება, ნაძვის ტყეში მძიმედ აფუთფუთდება რუხი სირინი და, ვინ იცის, იქნებ, რომელიღაც უკაცურ ყურეში დილის ფრინველმა, ალკონოსტმაც უკვე ჩამალა წყლის შროშანში ალისფერი კვერცხი, რათა ვიღაც მიუნვდომლის დარდმა გატანჯოს... ბირ სუმ, ბირ სომ, ბირ მანათ!

ცხვირა ნინკამ ბიჭს ულაპარაკოდ გაუნდა „ყაზბეგი“ და ძია ბორიასთან მოკითხვა დააბარა – საზიზლარი მოკითხვა საზიზლარ ადამიანს – და პეტიაც ზარის ჟღარუნითა და პაპას ხელებივით დაკოყრილ ხის ფესვებზე ხტუნვა-ხტუნვით შინისაკენ გაქროლდა. ფრთხილად აუარა გვერდი მკვდარ ყვავს – ფრინველი მანქანის ბორბალმა გადასრისა, თვალზე თეთრი ლიბრი აქვს გადაკრული, შავ შენებებულ ბუმბულებზე ფერფლი აყრია, ნისკარტზე ტკივილნარევი ღიმილი შეეყინა...

საუზმისას და შენუხებული სახით ზის – პაპას ისევ არაფერი უჭამია. ძია ბორია უსტვენდა, კვერცხს კოვზით ამტვრევდა და თან ბავშვებისკენ აპარებდა მზერას, აბა, რითი მოვდო შარით. ლიონეკას რძე დაეღვარა და ძია ბორიამაც გაიხარა: მიზეზი მონხა სალაპარაკოდ. მაგრამ ლიონეკა ძიას აუტანლობას ვერც კი ამჩნევს, ჯერ პატარაა და სული ქათმის კვერცხივით აქვს დალუქული: ყველაფერს ისხლტს. ღმერთმა ნუ ქნას, წყალში თუ ჩავარდა, არ დაიხრჩობა – პატარა თევზად იქცევა: დიდშულა, ზოლიან ქორჭილად. ლიონეკამ რძე დაამთავრა და, ძიას საყვედურები ბოლომდე არ მოუსმენია, ისე გაიქცა ქვიშაში

სათამაშოდ: დილის მზემ ქვიშა შეაშრო და კოშკებიც ჩამოიფშენებოდა. პეტიას უცებ მოაგონდა:

– დედა, ის გოგონა, დიდი ხანია, რაც წყალში დაიხრჩო?

– რომელი გოგონა? – შეკრთა დედა.

– ხომ იცი. იმ მოხუცი ქალის შვილი, სულ რომ საათს გვეკითხება ხოლმე.

– არანაირი გოგონა არ ჰყოლია. რა სისულელეა. ორი ზრდასრული ვაჟი ჰყავს. ეგ ვინ გითხრა?

პეტია არ უპასუხა. დედამ ძია ბორიას შეხედა, იმას გაუხარდა, გადაიხარხარა:

– ჩვენი აბურძგნილი დაქალი მობოდავდა სიმთვრალეში! მამ, გოგონა, ჰა?!

– რომელი დაქალის?

– არის, რა... არც წყალია, არც ღვინო.

პეტია პარმალზე გავიდა. ძია ბორიას სურს, ყველაფერი ლაფში ამოსვაროს. ვერცხლის გოგონა-თევზსაც შეწვასა და თავისი მგლის კბილებით შესანსვლას უპირებს. არაფერი გამოგივა, ძია ბორია! ჩემი ბალიშის ქვეშ დილის გამჭვირვალე ფრინველის, ალკონოსტის კვერცხი ბრდღვიალებს.

ძია ბორიამ ფანჯარა გამოაღო და ნამიან ბაღს გასძახა:

– ასე იცის ბევრმა სმამ!

პეტია ერთხანს ღობესთან იდგა, ძელის გამოქარულ რუხ ხეს ფრჩხილით ჩიჩქნიდა. დღე მხოლოდ იწყებოდა.

სალამოს პაპას ისევ არაფერი უჭამია. პეტია ცოტა ხნით ჩამოუჯდა აწეწილ საწოლზე, დანაოჭებულ ხელზე მიეფერა. პაპას თავი ფანჯრისკენ მიებრუნებინა. გარეთ ქარი ამოვარდა, ხის კენწეროები ირხეოდა, დედამ თოკებიდან სარეცხი ჩამოხსნა, რომელიც „მფრინავი ჰოლანდიელის“ აფრებივით ტყლაშუნობდა. მინის მსხვრევის ხმა გაისმა. ჩაბნელებული ბალი ოკეანესავით ფუფედებოდა და იჩუტებოდა. ქარმა ტოტებიდან ფრინველი სირინი ჩამოაფრთხო და ისიც ნესტიანი ფრთების ფახულით სახლთან მოფრინდა, თვალდახუჭული ჰაერს ყნოსავდა, სამკუთხა სახეს ატრიალებდა: სადმე ნაპრალი ხომ არ არისო. დედამ პეტია დასაძინებლად გაუშვა, თვითონ კი პაპას ოთანში მიწვა.

ლამით ელჭეკი ატყდა, ხეები გრგვი-
 ნავდნენ. ლიონეჩკა ტირილით იღვიძებ-
 და. რუხი, სევდიანი, ქარიანი დილა გა-
 თენდა. ნვიმამ სირინი მინას მიათხლიშა
 და პაპაც სანოლში წამოჯდა, ბულიონიც
 კი დალია. პეტია ერთხანს ოთახის ზღურ-
 ბლზე გაჩერდა, პაპას უკეთ ყოფნის სი-
 ხარული გაიზიარა, გახედა ფანჯარაში
 წვიმისაგან თავჩაღუნულ ყვავილებს.
 ერთბაშად შემოდგომის სუნი დატრიალ-
 და. უფროსებმა ლუმელი დაანთეს, კაპი-
 უშონები ჩამოიფხატეს და ფარდულიდან
 შეშა მოზიდეს. გარეთ არაფერია გასაკე-
 თებელი. ლიონეჩკა ფერადი ფანქრებით
 ხატვას შეუდგა, ზურგსუკან ხელგდან-
 ყობილი ძია ბორია კი ოთახებში ბოლთას
 ცემდა და უსტვენდა.

დღემ უღიმღამოდ ჩაიარა: ჯერ სა-
 დილს ელოდნენ, მერე – ვახშამს. პაპამ
 მაგრად მოხარშული კვერცხი შეჭამა. ლა-
 მით ისეე განვიმდა.

პეტია მთელი ღამე მინისქვეშა დე-
 რეფნებში, კიბეებზე, მეტროს გვირაბებ-
 ში დაეხეტებოდა, გასასვლელს ვერ პო-
 ულობდა, ერთი მატარებლიდან მეორე-
 ში ჯდებოდა. მატარებლებს კარები ღია
 ჰქონდათ და ციცაბო კიბეებზე ეშვებოდ-
 ნენ; სხვისი ოთახები გაიარეს, ავეჯით
 საესე; პეტიას მატარებლიდან გამოღწე-
 ვა ეჩქარებოდა, რადგან ზევით ლიონეჩ-
 კასა და პაპას საფრთხე ეშუქრებოდათ:
 სახლის კარი ფართოდ მოღიავებული
 დარჩენილა, თვალდახუჭული ფრინველი
 სირინი კი სწორედ ამ წუთებში დაკოყ-
 რილი ფეხებით ჭრიალა საფეხურებზე
 ამოდიოდა; პეტიას სკოლის ჩანთა უშ-
 ლიდა, მაგრამ ისიც რაღაცაში ძალიან
 სჭირდებოდა. საიდან გავაღწიო? გასას-
 ვლელი სად არის? მინის ზედაპირზე რო-
 გორ ავიდე? „ბილეთია საჭირო“. რა თქმა
 უნდა, გასასვლელად ბილეთი მჭირდება!
 აგერ სალაროც. მომეცით ბილეთი! სა-
 ხაზინო? დიახ, თუ შეიძლება, სახაზინო!
 „სახაზინო ბილეთების გაყალბება ისჯე-
 ბა კანონით“. აგერ ბილეთები: ქალაქის
 გრძელი შავი ფურცლები. მოიცადეთ,
 დახვრეტლები რატომ არის? ეს ხომ
 კანონით ისჯება! სხვები მომეცით! არ
 მინდა! ჩანთა იხსნება და იქიდან გრძე-
 ლი შავი დასვრეტილი ბილეთები იყრება.
 ჩქარა შევაგროვო, თორემ დამიჭერენ და

დამსჯიან! ქალაქები იტაკებენ იფან-
 ტება, პეტია მათ კრეფს და ალაღბებ-
 ზე ჩანთაში ტენის; ხალხი განზე იწევა,
 ვილაც მოჰყვით... გზიდან ჩამოცვლას ვე-
 ლარ მოასწრებს, იმდენი ბილეთი დარჩა
 ასაკრეფი, ო, აი, მოახლოვდა შემზარავი:
 მკლავებში ხელები ჩაუვლიათ და მოჰ-
 ყავთ ვილაც საყვირივით მკივანი, ანთ-
 ლებუღი, დასიებული სახე ზევით რომ
 აუშვერია: ეს არც-წყალია-არც-ღვინოა,
 მორჩა, ყველაფერი დამთავრდა!!!

პეტია სანოლში წამოფრინდა, მის
 გულს ბაგაბუგი გაუდიოდა; ჯერ არ გა-
 თენებულყო. ლიონეჩკას მშვიდად ეძინა.
 ფეხშიშველმა მიაღწია პაპას ოთახს, კა-
 რი შეალო. სიჩუმეა. ღამის ღამაა ანთია.
 კუთხეში შავად მოჩანს უანგბადის ბლი-
 შები. პაპა თვალგახელილი წევს, საბანი
 თითებით ჩაუბლუჯია. ბიჭი უახლოვდე-
 ბა, უკვე ხვდება, ცივი ჟრუანტელი უე-
 ლის. პაპას ხელს შეეხო, უკან გაკრთა.
 დედა!

არა. დედა დაიკვილებს, შეეშინდება.
 იქნებ, ჯერ კიდევ შეიძლება ყველაფრის
 გამოსწორება. იქნებ, თამილა?

პეტია გასასვლელისკენ გავარდა – კა-
 რი ფართოდ იყო გახსნილი. ფეხები რე-
 ზინის ჩექმებში ჩაყო, თავზე კაპიუშონი
 ჩამოიფხატა და კიბეზე ჩაბრაგუნდა. ნვი-
 მამ გადაიღო, მაგრამ ხეებიდან წვეთავ-
 და. ვა ნაცრისფერი იყო. სველ თიხაში
 ბოტები ეფლობოდა და უსხლტებოდა,
 მუხლები ეკეცებოდა. ვერანდის კარს ხე-
 ლი ჰკრა, ფერფლის ცივი, მძიმე, ჩამდგა-
 რი სუნი ეცა. პეტიამ სიჩქარეში პატარა
 მაგიდას გაჰკრა გვერდი, რაღაც უღა-
 რუნით გაგორდა. დაიხარა, ხელის ფა-
 თურით იპოვა და სახტად დარჩა: ძირს
 ვერცხლის გომბეშოიანი ბეჭედი, თამი-
 ლას ავგაროზი, ეგდო. ოთახში ვილაცე-
 ბი აფათურდნენ. ბიჭმა კარი გაალო. სა-
 ნოლზე ორი ფიგურა დალანდა: თამილას
 შავი აბურძმგლი თმა ბალიშზე ეყარა,
 შავი ხალათი დაბაღ სკამზე ედო; ქალმა
 სახე მოაბრუნა და ამოიგმინა. ძია ბორია
 სანოლზე წამოფრინდა, წვერი მაღლა
 აუშვერია, თმა ყალყზე უდგას. თამილას
 ფეხს საბანს აფარებს, თვითონაც იფა-
 რებს, გაცხარებული ფაფხურობს, თან
 სიბნელეს თვალს უშტერებს და ყვირის:
 – ჰა?! რა არის, ვინაა? ჰა?!

პეტია ატირდა, უსაშველო დარდით დამძიმებულმა ამოიყვირა:

– პაპა მოკვდა! პაპა მოკვდა! პა-პა მოკვდა!!!

ძია ბორიამ საბანი გადააგდო და შემზარავი, დაკლაკნილი, არაადამიანური სიტყვები ამოანთხია; პეტია ქვეთინისაგან აცახცახდა, ბოტებით ყვავილების სველ კვლებზე გადაირბინა. სული კვერცხის ცილასავით ჩაეფუფევა და შემხვედრი ხეების ტოტებს თეთრ ნაფლეთებად შერჩა; პირში მყოფე ვაება უდულდა; ტბასთან მიირბინა, სველი ხის ქვეშ მიეგდო, რომელსაც წვეთები ნურნურით სცვიოდა. წივილითა და ფეხების ბრაგუნით ცდილობდა სულიდან ძია ბორიას საშინელი სიტყვების, მისი საშინელი ფეხების გაძევებას.

შეეგუა, გაყუჩდა, ერთხანს ასე იწვა. ზევიდან წვეთები ეცემოდა. მკვდარი ტბა, მკვდარი ტყე; ფრინველები ხეებიდან ჩამოცვივდნენ და ცისკენ ფეხებაშ-

ვერილნი ძირს ყრიან; მკვდარი, მყიფე სამყარო რუხი, ყრუ, ნურნურით ჩამომდინარი დარდით არის საესე. ყველაფერი ტყუილია.

მუჭში რალაც სიმკვრივე იგრძნო და ხელი გაშალა. გაჩაჩხული ვერცხლის გომბემო თვალებს უშტერებდა.

მარადიული დარდით აბრდღვიალებული ასანთის კოლოფიც ჯიბეში ედო.

სირინმა, სიკვდილის ფრინველმა, პაპა დაახრჩო.


ბედისწერას ვერავინ ასცდა. ყველაფერი მართალი გამოდგა, პატარა ბიჭო. ყველაფერი ახდა.

ცოტა ხანსაც იწვა, სახეზე ხელი მოისვა და სახლისკენ ნალასლასდა.

რუსულიდან თარგმნა
 თამარ კოტრიკაძემ



ლევან ბიბიაძე



საკითხავ-სათვალთვალელი პანთა-დიდი წიგნი

იმავითა, რომ ერთნაირად კარგი მხატვარი და მწერალი იყოს ვინმე, და აი, ქალბატონი ოლესია თავაძე გახლავთ ასეთი: პროფესიონალი ფერმწერი, გრაფიკოსი, წიგნის ილუსტრატორი და სიტყვის ჩინებული ოსტატი ამავდროულად – პროზაული მინიატურების ორი კრებული ავტორი, რომელთაგან პირველი, „სევდიანი ჩანაწერები“, 2010 წელს გამოვიდა, მეორე კი, „კაკლის ქარები“, რომელზეც ახლა უნდა ვილაპარაკოთ, 2013 წელს დასტამბა გამომცემლობა „ჩვენმა მწერლობამ“ (რედაქტორი როსტომ ჩხეიძე). ორივე წიგნი ავტორისავე ჩანახატებით არის გაფორმებული, ანუ ისენი ოლესია თავაძის **ჩანაწერებისა და ჩანახატების** კრებულებია. ეს ჩანაწერ-ჩანახატები საუცხოოდ ავსებენ ერთმანეთს ამ დიდი ინტერესით საკითხავ-სათვალთვალელ წიგნაკებში.

„დიდი ლიტერატურა“ რომ მაინცდამაინც ვრცელ ტექსტებს არ გულისხმობს, მგონი, საკამათო არ უნდა იყოს. მაგრამ რა შეიქმს მცირე ტექსტების, მინიატურების, სიდი(ა)დეს, ეს კი საგანგებო საუბარს მოითხოვს, თუნდაც იმის გამო, რომ „მცირეს სიდი(ა)დე“ წინააღმდეგობრივი შესიტყვებაა, ოქსიმორონია, მას პარადოქსული ელფერი დაჰკრავს. მინდა ამ რეცენზიამ ნაწილობრივ მაინც მოჰფინოს ნათელი ამ საკითხსაც.

„კაკლის ქარები“ ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის სათაურია „განწყობა“, მეორისა – „ხასიათები“. პირველში ლირიზმი ქარბობს, მეორეში – სარკავში, სატირა, ირონია.

ამ წიგნის ლირიზმი სევდანარევია. ეს სევდა კი წარმავლობის სევდა გახლავთ, სევდა იმის გამო, რომ დროის დინებას თავისი გააქვს და შეჩვეულ ნივთებს, გარემოს, ადამიანებს ნელ-ნელა ვკარგავთ, ვშორდებით, ვეთხოვებით. ავტორის მიზანია თავის ჩანაწერებსა და ჩანახატებში ადამიანებისა და ნივთების სიცოცხლე გაახანგრძლივოს, დაიბ, ნივთებისაც...

ერთგან ასეთი რამ უწერია: „როგორ შევნიხს ნივთს ბიოგრაფია, მაგრამ, თუ მეხსიერების ჯაჭვი გაწყდა, გინდ ჰქონია და გინდ არა...“ და იგი – ავტორი, ქალბატონი ოლესია – თავის მინიატურებში ნივთების ბიოგრაფიის ფრაგმენტებსაც გვაცნობს არაჩვეულებრივი ლიტერატურული ოსტატობით – ძველი პიანინო, კარადა, ფინჯანი, კოვზი, თოჯინა, მანვნის ქილები, გიტარა... ამ წიგნის პერსონაჟები არიან.

ადამიანებთან და ნივთებთან შეხვედრისას თუ მათი გახსენების უამს რომ განწყობილებები დაუფლებია ავტორს, მინიატურების ერთ ნაწილში აი იმ განწყობილებების ჩვენთვის გადმოცემა განუზრახავს მას სიტყვის მეშვეობით – უძნელესი

რამ!.. ამ მინიატურებში დოკუმენტურობა და პოეტურება ისე ბუნებრივად ერწყმის ერთმანეთს, როგორც... როგორც ეს რეალობაში ხდება, თუკი სასწაულებების აღქმის უნარი არ დაგვრწმუნებია იმის გამო, რომ მათი მომსწრენი ხშირად ვყოფილვართ (მაგალითად, მზის ჩასვლა-ამოსვლის ან ხორბლის მარცვლიდან ჯეჯილის აღმოცენების ყოვლად ფანტასტიკური მოვლენებისა!). ოლესია თავადის მინიატურები მოგვცხმარება, რომ ჩვეულ საგნებსა და მოვლენებს ახლებურად მზერა შევავლით, ჩვეულში არაჩვეულებრივი და ზოგჯერ სასწაულებრივიც აღმოვაჩინოთ, – მეცნიერულად თუ ვიტყვით, ყოველდღიურობის ესთეტიზაცია შეუძლოთ, და ამ გზით ბედნიერების განცდას ვეზიაროთ.



ენით დავიწყებ.

სიტყვასთან ავტორის დამოკიდებულებას კარგად წარმოაჩენს მინიატურა „ბადიში“, რომელიც ასე იწყება:

„შიძილება სიტყვამ ასე აგრიოს? სულხან საბას ვადაშლი და – „ბადიში“! საიდანღაც, ყრუდ მივიწყებულიდან, დარბაისელი ქართველი კაცის სოფლად ნათქვამი მოგესმის – ბადიში“.

და... რით შიძილება პატივი მიაგო სიტყვას, რომელმაც ასე ძლიერი ზემოქმედება მოახდინა შენზე („ასე აგრია“)? ცხადია, ბევრგვარად შეგვიძლია სიტყვის მიმართ მადლიერება გამოვხატოთ, ამ წიგნის ავტორი კი ასე მოიქცა: მსგავსი უღერადობის სიტყვები „დაუპატიოა“ „ბადიში“ მისთვის მიძღვნილ ტექსტში: „ბადიში“, „ბალიში“, „ბადეში“, „ბაგეში“ (დიახ, ეს ის არის, რასაც ლექსის მწერლები „რითმებს“ ეძახიან, მაგრამ ჩვენ ხომ ახლა პროზაულ ტექსტს ვკითხულობთ... და ამის გამო ეფექტიც საგანგებოა, უჩვეულო!):

„ბადიშობა აღარ გახსოვს, ბოდიში კი მოსახდელი გაქვს იმ ორთან, გვერდიგვერდ რომ წვანან, გაბზარულ მარმარილოზე გამქრალ მათ სახელებთან. საბოდიშო გაქვს ბევრთან, ბადიშებთანაც მო-

გეძებნება [საბოდიშო]... ბალიშზე, სად, თუ არა ბალიშზე, გამოგიტირებია საბოდიშო, მიგიტოვებია საფიქრალი გათენებული ღამისა. ბადეში, ცდუნების ბადეში ვართ მოქცეულნი, ბადიშობასა და ბადიშებს შორის. და სანამ ბაგეში სუნთქვა გვიღობინს, სანამ ქართული სიტყვა გვატკობს, გვაქართველებს – მადლობა ქართულს!“

ქართული სიტყვის კიდევ ერთი, ერთობ ორიგინალური სამადლობელია მინიატურა „ახალი სიტყვა“, სადაც ავტორი მოგვითხრობს როგორ გაიგონა, წარმოთქვა და დაწერა პირველად მისთვის მანამდე უცნობი სიტყვა „ხელეური“:

„ქალს გულმა არ მოუთმინა, ნამგალი მოიმარჯვა, პურის ყანაში დიდი ხორბლის კონა მოჭრა, თავშავას ტოტი მიუერთა, გულში ჩაიკრა და ქმარს შესცახა:

– შეხედე, რა სილამაზეა, რა სიმშვიდე, რა იმედი! ცოდად არ ჩამეთვლება, კონა რომ მოჭერი, დაეხატავ! (ნახატიც იქვეა, მომდევნო გვერდზე! – ლ. ბ.).

– მაგ ხორბლის კონას ხელეური ჰქვია, – მშვიდად მიუგო კაცმა.

– ხელეური? არ ვიცოდი. რა საფიქრალი სიტყვაა...

იმ საღამოს ქალმა თავის მეგობარს, ეთერს, ქართულის მასწავლებელს, წნორში დაურეკა და გაუბედავი სიამაყით, პირველად წარმოთქვა – ხელეური მოგჭერიო.

მასწავლებელმა სიტყვა არ გაიკვირვა – ყანა დაგითესიათ და ხელეურიც გქვინებაო!

ამას რომ ვყვები, წერთაც „ხელეურს“ პირველად ვწერ...“.

ასეთ ამაღლებულ თემაზე მშვიდად, უპათეტიკოდ, მაგრამ თსოდენ შთაბეჭედავად წერას მხოლოდ სიტყვის ტემპარატი ოსტატები თუ ახერხებენ!

ოლესია თავაძე ხშირად და მარჯვედ იყენებს უზმნო წინადადებებს, უზმნო წინადადება მისი წერის მანერის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია (ხომ არ არის ეს დაკავშირებული მის ძირითად პროფესიასთან – მხატვრობასთან? ზმნები ხომ ძნელად ექვემდებარებიან დახატვას!):

„გაზაფხულზე ყვავილების დღესას-

წაული სიონის სკვერთან, და ახლა უკვე შენი პერსონალური გამოფენა – ბევრი მნახველი, კომპლიმენტები, ავტოგრაფები, ფოტოგრაფები, მორთმეული ვარდების თაიგული“;

„კახეთის გზატკეცილი. გზაზე ქრიალა ურემში შებმული, ჯანგანყვეტილი თავჩაღუნული ბებერი ვირი, ურემზე უშველებელი თივის ზვინი და სადავეს ჩაჭიდებული, თავჩაქინდრული მოხუცი კაცი, თავზე კახური ქუდი“.

მინიატურა „ბავშვობა“, რომელშიც ზმნის ვერცერთ პირიან ფორმას ვერ შეხვდებით, ასე იწყება:

„კავკასიონი, ალაზნის ველი, კახეთის ნიფლის ტყეები, ქედნების გადაფრენა, საშნოდ მხარზე „ტულკა“ გადაკიდებული მოსიერზე ქართველი კაცი“.

„საშნოდ“ იშვიათი, არაჩვეულებრივად გამომსახველი ანუ ექსპრესიული ზმნისართია! მისი ფუძეა „შნო“ – ლაზათი, მოხდენილობა. – ლ. ბ.)

უზმნობა ლაკონიური ფრაზის, ლაკონიური თხრობის დამახასიათებელია. მინიატურები რომ თხრობის ლაკონიურობით უნდა გამოირჩეოდნენ, თავისთავად ცხადია. მაგრამ ოლესია თავადის ლაკონიზმი განსაკუთრებული მოვლენაა. მის ლაკონიზმს გამოცანისებური ელფერი დაჰკრავს, ამ მინიატურებში ძალზე ხშირად რაღაცა არის ამოსაცნობი, და ეს ამ მცირე ტექსტების ჟანრულ თავისებურებად უნდა ჩაითვალოს. ბოლომდე უთქმელის მიხედვრის სიამოვნება ოლესია თავადის მინიატურათა ესთეტიკის შემადგენელი ნაწილია, – იგი მათ უჩვეულო მომზიბვლელობას სძენს.

აი ერთი მინიატურა-გამოცანა, სათაურად „მათხოვრები“:

„ქუჩაში მათხოვარი იჯდა. მუხლებზე კალთაგადაფარებულს ერთი ხელი მუხლზე დაყრდნობით ჰქონდა გაშვერილი, მეორეში მობილური ტელეფონი ეკავა და ვილაცას გატაცებით ელაპარაკებოდა“.

მხატვრის თვალით დანახული და მწერლური საშუალებებით გადმოცემული სურათი მკაფიოდ ცოცხლდება ჩვენს წარმოსახვაში („კალთაგადაფარებული“

მიგვახვედრებს, რომ ეს მათხოვარი ქალია).

ასეთივე სიცხადით წარმოგვიდგება თვალწინ მეორე მათხოვრის პორტრეტიც – მისი უცნაური პოზა:

„მეორე მათხოვარი, ახალგაზრდა კაცი, მუხლებზე იყო დამხოზილი, სამათხოვრო ხელი ზემოთ ჰქონდა აღმართული და გაშტერებული ერთ ნერტილში იყურებოდა – მაღაზიის ვიტრინაში, ტელევიზორის დიდ ეკრანზე, სერიალს აჩვენებდნენ. ხატის წინ დაჩოქილი გეგონებოდა, და სანამ მიუხვდებოდი, რაშია საქმე, კარგა მანძილზე გასცდებოდი“ („რაშია საქმე“ მკითხველის გამოსაცნობია! – ლ. ბ.).

და ფინალური ფრაზა:

„საქმისადმი ასეთ არასერიოზულ დამოკიდებულებას, ალბათ, ყველგან ერთი შედეგი აქვს“.


გამოსაცნობია: გაიღებდა თუ არა მონყალელებს მთხრობელი?

თუ კარგად დაუფუკირდებით ახლახან ციტირებულ ფინალურ ფრაზას, მსუბუქი, ოდნავ შესამწნევი ირონიით შეფერილს, მიხვდებით, რომ – არა, არ გაიღებდა!

მათხოვრობის, ვითარცა პროფესიის, თავისებურების თაობაზე სულხან-საბაძე წერდა (არაკი „მაგალი გლახაკი“), პაოლო იაშვილიც (მოთხრობა „ფერადი ბუშტები“), ბერტოლტ ბრესტის „სამგროშიანი ოპერაც“ ამ საკითხს ეძღვნება, მაგრამ ყოველი ეპოქის მათხოვრობა რაღაცით გამოირჩევა. ოლესია თავადის ეს და ამის მომდევნო მინიატურა „დრო“ პოსტმოდერნული ეპოქის მათხოვრობის სპეციფიკაზე მიგვაქცევენებს ყურადღებას (ვინ იტყვის, ეს თემა საქართველოში სადღესღესად აქტუალური არ არისო!). ერთ ადგილს დავიმონწივებ ამ უკანასკნელადან:

„რუს მათხოვარს ჩაკვირდები, და ხედავ – წლები გავიდა. მის მუხლებზე მჯდომ პატარა უფერულ ბავშვს კი წლები არ შეემატა (ქირით მათხოვარი იქნება ალბათ)“. ეს პასაჟიც გამოცანისებურია, – შეიძლება უცბად ვერც ამოხსნა!

ზოგიერთი ამ მინიატურათაგანი ჟანრის ფარგლებს გასცდება და ნოველად გვევლინება – მინიატურულ ნოველად (მინიატურის ზუსტი ჟანრობრივი საზღვრები, ანუ ზუსტი განსაზღვრება, კაცმა რომ თქვას, არც არსებობს). ამ ნიგნაკში შესულ ამგვარ „ზღვარგადასულ“ ტექსტებში მძაფრი (ზოგჯერ უმძაფრესი!) ვნებები ბობოქრობს და დიდი ლიტერატურის ძალმოსილებას უფრო ნათლად სწორედ ისინი გვაგრძნობინებენ.



აი, თუნდაც, ეს მინიატურა, „ცოლქმარი“ რომ ჰქვია და ასე იწყება: „როგორია, ორ ნაკლულს ქორწინების ბაზარზე ნაკლულობის ნიშნით რომ შეა-

ულლებენ“.

ეს გახლავთ მაღალინფორმაციული (ანუ: მრავლისმეტყველი), უნაკლოდ შესრულებული ფრაზა-შედევრი (მეტაფორით – „ქორწინების ბაზარი“ – და მარჯვდ მიგნებული სიტყვათშეთანხმებით – „ნაკლულობის ნიშნით შეუღლება“ – გრძელი სათქმელი სხარტად და შთამბეჭდავად გადმოიცა); მრავლისაღმთქმელი ინტონაცია, რომელიც პირველივე სიტყვის („როგორია...“) დამსახურებაა, არაჩვეულებრივი ამბის გაგების მოლოდინს კიდევ უფრო ამძაფრებს. მოდით,

ისიც ვთქვათ, რომ ეს წმინდა წყლის მწერლური ფრაზაა, მის ჩამოქნაში მხატვრის ტალანტს მონანილეობა არ მიუღია – რაც აქ წავიკითხეთ, იმას ვერც დახატავ და ვერც კინოს ენით გადმოსცემ.

ვაგრძელებთ კითხვას:

„ეს ცოლ-ქმარიც ასე ერგო ერთმანეთს. ქალს, ბავშვობიდან უპატრონობით, ქილით გამოზმული სადრენაჟო სისტემა ნელში ზნიქავდა, ამახინჯებდა, კაცი კი უბრალოდ ჯუჯა იყო და ხელის მტყვნები იღლიებიდან ეზრდებოდა. (...) ერთ ხანს ასე შეეწყენენ ერთმანეთს, ის კი არა გამრჯე ქალი ჩაიმიც მუშაობდა, კაცმა კი ოჯახში იმარჯვა. და, ვინ იცის, ასეც შეაბრდებოდნენ დროს და ერთმანეთს, ქალს რომ უარესად არ გასჭირვებოდა.

ქმარმა ავადმყოფი აჭარიდან რუსთავში ჩამოიყვანა, ცნობილ ექიმს იმედიანად მიაბარა, თვითონ კი აჭარას დაუბრუნდა (...). ექიმი სასწაული ქირურგი იყო, და საბრალო ქალი სასწაულებრივი ოპერაციებით სრულჯანმრთელად აქცია. საავადმყოფოში თვენახევრის კვებამ და უქმად ყოფნამ ქალი ნელში

გამართა და უჩვეულო ხიბლი შესძინა. ასე რომ, ორი თვის თავზე წასაყვანად ჩამოსულ ქმარს მშვენიერი, სრულქმნი-

ლი ქალი შერჩა ხელში. კაცმა ცოლი ვერ იცნო, მერე, დაუჯერებელი რომ დაიჯერა, გულმოსულ-სასონარკვეთილი ექიმს მივარდა, – ეს რა მიქენიო, ქუდი დაიხურა და აჭარაში დაბრუნდა. ცოლი კი რუსთავეში დატოვა, თან არ წაიყვანა...“.

ფინალური ფრაზა ამ წყვილის ურთიერთობაზე ფილოსოფიური დაფიქრებაა და ისიც წაიკითხოთ:

„რანი იყვნენ ერთმანეთისთვის ეს ორნი, ნაკლოვანი, სულიერნი – ერთიმეორის შვება, სასჯელი თუ საქორწინო ბაზრის უღმობელი სამართალი?“...

მსგავსი ეთიკური პრობლემა, ოღონდ სხვადასხვაგვარად გადაწყვეტილი, მიხეილ ჯავახიშვილის „ყბაჩამ დაიგვიანაშიც“ გვხვდება, ჯეკ ლონდონის „ზღაპრის დასასრულშიც“, ჩარლი ჩაპლინის „დიდი ქალაქის ჩირაღდნებშიც“ და მაქს ფრიშის „განტენბაინში“ მოთხრობდ ერთ აღმოსავლურ ნოველაშიც. ოლესია თავადის ვერსია (როგორც ჩანს, ნამდვილი ამბავი, შესაძლოა მართლაც რომ ჯადოქარი ქიურაგის, აკადემიკოს ტრისტან ფერადის ნაამბობი, ვისაც ეს მინიატურა ეძღვნება) ახალი ნიუსებით ამდიდრებს რთული ზნეობრივი პრობლემის წარმოჩენა-გადაჭრის ადრინდელ ცდებს, რომლებსაც ზემოთ დასახელებულ შემოქმედთა ნაწარმოებებში ვხვდებით (მიხეილ ჯავახიშვილის ნოველა, მაგალითად, ამის სრულიად საპირისპიროდ მთავრდება).



ადამიანის ვერაგობას რომ საზღვარი არა აქვს, ამის მაგალითების მეტი რა არის სიტყვაკაზმულ მწერლობაშიც და კაცობრიობის ისტორიაშიც, მაგრამ... ასეთი?!

დიდხანს დაუოჯახებლად დარჩენილ ექიმ ანესთეზიოლოგს ნავიანევი სიყვარული ეწვია, რომელიც ქალის მხრივ უპასუხოდ არ დარჩენილა.

„ორივენი აენტნენ და ლივლივებდნენ. მანდილოსანი გამოდგა სათნო, შესახედი, შენახული საკადრისის მოლოდინში. ასე და ამგვარად, იქნებოდა ჯვრისწერა და ერთგულება კუბოს კარამდე, რომ არა...“.

ექსპოზიცია (ესეც, რაც ახლა ნავიკითხეთ, და ის ორიოდე ფრაზაც, ამას რომ უძღვის წინ) ირონიით არის შეფერილი, რაც პოეტიზმებისა და ოდნავ არქაიზებული ენობრივი ფორმების გამოყენებით მიიღწევა. ეს ირონია თითქოსდა არცკი შეეფერება სათხრობს, მაგრამ ჯერ თურმე სადა ხარ!..

„ანესთეზიოლოგს საკოლექციო და სატრაბახო საასროლი გააჩნდა, და რისი მიჯნური იყო, მაგთიც თავი არ გამოეჩინა. იარაღი კი მოსაწონი იყო, მსროლელი არცთუ. ასხლეშტელი ტყვია საცოლეს შეეხო, არ გათიშა, მაგრამ ფიქრში ჩააგდო“.

ეს „ფიქრი“ ნაირგვარი მიმართულებითა შეიძლება იყოს. თუ ვინმე ამ პერსონაჟის ფიქრის მდინარებას გამოიცნობს, ნუ დაიტრაბახებს ამით, – არ გავხსნი ფრჩხილებს, არ ვიტყვი, რატომ ჯობია ასე მოიტყვეს, თვითონვე მიმიხვდებით, რასაც ვგულისხმობ, როცა მომდევნო აბზაცს წაიკითხავთ:

„მსროლელის კვალიფიკაცია დანუნა თუ რალაც დალანდა პერსპექტივაში, რომ ასეთი განაჩენი გამოიტანა: მე რომ დავზარალდი, დიდი ფული ღირს, და თუ გადამიხდი... არა და, ციხეში გაგიშვებო!“

და ამას მოსდევს სრულიად გენიალური ფინალური ფრაზა, კვლავაც გამოცანის სახით მოწოდებული:

„აგატა კრისტი რომ ვიყო, დანარჩენსაც მოვეყვებოდი, მაგრამ დანარჩენს რალა აზრი აქვს, ესეც კმარა დასაჯერებლად ბიბლიური შეგონებისა – ზოგი სიამოვნო მორჩილებით (თუ არა მადლიერებით) უნდა მივიღოთ, როგორც ამცდენი მის უარესისა“...

ეს ამ მინიატურა-ნოველის მეორე ფინალი გახლავთ (ორმაგფინალიანი ნოველაა, ერთობ იშვიათი რამ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში!), რაც ერთიორად ზრდის მის ესთეტიკურ ღირებულებას.

არა მგონია, მაგრამ, თუ ამ „გამოცანის“ ამოსხნა გაგიჭირდება, მინიატურის სათაურს შემოგაშველებთ: მას „ილბალი“ ჰქვია.



მახიხა ქახაძე

მხატვრის უპირველესი ღირსებაა, გაგაოცოს

ჩერდები, უყურებ ტილოს და პირველი იმპულსი, რომელსაც ვერ ვერ აცნობიერებ, არის ის, რასაც ხელოვნების მაგია ჰქვია. მხატვრის უპირველესი ღირსებაა, გაგაოცოს, გაგრძნობინოს და მოგაჯადოვოს თავისი სამყაროთი. თუ როგორ და რა გზით ახერხებს ამას მხატვარი, ნახავთ საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმებში.

„სინთეზური ხელოვნება – მხატვრის ნიგნი „ვეფხისტყაოსანი“ (ეროვნული მუზეუმი)

პროექტი „სინთეზური ხელოვნება – მხატვრის ნიგნი „ვეფხისტყაოსანი“ განხორციელდა „ტაია ფილმის“ ინიციატივით და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით.

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრის ნიგნად გარდაქმნაში მონაწილეობა მიიღეს თანამედროვე ქართველმა ხელოვანებმა: გოგი ალექსი-მესხიშვილმა, მიშა გოგრიჭიანმა, თამაზ ვარვარიძემ, თამარ კვესიტაძემ, თამუნა მელიქიშვილმა, ოთარ მურაჩაშვილმა, ია მჭედლიშვილმა, კოტე სულაბერიძემ, მაია სუმბაძემ, ოლეგ ტიმჩენკომ, მამუკა ცეცხლაძემ, რუსუდან ხიზანიშვილმა, უშანგი ხუმარაშვილმა, მამუკა ჯაფარიძემ და თემურ ჯავახიშვილმა.

იდეის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელია მხატვარი, პროგრამისტი, კინოპროდიუსერი ქეთი გალდავაძე.

– ქალბატონო ქეთი, თქვენ ბრძანდებით

იდეის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელი, დავიწყობ იმით, თუ როგორ გაჩნდა ასეთი ორიგინალური იდეა, რამ გიბიძგათ?



– მინდოდა მხატვრის ნიგნის გაკეთება. ეს ცალკე ჟანრია, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სინთეზური ხელოვნებაში. იდეის ორიგინალურობა, ალბათ, იმაში გამოიხატება, რომ მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობის მქონე თხუთმეტმა საუკეთესო მხატვარმა დაასურათა „ვეფხისტყაოსანი“. გამოფენის გახსნისათვის ნიგნიც დაგებულად – მხატვრის ნიგნი, რომელშიც თხუთმეტივე მხატვრის ნამუშევარია შესული. პრეზენტაციაზე ეს ნიგნები დაიტაცეს, ერთიც კი აღარ დავგვრჩა.

რა თქმა უნდა, მთელი შემოქმედებითი ჯგუფი და, ცხადია მეც, მოხარულებით ვართ, რომ საზოგადოებამ მხატვრის ნიგნი მოიწონა. ისეთი დიდი ინტერე-

სი იყო, რომ უახლოეს ხანში ვაპირებთ ხელახლა დაგვეჭედოთ.. საერთოდ, ჩვენი პროექტი მომავალში ითვალისწინებს მხატვრის ნიგნის სერიულ გამოშვებას. ამ სერიის პირველ ნიგნად შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ შეირჩა, რომელიც სამომავლოდ ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობაზე იქნება წარდგენილი.

– „ვეფხისტყაოსანი“ „დაასურათა მიხაი ზირიმი, სერგო ქობულაძემ, და სხვა მრავალმა ქართველმა მხატვარმა. ტექსტის დასურათებაზე ყოველთვის ერთი მხატვარი მუშაობდა. ყოველი ეპოქის ხელოვანი თავისი პრიზმიდან ხედავს შოთას უკვდავი პოემის პერსონაჟებს. ამჯერად თხუთმეტმა მხატვარმა გააფორმა „ვეფხისტყაოსანი“ და ეს, ალბათ, იოლი არ იყო, როგორ განანიღდა სამუშაო?

– როგორც აღვნიშნე, თავიდანვე გამოირიცხა, მხოლოდ ერთ მხატვარს დაესურათებინა პოემა. ნახატები ისეთივე მრავალფეროვანი უნდა ყოფილიყო, როგორც პოემის ტექსტია და ამიტომაც შეირჩა თხუთმეტი მხატვარი.

ტექსტის სტრუქტურა რომ არ დარღვეულიყო „ვეფხისტყაოსანი“ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სამყაროებად (გეოგრაფიული და სულიერი) დაიყო და განანიღდა მხატვრებზე; გეოგრაფიულ სიბრტყეზე – არაბეთი, ინდოეთი, გულანშარო, ხატაეთი, ხვარაზმი, ქაჯეთი და ა.შ.; ცალკე თემებად დაიყო ავთანდილის ანდერძი, მიჯნურობა და სხვ. პოემის მოქმედება იწყება არაბეთიდან და სურათებიც ბოლომდე ტექსტს მიჰყვება. ყველა მხატვარი თავის თემაზე მუშაობდა, თავის სამყაროს ქმნიდა.

გვინდა, მხატვრის ნიგნით „ვეფხისტყაოსნის“ ახლებური ხედვა, ახლებური გააზრება და ხელახალი შეყვარება მოხდეს. ძალიან მინდა ტექსტს მკითხველმა უფრო თავისუფლად შეხედოს, მინდა, ბავშვები მოვიდნენ და მათაც დაათვალიერონ ნამუშევრები. შეიძლება ზოგს არ მოეწონოს, მაგრამ უნდა იცოდნენ, რომ ასეც შეიძლება ნაიკითხო და დაინახო, განსხვავებულად; სტანდარტული წარმოდგენა გმირებზე შეეცვლებათ ახალი ინტერპრეტაციით, ამაში საშიში არაფერია.

– თუ აპირებთ ამ გამოფენის გატანას უცხოეთში და თუ გაიყიდება ეს ნამუშევრები?

– სამომავლოდ დაგეგმილია „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრის ნიგნის ფორმატის შეცვლა-გადიდება და მხატვართა ნამუშევრების პრეზენტაცია-გამოფენების მოწყობა როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

რაც შეეხება უშუალოდ ნამუშევრებს, გამოფენაზე წარმოდგენილია თხუთმეტი მხატვრის ორასზე მეტი ნამუშევარი



და მხატვრულად გაფორმებული ტექსტი. ავტორთა ინიციატივით ნამუშევრები საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციაში დაიდებს ბინას.

„პოსტსტალინური ლიბერალიზაცია“ (ეროვნული მუზეუმი)



პოსტსტალინური
ლიბერალიზაცია
ქართულ მხატვრობაში

POST-STALIN
LIBERALIZATION
IN GEORGIAN PAINTING

24 ნოემბრიდან
FROM NOVEMBER 24

სამართაშვილის ქართული მხატვრობის
ფონდის ინიციატივით, სახელმწიფო
მუზეუმის გაერთიანებული
გალერეის მიხედვით, შოთა რუსთაველის
ავენიუი 11



THE GEORGIAN NATIONAL MUSEUM
SHOTI SHEVARDADZE
NATIONAL GALLERY
ADDRESS: 11, SHOTA RUSTAVELI AVENUE

ჟანგო მექმარიაშვილი – „აფიშების გამკვერელი“ 1962 წელი

ეროვნულ მუზეუმში მოსული დამთვალიერებელი გამოფენაზე იხილავს ისეთი ცნობილი ავტორების ნამუშევრებს, როგორებიც არიან: ედმონდ კალანდაძე, ჯიბსონ ზუნდაძე, ზურაბ ნიჟარაძე, ალექსანდრე ბანძელაძე, დიმიტრი ერისთავი, თენგიზ მირზაშვილი, გურამ ქუთათელაძე, ლეოპოლდ ძაძამიძე, რევაზ თარხან-მოურავი, ლევან ცუცქერიძე, ჟანგო მექმარიაშვილი, მიხეილ ხვიტია, ალბერტ დილბარიანი, ლევ ბაიახჩევი, დიმიტრი ხახუტაშვილი, გოგი ოჩიაური, აეთო ვარაზი, ვალენტინ შერპილოვი, ზურაბ ლეჟავა. ორმოცდაათიანელთა

თაობა წარმოდგენილია სამ დარბაზში. პირველი დარბაზი დაეთმო 30-იანი, 40-იანი წლების ქართულ მხატვრობას, იმ პერიოდს, როცა ხელოვანი ტოტალიტარული რეჟიმის წნეხის გამო იძულებული იყო დამორჩილებოდა სოცრეალიზმის მოთხოვნებს. ამდენად, გამოფენის ორგანიზატორთა მიზანი უდნავადაც არ ყოფილა უფროსი თაობის მხატვართა დაკნინება თუ დამუნათება, არამედ იმის მკაფიოდ წარმოჩენა – თურა შედეგი მოიტანა პოსტსტალინურმა ლიბერალიზაციამ.

ეკა კიკნაძე (ხელოვნებათმცოდნე) გამოფენის კურატორი: გამოფენის მიზანია 50-იან წლებში ქართულ მხატვრობაში გატარებული რეფორმის შესაბამის კონტექსტში ჩვენება.

50-იანი წლების ქართველი მხატვრების შემოქმედება, ცნობილი „პოსტსტალინური ლიბერალიზაციის“ სახელით, წარმოადგენს არსობრივად ახალ ეტაპს ქართული მხატვრობის ისტორიაში. კერძოდ, 30-40-იან წლების სოცრეალისტური მეთოდის პროპაგანდისტული ნამუშევრების ფონზე, 50-იანელები იწყებენ განსხვავებულ აზროვნებას, დამყარებულს გამოკვეთილად ფერწერულ, სპეციფიკურად მხატვრულ ამოცანაზე, არა კოლექტიურ, არამედ ინდივიდუალურ ძიებებსა და მიგნებებზე, რაც უმნიშვნელოვანესი იმპულსი აღმოჩნდა ქართული მხატვრობის შემდგომი განვითარებისათვის.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და კერძო კოლექციებში დაცული 50-იანელთა ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები და ავტორთა მიერ სხვადასხვა ნლებში ილუსტრირებული წიგნები. დამთვალეირებელი, აგრეთვე, გაეცნობა საინფორმაციო მასალას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ეროვნული არქივებიდან.



ჟანგო მეძმარიაშვილი –
„ბოლო სართული“ 1962 წელი


„გზა სინათლისა“

(ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი)

MOMATBILISI
OMAR CHKHAIDZE


ომარ
ჩხაიძე

გზა სინათლისა
THE WAY OF LIGHT



01.IV.2015
26.IV.2015

„გზა სინათლისა“, ასე ჰქვია გამოფენას, სადაც წარმოდგენილია თანამედროვეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მხატვრის ომარ ჩხაიძის ნახატები. ომარ ჩხაიძის მხატვარია, ვინც, არა მარტო საკუთარი სტილი და ფერწერის უბადლო ტექნიკა შექმნა, არამედ შესანიშნავად შეძლო სინათლის ტილოზე გადატანა. „ჩემი სურათები, ეს თავად მე ვარ, ჩემი რეალობაა, რომელსაც ინიციაციის და ინსპირაციის საფუძველზე შევიმეცნებ“, – ამბობს 71 წლის მხატვარი. სინათლე ომარ ჩხაიძისათვის არა ფიზიკური მოვლენა, არამედ მეტაფიზიკური სუბსტანციაა. ის ხედავს სულიერ სინათლეს, ცხოვრობს ამ სინათლეში და ხატავს ამ სინათლეს. იგი ფერწერაში თავის თავს რეალისტად, უფრო სწორად, მეტაფიზიკურ რეალისტად მიიჩნევს. მისი ნა-




მუშევრები არა აბსტრაქტული, არამედ კონკრეტულია, რადგან ის ხატავს კონკრეტულ სინათლეს, გარდაქმნის მას ფერად და ქმნის სამყაროს თავისეულ ანთოლოგიურ სურათს.

ხელოვნებათმცოდნეთა ნაწილი მის შემოქმედებით ხელნერას სიმბოლისტურ ან ასოციაციურ-მეტაფორულ სტილს უწოდებს, ზოგიც – ავანგარდისტულს.

მხატვრის ნამუშევრები დროისა და სივრცის ჩარჩოებით არ არის შეზღუდული, კოსმიური მასშტაბები აქვს და სრულად ასახავს სამყაროს. მისი ბოლო ნამუშევრები, შექმნილი 2009-2014 წლებში, გვაფიქრებინებს, რომ ნეოპლასტიციზმისა და სუპრემატიზმის ეპოქა, დაწყებული 1910-1920 წლებში მონდრიანისა და მალევიჩის მიერ, აგრეთვე პანგეომეტრიული ტრადიციები, რომელებიც ხელოვნებაში რამდენიმე საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა, შესაძლოა დასრულდა. მხატვარი სურათში „ნათელში გასვლა“ გადადის „ტრანსცენდენტურ ნულში“ და ქმნის ახალ ესთეტიკას ხელოვნებაში – სინათლის ესთეტიკას.

ომარ ჩხაიძის ტილოები ინახება ცნობილ გალერეებსა და კერძო კოლექციონერებთან რუსეთში, აშშ-ში, ინგლისში, იაპონიაში, საფრანგეთში, გერმანიაში და იტალიაში. მხატვრის ნამუშევრები გამოფენილი იყო ვატიკანის გალერეაშიც.

გამოფენათა ფოტომასალა
 მოგვანოდა ქეთი გომართელმა



ISSN 1987-5762



ხელმოწერების გასაფორმებლად დაუკავშირდით
გამავრცელებლებს მითითებულ ტელეფონის ნომრებზე:

„პლანეტა ფორტე“ – ტელ.: 2 92 18 59; 577-55 66 73;

„მაცნე“ – ტელ.: 2 14 74 22;

„ელვა.ჯი“ – ტელ.: 2 38 26 73; 2 38 26 74

„საქპრესა“ – ტელ.: 2 51 85 18; 2 51 59 05

ფასი: 4 ლარი